კვირის პალიტრა

36 გვ

№ 17 (367) ◆ 29 აპრილი – 5 მაისი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

მალე დადგება დღის წესრიგში საკითხი, რომ რუსეთმა რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს აფხაზეთი!

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან

...ხატაბის სიკვდილის შემდეგ, რუსეთი გააორკეცებს გელაევის თემით სპეკულირებას. გელაევის სახელს უკავშირდება აფხაზეთში ლიტვიდან – 15, ესტონეთიდან კი 10 სნაიპერი ქალის ჩამოყვანა, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ.

...მოსკოვში, ბურდენკოს სახელობის ჰოსპიტალში უმძიმეს მდგომარეობაშია ვლადისლავ არძინბა, მას მეტყველების უნარიც წაერთვა, ლაპარაკია სოხუმში მის გადმოყვანაზე, რათა იქ გაატაროს სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი.

...ენგურის ხიდზე ქაოსი და განუკითხაობა მძვინვარებს... ქართული პარტიზანული მოძრაობა კი საშინლად არაორგანიზებული და ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკურად ანგაჟირებულია. გვ.3

...უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ე.წ. ბოდენის გეგმას. ორი დონის სუვერენიტეტი ერთიან სახელმწიფოში ძალიან საშიში ნაღმია სამომავლოდ. ...მე, როგორც დაზვერვის გენერალი, ყოველთვის დისტანცირებული ვარ პრესისგან ჩემი სპეციფიკური ფუნქცია-მოვალეობების გამო და ჩვენი საუბარიც გამონაკლისია.

ზურაბ ერქვანია

7 რჩევა, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს 7-ბალიან ზონაში!..

„რადგან ტექტონიკური იარაღი არსებობს, ე.ი. რაღაცაში გამოიყენება კიდეც...“

მინდა მკითხველს ვუთხრა, რომ ამ შოკის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს მათი ცხოვრების წესი: თვალთახედვა, კონკრეტული ხასიათი, მოვლენების აღქმის უნარი. არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგიერთს სეისმოფობია – მიწისძვრების შიში ჩამოუყალიბდეს. გვ.5

გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, ჩვენს დედაქალაქში ამაზე დიდი ბალი არ უნდა დაფიქსირდეს.

თანმდევი, მცირე ბიძგები ხელოვნურ მიწისძვრას არ ახასიათებს

„ეგ ევტეევია თუ ვიღაც, ცრუობს, ცილს მწამებს“

„ნოსტრადამუსი არა ვარ, მაგრამ ერთ თვეში ახალი ინციდენტია მოსალოდნელი...“

ევტეევის განცხადებას მოჰყვებოდა აჟიოტაჟი მესაზღვრეების გარშემო და ამას კიდევ ერთი მიზანი ჰქონდა – ჩემი დისკრედიტაცია. სიტუაცია გამწვავდებოდა კოდორთან, აფხაზები კი მოითხოვდნენ მესაზღვრეების გამოყვანას ხეობიდან, რაც შეუძლებელია.

მე მივმართავ პრეზიდენტს და მალხაზ კაკაბაძეს, რომ მომავალ შეხვედრაზე ევტეევს მოსთხოვონ ახსნა-განმარტება ამგვარ ბრალდებაზე.

რუსებს დაგეგმილი ჰქონდათ სისხლის ღვრა.

გვ.5,11

„კვირის პალიტრის“ შემდეგ ნომერში — სააღდგომო საჩუქარი!..

საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი:

ამბავი პონტოელი ჭაბუკისა, რომელიც წმინდა გიორგიმ ხილულად ჩამოიყვანა საქართველოში...

...სასწაული აღდგომის ღამისა გვ.12

თუ პრეზიდენტი ჩვენს რეკომენდაციას არ გაითვალისწინებდა, მოვითხოვდი შევარდნაძის, როგორც კორუმპირებულ მოხელეთა მფარველის, იმპიჩმენტს

გვ.7,11

ეჭვები ხატიძეზე კი არა, მთელ ხელისუფლებაზე არსებობს. მთელმა ქვეყანამ იცის მათი კორუმპირებულობის ხარისხი... მაინცდამაინც ხატიძე არავის ამოუღია მიზანში. უბრალოდ, გაჩნდა დოკუმენტები, რომელთაც დაგვაინტერესეს.

მალე ჩემს მეუღლეს – სანდრას რუსეთის გენერლად გამოაცხადებენ

გვ.7

მე ვთხოვ ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილს, ჩვენს დასახვედრად მოემზადოს

რისი ეშინოდა დოდო აბაშიძეს... გვ.17

ნემსის გაკეთების... სულ მანქანით დადიოდა. ერთხელ გაიარა ფეხით და მაინცდამაინც მაშინ სახურავიდან თუნუქის ფურცელი ჩამოვარდა და თავში დაეცა, – შვიდი ნაკერი დაადეს უნარკოზოდ. ექიმი სთხოვდა, ნემსს გაგიკეთებო, მაგრამ არაფრით დათანხმებულა. სხვათა შორის, ცხვირის ოპერაციაც უნარკოზოდ გაიკეთა, – პისტოლეტის ტარი ჩაარტყეს ერთხელ ცხვირში და გაუტეხეს, არასწორად შეუხორცდა და ველარ სუნთქავდა. წოპეს გააკეთებინა ოპერაცია უნარკოზოდ. ტკივილს იტანდა, მაგრამ ნემსის ეშინოდა...

სამხედრო თემაზე:

რადუევი, ბარაევი, ხატაბი... ვისი ჯერია — ბასაევისა თუ გელაევის?!

გვ.9



როგორ ასწავლეს „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტს ფალსიფიცირებული ძეხვის დამზადება...

გვ.6

– აიღებ 2 კილოგრამ ხორცს, დაუმატებ 5 კილოგრამ ფქვილს და ერთ ლიტრა წყალს. ოღონდ, წყალი თითქმის გაყინული უნდა იყოს. ცივ წყალს სიმკვრივე უფრო მეტი აქვს, თანაც კარგად ერევა ხორცსა და ფქვილს. შეიძლება მეტიც დაასხა, ოღონდ, ძალიანაც არ უნდა გადააჭარბო. ხორცი თუ ცოტა უხარისხო იქნება, ძირითადად სანელებლები უნდა დაუმატო, განსაკუთრებით, ნიორს დააწექი...

ვერსია

მთავრობამ შემოირიგა თვრამეტი წლის განმავლობაში ძებნილი ევგენი აფრასიძე

სისხლის აღების წესი იქამდე მივიდა, რომ აკვანში მძინარე ექვსი თვის ბიჭუნა მოკლეს, გვიან ღამით ფანჯრიდან ნასროლი ტყვიით. სისხლის ამღებები, ანუ მკვლელები ტყეებს შეეფარნენ და არავინ იყო იქიდან მათი გამომყვანი. ერთ მხარეს სამი მიცვალებული იყო, მეორეს – ჯერჯერობით, ორი. ორ კვირაში კი დახოცილებს კიდევ ექვსი-შვიდი მიცვალებული მიემატებოდა... გვ.10

მშვიდობით მიგვაგებოს უფალმა ბრწყინვალე აღდგომას!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

რას გადაურჩა თბილისი

„რას გადაურჩა თბილისი", „რას გადავრჩით", „ღმერთმა დაგვიფარა", „კიდევ ერთი ბალით მეტი სიმძლავრის რომ ყოფილიყო მიწისძვრა, ნახევარ თბილისს მიწასთან გაასწორებდა", აი, ეს და სხვა უამრავი მოსაზრება გაისმის დღემდე ჩვენს თანამოქალაქეებს შორის, რომლებსაც კიდევ დიდხანს გაჰყვებათ 25 აპრილს მომხდარი 6-ბალიანი მიწისძვრისგან განცდილი შოკი! საუბედუროდ, დაიღუპა ექვსი თბილისელი, 50-მდე დაშავდა, ათიათასობით ადამიანმა ნერვული და ფსიქოლოგიური სტრესი მიიღო; დაინგრა და დაზიანდა ასობით სახლი და ადმინისტრაციული შენობა, რომელთა ავარიული მდგომარეობის შესახებ წლების მანძილზე სასოწარკვეთილნი გაჰყვიროდნენ მათი ბინადარნი და ხელისუფლებას შველას სთხოვდნენ... ახლა კი, როცა ურემი გადაბრუნდა, იმედია, რომ ადგილობრივი რესურსებითა და უცხოეთიდან გამოწვდილი სოლიდური დახმარებით, ბოლოს და ბოლოს, მიხედავენ დედაქალაქის დანგრეულ უბნებს და მათ დაზარალებულ ბინადართ. პრეზიდენტ შევარდნაძეს პირველმა რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა დაურეკა, მიუსამძიმრა და დახმარებაც აღუთქვა. შემდეგ კი ლამის მთელი დსთ-ისა და მსოფლიოს ლიდერებიც შეეხმიანენ მას; ჯორჯ ბუში კი ერთი საათის მანძილზე ესაუბრა ტელეფონით შევარდნაძეს და როგორც ჩანს, დახმარებაც არ დააყოვნებს! შაბათს დილით თბილისში კვლავ დაფიქსირდა, ამჯერად 3-ბალიანი მიწისძვრა, რასაც ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია

რუსები 10 წელიწადს ითხოვენ

მოსკოვში მიმდინარეობს ქართველი და რუსი ექსპერტების მოლაპარაკება საქართველოდან ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების გაყვანის შესახებ. მთავარი პრობლემა ბაზების გატანის ვადაზე შეთანხმებაა. რუსული მხარე კვლავ ჯიუტად მოითხოვს ამ ბაზების გატანისთვის 10 წელიწადს, მაშინ, როცა ქართული მხარე ბაზების გატანისთვის სამ წელიწადსაც სრულიად საკმარისად მიიჩნევს...

პარაზიტოლოგები რეფორმას აპროტესტებენ

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო საავადმყოფოების რიცხვის მკვეთრად შემცირებას იწყებს, რაც გათვალისწინებულია ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმის გეგმით. თბილისში მოქმედი 60 საავადმყოფოდან მხოლოდ 12 დარჩება მას შემდეგ, რაც საავადმყოფოების დიდი ნაწილი ერთმანეთს შეუერთდება. მოელიან, რომ ამ ცვლილებების შემდეგ უმუშევარი დარჩება დაახლოებით 10 ათასი ექიმი და სხვა კატეგორიის მედპერსონალი. ბუნებრივია, ამ ინფორმაციამ დედაქალაქის სამკურნალო დაწესებულებების მედპერსონალის აღშფოთებაც გამოიწვია, განსაკუთრებით გააქტიურდნენ პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები. გეგმით ეს ინსტიტუტი ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოს უნდა შეუერთდეს, რასაც კატეგორიულად აპროტესტებენ პარაზიტოლოგები და აცხადებენ, ასეთი შეერთება ყოვლად გაუმართლებელი და დაუშვებელიაო... საქმე ის არის, რომ პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის შენობა კაპიტალურ რემონტს საჭიროებს, რის ფულიც არ აქვთ. რეფორმის გეგმით კი საავადმყოფოების დაზიანებული და ავარიული შენობები უნდა გაიყიდოს. თანამშრომლები აცხადებენ, რომ არც არავის შეუერთდებიან და არც შენობას დატოვებენ...

რას უკეთებენ მინისტრებს?!

მთავრობის მორიგ სხდომაზე, სადაც ყველა მოელოდა, რომ პრეზიდენტი აასრულებდა დაპირებულ მუქარას და სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო რამდენიმე მინისტრს გადააყენებდა პოსტიდან, მოულოდნელად პრეზიდენტიც და მთავრობის წევრებიც უჩვეულოდ მხიარულ გუნებაზე იყვნენ. პრეზიდენტს არც კი გახსენებია მთავრობის წინა სხდომაზე თემურ ბასილიასა და ავთო ჯორბენაძეს შორის მომხდარი სკანდალი, არც დავით მირცხულავა, რომელსაც ლამის ყველა უკვე ექსმინისტრად მოიხსენიებდა... მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა მიშა სააკაშვილის მაკომპრომეტირებელი მასალები გადმოალაგა, თან ზურაბ ნოღაიდელსაც გაჰკრა კბილი. ბატონ გილიგაშვილის მტკიცებით, მიშა სააკაშვილი ფინანსთა სამინისტროდან გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა და მაშინ იუსტიციის სამინისტრო არათუ მხოლოდ კუთვნილ დაფინანსებას იღებდა, არამედ ბიუჯეტიდან დამატებითი თანხები მიჰქონდაო. გილიგაშვილმა კონკრეტული მაგალითიც მოიყვანა: ბიუჯეტიდან მიშა სააკაშვილის წიგნის „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის" დასაფინანსებლად 15 ათასი ლარი იქნა გამოყოფილი. ამ საკითხით უკვე დაინტერესდა კონტროლის პალატაც და არ არის გამორიცხული, რომ საქმეში ანტიკორუფციული საბჭოც ჩაერთოს... მიშა სააკაშვილმა „გარედან" შეახსენა გილიგაშვილსაც და მთავრობასაც, რომ მან, ანუ სააკაშვილმა საათივით აწყობილი იუსტიციის სამინისტრო ჩაგაბარათ და ისეთ რას უკეთებს შევარდნაძე თავის მინისტრებს, რომ მათ შუბლზე ძარღვი უწყდებათო?!

მირცხულავა მოსახსნელი არ ყოფილა

თბილისს ეწვია საერთაშორისო ფონდის დელეგაცია დევიდ ოუენის ხელმძღვანელობით და აქ მოხდა ფანტასტიკური რამ. პრეზიდენტის მიერ შერისხული და, ფაქტობრივად, გასაგდებად განწირული დავით მირცხულავა მოულოდნელად შეაქო... დევიდ ოუენმა უაღრესად საინტერესო, პროგრესული და მასშტაბური უწოდა მირცხულავას მიერ შემუშავებულ კონცეფციას, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ენერგოსისტემაში დაგროვილი ვალების (დაახლოებით ერთი მილიარდი ლარის) მომსახურება და გასტუმრება; ანუ რის გამოც შევარდნაძე სამსახურიდან გაგდებას უპირებდა ენერგეტიკის მინისტრს, აღმოჩნდა, რომ მირცხულავა არათუ დასასჯელი, არამედ წასახალისებელიც ყოფილა! სამაგიეროდ, სავალუტო ფონდის მისია შემოსავლების სამინისტროს დააცხრა და ლევან ძნელაძეს საგადასახადო შემოსავლების 25 მილიონი ლარით გაზრდა მოსთხოვა, რამაც გვარიანად შეაფუცხუნა მთავრობაც. ეკონომიკურ ბლოკში აცხადებენ, რომ გადასახადებს არ გაზრდიან და სავალუტო ფონდის ამ მოთხოვნას ადმინისტრირების გააქტიურების შედეგად შეასრულებენ, მაგრამ დევიდ ოუენს საქართველოს ხელისუფლების ამ დაპირებისა აღარ სჯერა... ფონდის მისიის მეორე სამიზნედ ფინანსთა სამინისტრო იქცა, რომელსაც კატეგორიულად მოსთხოვა ჯართისა და ფერადი ლითონების ექსპორტის აკრძალვის გაუქმება, შესაბამისად, კოორდინირებული მუშაობა პარლამენტთან ერთად, რომელმაც აკრძალა კიდეც ჯართის და ფერადი ლითონების ექსპორტი! დევიდ ოუენი აცხადებს, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება შეასრულებს ამ მოთხოვნას, სრულიად შესაძლებელი იქნება საქართველოსთვის ივნისში მორიგი ტრანშის გამოყოფა 24 მილიონი დოლარის ოდენობით!

ისევ ჩერნობილი

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის კატასტროფის 16 წლისთავზე საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა უკრაინიდან და ბელორუსიდან. გაირკვა, რომ ბეტონის სარკოფაგი, რომლითაც დაფარეს აფეთქებული ატომური რეაქტორი, დასკდა, დაიბზარა და იქიდან ჟონავს რადიოაქტიური ნივთიერება. მოსახლეობა ხელისუფლებისგან მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას მორიგი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. საქმეში ჩაერთო მაგატე (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო), რომლის წარმომადგენლებიც უკვე ჩავიდნენ ჩერნობილში და ადგილზე სწავლობენ შექმნილ ვითარებას და შემდგომი მოქმედებების გეგმებსაც სახავენ... სხვადასხვა ინფორმაციით, შეიძლება არსებული დაბზარული ბეტონის სარკოფაგი გაცილებით სქელ და ამჯერად უკვე რკინაბეტონის სარკოფაგში მოათავსონ, რომელსაც შემდეგ მიწის სქელი ფენებით დაფარავენ!

„გმირი" გენერალი კმაყოფილი დარჩა

ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების გაგრძელების პერსპექტივასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა შევარდნაძემ. მისი თქმით, იგი ტელეფონით ესაუბრა ანრი ჯერგენიას, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ თბილისსა და სოხუმს შორის თვისებრივად ახალი ურთიერთობები იწყება და მხარეები მზად არიან ამ ურთიერთობების დასარეგულირებლად. შევარდნაძე და ჯერგენია პირისპირ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომლის დრო და ადგილი მოგვიანებით დაზუსტდება. მანამდე კი სოხუმში ჩავიდა საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაცია ავთანდილ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით, რაც, შევარდნაძის თქმით, ხელს შეუწყობს ურთიერთნდობის ხარისხის ამაღლებას... მაგრამ აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. სეპარატისტები კვლავ ჯიუტად მოითხოვენ კოდორის ხეობაში მყოფი ქართული შეიარაღებული რაზმების გაყვანას(!). არადა ეს რაზმები ადგილობრივი სვანი მოსახლეობისგანაა დაკომპლექტებული. „სამაგიეროდ" გვპირდებიან, რომ ხეობაში რუსი „მშვიდობისმყოფელები" „დაიცავენ" მშვიდობას... მოლაპარაკებაში მონაწილეობდა აჟარის დესანტის „გმირი" გენერალი ევტეევიც, რომელიც შეხვედრის დასრულებისთანავე ისე გაიპარა, კრინტიც არ დაუძრავს შთაბეჭდილებების შესახებ. როგორც ჩანს, ევტეევი კმაყოფილი დარჩა აფხაზთა „შეუვალი" პოზიციით...

გამოცდებს „ძველებიც" და „ახლებიც" ჩააბარებენ

პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, 2002 წლის 22 ივნისს უნდა დაიწყოს ადვოკატთა ტესტირება, ანუ გამოცდები. ადვოკატებმა 5028 ტესტიდან კომპიუტერის მიერ შერჩეულ 100 კითხვას უნდა გასცენ პასუხი, ანუ ყოველ ადვოკატს მომზადება მოუხდება 5028 შეკითხვის პასუხისა, რათა საქმიანობაზე ლიცენზია მოიპოვოს! ამ ინფორმაციამ სტაჟიან ადვოკატთა რისხვა გამოიწვია, რომლებიც კატეგორიულად აცხადებენ, რომ მათ გამოცდილებას სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს და გამოცდებიც საერთოდ არ უნდა შეეხოთ! სტაჟიან ადვოკატებს ახალგაზრდა კოლეგები დაუპირისპირდნენ და კატეგორიულად მოითხოვეს, რომ გამოცდები ყველამ, „ძველებმაც" და „ახლებმაც" ერთად ჩააბარონ. „ნორჩ" კოლეგათა ამგვარმა პოზიციამ აღაშფოთა „ძველები". სტაჟიანი ადვოკატები აცხადებენ, რომ თანახმანი იქნებიან მხოლოდ და მხოლოდ ატესტაციაზე, რომელსაც თვითონ პროფესიონალი ადვოკატები ჩაატარებენ და არავინ სხვა!

იურიდიული ნონსენსი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 15-მა პოლიტიკურმა პარტიამ და 6-მა ბლოკმა გაიარა რეგისტრაცია. თვითმმართველობის არჩევნები პროპორციული სისტემით მხოლოდ თბილისში ჩატარდება, რეგიონებში კი მაჟორიტარები იყრიან კენჭს საკრებულოებში მოსახვედრად. ლეიბორისტულმა პარტიამ მომავალ არჩევნებს ხალხის მორიგი მოტყუება უწოდა, კატეგორიულად გააპროტესტა საარჩევნო კანონის ის პუნქტი, რომელიც რაიონებში არჩევნების მაჟორიტარული წესით ჩატარებას ითვალისწინებს და მთელი აქცენტი თბილისისკენ მიმართეს. შალვა ნათელაშვილს იმედი აქვს, რომ დედაქალაქის საკრებულოში ლეიბორისტები უმრავლესობას მოიპოვებენ...

კანონპროექტი ქართული ენის დაცვას ითვალისწინებს

პარლამენტში დაიწყო ქართული ენის შესახებ კანონპროექტის განხილვა, რომლის ამოქმედების შემდეგ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ხელისუფლების ნებისმიერ შტოსთან, სტრუქტურასა და რგოლთან ურთიერთობა მხოლოდ სახელმწიფო ქართულ ენაზე მოუწევთ. დოკუმენტის ავტორთა მტკიცებით, კანონპროექტი ქართული ენის სრულ დაცვას ითვალისწინებს და საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლებიც, რომლებიც საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებთან მოინდომებენ სიტყვიერ თუ წერილობით ურთიერთობას, ვალდებულნი იქნებიან გამოიყენონ სახელმწიფო ქართული ენა! კანონპროექტის მომზადებაში ჩართულია ეუთოს მისია, რომლის რეკომენდაციების შემდეგ პროექტში რამდენიმე ცვლილების შეტანაა მოსალოდნელი. ამ ცვლილებების მიხედვით სახელმწიფო მოხელეებს მკაცრად არ აქვთ განსაზღვრული საქმის ქართულ ენაზე წარმოება. მოელიან, რომ სწორედ ეს პუნქტი გამოიწვევს დიდ დისკუსიას პარლამენტში!

იყიდება „საქართველოს ავიახაზები"

ქონების მართვის სამინისტროში ინტენსიურად მუშავდება ტენდერის პირობები, სადაც ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები" გაიყიდება! ავიაკომპანიას სადღეისოდ ორმილიონ-ნახევარი ვალი დაუგროვდა. ჯერჯერობით, არ არის დადგენილი აუქციონზე გასატანი ამ ავიაკომპანიის საწყისი ფასი, რომლის აქციების 100%-ის მფლობელი სახელმწიფოა. „საქართველოს ავიახაზების" მესვეურნი ირწმუნებიან, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია სოლიდური ინვესტიცია დააბანდოს ავიაკომპანიაში და მის შესანარჩუნებლად პრივატიზაციის გარდა, სხვა გზა აღარ არის!

ამბობენ, რომ „საქართველოს ავიახაზების" შეძენის ერთ-ერთი რეალური მსურველი ბადრი პატარკაციშვილია!

სისხლიანი ინციდენტი

საზარელი დანაშაული მოხდა დიდუბის რაიონში, ვახუშტის სახელობის ხიდთან მდებარე ავტოგასამართ სადგურზე. ნიღბიანმა ბანდიტებმა თავში სროლით ადგილზე მოკლეს სადგურის ორი თანამშრომელი, მესამე მძიმედ დაჭრეს და სოლიდური თანხაც გაიტაცეს. ეს ავტოგასამართი სადგური ფირმა „იბერკომპანის" ეკუთვნის... მიმდინარეობს გამოძიება!

შეტაკება ბანდიტთა ჯგუფთან

ხონში პოლიციამ ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში ბანდიტთა ორგანიზებულ ჯგუფს მიაგნო და ალყა შემოარტყა. ეს ჯგუფი ადამიანთა გატაცებისა და ყაჩაღობის უამრავი ფაქტის გამო იძებნებოდა. დამნაშავეებმა დანებებაზე უარი განაცხადეს და ცეცხლი გახსნეს. ორმხრივი სროლისას ორი ბანდიტი — ნოე ბალავაძე და ქარდავა — დაიღუპა, ერთი ბანდიტი, გამხუაშვილი პოლიციას ნებაყოფლობით ჩაბარდა, ხოლო კიდევ ერთმა ავტომატით ორი პოლიციელი დაჭრა და გაიქცა... ბანდიტთა ეს ჯგუფი ხონის პოლიციის უფროსის შვილის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის ვახტანგ კვაჭანტირაძის ვაჟის, ლადო კვაჭანტირაძისა და სხვა პირთა გატაცებაში იმხილებიან. მეტიც, ეჭვი აქვთ, რომ სწორედ ამ ბანდას ჰყავს გატაცებული კახა კალაძის ძმა ლევან კალაძეც... პოლიციის თქმით, ბანდა ადამიანებს იტაცებდა იმ მიზნით, რათა შემდეგ გაეცვალა ციხეში მყოფ გიგა ბალავაძეზე (მოკლული ნოე ბალავაძის ძმაზე) და პატიმარი ამ გზით დაეხსნათ. ახლახან ამავე მიზნით ჰყავდათ გატაცებული 15 წლის ვანო ბერბიჭაშვილიც, რომლის გამოხსნაც მოხერხდა!

ასანიძის ბანდა გააუვნებელყვეს

ქუთაისელმა პოლიციელებმა კიდევ ერთი ბანდიტური ჯგუფის გაუვნებელყოფაში გამოიჩინეს თავი. დამნაშავეთა სამყაროში ე.წ. ასანიძის ბანდის სახელწოდებით ცნობილი ეს ჯგუფი ქუთაისი-ზესტაფონის მაგისტრალზე „მუშაობდა" და შიშის ზარს სცემდა მძღოლებსა და მგზავრებს, რომლებსაც ძარცავდნენ, სცემდნენ, ესროდნენ... თავდაპირველად, ასანიძის ბანდამ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას და მძევლებიც კი აიყვანეს, მაგრამ ბოლოს გონიერებას მოუხმეს და დანებდნენ... მალხაზ ასანიძემ, გოჩა მაჭარაძემ, ნუგზარ, ემზარ და ზაურ ნიკოლაძეებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაულობები...

სად არის ბასილიას საწინააღმდეგო ცენტრი?!

მცირე მეწარმეთა ასოციაციამ მძიმე ბრალდებები წაუყენა პრეზიდენტის მრჩეველს ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილიას და იგი... 108 მილიონი დოლარის შეჭმაში დაადანაშაულეს(!). ასოციაციის მესვეურთა მტკიცებით, ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისთვის გამოყოფილ უზარმაზარ თანხებს ბასილია ფლანგავდა... ამ ბრალდებას ბასილია სიცილით შეხვდა და განაცხადა, ჩემს წინააღმდეგ დაწყებული კამპანია ერთი ცენტრიდან იმართებაო, თუმცა აღარ დაუკონკრეტებია ეს „ცენტრი"...

ოფისში ახალი პრეზიდენტი შეაბრძანეს

„აღსრულდა!" — ეს შეძახილები ისმოდა „წითელი ჯვრის" საქართველოს საზოგადოების ოფისთან, სადაც შეკრებილი საზოგადოება ინტერესით ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ შეანგრიეს ოფისის კარი აღმასრულებლებმა, როგორ გახერხეს გისოსები და როგორ გამოაბრძანეს გარეთ „წითელი ჯვრის" საზოგადოების ყოფილი პრეზიდენტის ნოდარ ცქიტიშვილის ორი მომხრე, რომლებიც ჩაკეტილები იყვნენ ოფისში და ჯიუტად არ აღებდნენ კარს! ეს აქტი დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ განხორციელდა, რომლის საფუძველზეც იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღმსრულებლო ბიურომ ცქიტიშვილი და მისი ხალხი ძალით გამოასახლა „წითელი ჯვრიდან" და ახალი პრეზიდენტი ნანა ყეინიშვილი შეაბრძანა ოფისში!

ბეთლემის ოპერაცია მშვიდობიანად დასრულდება(?)



ბეთლემში, შობის ტაძარში ჩაკეტილმა პალესტინელებმა ნელ-ნელა დაიწყეს ტაძრიდან გამოსვლა და ტყვედ ჩაბარება. თავდაპირველად, 9 პალესტინელი გამოვიდა, რომლებმაც ტაძრის ალყის დროს დაღუპული ორი კაცის გვამი გამოიტანა თან. მათი თქმით, ბეთლემის ტაძარში 200-მდე მშვიდობიანი ადამიანი იმყოფება, ისრაელის სპეცსამსახურთა მტკიცებით კი ამ 200 კაციდან 50-მდე პალესტინელი ბოევიკია, რომლებიც უნდა ჩაბარდნენ ებრაელებს და სასამართლოს წინაშე წარდგნენ ან ქვეყანა დატოვონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ განადგურება ელით! პრეზიდენტმა ბუშმა მოუწოდა ისრაელს მშვიდობიანად დაამთავრონ ბეთლემის ე.წ. ოპერაცია და იმავდროულად გამოუშვან იასირ არაფატი მისი ალყაშემორტმული შტაბბინიდან და მისცენ თავისუფლად მუშაობის საშუალება. ბუშმა იმედი გამოთქვა, რომ არაფატი ასეთ ვითარებაში მეტს გააკეთებს ტერორიზმის აღსაკვეთად...

კოსმოსის მილიონერი ტურისტი

რუსეთის კოსმოსურ ხომალდ „СОЮЗ-ТМ-34"-ით კოსმოსში გაემგზავრა რიგით მეორე ტურისტი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქე, მულტიმილიონერი მარკ შატელ-ვოტსი, რომელმაც ამ სიამოვნებისთვის 20 მილიონი დოლარი გადაიხადა. სამხრეთაფრიკელ ტურისტს ამ მოგზაურობაში პატრონობენ რუსი და იტალიელი კოსმონავტები, რომელთა თქმით, მათი ეკიპაჟის წევრი თავს შესანიშნავად გრძნობს და ექსპერიმენტების ჩატარებასაც კი აპირებს(!).

„მაიკროსოფტი" გაკოტრდება(?!)

კომპანია „მაიკროსოფტის" მფლობელმა და მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა ბილ გეიტსმა განაცხადა, რომ კომპანია გაკოტრდება და განადგურდება, თუ მის წინააღმდეგ შემოღებული იქნება სანქციები, რომელსაც აშშ-ის ხელისუფლება მოითხოვს. ვაშინგტონში გამართულ სასამართლო მოსმენაზე გამოსვლისას გეიტსმა აღნიშნა, რომ ეს სანქციები აიძულებს კომპანიას, უარი თქვას „ვინდოუსის" საოპერაციო სისტემის გამოყენებაზე. „ეს უდიდეს ზიანს მიაყენებს კომპანიასაც და „მაიკროსოფტის" პროდუქციის საფუძველზე მომუშავე პროგრამების მწარმოებელ ფირმებს", თქვა გეიტსმა. შეგახსენებთ, რომ „მაიკროსოფტის" წინააღმდეგ აღძრულია საქმე და ამ კომპანიას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციაში ადანაშაულებენ!

მკვლელი გიმნაზისტი

აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ ერფურტის ერთ-ერთ გიმნაზიაში პარასკევს შეიარაღებული ბოროტმოქმედი შეიჭრა და ადგილზე დახვრიტა მასწავლებლები და მოსწავლეები, მოკლა 18 კაცი და 6 დაჭრა! პოლიციის ცნობით, თავდამსხმელი ამას წინათ გარიცხეს გიმნაზიიდან. პოლიციამ მკვლელი მოკლა, სხვა წყაროს ცნობით მან თავი მოიკლა, მაგრამ მანამდე ცეცხლი გაუხსნა გიმნაზიის შენობასთან მისულ პოლიციას და ერთი პოლიციელი ქალიც იმსხვერპლა. შემთხვევის ადგილზე ჩასულმა გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრედერმა განაცხადა, რომ მომხდარი კომენტარს არ ექვემდებარება და ქვეყანაში გლოვა გამოაცხადა! მთელი გერმანიის ტერიტორიაზე სამი დღის მანძილზე დაშვებული იყო სახელმწიფო ალმები!

დაიღუპა გენერალი ლებედი

თბილისის 9 აპრილის ტრაგედიისა და დნესტრისპირეთის ომის „გმირი", ჩეჩნეთის პირველი ომის დამამთავრებელი, რუსეთის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი და კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორი, გენერალი ალექსანდრ ლებედი შაბათს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. შვეულმფრენი, რომელშიც ლებედი იმყოფებოდა, ერმაკოვის რაიონში, დასახლებული პუნქტიდან 50 კილომეტრის დაშორებით ჩამოვარდა. შვიდი კაცი დაიღუპა, 13 მძიმედ დაშავდა. გაირკვა, რომ შვეულმფრენი დაშვებისას მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ანძას დაეჯახა. ამის მიზეზად უამინდობას ასახელებენ,

თუმცა სხვა წყაროებით, პილოტმა შვეულმფრენის მართვის კონტროლი დაკარგა... პრეზიდენტ პუტინის ბრძანებით შეიქმნა საგამოძიებო კომისია, რომელსაც საგანგებო სიტუაციათა მინისტრი სერგეი შოიგუ უხელმძღვანელებს...

ტერაქტი ვლადიკავკაზში

შაბათს, ვლადიკავკაზის ცენტრალურ ბაზარში მორიგი ტერაქტი მოხდა, რამაც ცხრა ადამიანი იმსხვერპლა, 50-მდე კი დაიჭრა. ბომბი დისტანციური მართვის პულტიდან ააფეთქეს...

მალე დადგება დღის წესრიგში საკითხი, რომ რუსეთმა, რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს აფხაზეთი!

ჩვენი მონაცემებით, გელაევი საქართველოში აღარ არის

ბოლო დროს ინტენსიურად ისმოდა ხმები — 25 აპრილს კოდორის ხეობაში საომარი მოქმედებები განახლდება, საქართველოს წინააღმდეგ რუსები და აფხაზები ფართომასშტაბიანი პროვოკაციისთვის ემზადებიანო და ა.შ. ეს შეიძლება მართლაც ასე იყო და არის კიდეც, მაგრამ 25 აპრილს ისეთი მხრიდან მიადგა დარტყმა საქართველოს დედაქალაქს, რომლის პროგნოზირების შანსიც ბუნებაში ჯერჯერობით არ არსებობს. თბილისში მიწისძვრა მოხდა... მაგრამ ცხოვრება გრძელდება და იმედია, უცხოეთიდან მიღებულ დახმარებებს ახლა მაინც მოახმარენ ჩვენს გაუბედურებულ თანამოქალაქეებსა და არანაკლებ გაუბედურებული დედაქალაქის უბნების აღდგენას... რაც შეეხება აფხაზეთს და საქართველოს ირგვლივ მიმდინარე პროცესებს, რომელიც მალე კვლავ მთელი სიმწვავით დადგება დღის წესრიგში, საინტერესო ინფორმაციები დაგროვდა. თბილისის მიწისძვრამდე რამდენიმე საათით ადრე კოლინ პაუელმა კონგრესის საფინანსო-საბიუჯეტო ქვეკომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას, სადაც აშშ-ის 2003 წლის ბიუჯეტის საკითხი განიხილებოდა, ბრძანა: „საქართველო ტერორიზმთან ბრძოლაში აშშ-ის მოკავშირე და მეგობარი ქვეყანაა და ჩვენ გვაქვს პროგრამა, რომელიც საქართველოსათვის ტექნიკური დახმარების გაწევასა და პერსონალის მომზადებას ისახავს მიზნად... ამ მხრივ მთავარი სამუშაოები მომავალშია ჩასატარებელი, თუმცა გარკვეული პროგრესი ამ საქმეში უკვე შეიმჩნევა“. იმავდროულად, კოლინ პაუელმა რუსეთს ანტიტერორისტული კოალიციის ერთ-ერთი მთავარი წევრი უწოდა და აღნიშნა, რუსეთმა აშშ-ს ავღანეთში უკვე გაუწია დიდი დახმარებაო. დასასრულ კი დაუმატა, — 2003 წელს საქართველოს, რუსეთს და კიდევ რამდენიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ტერორიზმთან ბრძოლის პროგრამით 88 მლნ დოლარი გამოეყოფაო. აშკარაა, რომ ვაშინგტონი ემზადება გრძელვადიანი პროგრამის განსახორციელებლად, რომელშიც მრავალი პრობლემის და ალბათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა და აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივაც იგულისხმება. საერთოდ, ბოლო დროს ნეგატიურთან ერთად საინტერესო ცნობებიც მოდის სოხუმიდან. ამ და სხვა საკითხებზე, უწინარესად კი ეშერის გასაიდუმლოებული ლაბორატორიის შესახებ, რომელიც კვლავ დაუკავშირეს მომხდარ მიწისძვრას: ვესაუბრები დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, გენერალ-მაიორ **ზურაბ ერქვანიას**:

— ეშერის სადგური დახურული თემაა და გასაგებია მისდამი ყურადღებაც, რადგან ეჭვი აქვთ ამ სადგურიდან თითქოსდა წარმოებულ მართვად მაპროვოცირებელ პროცესებზე, რაც იწვევს მიწისძვრებს და სხვა სახის კატაკლიზმებს. მაგრამ იმის მტკიცება, რომ თბილისში მომხდარი მიწისძვრა ხელოვნურადაა გამოწვეული ეშერის სეისმოლოგიური სადგურიდან, უსაფუძვლოა. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსული მხარე ყველაფერს აკეთებდა კონფლიქტის დროსაც, რათა ეშერის სადგურის საკითხი არ დამდგარიყო დღის წესრიგში იმ დოზით, რომ ეს თემა მოლაპარაკების საგნად ქცეულიყო. ოფიციალურ დოკუმენტებში, რომელსაც მთლიანად ვფლობ, ეშერის სადგურის შესახებ ერთ სიტყვასაც კი ვერსად წააწყდებით! ეს საკითხი შეიძლება სცილდება კიდეც ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების ფორმატსაც კი. ამიტომ მან უსათუოდ უნდა მოიპოვოს ადგილი მოლაპარაკებათა პროცესში და იქცეს პოლიტიკური გადაწყვეტილების საგნად, რათა საზოგადოებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია, თუ რას წარმოადგენდა ეშერის სადგური, რა ფუნქციას ასრულებს დღეს და რა იქნება ხვალ. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში კი ვფიქრობ, საექსპორტო ანალიზს უნდა ვეყრდნობოდეთ, რომელიც მოგვაძებნინებს გამოსავალს. დღემდე პოლიტიკურ დოკუმენტებშიც და მასმედიაშიც, დაფიქსირებული ყოვლად გაუმართლებელი ტერმინი — ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს, ჩვენთვის პოლიტიკურადაც წამგებიანია და სამართლებრივადაც. აუცილებელია იგი შეიცვალოს შემდეგი ვარიანტებით: ეთნო-პოლიტიკური შეიარაღებული დაპირისპირება აფხაზეთში, ან ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი აფხაზეთში! ეს პრინციპული საკითხია, ისევე, როგორც აფხაზური სეპარატიზმის ცნების გარკვევა. პოლიტიკურ ლექსიკაში სეპარატიზმს საკმაოდ უწყინარი განსაზღვრება აქვს — სწრაფვა გამოყოფისკენ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ. ამასთან, თუ გლობალიზაციის თეორიაში ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ სეპარატისტული რეჟიმები კიდევ დიდხანს იარსებებენ, მეტიც, მათ მომავალიც აქვთ და 21-ე საუკუნის ბოლოსათვის რამდენიმე ათეული ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაც კია ნავარაუდევი, ანუ დე ფაქტო სეპარატისტული რეჟიმებმა შესაძლოა მიაღწიონ დე იურე აღიარებას. ვფიქრობ, გაცილებით მომგებიანი იქნება ტერმინი — შეიარაღებული სეპარატიზმის გამოყენება სამომავლოდ, ბოლოს და ბოლოს, დავამკვიდროთ „სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის“ ტერმინი... კონფლიქტში რა ძალებიც მონაწილეობდნენ, ცნობილია და კონფლიქტში მონაწილე მხარის აღსანიშნავად ტერმინის, „აფხაზური მხარე“, გამოყენება ანაქრონიზმია, რადგან, ფაქტობრივად ყველა მოლაპარაკებაზე „აფხაზური მხარე“ ახმოვანებს მოსკოვის პოლიტიკურ დაკვეთას ანუ სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებს არასოდეს საკუთარი აზრი არ გააჩნიათ. შესაბამისად, აფხაზი ეთნოსის ინტერესებს არ წარმოაჩენენ და ვერც წარმოაჩენენ. ამასთან, არ შეიძლება დღეს არძინბა, ჯერგენია ან ვინმე სხვა მივიჩნიოთ აფხაზეთის წარმომადგენლად, ეს შეურაცხმყოფელია ჩვენთვის, რადგან აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა დევნილია. კიდევ ერთი ტერმინი: „კონფლიქტის მოწესრიგება“ იქნებ შევცვალოთ ტერმინით — აფხაზეთში საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, როგორც ამას რუსები იყენებენ ჩეჩნეთის მიმართ. ყოველივე ამას პრაგმატიზმი მალაპარაკებს და ნაკლებად მაინტერესებს ემოციები, ულტიმატუმები, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების კალენდარი და ა.შ. აფხაზეთის ტრაგედია დაიძლევა მხოლოდ მაშინ, როცა კრიტიკული და თვითკრიტიკული გააზრების პოზიციაზე დავდგებით. მეორეც: მსგავს კონფლიქტებს მანამ არაფერი ეშველება, ვიდრე აქტიურ პოლიტიკაში რჩებიან ის პირები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ შეიარაღებულ დაპირისპირებას, ვინც ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ პროცესებს, წინ უძღოდა შეიარაღებულ კონფლიქტს. ცნობილია, რომ მოსკოვში ბურდენკოს სახელობის ჰოსპიტალში უმძიმეს მდგომარეობაშია ვლადისლავ არძინბა, მას მეტყველების უნარიც წაერთვა და ლაპარაკია სოხუმში მის გადმოყვანაზე, რათა იქ გაატაროს სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი.



ის ადამიანები, ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ძმათაკვლას აფხაზეთში, პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს უმცირეს პროგრესამდეც ვერ მიიყვანენ. საჭიროა ახალი პოლიტიკური სახეები, ის ადამიანები, რომლებიც არ არიან გასვრილი სისხლის ღვრაში... აფხაზი ეთნოსი ქართველების მტერი არ არის და ნუ შექმნით მათგან მტრის ხატს. აფხაზი ეთნოსი ჩვენს მოწინააღმდეგედ კონფლიქტში აქცია მტერმა. აფხაზები და ქართველები ერთიანი ქართველური სახელმწიფოს მშენებლობის სუბიექტები იყვნენ და ამ ისტორიულ ჭეშმარიტებას არ უნდა გავექცეთ. აფხაზეთის და აფხაზური ტრაგედია კი რუსეთის მრავალწლიანი სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის შედეგია. ვიდრე ამას არ ვიტყვით ხმამაღლა, ვერანაირ კითხვაზე აფხაზეთთან დაკავშირებით ამომწურავ პასუხს ვერ გავცემთ! რუსეთის ექსპანსიის რეფლექსებს ყოველდღიურად ვგრძნობ, თუნდაც ხუთშაბათს, სოხუმში გამართული მოლაპარაკებების უშედეგობის და კოდორის ხეობის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე.

— აფხაზეთის პრობლემის მოუგვარებლობის ფონზე არის კი გზა და საშუალება რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისა და თუ არის, რის ხარჯზე, რა შეიძლება გაიღოს საქართველომ სანაცვლოდ...

— რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების პროცესში ნიშანდობლივია კოლინ პაუელის ზემოთ მოყვანილი განცხადება კონგრესში. საქართველო და მისი ფუნქცია იზიდავს ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორებს და იზიდავს რუსეთსაც, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, დღეს ცივილიზებული მსოფლიოს შემადგენელი ნაწილია. რაც დრო გადის, რუსეთი სულ უფრო ინტენსიურად ერთვება ახალ საერთაშორისო სისტემაში და მოსკოვი პოლიტიკურად ვაჭრობს ხოლმე, როცა დასავლეთის საწინააღმდეგო თეზებს ისვრის. მოსკოვს სურს, რუსეთის მნიშვნელობის გაზრდა ამ ახალ სისტემაში. ნატოსთან რუსეთის ურთიერთობებიც მოწმობს, რომ მოსკოვს ევროპის იქით გზა არა აქვს. ამ პროცესს ორგანულად ერწყმის აფხაზეთის თემაც: აფხაზეთის პრობლემა წამყვან სახელმწიფოთა გლობალური ინტერესების გადაკვეთაზე ჩანს. ეს არის ჩვენი ხსნა, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში უნდა წამოვწიოთ შეიარაღებული სეპარატიზმის თემა და დავუმტკიცოთ მსოფლიოს: რეაქციული სეპარატიზმი რადიკალური პოლიტიკური მოძრაობაა აფხაზეთში, რამაც შეიძინა და დღესაც იძენს უკიდურეს ფორმებს — ძალადობას, ტერორიზმს, შეიარაღებულ შეტაკებებს, ლოკალურ სისხლის ღვრას, რაც თუნდაც გალის რაიონში ლამის ყოველდღე ხდება და ეს ხდება. სეპარატისტული რეჟიმისადმი იზრდება საკუთრივ აფხაზი ხალხის უკმაყოფილება. მსგავსი ანტისაზოგადოებრივი და ანტიჰუმანური პროცესების ასალაგმავად ცივილიზებულ სამყაროში მიღებულია ძალის გამოყენება. თუ საერთაშორისო ტერორიზმს ვებრძვით, უნდა ვებრძოლოთ იმას, რაც დღეს აფხაზეთშია, ანუ შეიარაღებული სეპარატიზმი და ფუნდამენტალიზმი სინონიმებია საერთაშორისო ტერორიზმისა და ეს თეზა უნდა ვამუშაოთ დღე და ღამ! იმავდროულად, უნდა გავააქტიუროთ ეთნოწმენდისა და გენოციდის საკითხი და ვიბრძოლოთ ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის აღიარებისთვის, როგორც საქართველოს უმაღლეს პოლიტიკურ, სახელისუფლებო და საკანონმდებლო, ისე საერთაშორისო ინსტიტუტების დონეზე. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი თავს მიიჩნევს კავკასიურ სახელმწიფოდ. ყველა საექსპერტო დოკუმენტში კარგად იყენებენ ამ ფაქტორს, ავრცელებენ არგუმენტებს, რომ რადგან რუსეთი კავკასიური სახელმწიფოა, თუ მისი ინტერესები არ იქნება დაცული რეგიონში, ის დაკარგავს ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ამასთანავე, კასპიის ენერგორესურსებს. ამ ფონზე აშშ-მა საქართველო გამოაცხადა საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების ზონად. საქართველომაც გააკეთა არჩევანი, გადადის ნატოს რელსებზე და თუ აფხაზეთის თემას ამ კონტექსტში განვიხილავთ, რუსი ექსპერტები ჩვენთვის საინტერესო დასკვნამდე მიდიან: — რუსეთმა შეიძლება მოიგოს ბრძოლა აფხაზეთისათვის, მაგრამ წააგებს ბრძოლას კავკასიისათვის და დაკარგავს მას! ამას აშკარად ამბობენ და ავრცელებენ ინტერნეტითაც!

— ანუ ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის საკითხი უფრო გამწვავდება და რაიმე კომპრომისი გამორიცხულია.

— რუსეთი აფხაზეთს ლანგრით არასოდეს მოგვართმევს, მაგრამ შეეცდება, აფხაზეთის საკითხში პოზიტიური გადამწყვეტი როლი ითამაშოს, ოღონდ ისე, რომ მაქსიმალური სარგებელიც ნახოს და თავისი გავლენა და ინტერესები შეინარჩუნოს რეგიონში. მალე დადგება დღის წესრიგში საკითხი, რომ რუსეთმა, რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს აფხაზეთი, რომლის გამოც უკვე ძალიან ბევრი დაკარგა გეოპოლიტიკის და თუნდაც ეკონომიკურ-ფინანსური თვალსაზრისით. და აქ დგება პრინციპული საკითხი, რომელიც პასუხს მოითხოვს: უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ე.წ. ბოდენის გეგმას, სადაც დაფიქსირებულია, რომ „აფხაზეთი არის სუვერენული სამართლებრივი წარმონაქმნი საქართველოს შიგნით“. ორი დონის სუვერენიტეტი კი ერთიან სახელმწიფოში საშიში ნაღმია. ამ ეტაპზე შეიძლება ეს ტერმინი კონფლიქტის მოწესრიგების სერიოზული სტიმული იყოს, მაგრამ შემდეგ ცუდად მოგვიბრუნდება და შეიძლება ჩვენს მომავალ თაობებს შეუქმნას სერიოზული პრობლემები. რუსეთის ფედერაციაში 89 სუბიექტია, მათ შორის, 21 რესპუბლიკა და რუსეთის კონსტიტუციაში ვერ ნახავთ ხელისუფლების ორი დონის სუვერენიტეტს, ანუ ერთიან სისტემაშია მოქცეული სუვერენიტეტი. რუსეთის რესპუბლიკების კონსტიტუციებში სიტყვა „სუვერენიტეტის“ ჭაჭანებაც არ არის. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსიც საქართველოს კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და არა ბოდენის გეგმა, რომელსაც ხელი მოეწერება და საბაზისო დოკუმენტი იქნება კონფლიქტის მოწესრიგებისა. არადა ცალსახად უნდა დავაფიქსიროთ, რომ აფხაზეთის ისტორიული მომავალი ფაქტობრივად, უკავშირდება ფედერაციულ ურთიერთობებს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში, რომელსაც საქართველო ჰქვია. სხვა ფორმულა არ არსებობს და ვერც მოიძებნება, ანუ ლაპარაკია უფლებამოსილებათა დელეგირებაზე. მთლიანი დოკუმენტი კი კონფიდენციალურია, არადა ეს გამჭვირვალე უნდა იყოს.

— რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთში ყოფნა-არყოფნის პერსპექტივაზე გთხოვთ კომენტარს.

— ხომ უნდა გავაცნობიეროთ, რომ სამშვიდობო ძალების ყოფნა აფხაზეთში პოლიტიკური მისიაა. სამშვიდობო ოპერაციაც იმიტომ ვერ განვითარდა, რომ სამშვიდობო ძალები პოლიტიკური ვითარების ტყვეობაში აღმოჩნდნენ. თავის დროზე ჩვენ რომ გვებრძოლა, რათა სამშვიდობო ოპერაცია ამ მანდატითა და სქემით წარმართულიყო, როცა მდინარე ენგური არ იყო გამყოფი ზონა, შეიძლება რაღაც პროგრესი გვქონოდა. კერძოდ, სამშვიდობო ოპერაცია ეტაპობრივად განვითარდებოდა აფხაზეთის სიღრმეში, რასაც მოჰყვებოდა დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნება გალი-ოჩამჩირეში. განუზომელია გალისა და ოჩამჩირის პოლიტიკური, სტრატეგიული ფაქტორი და წინა სამშვიდობო პროცესში თუნდაც მცოცავი დემილიტარიზებული ზონების შექმნა, ლტოლვილების დაბრუნება, თუნდაც ადგილობრივი შერეული ხელისუფლების ჩამოყალიბება ხომ დიდი გარღვევა იქნებოდა?! სამწუხაროდ, 1998 წლის გალის მოვლენებმა ამას ხელი შეუშალა, დღეს კი კოდორის ხეობაში შექმნილი ვითარება აღუდგა წინ. მოკლედ, წინ ორი ვარიანტია — ან რუსები გადიან აფხაზეთიდან და მათ ჩაენაცვლებიან მრავალეროვნული სამშვიდობო ძალები, ან რუს სამშვიდობოებს შეეცვლებათ მანდატის მოქმედების სქემა, ანუ გადაინაცვლებენ კონფლიქტის ზონის სიღრმეში. არსებული მანდატით რუსების ყოფნის პერსპექტივა კი ნულის ტოლია, ძალიან მძიმე გადაწყვეტილებების მიღება გველის წინ და დიდი სიფრთხილე და შემტევი პოლიტიკაა საჭირო. ჩემი მონაცემებით, უკვე მზადდება წინაპირობა, რათა ჩანაცვლების მექანიზმი ავამოქმედოთ და საერთაშორისო ძალები ჩავრთოთ ამ საქმეში. საინტერესოა, რომ თავად რუსები ხვდებიან თავიანთი სამშვიდობო ძალების იქ ყოფნის უპერსპექტივობას... მათ ასევე მშვენივრად ესმით, რომ წარმოუდგენელია კოდორის ხეობის მოსახლეობის განიარაღება. ეს ვერ შეძლო რუსეთის ვერც ერთმა ხელისუფლებამ, მით უფრო ვერავინ შეძლებს დღეს. რუსებმა უნდა შეიგნონ, რომ კოდორის ხეობიდან არავინ აპირებს სოხუმზე თავდასხმას. პატრულირება კი ნათლად დააფიქსირებს, რომ იქ სიმშვიდეა და არც რაღაც დიდი შეიარაღებული ძალა და ტექნიკის კონცენტრაცია არ არის!

— არის მოსაზრება, რომ თითქოს აფხაზებს სურთ საქართველოსთან საერთო ენის გამონახვა, კომპრომისზე წამოსვლა, მაგრამ ამჯერად უკვე რუსებისა ეშინიათ... საერთოდ, რა ვითარებაა დღეს აფხაზეთში?

— აფხაზები ხედავენ, რომ აფხაზეთის კარტს მთლიანად მაშინ გაათამაშებენ, როდესაც ის მაქსიმალურ სარგებლობას მოუტანს რუსულ პოლიტიკას. აი, მაშინ კი, აფხაზი ეთნოსი ანუ აფხაზური მხარის ცნება სანაგვე ყუთში აღმოჩნდეს. უკვე თვით აფხაზების საინტერნეტო საიტებში აშკარად ჩანს მათი პოზიცია, სადაც ამბობენ: თუ აფხაზურმა მხარემ თავისი კონკრეტული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები ცალსახად არ წარმოაჩინა, მას მოლაპარაკებებში შთანთქავს რუსული მხარე და აფხაზური მხარისგან ფაქტობრივად აღარაფერი დარჩებაო! ამასთან, აშკარად იგრძნობა აფხაზი ეთნოსის გაუცხოებისა და უნდობლობის პოზიცია სეპარატისტული რეჟიმისადმი და ამას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციებიც. ანუ არის ტენდენცია საქართველოსთან საერთო ენის გამონახვისა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა. აფხაზეთი აფხაზების გარეშე ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია.

— თქვენ, როგორც დაზვერვის სამსახურის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რამდენად პერსპექტიულად მიგაჩნიათ აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის გაშლა და რას იტყოდით ქართველ პარტიზანებზე, რომლებიც აპირებენ ამას, თუ კონფლიქტის მოგვარების საქმე ჩიხში შევიდა.

— მე, როგორც დაზვერვის გენერალი, ყოველთვის დისტანცირებული ვარ პრესისგან ჩემი სპეციფიკური ფუნქცია-მოვალეობების გამო და ჩვენი საუბარიც გამონაკლისია, მაგრამ თუ ქვეყნის გადარჩენაზეა ლაპარაკი, ყველამ უნდა იზრუნოს ძლიერი დაზვერვის შექმნაზე. პარტიზანული მოძრაობა, კლასიკური გაგებით, მკაცრად მართვადი საქმიანობაა მოწინააღმდეგის ზურგში და დივერსიულ-სადაზვერვო მოქმედებას ნიშნავს. მისი მთავარი პრინციპი კი გახლავთ უმკაცრესი კონსპირაცია. პარტიზანული მოძრაობა ასევე მკაცრად ცენტრალიზებული სტრუქტურაა და ყოველთვის ეყრდნობა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას. თუ ეს მხარდაჭერა არ არის, პარტიზანულ მოძრაობას პერსპექტივა არა აქვს. ხოლო ის, რაც დღეს გალის რაიონში ხდება, ჩემი აზრით, წინააღმდეგობის მოძრაობაა და არა პარტიზანული, თანაც საკმაოდ არაორგანიზებულია. ზოგჯერ ამ მოძრაობის წარმომადგენლები ულტიმატუმის ენით ელაპარაკებიან ხელისუფლებას და რაც ჩვენთვის გაუგებარია, ხშირად პოლიტიკურად ანგაჟირებულნი არიან. არადა დაუშვებელია, რომ ეს მოძრაობა პოლიტიკურად იყოს შეფერილი. უდიდეს პატივს ვცემ იმ ადამიანებს, ვინც იარაღით ხელში იცავდა თავისი ქვეყნის და ოჯახის ღირსებას და დღესაც იქ არის. ეს არის სასოწარკვეთილ ადამიანთა ქმედება, როცა იძულებულნი არიან, იარაღით დაიცვან ოჯახები, რადგან არანაირი გარანტია მოსახლეობის დაცვისა, არ არის. ასეთი დიდი რაოდენობით გალში შესული და დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობა კი სხვა არაფერია, თუ არა ტყვეობაში ყოფნა! მაგრამ ხმამაღალი განცხადებები, რომ აი, პარტიზანულ მოძრაობას ასე და ისე მიაჩნია, რომ თუ ამ დღემდე ასე არ მოხდა, ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთო და ა.შ. ალბათ არ არის სწორი და მას სხვანაირი გააზრება სჭირდება. თანაც დღეს რაც ხდება ენგურზე, ეს არის კლასიკური მაგალითი ქაოსისა და განუკითხაობისა. ბევრი ერიდება ამ პრობლემაზე საუბარს, არადა იქ არის შექმნილი რაღაც დანაშაულებრივი სისტემა, კრიმინალური ანკლავი და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ასეთი ვითარება პასუხობს რაღაც დიდ ინტერესებს. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილებაც მრჩება, რომ ეს ვითარება პასუხობს იმათ ინტერესებს, ვისაც ევალება ბრძოლა არსებულ განუკითხაობასთან. არადა ენგურზე ისეთი წესრიგი უნდა დამყარდეს, რომელიც სტიმულს მოგვცემს აფხაზეთში მცოცავი, ეტაპობრივი გადაწყვეტილებების განსახორციელებლად. ამიტომ ამ პროცესისადმი დამოკიდებულება სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა ხდებოდეს.

— მოსკოვიდან პერიოდულად გაისმის ბრალდებები საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რომ ის მფარველობს რუსლან გელაევს. მისი სახელით საკმაოდ ოსტატურად სპეკულირებდა რუსეთის მასმედია კოდორის ხეობის ინციდენტისას და ალბათ მომავალშიც ასე იქნება. სად არის ეს კაცი ამჟამად?

— დიახ, კოდორის ხეობასთან დაკავშირებით რუსეთმა გელაევისა და ტერორისტების საკითხი წამოჭრა და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხატაბის სიკვდილის შემდეგ რუსეთი გააორკეცებს გელაევის თემით სპეკულირებას. აფხაზეთის სინამდვილეში ყოველი დესტაბილიზაციის უკან მუდამ დგას ამ დესტაბილიზაციის სუბიექტი და სამწუხაროდ, ჩვენ შემდეგ ყოველთვის მეხანძრეების როლში გვიწევს ყოფნა, რათა ჩავაქროთ დესტაბილიზაციის ნებისმიერი გამოვლინება. არადა გონიერი და წინდახედული მაშინ ხარ, როცა საქმეს დესტაბილიზაციამდე არ მიიყვან... ის, რაც გელაევის რაზმმა გააკეთა კოდორის ხეობაში, წმინდა წყლის ავანტიურაა და არავინ არ უნდა წარმოიდგინოს გელაევი საქართველოს მხსნელად. რუსლან გელაევმა ჰამზათი დაირქვა მექაში ჰაჯის წოდების მიღების შემდეგ. 28 წლის იყო, როცა აფხაზეთის ომში ე.წ. აფხაზეთის 900-კაციან ბატალიონს მეთაურობდა. მის სახელს უკავშირდება აფხაზეთში ლიტვიდან — 15, ესტონეთიდან კი 10 სნაიპერი ქალის ჩამოყვანა და სხვა სერიოზული საქმეები. ეს სნაიპერები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. მისი ბატალიონი უშუალოდ მონაწილეობდა სადამსჯელო ოპერაციებში ქართული მოსახლეობის, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების წინააღმდეგ. დღეს ჩვენ ეს არ ვთქვათ, და გელაევი წარმოვაჩინოთ გმირად, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. იგი სამჯერ ნასამართლევი რეციდივისტი და ძებნილია. ამასთან, იმ „შესანიშნავი ხუთეულის“ წევრი იყო, რომლებიც შარიათისა პრინციპების გამტარებელნი იყვნენ ჩეჩნეთში. დღეს იმამობისთვის არის ბრძოლა და არ გამოვრიცხავ, რომ გელაევს სწორედ იმამის ტიტულის მიღებისთვის დასჭირდა შარშან გალაშქრება აფხაზეთში. სხვათა შორის, მასხადოვმა მას კატეგორიულად აუკრძალა იჩქერიის ხელისუფლების სახელით ლაპარაკი და მოქმედება. მას ჩამოერთვა რეგალიები და საჯაროდ გაცხადდა, რომ გელაევი არ წარმოადგენს ჩეჩენ ერს. ამიტომ მისი ე.წ. თემა სამუდამოდ უნდა ამოვწუროთ. ჩვენი მონაცემებით, გელაევი საქართველოში აღარ არის...

ზურაბ მჭედლიშვილი

აკადემიაში მთხოვდნენ, ყველაზე კარგად მესწავლა, იმიტომ, რომ დავით კაკაბაძის შვილი ვიყავი...

კედელზე ახალგაჩენილი ბზარია, გუშინწინანდელი მიწისძვრის სახსოვარი. ბზარს მხატვრის კოლაჟი ფარავს, რომელსაც „სასწორი" ჰქვია. ერთი შეხედვით, რთულად აღსაქმელი კომპოზიციაა. ლურსმნებით დაფარულ საყრდენზე სარკეა დამაგრებული, სახით კედლისკენ, ზურგი — ფერწერული ტილოა ღრუბლებით, სინათლის სხივით და... ჩვეულებრივი, ნატურალური სასწორით, ოღონდ არაჩვეულებრივ გარემოცვაში. ერთ პინასთან ახლოს ბურთულა მოჩანს (დედამიწის სიმბოლო), მეორესთან — გეომეტრიული მრავალწახნაგა სხეული... ყველაფერი ცალ-ცალკე აღიქმება და ამ დროს მთლიანი სიუჟეტი იკვრება: ლურსმნებს ტკივილის დატვირთვა აქვს, სადღაც კუთხეში ციცინათელასავით მოციმციმე თეთრ წერტილს — იმედის...

დარბაზის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მსოფლიოს მხატვრობაში დღეს ძალიან მოდური მიმდინარეობის — პოპ-არტის ასევე რთული კომპოზიცია. ნამუშევრის ქვემოთ გაკრული ხელით მიუწერიათ — „დალიჭი". უცხო, ან არარეალური სიტყვა არ გეგონოთ. სულხან-საბას განმარტებით სამეფო ტახტს ნიშნავს, ოღონდ ამჯერად ტახტი თანამედროვე სავარძელია — ძველ წიგნებზე (ცოდნაზე) დგას. სავარძლის ზემოთ ძველებური მონეტებით მოფარული თიხის გობი ჰკიდია (ვერცხლისმოყვარეა ადამის მოდგმა). უფრო ზემოთ, მხატვრის ავტოპორტრეტი უკვე ფერწერაშია შესრულებული. მხატვრის შუბლიდან საათის ისრები ამოდის (დროს ვერაფერი შეაჩერებს!), მაღლა ხელის ორი მტევანია — ერთი მიწისკენ, მეორე ზეცისკენ მიმართული, სულ ზემოთ, ყველაფერ ამას ანგელოზის ფიგურა დაჰყურებს...

— ეს კაცობრიობის სამეფო ტახტია... — მიხსნის **ამირ კაკაბაძე**, საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილ ამირ კაკაბაძის მორიგ გამოფენაზე ძირითადად წარმოდგენილია კოლაჟისა და პოპ-არტის ჟანრში შესრულებული ნამუშევრები, ასევე მცირე ფერწერული და გრაფიკული ტილოები.

— ბატონო ამირ, რომელ ჟანრში მოღვაწედ თვლით თავს?

— უბრალოდ, მხატვარი ვარ...

— დიდი ფერმწერის, დავით კაკაბაძის შვილს, არ გიჭირდათ მამის გზით სიარული?

— მამასთან, მის სახელთან უმთავრესად ემოცია მაკავშირებდა. სამხატვრო აკადემიაში მთხოვდნენ, უკეთესად მესწავლა, უკეთესად კი არა, ყველაზე კარგად, იმიტომ, რომ დავითის შვილი ვიყავი. მეც ვცდილობდი, იმაზე მეტი გამეკეთებინა, ვიდრე შემეძლო... თან მუდმივად მეშინოდა, რომ მამის ასლი არ გამოვსულიყავი, არ გამემეორებინა მისი სტილი, ხელწერა...

— თქვენი ოჯახის მესამე თაობა, დავითი მოქანდაკეა...

— ამ მხრივ ისიც ჩემს გზას გაჰყვა — არც ჩემი ასლია და არც დიდი ბაბუის.

— როგორი გახსოვთ მამა?

— მამა რომ გარდაიცვალა, 10 წლის ვიყავი. ამიტომ ჩემს მახსოვრობაში იგი ერთი დიდი ნახატია, უფრო სწორად, უამრავი მონუმენტური ტილო, რომელთა გარემოცვაშიც გავიზარდე.

— ლეგენდებს ჰყვებიან მამათქვენის კოლექციაზე — ფიროსმანის ნახატებიდან დაწყებული იშვიათი ნივთებით დამთავრებული...

— ეს კოლექცია ძირითადად ეთნოგრაფიული ნივთებია. მამა დიდხანს ცხოვრობდა პარიზში, ბევრს მოგზაურობდა (მოგზაურობის სიყვარულში მეც მას დავემსგავსე) როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. საინტერესო, ისტორიული ღირებულების მქონე ნივთებს ეძებდა და ბოლო გროშებით ყიდულობდა. ასე შეგროვდა უამრავი ხატი, გამორჩეული საჭურველი, იშვიათი, ერთადერთი ეგზემპლარებიც კი, ჭურჭელი, სამკაულები, ნახატები, ტანსაცმელიც... ამ კოლექციას მეც არაერთი ნივთი შევმატე, თუმცა, ბოლო დროს არცთუ ისე ადვილია ხელოვანმა კაცმა ნივთის საყიდლად გადადოს ფული.

— თუ გიფიქრიათ მათ გამოფენაზეც...

— სურვილი დიდი მაქვს.

— დავით კაკაბაძისა და თქვენი ერთობლივი ნამუშევრების გამოფენას თუ აპირებთ?

— ხუთი წლის წინ ამ დარბაზში მამას იმერეთის პეიზაჟებთან ერთად ჩემი ნამუშევრების წარმოდგენაც გავბედე, მეგობარი მხატვრების სურვილია, უფრო დიდი გამოფენა მოვაწყო. ესეც მომავლის საქმეა.

— თქვენ საფრანგეთში გქონდათ გამოფენა ამ რამდენიმე წლის წინ და როგორც ვიცი, არაერთი მიწვევა გაქვთ საზღვარგარეთ... გიფიქრიათ უცხოეთში მოღვაწეობაზე?

— ცხოვრება ტალღასავითაა, მიმოიქცევა, მერე ისევ უკუიქცევა და ზღვას უბრუნდება. წყალში კიდევ წვეთებსაც თავისი ადგილი აქვს — მეც ასე ვარ, ჩემი ადგილი ჩემს ქვეყანაში მაქვს.

— როცა „სამეფო ტახტზე" ზიხართ, რაზე ფიქრობთ?

— მხატვრობაზე, ან რაიმე გამორჩეულ ნივთზე, უფრო სწორად იმ როლზე, რომელიც ამ ნივთს უნდა „ვათამაშო" ჩემს ახალ კოლაჟში...

ბატონი ამირი იოლი დასაყოლიებელი აღმოჩნდა — ჩემი თხოვნით სამეფო ტახტზე მოკალათდა და ასე ექსპრომტად, ერთი ხელის მოსმით, უფრო სწორად, ფოტოაპარატის ერთი ჩაჩხაკუნებით შეიქმნა ცოცხალი კომპოზიცია — „პოპ-არტი... მხატვრის თანხლებით".

P.S. გამოფენა რამდენიმე დღეში დაიხურება. იქნებ ეწვიოთ ხელოვნების მუზეუმს, სადაც საინტერესო მხატვართან შეხვედრა გელით.

ელენე სალარიძე

ბზობიდან ვიდრე ბრწყინვალე აღდგომამდე კეთილად გევლოთ

...
ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ხელ-დაბანილთა შოლტით გცეს,
მსხვერპლს სისხლი შეურიესო;
დაგადგეს ეკლის გვირგვინი,
გოლგოთას მიგიწვიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

იმ ამაღლებული განწყობის შემდეგ, რაც ბზობას ახლავს — როცა უფალთან ერთად ავედით იერუსალიმს და ზეთისხილის ტოტებს ვუფენდით მას — თანდათანობით საკუთარი ბუნების დაცემის მოწმენიც გავხდით. ვნების კვირაში კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თავს ადამიანთა ვნებანი — შური, სიძულვილი, ზაკვა, სისხლის წყურვილი — გადმონთხეული სიბრაზე და გაშმაგება მართალი სიტყვის მიმართ.

ეს კვირა დაცემის ტკივილითა და ამავე დროს აღდგომის მოლოდინის სიხარულითაა სავსე, ყველამ ვიცით და მაინც შევახსენოთ ერთმანეთს ის, რისთვისაც სინანულის ცრემლს უნდა ვღვრიდეთ თუ

ყოველთვის არა (ჩვენი ადამიანური ამპარტავნობის გამო), ახლა, ამ კვირაში მაინც: ოთხშაბათს გავეცით მაცხოვარი, ხუთშაბათს, რომელსაც დიდ ხუთშაბათად მოიხსენიებენ, საიდუმლო სერობაზე კიდევ ერთხელ ვიხილეთ უფლის უდიდესი თავმდაბლობა — მან, სამყაროს შემოქმედმა, ფერხნი განბანა თავის მოწაფეებს. აქვე, ამ ღვთიური ქმედების შემდეგ ადამიანის დაცემული ბუნება გამოიხატა უფლის სიტყვებში — ერთი თქვენგანი გამცემსო... იქნებ ჩავიხედოთ საკუთარ სულში და ვიგრძნოთ, რამდენჯერ გაგვიცია უფალი თითოეულ ჩვენგანს... პარასკევს, რომელსაც ხალხმა წითელი უწოდა, ეკლის გვირგვინით „შევუმოსეთ" შუბლი მაცხოვარს, მერე კი ჯვარს ვაცვით იგი... უმანკო სისხლით შევღებეთ გოლგოთა... „და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე" — შეგვახსენებს მრწამსი და იქნებ ვიგრძნოთ, ამ დღეს მაინც, ჩვენს სულშიც რომ ზის პატარა პილატე...

შაბათი მზადებაა დიდი გარდასახვისათვის — ვნებები დაცხრა, სისხლით განიბანა, უფალი აღდგომისათვის ემზადება, იქნებ ჩვენს სულშიც გაიღვიძოს აღდგომისა და სხვადქცევის სურვილმა, იქნებ აღვადგინოთ ჩვენი სული „მესამესა დღესა" მაინც...

გამოთხოვება თენგიზ ჭეიშვილთან

„კვირის პალიტრა" კიდევ ერთხელ მოიცვა მწუხარებამ...

ამდენი განსაცდელისა და ტკივილის შემსწრეთ მხოლოდ შენნაირი ადამიანის, კაცური კაცის გარდაცვალება თუ აგვაცრემლებს — გულწრფელია და ალალი ეს ცრემლი, რადგან მართლაც სხვანაირად ლაღი, ღიმილიანი, მშობლიური და კაცთმოყვარე იყავი.

უკანასკნელი გზა გაიარე... თითქოს გული გიგრძნობდაო, უკანასკნელად ეახლე შენს ოზურგეთს, შენთვის ჩვეული ხალისითა და სითბოთი მიეფერე ოზურგეთელებს და სწორედ იქ, შენს საყვარელ ქალაქში გიმტყუნა გულმა.

მერე კი... როცა შენი არგამოჩენით გაკვირვებულმა ხაშურლებმა, კასპელებმა, გორელებმა... მოგიკითხეს აქ, რედაქციაში, მივხვდით, რამხელა ტკივილი მიაყენე ყველას, უბრალო ნაცნობებსაც კი. მას შემდეგ ზარი არ წყდება — მთელმა ამერ-იმერმა მოგისაკლისა. შენ ხომ მათთვის „კვირის პალიტრასთან" დამაკავშირებელი და გაზეთის წარმომადგენელი, მათი სურვილის თუ წინადადების, შეკითხვის თუ უბრალოდ, თბილი სიტყვის ჩვენამდე მომტანი იყავი. ვერაფერს ვეუბნებით მათ სანუგეშოს... ერთი კია, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რომ არ შემოაღებ ჩვენი რედაქციის კარს, არ მიესიყვარულები შენს საყვარელ ადამიანებს, გაღიმებული არ მოგვიკითხავ ყველას და ამ მოკითხვას გურული იუმორით არ შეალამაზებ.

უფალს ვევედრებით გადაგაფაროს თავისი კალთა და შეიწიროს ჩვენი ცრემლი, ჩვენო საყვარელო, ნაღდო კაცო, ჩვენო თენგო!

„კვირისპალიტრელები"

7 რჩევა, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს 7-ბალიან ზონაში!..

საბადურის ქუჩა; უსახლკაროდ დარჩენილი მოხუცი

„რადგან ტექტონიკური იარაღი არსებობს, ე.ი. რაღაცაში გამოიყენება კიდეც...“

გასულ კვირას მომხდარი მიწისძვრა ამჯერად თბილისისთვის, სამწუხაროდ, სავალალო შედეგებით დასრულდა. მკითხველმა უკვე იხილა ნგრევის ამსახველი კადრები. დღემდე გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობს საავადმყოფოები, საგანგებო სიტუაციების სამმართველო, მობილიზებულია მაშველთა კორპუსი. პანიკა ხალხში ისევ არ ჩამცხრალა. შიშს მოსახლეობაში უფრო აძლიერებს ის სუსტი ბიძგები, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში არათანაბარი ინტენსივობით კვლავაც გრძელდება.

ერთი ყურადსაღები ინფორმაცია: ერთი კვირის წინ რუსულმა ტელეკომპანია „ОРТ“-მ გადმოსცა ინფორმაცია, რომ ამიერკავკასიის (კერძოდ, საქართველოს) ზონაში მოსალოდნელი იყო მიწისძვრა. ასეთ ვარაუდს ისინი უკავშირებდნენ კრასნოდარის მხარეში ამოფრქვეულ სამ გეიზერს (ცხელ წყაროებს). აქვე, ჟურნალისტი დასძენდა, რომ სომხეთის ცნობილი მიწისძვრის წინა დღეებშიც სწორედ კრასნოდარის მხარეში ამოხეთქეს გეიზერებმა, ოღონდ მაშინ მათი რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ეს ინფორმაცია მაშინ (და ახლაც) ინფორმაციად დარჩა. არც ერთ უწყებას (გარდა პარლამენტისა) მასზე არც კომენტარი გაუკეთებია და არც განსჯის საგნად გაუხდია. გაცილებით მეტს საუბრობენ მიწისძვრის ხელოვნურობაზე. როგორც ჩვენთან საუბრისას მწვანეთა პარტიის თავმჯდომარემ **გია გაჩეჩილაძემ** აღნიშნა, ის მაინც ეჭვობს, რომ მოვლენა ხელოვნური იყო: „შესაძლოა, რუსებს სწორედ ეშერის ლაბორატორიის გამო არ სურთ ქართველების დაბრუნება აფხაზეთში. ეს უაღრესად სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი გახლავთ. მისი განადგურება რუსებს არ სურთ, გატანა კი უამრავ თანხას საჭიროებს. თანაც, ასე ხელსაყრელ, გეოპოლიტიკურად საინტერესო ადგილს ლაბორატორიას ვერც შეურჩევენ. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე, როცა ჩეჩნების და რუსების ურთიერთობა დაიძაბა, ასლან მასხადოვი დაუკავშირდა მსოფლიოს წამყვან ტელეკომპანიებს, სააგენტოებს და განაცხადა, რომ ხელთ აქვს საიდუმლო ინფორმაცია, კერძოდ, ის გულისხმობდა, რომ რუსებმა შეიმუშავეს ოპერაცია „ვეზუვი“, რომელიც მიზნად ისახავდა ჩეჩნეთის დანგრევას მიწისძვრის შედეგად. მაშინ მასხადოვმა ეს ინფორმაცია იმდენად გაახმაურა, იმდენად აალაპარაკა მსოფლიო „ვეზუვზე“, რომ რუსებს ოპერაცია ჩაუშალა. მათ იცოდნენ, რომ მასხადოვი უკან არ დაიხევდა და ოპერაციის ყველა დეტალს აცნობებდა საერთაშორისო ორგანიზაციებს.“

ქეთევან წამებულის ქუჩა; მოწყვეტილმა პარაპეტმა და აივანმა მსხვერპლი გამოიწვია

საერთოდ, შეიძლება თუ არა მიწისძვრის ხელოვნურად პროვოცირება?! ამაზე სწავლულთა აზრი ორად იყოფა. რაც შეეხება პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებს, ისინი ამ კითხვაზე მრავალმნიშვნელოვნად სდუმან. მათ მხოლოდ ის შეძლეს, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად საგანგებო ფონდი შექმნეს და ბიზნესმენებს ქველმოქმედებისკენ მოუწოდეს. ამ დროისთვის ცნობილია, რომ დროებით შეწყდება კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება.

რაც შეეხება თავდაცვის ღონისძიებებს, ამაზე კომპეტენტური ხალხის რჩევები და მითითებები ასეთი გახლავთ: *1) თუ მიწისძვრამ მძინარეს მოგისწროთ, თავზე ბალიში დაიფარეთ; 2) საიმედოა მასიური, მძიმე მაგიდის ქვეშ დამალვა; 3) არანაკლებ საიმედოა მზიდი კედლების ქვეშ და ოთახის შიდა კუთხეებში დადგომა; 4) არავითარ შემთხვევაში არ ისარგებლოთ ლიფტით, ერიდეთ კიბეებს; 5) გამოთიშეთ დენი და გაზი; 6) თუ მანქანაში იმყოფებით, შეანელეთ სვლა და გადადით ღერძულა ხაზზე; 7) არ დადგეთ შენობების, გარე განათების ბოძების ახლოს და, რაც მთავარია, არ აჰყვეთ პანიკას.*

როგორ შეიძლება თავი დავაღწიოთ პანიკას და როგორ გადავლახოთ სტრესის შემდგომი სირთულეები? ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტი **ნინო ქვარიანი** ამაზე ასე გვპასუხობს:

— ის შოკი, რაც მოსახლეობაში იყო, სრულიად ლოგიკურია. ხალხი ამისთვის არ იყო მზად. მათ ისიც კი არ იცოდნენ, რომ თბილისი თურმე სეისმურად აქტიური ზონაა. მინდა მკითხველს ვუთხრა, რომ ამ შოკის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს მათი ცხოვრების წესი: თვალთახედვა, კონკრეტული ხასიათი, მოვლენების აღქმის უნარი. არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგიერთს სეისმოფობია — მიწისძვრების შიში ჩამოუყალიბდეს.

— დაახლოებით რამდენ ხანში გაივლის ეს სტრესი?

— ეს ინდივიდზეა დამოკიდებული. საშუალოდ 3 კვირაში უნდა მოიხსნას სტრესი. შეიძლება უფრო მეტი დრო დასჭირდეს. სასურველია, თუ მიიღებენ ფსიქოლოგის დახმარებას, რადგან შიშის ნიადაგზე შეიძლება უფრო სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმები განვითარდეს.

— ამბობენ, ზოგჯერ შოკი კატალიზატორის როლსაც ასრულებსო.

— დიახ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ასეთ შოკს აქვს დადებითი მომენტებიც. კერძოდ, პიკურ განცდას შეიძლება პიროვნების შეცვლა მოჰყვეს. ის უფრო ტოლერანტული ხდება, იზრდება პიროვნული თვალსაზრისით, ხდება ფასეულობათა გადაფასება და ა.შ.

ახლა კი უფრო კონკრეტულად მიწისძვრის არსზე გვესაუბრება გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **რამაზ ლამბაშიძე**:

— კავკასიონის ჩასახვა დაახლოებით 50-60 მილიონი წლის წინათ დაიწყო. მაშინ „მომავალი“ კავკასიონი წყალში შრეებად იყო. როგორც მთათა სისტემა კი ის 4-5 მილიონი წლის წინათ ჩამოყალიბდა, ასე რომ, კავკასიონი ახალგაზრდა მთებია და შესაბამისად, აქტიურიც. მისი ფორმირების პროცესი იწვევს სეისმურ მოვლენებს ანუ მიწისძვრას, რომლის სიძლიერე — მაგნიტუდა იზომება განთავისუფლებული ენერგიის მიხედვით. ბალი კი გახლავთ ნგრევის ხარისხი. ნგრევის ხარისხი კი ნაგებობის გამძლეობაზეა დამოკიდებული.

— რატომ რთულდება მიწისძვრის ეპიცენტრის დადგენა?

— ძალიან მარტივი მიზეზის გამო: ადრე საქართველოში 50-მდე სეისმოლოგიური სადგური იყო. ახლა კი რამდენიმეა, თბილისში კი მხოლოდ ერთი, მაშინ როცა, სულ ცოტა სამი მაინც უნდა იყოს.

— როდის იწყება მიწისძვრა და რა წინაპირობები ახასიათებს მას?

— ამის დადგენა, განსაკუთრებით წუთებში და საათებში, რთულია. სხვათა შორის, ბოლო მიწისძვრის დროს, რამდენიმე წუთით ადრე, ჩემი მეზობლის ძაღლმა ყეფით აიკლო იქაურობა. იაპონიაში დიდი ძიების შემდეგ მიაგნეს თევზის ჯიშს, რომელიც მოვლენამდე რამდენიმე წუთით ადრე იწყებს ფორიაქს, ეხეთქება აკვარიუმის კედლებს. ასეთ დროს იაპონელები სახლიდან გადიან. საერთოდ, ცნობილია, რომ ცხოველები განსაკუთრებით გრძნობენ მაგნიტური სხივების გაძლიერებას. რაც ყველაზე საინტერესოა: მიწისქვეშა რღვევები ერთ და ორ წუთში არ ხდება. ამას სჭირდება ხანგრძლივი დრო და ამ ხნის განმავლობაში დედამიწის სიღრმიდან გამოიყოფა ინერტული გაზები, ელექტრომაგნიტური სხივები და ა.შ. სპეციალურ ხელსაწყოებს ამის დადგენა შეუძლიათ. ჩვენს პირობებში კი ეს არ ხერხდება. როცა ძლიერი მიწისძვრა უნდა მოხდეს, შესაბამისად რღვევებიდან წამოსული გაზი მეტია. რამდენიმე პატარა სადგური რომ იყოს თბილისში, პროგნოზის მეტ-ნაკლები სიზუსტით გაკეთება შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ ამ ყველაფერს დიდი ფული სჭირდება. ამ სახის ტექნიკა იაპონელებს აქვთ.

— სეისმურად რამდენ ბალიან ზონაშია თბილისი?

— 7-ბალიან ზონაშია. მსოფლიოს რიგ ქვეყნებს აქვთ სპეციალური რუკა, რომელიც აჩვენებს, რომელ ზონაში მაქსიმუმ, რა ძალის მიწისძვრა შეიძლება მოხდეს. ამის მიხედვით იგება ქალაქები და სახლები. თბილისში სახლები წესით 7-ბალიან მიწისძვრებზე უნდა იყოს გათვლილი. გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, ჩვენს დედაქალაქში ამაზე დიდი ბალი არ უნდა დაფიქსირდეს. და თუ რომელიმე სახლი მაინც დაინგრევა, ეს უკვე მავანის მიერ სახლის არაკეთილსინდისიერად აშენებაზე ან მის სიძველეზე მიუთითებს.

— რას გვეტყვით ტექტონიკურ იარაღზე და ეშერის ლაბორატორიაზე?

— ეშერის ლაბორატორია მიწის ზედაპირიდან 200-300 მეტრის სიღრმეშია. იქ დამონტაჟებულია სეისმომეტრი, რომელიც მიწის ქერქის რხევებს აფიქსირებს. საბჭოთა კავშირმა ლაბორატორია თავის დროზე გააკეთა იმიტომ, რომ დაახლოებით, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილიდან პაკისტანამდე, ტერიტორია გაეკონტროლებინა. თუ რაიმე მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება მოხდებოდა, ეს აპარატურა დააფიქსირებდა. რას ნიშნავს ტექტონიკური იარაღის გამოყენება? როდესაც გეოლოგიური სიტუაცია მომწიფებულია, ააფეთქებენ გარკვეული სიმძლავრის მუხტს და გამოიწვევენ ხელოვნურ მიწისძვრას. ე.ი. ბუნებრივ მოვლენას — მიწისძვრას კიდევ უფრო გააააქტიურებენ. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ერთ ასეთ მიწისძვრას მილიონები სჭირდება. ამიტომ, მიწისძვრის ხელოვნურობა ძნელი საფიქრებელია. მეორეც: თანმდევი, მცირე ბიძგები ხელოვნურ მიწისძვრას არ ახასიათებს. ის მისი ბუნებრიობის მიმანიშნებელია და მესამეც: თუ ეს მიწისძვრა მართული იყო ეშერიდან, მაშინ თბილისზე მეტი სიძლიერის ბიძგები უნდა ყოფილიყო მთელ პარამეტრზე — ეშერიდან თბილისამდე. მსგავსი რამ კი არ ყოფილა. ისე კი ცნობილია, რომ რუსეთის არმიის წესდებაში შეტანილია სიტყვა — ტექტონიკური იარაღი. ე.ი. ეს იარაღი მართლაც არსებობს და რადგან არსებობს, ალბათ რაღაცაში გამოიყენება კიდეც.


ინგოროყვას ქუჩა; ჩამოქცეულმა აივანმა ავტომობილი სერიოზულად დააზიანა, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის

ქეთი ბერეკაშვილი

„ეგ ევტეევია თუ ვიღაც, ცრუობს, ცილს მწამებს“

„ნოსტრადამუსი არა ვარ, მაგრამ ერთ თვეში ახალი ინციდენტია მოსალოდნელი...“

რას ერჩის რუსი გენერალი ევტეევი ქართველ მესაზღვრეთა სარდალ ვალერი ჩხეიძეს? რა მოხდა სინამდვილეში კოდორში 12 აპრილს? ჭუბურხინჯის შეხვედრის შემდეგ ძალიან მალე რატომ შეხვდნენ ქართველები და აფხაზები ერთმანეთს და რა სიურპრიზს უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რუსეთისაგან აფხაზეთის ტერიტორიაზე? ამ კითხვებზე გვპასუხობენ განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი **მალხაზ კაკაბაძე** და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ვალერი ჩხეიძე**.

— ბატონო მალხაზ, სოხუმში ბოლო შეხვედრის დროს გაირკვა, რომ ქართველებიც და აფხაზებიც მცდარ ცნობებს იღებენ ერთმანეთზე შესაძლო თავდასხმის შესახებ. როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა ავრცელებდეს ამ დეზინფორმაციას?

— ალბათ ის, ვინც დაინტერესებულია კონფლიქტის მოუგვარებლობით.

— არსებული სიტუაციის მიხედვით ლოგიკურია, რომ ამით რუსეთია დაინტერესებული.

— ამის დამტკიცებას უამრავი ფაქტი დასჭირდება. მკაცრ განცხადებებს მოვერიდები თუნდაც იმიტომ, რომ მჯერა, ყველაფერი მოგვარდება და არ მინდა, დღევანდელმა დაუფიქრებელმა ნათქვამმა ხვალ აფხაზებთან და რუსებთან ჩვენს მშვიდობიან თანაცხოვრებას შეუშალოს ხელი. სოხუმის შეხვედრის მიზანი, მოგეხსენებათ, გახლდათ ჩვენ შორის გაჩენილი დაძაბულობის განმუხტვა და იმის თქმა, რომ ქართველები არ ვესხმით აფხაზებს თავს და არც ისინი გვიპირებენ ომს... დავასკვენით, რომ ჩვენ შორის ომის განახლება უაზრობაა — ორივე მხარე ძალიან დავზარალდებით...

— ბატონო მალხაზ, პირდაპირ იმაზე გადავიდეთ, რაც ყველაზე ძალიან აინტერესებს საზოგადოებას, თქვენ ჭუბურხინჯის შეხვედრაზე მოსთხოვეთ ევტეევს, დაეკონკრეტებინა თავისი განცხადება — იცოდა თუ არა ქართულმა მხარემ რუსული დესანტის კოდორში გადასხმის შესახებ?

— 29 მარტს სოხუმში, 2 აპრილს — თბილისში ევტეევი ჩვენ გვერდით იყო და არც ქართულ მხარესთან და არც გაეროსთან მსგავსი განზრახვა არ შეუთანხმებია. 8 აპრილსაც შევხვდი მას სოხუმში. გული მიგრძნობდა, რაღაც მოხდებოდა. ვისაუბრეთ მომავალი თანამშრომლობის შესახებ. მეორე დღეს შევხვდი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილეს სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში, გენერალ ევნევიჩს, მაგრამ არც მას დასცდენია რამე პატრულირების თაობაზე. მერე კი, როცა ინციდენტი მოხდა, ევტეევმა აიჩემა — ქართველებმა ეს წინასწარ იცოდნენო.

— ვის დაადო ხელი?

— მესაზღვრეებს, ზოგადად. ვალერი ჩხეიძე ჩემთან არ უხსენებია. ისე, მაგრად „ცურავდა“ ევტეევი. გაეროსაც კი დაუწყო მტკიცება, დილის 6 სთ-ზე ცნობა გამოგიგზავნეო. ვინ იქნებოდა 6 სთ-ზე ცნობის წამკითხავი ან პასუხის გამცემი? თუმცა ესეც ტყუილი გამოდგა. თურმე კოდორის ხეობაში შესვლის თაობაზე ევტეევს 11.15 საათზე უცნობებია არა გაეროსთვის, არამედ ქართული აფხაზური კონფლიქტის უსაფრთხოების ზონაში ქართველი სამხედრო დამკვირვებლების მეთაურის კლიმენტი თევზაძისთვის. ამას კი არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, რადგან რუსები უკვე კოდორში იყვნენ.

— კოდორში დესანტის შესვლის დროს თქვენ მოსკოვში იყავით, იქ რა ხდებოდა მაშინ?

— ყველა გაკვირვებული იყო. ჩემი იქ ყოფნის დროს თბილისიდან, მენაღარიშვილის კაბინეტიდან, პასტუხოვმა თავდაცვის სამინისტროში დარეკა, მაგრამ იქ დესანტის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ.

— რუსული პრესა კი წერდა, კოდორში დესანტი რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ბრძანებით შევიდაო.

— ვერაფერს გეტყვით. ერთი კია, ევტეევმა გვითხრა, რომ დესანტი მხოლოდ პუტინის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოვიდა კოდორიდანო. მე ვუთხარი, დიდი მადლობა პუტინს, მაგრამ ვისი ბრძანებით შევიდა დესანტი კოდორში-მეთქი და ვერაფერი მიპასუხა.

— ლოგიკური პასუხი რა შეიძლება იყოს?

— ლოგიკის მიხედვით განკარგულების გამცემი რუსეთის პრეზიდენტის ქვემდგომი უნდა ყოფილიყო.

ვალერი ჩხეიძე, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე:

— ბატონო ვალერი, რას ფიქრობთ ევტეევის მიერ თქვენ მიმართ გაკეთებულ ბრალდებაზე?

— ევტეევია თუ ვიღაც, ცრუობს, ცილს მწამებს. 12 აპრილს ფოთში, საზღვაო სწავლებაზე ვიყავი. დილით, შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა სალიამ ტელეფონით მაცნობა, კოდორის ხეობაში რუსებმა დაახლოებით 9 საათსა და 45 წუთზე დესანტი გადმოსხესო. ეს ინფორმაცია რამდენჯერმე გადავამოწმე და შემდეგ მობილური ტელეფონით დავუკავშირდი პრეზიდენტს, რომელმაც მითხრა: — სამწუხაროდ, არ მაქვს სრულყოფილი ინფორმაცია, გადავამოწმებ. შენ თუ გყავს შენი ხალხი იქ, იმოქმედეო. ვკითხე, ბატონო პრეზიდენტო, ამბის გასარკვევად თავად ხომ არ ჩავსულიყავი ადგილზე-მეთქი? კარგი იქნებაო, — მიპასუხა. ვერტმფრენი გამოვიძახეთ. ოფიცერთა ჯგუფთან ერთად კოპიტნარის აეროპორტიდან ნახევარ საათში კოდორის ხეობაში ვიყავით.

— ქართული მხარიდან პირველი თქვენ ჩახვედით?

— დიახ. იმის მტკიცება, რომ დესანტირების დროს იქ ვიყავი, აბსურდია. ჯერ ომარი-შარაშის კომენდატურაში დავჯექით, შემდგომ კი გადმოვფრინდით აჟარაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ შეშფოთებული დაგვხვდა. რუსებს განუცხადებიათ, ჰუმანიტარული ტვირთის ამოსატანი გზის გასახსნელად ამოვედითო. დესანტის დისლოკაციის ადგილზე მათი პოლკოვნიკი საპოვი შეგვხვდა. ვკითხე, რისთვის მოხვედით აქ, რა ფუნქცია გაქვთ და რას აპირებთ-მეთქი. მიპასუხა — მე ჩემი გენერლის დავალებას ვასრულებ. აქ ბლოკპოსტის გახსნა გვაქვს ნაბრძანები, რათა დავიწყოთ ხეობის პატრულირება და ჰუმანიტარული ტვირთით მოსახლეობის უზრუნველყოფაო. ვუთხარი, სანამ თქვენი ჩამოსვლის მიზანი, სტატუსი არ გაირკვევა, უმჯობესია არაფერი გააკეთოთ, მოსახლეობასთანაც ნაკლებად იქონიეთ კონტაქტი-მეთქი.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

როგორ ასწავლეს „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტს ფალსიფიცირებული ძეხვის დამზადება...

სამიოდე დღის წინ რესპუბლიკური ინფექციური პათოლოგიის ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში ბოტულიზმით დაავადებული მუსაშვილების ოჯახი (ხუთი კაცი) სასწრაფო დახმარების მანქანამ მიიყვანა. სამწუხაროდ, ექიმებმა ოჯახის დიასახლისს ვერაფერი უშველეს, იგი უკვე რამდენიმე წუთის გარდაცვლილი იყო. ასევე უშედეგო აღმოჩნდა ექიმთა მცდელობა, მდგომარეობიდან გამოეყვანათ ოჯახის უფროსი. ამჟამად მათი ორი ქალიშვილი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა. ინფექციონისტები იმედს მხოლოდ გარდაცვლილების შვილიშვილზე, 13 წლის გოგონაზე იძლევიან.

როგორც ექიმები ვარაუდობენ, ტრაგედიის მიზეზი ვადაგასული, გარემოვაჭრეებისაგან შეძენილი დაკონსერვებული კვების პროდუქტი შეიძლებოდა გამხდარიყო. ჩვენ არ გამოვრიცხავთ მუსაშვილების ოჯახის მსგავსი ინციდენტის გამეორებას და ამიტომ კვლავ იძულებული ვართ საეჭვო ხარისხის კვების პროდუქტების თემას მივუბრუნდეთ. მით უმეტეს, რომ ამ კვირის ბოლოს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს აღვნიშნავთ და სადღესასწაულო სუფრაზე რომ საეჭვო ხარისხის პროდუქტი არ მოხვდეს და დღესასწაული ტრაგედიად არ გვექცეს, რამდენიმე წუთი იქნებ ამ სტატიის წაკითხვისათვის დაკარგოთ.

ხორცი და კვერცხი

აღდგომა წითელი კვერცხების გარეშე წარმოუდგენელია, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის. ვეტერინარიის დეპარტამენტის თანამშრომელთა თქმით, კვერცხის იმპორტირება საქართველოში ხდება ირანიდან, თურქეთიდან და სომხეთიდან. იმ ქვეყნების მეფრინველეობის ფაბრიკები, რომლებიც საქართველოს კვერცხით ამარაგებენ, საქართველოს ვეტდეპარტამენტის თანამშრომლებმა შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით, ყველა ნორმა არის დაცული. სამომხმარებლო ბაზარს კვერცხით, ოღონდ მცირე რაოდენობით, ქართველი მეწარმეების მცირე ფაბრიკებიც ამარაგებენ, ისინი მოთხოვნილების მხოლოდ 5%-ს აკმაყოფილებენ. ამდენივეს უზრუნველყოფს კერძო სექტორი. არადა იყო დრო, როცა საქართველოში ორ ათეულზე მეტი მეფრინველეობის ფაბრიკა მუშაობდა და კვერცხით და ქათმის ხორცით რესპუბლიკის მოსახლეობასაც აკმაყოფილებდა და მეზობელ რესპუბლიკებსაც. ახლა იმ ფაბრიკებიდან მხოლოდ ცარიელი კედლებია დარჩენილი. ამიტომაც, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქტის იმედად ვართ. კვერცხის საიმედოობას ადასტურებს ინფექციური პათოლოგიის ცენტრის რეანიმაციული განყოფილების გამგე **ანა ლალიძე**: „ჩემს მრავალწლიან პრაქტიკაში აღდგომის დღეებში არასოდეს ყოფილა კვერცხით მოწამვლის თუნდაც ერთი ფაქტი დაფიქსირებული. მართალია, სალმონელათი (სალმონელა — ბაქტერია, რომელიც იწვევს ნაწლავების მწვავე ინფექციურ დაავადებას) დაავადებული კვერცხი არცთუ იშვიათად იყიდება ჩვენს ბაზრებში, მაგრამ რადგან სააღდგომო კვერცხი დიდხანს იხარშება, ხარშვის პროცესში ხდება სალმონელას ბაქტერიის ინაქტივიზაცია, ანუ განეიტრალება. აქედან გამომდინარე, კვერცხი დაახლოებით, 10-15 წუთის განმავლობაში მაინც უნდა ხარშოთ. თუ კვერცხის ხარისხი გეეჭვებათ, უმჯობესია, შემწვარი არ მიირთვათ.“

— აიღებ 2 კილოგრამ ხორცს, დაუმატებ 5 კილოგრამ ფქვილს და ერთ ლიტრა წყალს. ოღონდ, წყალი თითქმის გაყინული უნდა იყოს. ცივ წყალს სიმკვრივე უფრო მეტი აქვს, თანაც კარგად ერევა ხორცსა და ფქვილს. შეიძლება მეტიც დაასხა, ოღონდ, ძალიანაც არ უნდა გადააჭარბო. ხორცი თუ ცოტა უხარისხო იქნება, ძირითადად სანელებლები უნდა დაუმატო, განსაკუთრებით, ნიორს დააწექი...

ჩვენ კვერცხის საბითუმო ბაზარსაც ვეწვიეთ და ჩვენდა სასიხარულოდ, საგანგაშო ვერაფერი აღმოვაჩინეთ. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ყუთ კვერცხს, რომელსაც ნაჭუჭზე შავი, ობმოკიდებული ლაქები ეტყობოდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ კვერცხი ვადაგასული და ძველი ყოფილა.

ხორცი და ხორცპროდუქტები

„ამ რამდენიმე თვის წინ საქართველოს საზღვარს ხორცის კონსერვებით დატვირთული 17 კონტეინერი მოადგა. ეს ჰუმანიტარული ტვირთი იყო და, ძირითადად, შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისათვის იყო განკუთვნილი. მაგრამ შემომტან ერთ-ერთ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას ინგლისში დამზადებული ხორცის კონსერვების შემოტანის ნებართვა არ მივეცით, რადგან დიდ ბრიტანეთსა და თითქმის მთელ დასავლეთ ევროპაში მძვინვარებს ღრუბლისებრი ენცეფალოპათია, ანუ ძროხის ცოფის ეპიდემია. გვქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ კონსერვები სწორედ ცოფის ვირუსით დასნებოვნებული ძროხის ხორცით იყო დამზადებული. ამიტომ ტვირთი უკანვე გავაბრუნეთ. ჩვენ პოლიციას კიდევ გაცოფება უნდა?!“ — განაცხადა საქართველოს ვეტერინარული დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **ლევან რამიშვილმა**. მისივე თქმით: „არსებობს საერთაშორისო ვეტერინარული კოდექსი, რომლითაც ხელმძღვანელობს საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტი. ეს კოდექსი გამოცემულია საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროს მიერ, რომელიც 160 ქვეყნის ვეტდეპარტამენტს აერთიანებს, მათ შორის, საქართველოს ვეტსამსახურსაც. ამ კოდექსით შემუშავებულია ნორმები, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ერთი ქვეყნიდან მეორეში იმ პროდუქტების იმპორტი, რომელიც ვეტერინარულ კონტროლს ექვემდებარება. აგრეთვე კოდექსით გათვალისწინებულია ყველა ის საბუთი, რომელიც იმპორტიორს უნდა ჰქონდეს, მათ შორის — ვეტერინარული სერტიფიკატი. მუშაობაში ძლიერ გვეხმარება ისიც, რომ საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროდან ყოველ კვირას ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა სხვა ქვეყნებში ვეტერინარული დაავადებების მხრივ. იმპორტიორი მოდის ჩვენთან, წერს განცხადებას, თუ რა პროდუქტის შემოტანას აპირებს. ჩვენ შევისწავლით ამ ქვეყნის ვეტერინარულ მდგომარეობას, ვუდარებთ მიღებულ მონაცემებს და მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევთ ნებართვას იმპორტიორს პროდუქციის შემოტანაზე. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ უამრავი რამ არის ამ სფეროში მოსაგვარებელი, მაგრამ წინსვლაც აშკარად შეინიშნება“.

წინსვლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სამომხმარებლო ბაზარი რომ სავსეა დასავლეთ ევროპიდან, კერძოდ, იტალიიდან შემოტანილი ხორცის კონსერვებით, ეს ფაქტია. არადა ლევან რამიშვილის განცხადებით, იტალიაშიც ძროხის ცოფის ეპიდემია მძვინვარებს. მისი საინკუბაციო ვადა თითქმის 14-20 წელიწადია და რა იქნება 14 ან 20 წლის შემდეგ, ღმერთმა იცის. მით უმეტეს, რომ საქართველოში, ჯერჯერობით (და როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არ იქნება), თანამედროვე, ევროსტანდარტის მქონე ერთი ლაბორატორიაც კი არ არის, რომ არაფერი ვთქვათ, ისეთი მაღალი კლასის ლაბორატორიაზე, სადაც ძროხის ცოფის ვირუსის აღმოჩენა არის შესაძლებელი. ამიტომაც დასავლეთ ევროპიდან წამოსულ ხორცსა და ხორცპროდუქტებზე ვეტდეპარტამენტი თავის დაზღვევის მიზნით ნებართვებს არ გასცემს. თუმცა კონტრაბანდული არხებით დასავლეთ ევროპიდან ნებისმიერი საქონელი მაინც შემოდის. ხორცისაგან მიღებული პროდუქტების ხარისხზე, ისე როგორც ბევრ სხვა საქონელზე, პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფო სტანდარტიზაციას. მაგრამ რატომლაც საქსტანდარტის სერტიფიკაციის ორგანოებს პასუხისმგებლობა სხვაგვარად ესმით. ამაში მკითხველიც იოლად დარწმუნდება, თუ ჩემსავით მოიქცევა. კერძოდ, მივა ნებისმიერ სერტიფიკაციის ორგანოში და თავს იმ მეწარმედ გაასაღებს, რომელსაც ძეხვის ან სოსისის წარმოება სურს.

ჩვენი გაზეთის ჟურნალისტური გამოძიების ჯგუფის მიზანში თბილისში საქსტანდარტის „მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის ინსტიტუტის“ შენობის მეოთხე სართულზე განთავსებული ხარისხის სერტიფიკაციის ორგანო, შპს „სტანდარტი“ და მისი ექსპერტი ხორცის და ხორცპროდუქტების დარგში **მარლენ ნ.** (გვარს არ ვასახელებთ) მოხვდნენ:

— გამარჯობათ. მე ერთი თბილისელი მეწარმე გახლავართ. მინდა სოსისის და ძეხვის წარმოება დავიწყო და ვის მივმართო დახმარებისათვის?

— ვაა, პირდაპირ ჩემთან მოსულხარ და ვისღა უნდა მიმართო? ხარისხის სერტიფიკატი გინდა არა? წამო.

ნ-მ თავის კაბინეტში შემიყვანა და დაიწყო ჩემი „განათლება“ ძეხვისა და სოსისის ფალსიფიცირების საკითხებში.

— თუ დავძმაკაცდებით, ყველა ხრიკს გასწავლი, როგორ უნდა იშოვო ფული ძეხვით და სოსისით. თავდაპირველად, უნდა მომიტანო მეწარმის წიგნაკი, შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ სოსისის და ძეხვის წარმოების უფლება გაქვს. ამას რომ მოიტან, წიგნიდან გადაიწერ ძეხვისა და სოსისის სტანდარტებს. მართლა, რომელი ძეხვის წარმოებას აპირებ — მოხარშულის თუ „პოლუკაპჩონის“?

— თქვენ რას მირჩევთ?

— მოხარშული ჯობია. ყოველ 10 კილოგრამ სუფთა ხორცზე 50 კილოგრამ მოგებას მოგცემს.

— 10 კილოგრამი ხორციდან 50 კილოგრამ ძეხვს როგორ მივიღებ?

— აიღებ 2 კილოგრამ ხორცს, დაუმატებ 5 კილოგრამ ფქვილს და ერთ ლიტრა წყალს. ოღონდ, წყალი თითქმის გაყინული უნდა იყოს. ცივ წყალს სიმკვრივე უფრო მეტი აქვს, თანაც კარგად ერევა ხორცსა და ფქვილს. შეიძლება მეტიც დაასხა, ოღონდ, ძალიანაც არ უნდა გადააჭარბო. ხორცი თუ ცოტა უხარისხო იქნება, ძირითადად სანელებლები უნდა დაუმატო, განსაკუთრებით, ნიორს დააწექი...

— კი, მაგრამ სტანდარტით გათვალისწინებული ნორმები რომ უხეშად დაირღვევა, ვინ მიშველის რამე რომ მოხდეს?

— რა უნდა მოხდეს. მე აქ არა ვარ, ჩემს მეტი არავინ შეგამოწმებს. სერტიფიკატსაც მე მოგცემ, რომ შენი ძეხვი ხარისხის შესაბამისია და მეტი რა გინდა?

— რა დამიჯდება ეგ სიამოვნება, ბარემ ეგეც მითხარი?

— მე სხვებივით არ გაგატყავებ. ექვსი დასახელების ძეხვი უნდა გამოუშვა ხომ? თითოზე სახელმწიფოსათვის გადასახადი 70 ლარია. მე, როგორც შენს პატრონს და „დამცველს“, ყოველი სახეობის ძეხვზე 30 ლარს მომცემ. ე.ი. 420 ლარი სახელმწიფოს, 180 ლარი — მე და სამი თვე თავისუფალი იქნები. სამი თვის შემდეგ კვარტალურ შემოწმებაზე შემოვალ, ამას თითო სახეობაზე კიდევ 50 ლარი დასჭირდება. ერთი სიტყვით, კვარტალში ჩემი 330 ლარი იქნება. დანარჩენ „ხიტრობებს“ მერე გასწავლი. ახლა ეს გააკეთე, რაც გითხარი და ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატებს გამოგიწერ...

რა კომენტარი სჭირდება ამ დიალოგს, მაგრამ მაინც ვიტყვი, — როცა ფალსიფიცირებულ პროდუქციასთან მებრძოლი სტანდარტის სერტიფიკაციის ორგანოს თანამშრომელი თვითონ ასწავლის მეწარმეს, თუ როგორ უნდა გააყალბოს პროდუქცია, კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ფარატინა ქაღალდად იქცევა.

ჩვენ რამდენიმე დასახელების ხორცის პროდუქტის ლაბორატორიაში შემოწმება გადავწყვიტეთ და დახმარებისათვის საქართველოს ვეტერინარული დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის დირექტორს ნუკრი გუგუშვილს მივმართეთ. მან დახმარება აღგვითქვა, მაგრამ რედაქციიდან ოფიციალური მიმართვა მოგვთხოვა. წერილიც და ნიმუშებიც ვაახლეთ, მაგრამ ბატონი ნუკრი ვაჟა-ფშაველას შვლის ნუკრივით დაგვეკარგა, ხოლო მისმა მოადგილემ ჩვენს ოფიციალურ წერილს ოფიციალური წერილობითი უარით უპასუხა. მიზეზად კი ელექტროენერგიის უქონლობა დაასახელა. ჩვენ იხტიბარი არ გავიტეხეთ და ცენტრის დირექტორის მოადგილეს რურუას გუგუშვილის დანაპირები, თუ შუქი არ იქნა, ავტონომიურ კვებას ჩავრთავთო, შევახსენეთ, მაგრამ ამაოდ. რატომღაც ცენტრის მიერ შარშანდელი იმპორტული ძეხვის და სოსისის შემოწმების შედეგებიც გაგვისაიდუმლოეს.

ისე, საკითხავია, თუ ცენტრს ელექტროენერგია უკვე სამი კვირაა არ მიეწოდება, მაშინ როგორ იკვლევენ იმ ნიმუშებს, რომელიც ერთ-ერთმა მეწარმემ ჩვენ შემდეგ ცენტრის ლაბორატორიას ჩააბარა?

დასასრული...

თბილისის ვეტერინარული გაერთიანების უფროსმა **ირაკლი მოლიძემ** განაცხადა: „მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ აგრარულ ბაზრებსა და ბაზრობებზე, სადაც კი არსებობს ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიები, თითქმის გამორიცხულია უხარისხო, ვადაგასული პროდუქტების გაყიდვა. ეს საკითხი საბოლოოდ მოწესრიგებულია. რაც შეეხება გარემოვაჭრეებს, რომლებიც ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობენ, იქ მართლაც არსებობს პრობლემები. მაგალითად, დეზერტირის ბაზრის ახლოს მდებარე კორპუსის უკან განთავსებულ ავტოფარეხებში, უკანონოდ, ანტისანიტარიულ პირობებში ხდებოდა ხორცის რეალიზაცია. მეწარმეთა კონტროლის კანონის თანახმად, სასამართლოში აღვძარით შუამდგომლობა მათი შემოწმების თაობაზე. სასამართლოდან დასტურიც მივიღეთ, მაგრამ მას შემდეგ ავტოფარეხის მფლობელები ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგეთ. კიდევ ვიმეორებ: ჩვენ, ვეტექიმები, ვაკონტროლებთ პროდუქტს მხოლოდ კეთილსაიმედოობის მხრივ; ხოლო ხარისხი საქსტანდარტმა უნდა გააკონტროლოს. ნებისმიერ საეჭვო შემთხვევაში პროდუქტი აუცილებლად იგზავნება დიაგნოსტიკურ ცენტრში (რომელიც უშუქობის გამო არ მუშაობს. — **ზ.ჩ.**) და საერთოდ მოსახლეობამ უნდა შეიგნოს — მოერიდონ გარემოვაჭრეებს. დასასრულ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დედაქალაქის მოსახლეობას ვაცნობო, რომ 1-ელი აპრილიდან 1-ელ ივნისამდე თბილისში მიმდინარეობს ცოფთან ბრძოლის ორთვიური უფასო ვაქცინაცია. უფასოა აგრეთვე საწარმოებსა და ეზოებზე მიკედლებული ძაღლების და კატების ვაქცინაციაც. რაც შეეხება მაწანწალა ძაღლებს, ამ პრობლემის გადაჭრას თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის პროექტი ითვალისწინებს. კერძოდ, გადაწყვეტილია მაწანწალა ძაღლებისთვის თავშესაფრის აშენება“.

P.S. სტატია დასაბეჭდად მზად იყო, როცა ინფექციური პათოლოგიების ცენტრიდან შეგვატყობინეს, რომ მუსაშვილების ქალიშვილების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და საფრთხემ თითქმის ჩაიარა.

ზვიად ჩაკვეტაძე

„გრიცკოს“ პერმანენტულ მითითებებს აძლევენ?!

გასული კვირის „კვირის პალიტრის“ ნომერში დაიბეჭდა მასალა, სადაც აღნიშნული იყო, რომ გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულმა გრიგოლ ხურცილავამ ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ მას გიორგი სანაიას განზრახ მოკვლა არ უნდოდა და იარაღი შემთხვევით გაუვარდა. ამასთან დაკავშირებით დაინიშნა ბალისტიკური ექსპერტიზა, რომელსაც უნდა ეჩვენებინა, მართლაც იყო თუ არა შესაძლებელი, რომ ხურცილავას იარაღიდან შემთხვევითი გასროლა მომხდარიყო. აქვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ამ დეტალს საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ძიება ხურცილავას ჩვენებას გაიზიარებს, მას ელის ხუთ წლამდე პატიმრობა, რაც, შესაძლოა, პირობითი სასჯელითაც შეუცვალონ.

პროკურატურა გამოძიების დამთავრებამდე დეტალებს არ ახმაურებს, თუმცა ჩვენ დავუკავშირდით შსს ექსპერტიზის უფროსის მოადგილეს, ზაზა ალთუნაშვილს, უშუალოდ იმ პიროვნებას, ვინც სანაიას მკვლელობის იარაღზე ბალისტიკური ექსპერტიზა ჩაატარა. გთავაზობთ ბლიც-ინტერვიუს **ზაზა ალთუნაშვილთან**. ჩვენდა გასაკვირად, მან საკმაოდ გულწრფელი პასუხი გაგვცა:

— ბატონო ზაზა, ხურცილავას თქმით, მას იარაღი შემთხვევით გაუვარდა რბილი სასხლეტის გამო. თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით.

— მაშინ იარაღი გაუმართავი უნდა იყოს. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იარაღი, რომლიდანაც ისროლა, გამართულ მდგომარეობაშია. გამართული იარაღიდან უნებლიე გასროლა არ ხდება.

— ის ამბობს, რომ იარაღი შემართული ჰქონდა...

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! კომენტარი ასეთია: უნებლიე გასროლა არ ხერხდება, თუ სასხლეტს ხელი არ დააჭირე.

— ხურცილავას განცხადებით მას სასხლეტზე შემთხვევით მოუხვდა ხელი...

— მომიხვდა არ მომიხვდა არაფერს ნიშნავს. ხომ გითხარით, მისი იარაღი გამართული იყო. გასროლა ასე მარტივად არ ხდება. გაუმართავი რომ ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა, რომ გასროლა შემთხვევით მომხდარიყო.

— ე.ი. გამორიცხულია, რომ მას შემთხვევით გავარდნოდა იარაღი?

— ეს უკვე იურიდიული მსჯელობაა და ამას ნუღარ შემეკითხებით. რისი თქმის უფლებაც არ მაქვს, ნუ მკითხავთ.

— თქვენი დასკვნა უკვე გადაუგზავნეთ პროკურატურას?

— კი. მიღებული აქვთ.

— კიდევ რა გიწერიათ დასკვნაში?

— რომ გითხრათ კიდევ რა წერია, მაშინ გამჟღავნება გამომივა და სწორად გამიგეთ, ამის უფლება არ მაქვს.

კანონით და წესით ექსპერტის ეს პასუხი გამოძიების მხარემ უნდა გაიზიაროს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხურცილავას შეცვლილი ჩვენება არ არის სიმართლე და გამორიცხულია, რომ ეს გასროლა შემთხვევითი ყოფილიყო. მით უფრო, რომ ექსპერტთა ინფორმაციით, „ტანფოგლის“ ტიპის პისტოლეტები მწყობრიდან ადვილად არ გამოდის. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ შეცვალა ხურცილავამ ჩვენება? თვითონ, როგორც სამთავრობო დაცვის გამოცდილ მუშაკს კარგად უნდა სცოდნოდა, რომ გამოძიება ამ ვერსიას ადვილად არ დაიჯერებდა. იქნებ ხურცილავას ვილაცის იმედი ჰქონდა? როგორც ჩანს, „გრიცკოს“ ზურგს უკან მდგომი პიროვნება მას პერმანენტულ მითითებებს აძლევს, რაც არცთუ დამაჯერებლად გამოსდის.

მარინა მამისაშვილი

მომხდარმა მიწისძვრამ დედაქალაქში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესები უკანა პლანზე გადასწია. „შიშს დიდი თვალები აქვს" — კარგა ხანს აღარც არჩევნები გახსენებია ვინმეს, აღარც სავალუტო ფონდის სანქციები და აღარც მთავრობაში მომხდარი არცთუ უმნიშვნელო ცვლილებები. თუმცა ამ სტიქიური „ტერორის" პირობებშიც ჩვენმა კანონმდებლებმა ბოლოს და ბოლოს დაამტკიცეს საარჩევნო კოდექსი და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადყოფნაც გამოთქვეს. ნაციონალური მოძრაობის ოფისში რომ მივედი, კედელზე ცოტა არ იყოს უჩვეულო „კალენდარი" შევნიშნე — „არჩევნებამდე დარჩა 37 დღე"(!). როგორც ჩანს, ქართველი „ნაციონალისტები" არჩევნებისთვის განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან. სააკაშვილი და მისი მომხრეები კვლავაც გეგმავენ ხმაურიან ტურნეებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „კვირის პალიტრა" ესაუბრება ნაციონალური მოძრაობის ლიდერს **მიხეილ სააკაშვილს:**

— ძირითადი ქალაქების მოსახლეობასთან გავაფორმებთ დაახლოებით შემდეგი შინაარსის ხელშეკრულებას — თუ ჩვენ ავიღებთ უმრავლესობას საკრებულოში, ისე გადავანაწილებთ ქალაქის ბიუჯეტს, რომ არ მოიმატოს, ვთქვათ, წყლის ტარიფმა, რეალურად დაინერგოს უფასო სამედიცინო დახმარება და ა.შ. თუ ერთი წლის მანძილზე ამას ვერ შევასრულებთ, დავიხურავთ ქუდებს და წავალთ როგორც საკრებულოდან, ისე საერთოდ პოლიტიკიდანაც. ეს გარკვეული რისკია, მაგრამ ხალხს ცარიელი სიტყვები აღარ სჭირდება. დროა, მოსახლეობას უკვე რეალური საქმე დავანახვოთ.

— **სხვათა შორის, მსგავსი დაპირებებით მოატყუა ხალხი სწორედ იმ „მოქალაქეთა კავშირმა", რომლის ერთ-ერთი ლიდერი ბრძანდებოდით.**

— მე „მოქალაქეთა კავშირის" ლიდერი არ ვყოფილვარ, უბრალოდ რაღაც პერიოდი საპარლამენტო ფრაქციას ვხელმძღვანელობდი, ხოლო ლიდერი იყო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. შესაბამისად, ეს მისი პროგრამა და დაპირებები გახლდათ. კი ბატონო, მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ჩემი იდეებით ოდესღაც მის გვერდით ვიდექი, თუმცა როგორც კი დავინახე, არაფერი გამოდიოდა, ავდექი და ჩემი ნებით წამოვედი, არავის გამოვუგდივარ.

— **თუმცა პრეზიდენტმა სახალხოდ განაცხადა, იუსტიციის ყოფილ მინისტრს პოსტი დავატოვებინეო...**

— ეტყობა, ეს პრეზიდენტის საპირველაპრილო ხუმრობა იყო...

— **რომელ რაიონებში გეგმავს ნაციონალური მოძრაობა მორიგ საარჩევნო ტურნეებს?**

— ისეთ რაიონებში ვაპირებთ ჩასვლას, სადაც ექსცესები არ მოხდება, თუმცა... გარანტია არა გვაქვს, ვინაიდან ამ ექსცესებს შეგნებულად და ორგანიზებულად გვიწყობენ.

— **მიზანი?**

— მიზანი ერთადერთია — საღამოს დაღლილ-დაქანცული კაცი შინ რომ მივა, სავარძელში ჩაჯდება და ტელევიზორს ჩართავს, იმას უნდა დაანახონ — აი, სადაც სააკაშვილია, იქ ყოველთვის ჩხუბი და აყალ-მაყალიაო.

— **თუმცა, თქვენი „დამრბევები" ამით რეკლამასაც გიკეთებენ. გამოდის, რომ თქვენი რეკლამა მათ ინტერესში შედის?**

— ჩვენი რეკლამა მათ ინტერესში ნამდვილად არ შედის, მაგრამ არ იციან, როგორ გვებრძოლონ. ოპოზიციის ლანძღვა-გინება არც ერთ ქვეყანაში არ მუშაობს. ეს ხომ ძალიან მარტივია — გააჩეროს პოლიციამ შეიარაღებული ბანდები და ეს პიარიც მაშინვე შეწყდება.

— **იმასაც ამბობენ, რომ ამ შეხლა-შემოხლას თვითონვე უწყობთ საკუთარ თავს, რათა წამებულის და დევნილის მანტია მოისხათ...**

— მაშინ გამოდის, რომ ამაში პოლიციაც გვეხმარება! ეს ხომ ზღაპარია. პოლიციის გარეშე ამის გაკეთება, უბრალოდ, შეუძლებელია. ჩვენ თვითონ ხომ ვერ შემოვიყვანთ იმ შეიარაღებულ

მალე ჩემს მეუღლეს — სანდრას რუსეთის გენერლად გამოაცხადებენ

მე ვთხოვ ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილს, ჩვენს დასახვედრად მოემზადოს

ბანდებს? ამასაც იმიტომ იგონებენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას როგორმე ჩირქი მოსცხონ. ის კი არ გვინდა, რომ საღამოს ახალ ამბებში გამოაცხადონ — სააკაშვილი და მისი თანამზრახველები მორიგ ცემა-ტყეპაში აღმოჩნდნენო, ჩვენ გვინდა ის გადმოსცენ, რა ვუთხარით ხალხს. ეს კი არავის „აწყობს".

— **ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც მუშტი-კრივით გიმასპინძლდებიან?**

— ეს ისეთივე ჯგუფებია, როგორიც ერთ დროს „მხედრიონი" იყო. სამეგრელოში სწორედ „მხედრიონელები" გვარბევდნენ. შეიარაღებულ ბანდებს ამზადებენ ჩვენს წინააღმდეგ თელავში, რუსთავში და ა.შ. ქვემო ქართლის გუბერნატორმა პირდაპირ განაცხადა, რომ დააფინანსებს ორგანიზაციას, რომელშიც 10 ათასი ძველი მებრძოლი შევა. ეს გახლავთ იმის მცდელობა, რომ „მხედრიონი" კვლავ ააღორძინონ. შევარდნაძე კი ამ ყველაფერს ძალზე გულმოწყალედ უყურებს და ხელსაც უწყობს.

— **გამოდის, რომ შევარდნაძეს ისევ სჭირდება „მხედრიონი".**

— ჩემი აზრით, პრეზიდენტს უბრალოდ ბოლომდე არა აქვს გააზრებული, რა ცეცხლს ეთამაშება. ეს ძალიან საშიშია არა მარტო ქვეყნისთვის, არამედ თვით მისთვისაც.

— **ხომ არ ეჭვობთ, რომ შევარდნაძესა და ჯაბა იოსელიანს შორის ძველი „მეგობრული" ურთიერთობა ისევ აღდგება?**

— ჯაბა იოსელიანი ანგარიშგასაწევი ფიგურა უკვე აღარ არის, მისმა მატარებელმა დიდი ხანია, ჩაიარა. ამ შემთხვევაში თავად „მხედრიონია" საინტერესო ფენომენი. სხვათა შორის, ასეთივე ფორმირებები ჰყავდათ ცენტრალურ ამერიკაში, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ბევრ ქვეყანაში. ეს ის შემთხვევაა, როცა ხელისუფლება სიტუაციას ნაწილობრივ შეიარაღებული ფორმირებების მეშვეობით აკონტროლებს. ეს ბანდები სოლიდური ფულის სანაცვლოდ ქვეყნის მმართველი ოლიგარქების პოლიტიკურ შეკვეთებს ასრულებენ, ხოლო ნებისმიერი სახის ანგარიშსწორების, დარბევის თუ „აორთქლების" დროს პოლიტიკური პასუხისმგებლობის მომენტი თითქმის არ არსებობს. იტყვიან — რა ჩვენი ბრალია, პოლიციამ კი არ „გააქრო" ან ააფეთქა ვინმე, არამედ უკანონო გასამხედროებულმა ფორმირებამო. ასე რომ, ჩვენ დღევანდელ ხელისუფლებას ოპონენტებთან საბრძოლველად ჰაერივით სჭირდება მსგავსი ბანდიტური ჯგუფები.

— **შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება და ხელშეწყობა საკმაოდ დიდ თანხებს მოითხოვს.**

— მერე რა? მაინცდამაინც ძვირიც არ არის. მაგალითად, ჩვენი თითოეული დარბევა 5-დან 7 ათას დოლარამდე ჯდება. იმ ხალხს, რომელსაც ჩვენ ვუპირისპირდებით, ბევრად მეტი ფული აქვს. ეს თანხა მათთვის საერთოდ არაფერს წარმოადგენს. რაც შეეხება ბანდფორმირებებს, თითო მებრძოლის შენახვა მათ ყოველთვიურად სულ რაღაც 300-400 დოლარი დაუჯდებათ. მერწმუნეთ, ამაში ფულს დაუნანებლად დახარჯავენ. ჯერ ერთი, მათ ექნებათ მუდმივი შემოსავლის წყარო ოლიგარქებისგან და მეორეც, ისინი კვლავ გააგრძელებენ რეკეტირებას, რასაც დღემდე არ ღალატობენ.

მშვენივრად აქვთ აწყობილი კონტრაბანდა აფხაზებთან, პანკისშიც შესანიშნავად შეაქვთ და გამოაქვთ ნარკოტიკები. მათ არქმევენ რაღაც კეთილშობილურ სახელებს, „ასაღებენ" საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლ ადამიანებად, სინამდვილეში კი ჩამოყალიბებული კონტრაბანდისტები, ნარკომანები და რეკეტირები არიან. ნამდვილ პარტიზანებთან ამ ბანდიტებს საერთო არაფერი აქვთ. ეს ძველი მეთოდია. რა გგონიათ, რატომ დავკარგეთ გალი? იმიტომ, რომ 1998 წელს პარტიზანების მომარაგებაში ვითომ ათეულმილიონობით ლარი დაიხარჯა, სინამდვილეში კი ნამდვილ პარტიზანებს იქიდან ერთი თეთრიც არ მიუღიათ. სამაგიეროდ, ეს თანხა რამდენიმე ადამიანმა ჩაიჯიბა და კაცმა არ იცის, რაში დახარჯა. განა შეიძლება პარტიზანები ვუწოდოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ზუგდიდის ცენტრში ბრონირებული ჯიპით დაბრძანდებიან და ჯიხურების მეპატრონეებს აყაჩაღებენ? სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს ჩვენი უშიშროებისაც. ვალერი ხაბურძანია მომწონს, კარგი ახალგაზრდაა, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ მისი სამსახურის დიდი ნაწილი პირადად ჩემთან ბრძოლითაა დაკავებული. არ მინდა დავიჯერო, რომ ამ ყველაფერს ხაბურძანია ხელმძღვანელობს, მაგრამ მეც ვიყავი მინისტრი და ვიცი, როგორ აკონტროლებს ნებისმიერი მინისტრი თავის უწყებას. ჩემი მინისტრობის დროს ასეთ რამეს ვერავინ გაბედავდა, თუ, რა თქმა უნდა, მე თვითონ არ დავავალებდი.

— **ამბობენ, რომ სამეგრელოში შეიარაღებულები ჩახვედით...**

— როგორც კი რომელიმე ჩვენგანი ხელში იარაღს აიღებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხელისუფლება ამისგან მაშინვე უზარმაზარ სკანდალს შექმნის. გზაში ვანო მერაბიშვილი და კობა დავითაშვილიც კი გაჩხრიკეს, რაც კანონს ყოველნაირად ეწინააღმდეგება. ჩვენთან საბრძოლველად ხელისუფლება მეტად უცნაურ და საინტერესო მეთოდებს იყენებს. მარტო ის რად ღირს, რომ რუსეთის აგენტებად გვაცხადებენ. აქამდე 5 წელი ამერიკის აგენტები ვიყავით, ახლა კი უცებ რუსეთის აგენტები გავხდით. ალბათ მალე ჩემს მეუღლეს — სანდრას, რუსეთის გენერლად გამოაცხადებენ. პარადოქსი არ არის? თურმე ჩვენ რუსეთის აგენტები ვართ, ხოლო ცკ-ის მდივანი შევარდნაძე, რაიკომის მდივანი მეზვრიშვილი, გუბერნატორი მამალაძე და მისთანეები დასავლურ ღირებულებათა გამტარებლები. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? ხომ არ შეიძლება, ქართველი ერი აბსოლუტურ იდიოტად მიიჩნიო? სხვათა შორის, კომუნისტები რომ სულს ლაფავდნენ, ოპოზიციას ასეთივე ხერხებით ებრძოდნენ და ამერიკის აგენტობას აბრალებდნენ. დღეს უკვე რუსეთის აგენტობა შემოვიდა მოდაში.

— **მედიკო მეზვრიშვილმა ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა — სააკაშვილი ჩვენთანაც იმას მიიღებს, რაც სხვაგან მიიღოო. აპირებთ კახეთში ჩასვლას?**

— დიახ, აუცილებლად და მე ვთხოვ ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილს, ჩვენს დასახვედრად მოემზადოს. განსაკუთრებული სიამოვნებით ჩავალთ თელავში, სადაც ძალიან ბევრი მომხრე და მხარდამჭერები გვყავს. კიდევ ერთს გეტყვით თქვენც და მეზვრიშვილსაც — ჩვენ თელავში არჩევნების მოგებას ვაპირებთ. ბოლოს და ბოლოს, როდემდე შეიძლება, ერთი და იგივე რაიკომის მდივანი მართავდეს საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეს. ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი?

— **ამბობენ, რომ მოსკოვში აპირებდით გამგზავრებას, მაგრამ ვიზასთან დაკავშირებით პრობლემები შეგიქმნეს.**

— მე მგონი ეს რაღაც გაუგებრობა უფრო იყო, ვიდრე პროვოკაცია. საერთოდ, მე და ჩემს მეგობრებს (ზოგადად საქართველოსაც) რუსებთან ურთიერთობა უფრო გვიძნელდება, ვიდრე სხვებთან, მაგრამ იმედია, ეს დროებითია. თანაც, იმ პრობლემებთან შედარებით, რასაც რუსეთი კოდორში გვიქმნის, ეს არაფერია, დროა მათ ჩვენთან ურთიერთობის ფორმები შეცვალონ. ზარბაზნის ლულიდან ლაპარაკი უკვე აღარ გამოადგებათ.

— **საამისოდ საქართველოდანაც უნდა ხედავდნენ რაღაც ძალას და წინააღმდეგობას...**

— დიახ, უნდა შეიგნონ, რომ საქართველოში მათი მარიონეტი პოლიტიკოსები ველარ გაიმარჯვებენ. შეუძლიათ ასჯერ ჩაიყვანონ რუსეთში რჩეულიშვილი, ხუთასჯერ დაიბარონ ასლან აბაშიძე და თავზე ხელი გადაუსვან, მაგრამ ამით საქართველოში მეგობრებს ვერ გაიჩენენ. დღეს კოდორთან მიმართებაში შევარდნაძე მოქმედებს ზუსტად იმავე სცენარით, როგორითაც დაიკარგა გაგრა და სოხუმი. მე ვფიქრობ, ედუარდ შევარდნაძე თავის ქვეყანაში ეძებს არა სიძლიერეს, არამედ პირიქით — სისუსტეებს და ამ სისუსტეებზე მუშაობს. ერთ-ერთ ასეთ შეგნებულ სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ჯარი არ გვყავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პრეზიდენტმა ჯარი სპეციალურად არ შექმნა. დღეს იმის გარჩევის დრო ნამდვილად არ არის, კონკრეტულად ვინ რა დააშავა თუნდაც იმავე კოდორთან დაკავშირებით, მაგრამ მომავალში ამისი დრო აუცილებლად დადგება და ყველას პასუხი მოეკითხება.

ხათუნა ყვირალაშვილი

თუ პრეზიდენტი ჩვენს რეკომენდაციას არ გაითვალისწინებდა, მოვითხოვდი შევარდნაძის, როგორც კორუმპირებულ მოხელეთა მფარველის, იმპიჩმენტს

კანცელარიის თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის სამსახურის უფროსის გარშემო აგორებულ სკანდალს გასულ კვირას ხმაურიანი გაგრძელება მოჰყვა. ანტიკორუფციულ საბჭოში ბადრი ხატიძის ორსაათიანი დაკითხვის შემდეგ, „თორმეტკაცამ" პრეზიდენტს თხოვნით მიმართა, რათა განეხილა რეგიონალური პოლიტიკის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ყოფნის საკითხი. ამის თაობაზე პრეზიდენტსა და მთავარ ანტიკორუფციონერ მირიან გოგიაშვილს რამდენჯერმე კონსპირაციული საუბარი ჰქონდათ. კანცელარიიდან წამოსული ინფორმაციის თანახმად, გასულ კვირას ხატიძესაც ჰქონდა პრეზიდენტთან რამდენიმე აუდიენცია. მათი საუბრის თემა სხვადასხვა საკითხთან ერთად, ანტიკორუფციული საბჭოს ბრალდებებიც ყოფილა.

ანტიკორუფციული საბჭო ბადრი ხატიძეს ქონებრივი დეკლარაციის არასწორად შევსებას სდებს ბრალად. კანცელარიის რეგიონალური პოლიტიკის სამსახურის შეფს ქონებრივ დეკლარაციაში გასესხებული 50 ათასი დოლარის შეუტანლობის გამო ედავებიან. თავად ხატიძე ამ პროცესის მიღმა პოლიტიკურ მოტივებს ხედავს და ოპონენტების გააქტიურების მიზეზად კარს მომდგარ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ასახელებს.

სიმართლე რომ ითქვას, წინასაარჩევნოდ ხატიძე პრეზიდენტისთვის არცთუ უმნიშვნელო დანაკარგი იქნება. ზოგი მისი გაწირვის მიზეზს ეძებს და სულხან-საბასეულ შეგონებას იხსენებს, — ბუხართან (ანუ მეფესთან) არც ისე ახლოს უნდა იჯდე, რომ დაგწვას და არც ისე უნდა დაშორდე, რომ გაიყინოო. ასეთი ვარაუდით ხატიძეს ძალზე გაუგრძელდა შევარდნაძის კარზე ყოფნა. ჩვენს პრეზიდენტს ერთფეროვნება მალე სწყინდება. ბეზრდება კარგად ნაცნობი და შესწავლილი სახეები და, როგორც წესი, ასეთებს თავის შორიახლოს (საკონტროლო დისტანციაზე) მიუჩენს ხოლმე თბილ ადგილს.

მეუღლესთან ერთად

ხატიძის გარშემო ატეხილ აურზაურს საინტერესო ახსნა ედპ-ის ლიდერმაც მოუძებნა. სარიშვილის თქმით, — წინასაარჩევნოდ შევარდნაძე და ჟვანია გარიგდნენ და პრეზიდენტმა ხატიძის თავი ბუჩუკურის სანაცვლოდ უფეშქაშა ექსპარლამენტის თავმჯდომარესო.

გასაუბრება დაპირისპირებულ მხარეებთანაც ვცადეთ, მაგრამ ბადრი ხატიძე პრესასთან დუმილს ამჯობინებს (ალბათ, „დუმილი ოქროა"-ს პრინციპით). მისი ნათქვამი, — მე ჩემი სიმართლე მაქვს, ის ადამიანი არ ვარ, ვინმეს პოლიტიკური დევნა შევარჩინოო, საქმის არსის ასახსნელად და თუნდაც სიუჟეტური კვანძის გასახსნელად არ ივარგებს. მწირ კომენტარს იძლევა რეგიონალური პოლიტიკის სამსახურის იურისტიც, — „ქონებრივ დეკლარაციაში თანხის დაუფიქსირებლობა არის დანაშაული, მაგრამ ბ-ნი ხატიძის ბრალი ამაში დოკუმენტურად არ დასტურდება. დარღვევა შესაძლოა ჩადენილი იყოს განზრახ ან გაუფრთხილებლობით. ის, რომ ხატიძემ განგებ დამალა თავისი ქონება, ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. არ არსებობს ასევე ამ ქონების დამალვის მოტივიც. მან უბრალოდ არ იცოდა ის, რაც ვალდებული იყო, რომ სცოდნოდა. კერძოდ, მან არ იცოდა, რომ მისი საკუთარი დის მიერ გასესხებული ფულის თაობაზე შექმნილ დოკუმენტზე მისი მეუღლის ხელმოწერა იყო".

ბადრი ხატიძე თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას საქმით აპირებს. მასთან დაახლოებული პირები ამბობენ, — ბ-ნ ბადრის საკმაო საფუძველი აქვს, რომ პირიქით დასვას საკითხი და ცილისწამების გამო ბრალმდებლების დასჯა მოითხოვოსო...

თუმცა ცილისწამების გამო პასუხისგება ვერ აშინებს ხატიძის მთავარ ოპონენტ გივი თარგამაძეს (მით უმეტეს, რომ პარასკევს, დილით, ხატიძემ უკვე გადადგომაზე დაწერა განცხადება. — ი.რ.).

— ცილისწამების გამო ვერ გვიჩივლებენ, იმიტომ, რომ კანონის დარღვევას თავად ბატონი ბადრიც ადასტურებს. ჩვენი რეკომენდაცია არის ადმინისტრაციული აქტი და არა დოკუმენტი. ხატიძეს შეუძლია ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება. ადმინისტრაციულ აქტს, როგორც წესი, ხელს პრეზიდენტი აწერს და თუ ბ-ნი ხატიძე ადმინისტრაციული აქტის ავტორს, ანუ პრეზიდენტს უჩივლებს, სიამოვნებით დავესწრები ამ პროცესს და ძალიან კმაყოფილიც ვიქნები (იცინის).

— რატომ დაინტერესდით ბადრი ხატიძის ქონებრივი დეკლარაციით, რაიმე ეჭვი გქონდათ მასზე?

— ეჭვები ხატიძეზე კი არა, მთელ ხელისუფლებაზე არსებობს. მთელმა ქვეყანამ იცის მათი კორუმპირებულობის ხარისხი... მაინცდამაინც ხატიძე არავის ამოუღია მიზანში. უბრალოდ, გაჩნდა დოკუმენტები, რომელთაც დაგვაინტერესეს. პირმა, რომელიც დაპირისპირებულია ხატიძესთან, მას შემდეგ, რაც ამოწურა ყველა საშუალება, გადაწყვიტა საჯაროდ გამოეტანა თავისი პრობლემა. ლეილა ჭყოიძემ, ბადრი ხატიძის ძველმა მეგობარმა, ჩემთან მოიტანა ეს დოკუმენტები, რომელიც ანტიკორუფციულმა საბჭომაც სერიოზულ ფაქტებად მიიჩნია. კერძოდ, 1993 წელს ხატიძემ ლეილა ჭყოიძეს სთხოვა, დახმარებოდა თანხის სესხებაში... ჭყოიძემ სხვადასხვა პირისგან 12.500 დოლარი ისესხა. ხატიძე დაჰპირდა ჭყოიძეს, რომ ვალს ერთ თვეში დაუბრუნებდა, მაგრამ ეს ფული წლების მანძილზე არ დაბრუნებულა. მაშინდელი მაღალი საპროცენტო განაკვეთით (35-40%) ეს თანხა მალე 100 ათას დოლარს გასცდა. ჭყოიძემ ხატიძეს თანხის დაბრუნება მოსთხოვა. გაგუბერნატორების შემდეგ ხატიძე ყოველ კვირას 1000 დოლარს(!) უხდიდა ჭყოიძეს. ამ სახით დაიფარა 23.000 დოლარი, მაგრამ ამის შემდეგ ხატიძემ თანხის გადახდა შეწყვიტა. შესაბამისად, გაიზარდა ვალებიც.

ეჭვები ხატიძეზე კი არა, მთელ ხელისუფლებაზე არსებობს. მთელმა ქვეყანამ იცის მათი კორუმპირებულობის ხარისხი... მაინცდამაინც ხატიძე არავის ამოუღია მიზანში. უბრალოდ, გაჩნდა დოკუმენტები, რომელთაც დაგვაინტერესეს.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

სოხუმს კოდორი სვანების გარეშე სურს(!)

1992 წლიდან დაწყებული, კონფლიქტის ზონებთან დაკავშირებით ოფიციალურ თბილისს არაერთი სამშვიდობო ხელშეკრულება აქვს დადებული. საბოლოოდ, ყველა მათგანი საქართველოსთვის საზიანო გამოდგა.

გამონაკლისი არც 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებაა, რომელიც აფხაზეთში, კონფლიქტის ზონაში დაპირისპირებული მხარეების ურთიერთდაშორიშორებას ისახავდა მიზნად. მართალია, ამ ხელშეკრულების თანახმად ქართული მხარე იძულებულია, კოდორის ხეობიდან და მთლიანად აფხაზეთის ტერიტორიიდან (ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მკაფიოდაა დაფიქსირებული 8 წლის წინ ხელმოწერილ დოკუმენტში) გამოიყვანოს შეიარაღებული ძალების დანაყოფები, მაგრამ იქ არსად წერია, რომ ხეობა ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარმა შეიარაღებულმა ჯგუფებმაც უნდა დატოვონ.

არადა 25 აპრილის სოხუმის შეხვედრაზე სეპარატისტთა მხარემ ხელზე დაიხვია კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ემზარ კვიციანის ნათქვამი — ხეობის დასაცავად 950 შეიარაღებული ადგილობრივი მცხოვრები მყავსო.

„სანამ ზემო კოდორიდან არ გაიყვანთ „დევიატსოტ ს ჩემტა“ (რა იცოდნენ, რომ ის რაღაც „ს ჩემტა“ ნახევარი ასეული კაცია, — რედ.) შეიარაღებულს, არავითარ მოლაპარაკებას აზრი არა აქვს“, — დაუჟინიათ სეპარატისტთა ლიდერებს.

სეპარატისტები თითქოს მიხვდნენ, მარტოდენ ძალით ვერ გავტეხთ ზემო კოდორის დამცველთა სულსო და ხელშეკრულებაში ჩადებული შეფარული ნაღმის გამოყენება მოინდომეს.

სამწუხაროდ, სეპარატისტული მოძრაობები (გინდ ცხინვალში, გინდ სოხუმში) ოფიციალურ თბილისზე ბევრად მეტ სარგებელს ნახულობდნენ ამ ხელშეკრულებებში, რაც უპირველესად იმით იყო გამოწვეული, რომ ქართული მხარიდან ხელმომწერნი ან საერთოდ ვერ ერკვეოდნენ საკითხში, ანდა ბრმად ასრულებდნენ ზემოდან წამოსულ, ხშირად ქართული საქმის საზარალო ბრძანებებს.

ამ კერძო შემთხვევაში კი ქართულ მხარეს შეუძლია ბოლომდე დაიცვას თავისი ინტერესები, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებაში ლაპარაკი მხოლოდ რეგულარული საარმიო დანაყოფების გაყვანაზეა. ასეთად კი არც ადგილობრივი მცხოვრებლები მიიჩნევა და არც ხეობის მიმდებარე სახელმწიფო საზღვრის დამცველი 200-მდე მესაზღვრე.

წესით, ქართულ მხარეს სრული უფლება აქვს, ზემო კოდორში აღადგინოს ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაკომპლექტებული შინაგანი ჯარის ბატალიონი, რომელიც იქ 1998 წლამდე ფუნქციონირებდა და თავის მოვალეობას მეტნაკლებად ასრულებდა, არც 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებას არღვევდა და მის იქ ყოფნას ვერც სეპარატისტები ეწინააღმდეგებოდნენ.

შინაგანი ჯარის ამ ბატალიონის დაშლას კოდორის ხეობის ქართულ სოფლებში მიმდინარე შიდასამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამაც შეუწყო ხელი, რომელიც ერთგვარი გამოძახილია იმ უწყებრივი ურთიერთმიუღებლობისა, რაც თბილისში არსებობდა, მათ შორის, როგორც ამბობენ, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების თავკაცებს შორის — ყოველ მათგანს სურდა ზემო კოდორში თავისი გავლენა ჰქონოდა. მაშინ თავდაცვის სამინისტროს მაღალმა ეშელონებმა გაიმარჯვეს და შინაგანი ჯარის ის ბატალიონიც დაიშალა.

ამბობენ, არც თავდაცვის სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პირველ პირებს ელევათ დღეს მაინცდამაინც სული ერთმანეთისთვისო. სამწუხაროა, რადგან უწყებრივ დაპირისპირებას ხომ შესაძლოა კოდორის და მთლიანად საქართველოს ინტერესები შეეწიროს. ზემო კოდორი ყველას დასაცავია (ისევე, როგორც დროებით დაკარგული ქართული მიწების დაბრუნება) და საქმე ყველა ძალოვან სტრუქტურას ეყოფა.

P.S. 30 აპრილს ქართული არმია მორიგ იუბილეს აღნიშნავს, თუმცა განვლილ პერიოდში სრულყოფილი, რეალურად ბრძოლისუნარიანი ჯარის შექმნა სხვადასხვა ობიექტური და რაც მთავარია, სუბიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. ამ კვირაში მოსალოდნელია ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების პირველი, მცირერიცხოვანი ჯგუფის ჩამოსვლა. რამდენად შეძლებენ ამერიკელი სამხედროები ქართული არმიის ფეხზე დაყენებას, მომავალი გვიჩვენებს. ისე, თუ ჩვენვე არ მივხედეთ ჩვენს თავს და ჩვენს არმიას, ვერც ამერიკელი გვიშველის და ვერც მამაზეციერი.

სარაკეტო დარტყმა შეცდომით(?)

ზოგჯერ წინასწარ გათვლით, ზოგჯერ უნებლიეთაც

ყაზახეთის უნებლიე „სტუმარი“ — ფრთოსანი რაკეტა Х-22

პირდაპირ გასაკვირია, ხანდახან რა უმადურები არიან ქართველები — ბოლო სამი წლის განმავლობაში სულ ოთხჯერ დაგვბომბეს რუსულმა თვითმფრინავებმა და შვეულმფრენებმა და ერთი ალიაქოთი ავტეხეთ.

მივბაძოთ ყაზახებს — მათ მიწა-წყალს მეექვსეჯერ დაეცა რუსული რაკეტა. ისინი კი მოსკოვს მორალური ზარალისთვის ძალზე თავშეკავებულად მხოლოდ პატარა კომპენსაციას სთხოვენ და არც საერთაშორისო ისტერიკას ტეხენ...

ხუმრობა იქით იყოს და, 26 აპრილს ყაზახეთს ძალზე საშიში საჰაერო „სტუმარი“ ეწვია — ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის ახლოს აფეთქების გამაყრუებელი ხმა გაისმა. ადგილზე მისულებმა 39 მ დიამეტრისა და 3 მ სიღრმის ქვაბული აღმოაჩინეს, ნამსხვრევები კი 60 მ-ის რადიუსში იყო მიმოფანტული.

ყაზახეთის სპეცსამსახურებსა და სამხედროებს ეჭვი წუთითაც არ შეჰპარვიათ, რომ ყოველივე ეს რაკეტის ბრალი იყო. შემდგომში ნელ-ნელა გაირკვა, თურმე რაკეტაც არ გახლდათ ჩვეულებრივი — იგი „ჰაერი-მიწის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტების კლასს განეკუთვნებოდა და ყაზახეთისკენ გაუშვა შორეული მოქმედების Ту-22М3 ტიპის რუსულმა რაკეტმზიდ-ბომბდამშენმა სწორედ ისე, როგორც მათ ევალებოდათ წლების განმავლობაში, მუდმივი ვარჯიშის დროს, ოღონდ პოტენციური მოწინააღმდეგის — აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიმართულებით.

მაგრამ საამისო რა დააშავა ყაზახეთმა?

როგორც გაირკვა, არაფერი. უბრალოდ, იმ დღეს მოსკოვის ახლოს, შოიკოვკის აეროდრომიდან აფრენილ ოთხ Ту-22М3 ტიპის ზებგერით ბომბდამშენს სასწავლო სარაკეტო სროლები უნდა განეხორციელებინა ქ. აქტიუბინსკის მეზობელ პოლიგონზე. საბჭოთა პერიოდში ეს პოლიგონი მუდმივად გამოიყენებოდა საჰაერო სროლებისთვის, მაგრამ სსრკ-ის დაშლის შემდეგ პოლიგონის დიდი ნაწილი ყაზახეთის ტერიტორიაზე მოექცა. იგი იჯარით აქვს აღებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს. 26 აპრილს ოთხივე ბომბდამშენმა თითო-თითო ფრთოსანი რაკეტა გაისროლა. მათგან სამი მიზანს მოხვდა, მეოთხემ კი „აურია“ და ყაზახეთში „მოგზაურობა“ გადაწყვიტა.

როგორც რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა ირწმუნება, გზააბნეულ რაკეტას დისტანციურად თვითლიკვიდირების პროგრამა ჩავურთეთ, თუმცა ჰაერში აფეთქებული რაკეტის ნაწილებმა მაინც მიაღწია ყაზახეთის ტერიტორიას და საზღვრიდან 18 კმ-ში ჩამოცვივდაო. მათივე თქმით, რაკეტას საბრძოლო ქობინი არ ეყენა. ის, ვინც რაკეტის დაცემისას წარმოქმნილი 39 მ-იანი რადიუსის ღრმული ნახა, ვერ დაიჯერებს, რომ რაკეტა ჰაერშივე აფეთქეს და მიწაზე მხოლოდ ნამსხვრევები დაცვივდა. უფრო მეტიც — ღრმულის ფორმა იმაზე მიუთითებს, რომ რაკეტა მთელი დაეცა მიწაზე და საბრძოლო ქობინიც ეყენა.

ცოტა გაუგებარია თავად რაკეტის ნაირსახეობა, რადგან ინციდენტის პირველ დღეებში რუსეთის მხარე არ აკონკრეტებდა რაკეტის ტიპს. Ту-22М3 ტიპის ბომბდამშენებს ძირითადად შორი მოქმედების ორი ტიპის მართვადი რაკეტა მიაქვთ — ჰიპერბგერითი აერობალისტიკური Х-15 ან Х-22 ტიპის ფრთოსანი.

უფრო სავარაუდოა, რომ ყაზახეთის სტეპში Х-22 ტიპის ფრთოსანი რაკეტა ჩამოვარდა. საერთოდ, Ту-22М3-ს სამი ასეთი რაკეტის წაღება შეუძლია. ისინი თავიდანვე განკუთვნილი იყო ამერიკული ატომური ავიამზიდების ჩასაძირად და მსხვილი ქალაქების გასანადგურებლად, რისთვისაც ამ ფრთოსანი რაკეტის ქობინი ბირთვული მუხტით არის აღჭურვილი. 5,7-ტონიანი Х-22 300-400 კმ-ზე მიფრინავდა და მიზანში მოხვედრას საბორტო რადიოლოკაციური სადგური უზრუნველყოფდა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს რუსეთის მიერ ყაზახეთის უნებლიეთ „დაბომბვის“ მეექვსე შემთხვევა გახლდათ. ორიოდე წლის წინ ყაზახეთის ერთ-ერთ სოფელში რაკეტა-სამიზნე Стриж-ი ჩამოვარდა, რის შესახებაც „კვირის პალიტრა“ თავის დროზე დაწვრილებით წერდა.

არანაკლებ ძლიერი საჰაერო დარტყმა რუსეთისგან ორი წლის წინ აზერბაიჯანმაც იწვნია — მის ტერიტორიაზე ჩრდილო-კავკასიიდან გამოსროლილი ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა Скад-ი დაეცა. მოსკოვმა მორცხვად აღიარა — რაკეტა ჩეჩნეთს ასცდა და იმიტომაც მოხვდა აზერბაიჯანშიო.

აცილებებში რუსეთს ტოლს არც უკრაინა უდებს — ჯერ იყო და უკრაინელმა სამხედროებმა ტაქტიკური ბალისტიკური რაკეტა Точка-У პოლიგონს გადააცილეს და საცხოვრებელ სახლს მოარტყეს. ახლახან კი უკრაინულმა საზენიტო რაკეტამ С-200-მა შავი ზღვის თავზე შეცდომით ჩამოაგდო რუსული სამგზავრო თვითმფრინავი. ამით უკრაინელებმა რუსებს ერთგვარად ანგარიში „გაუსწორეს“, რადგან სამი წლის წინ რუსული სანაპირო დაცვის ხომალდსაწინააღმდეგო Термит-მა უკრაინული სავაჭრო გემი დააზიანა.

როგორც ხედავთ, შეცდომები, მათ შორის ტრაგიკული ხასიათის, არც ისე იშვიათად ხდება სამხედრო სწავლებების დროს (გავიხსენოთ თუნდაც ერთ-ერთი დიდი სწავლების რეპეტიცია ყულევში, როცა ქართული კატარღიდან გაშვებულმა ქვემეხის ავტომატურმა ჯერმა თავზე გადაუარა მაშინდელ გენერალიტეტს, მინისტრ ვარდიკო ნადიბაიძის მეთაურობით და ერთი ჯარისკაცი დაჭრა).

სამხედროებს მეტი ყურადღება მართებს საბრძოლო სწავლების ორგანიზებისას, განსაკუთრებით კი მართვადი იარაღის გამოყენების დროს, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში (ყულევის გარდა), სახიფათო ინციდენტებს სწორედ მართვადი იარაღის კორექტირების სისტემის მწყობრიდან გამოყვანა იწვევდა.

საბედნიეროდ, ქართულ არმიას ყოველივე ეს ნაკლებად ემუქრება, რადგან მართვადი იარაღის სახეობები სამწუხაროდ თითქმის არ გაგვაჩნია.

„სკორპიონი“ ქართული ავიაციის რეალური სიძლიერე...

„სკორპიონს“ დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში შეუძლია უზუსტესი საჰაერო დარტყმის მიყენება, თვით ნისლიან ხეობებშიც კი...

ათი წელი არც ისე ბევრია სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში, თუმცა საკმაო დროა ამა თუ იმ კოლექტივისთვის. სწორედ ათი წლის წინ, ამ სტატიის ავტორმა, რომელიც სრულიად შემთხვევით მოხვდა ჟურნალისტიკაში, კოლეგასთან ერთად დაწერილი თავისი პირველი სტატია თბილისის 31-ე საავიაციო ქარხნის ცხოვრებასა და მის მომავალს მიუძღვნა.

ბევრი მაშინდელი ჩანაფიქრი არ გამართლდა, ბევრი რამ სხვანაირად წარიმართა, თავად ქარხანა ჯერ შპს-დ გარდაიქმნა, ხოლო ამ ცოტა ხნის წინ სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენად“ გადაკეთდა. ამ ათი წლის განმავლობაში არავის დაუკარგავს იმედი, რომ ეს ქარხანა ქართული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის (რომელიც, თავის მხრივ, სამწუხაროდ, დღემდე ეფექტიანად ვერ ამუშავდა) მთავარ რგოლად იქცეოდა (ამის ნიშნებიც არსებობდა — ქარხანაში წარმოებული მოიერიშე თვითმფრინავები და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები აქტიურად გამოიყენებოდა აფხაზეთის ომში), მაგრამ სხვადასხვა — ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ასე არ მოხდა. ამაში უარყოფითი როლი იმანაც ითამაშა, რომ ქარხანა მთლიანად სახელმწიფო საკუთრება გახლდათ, ჩვენი სახელისუფლო სტრუქტურები კი, ქართული ავიაციის მრისხანე მოიერიშეებით აღჭურვაზე მეტად საკუთარ ავტოფარეხებში კერძო ლიმუზინების ყოლაზე ზრუნავენ.

საავიაციო ქარხნის სააქციო საზოგადოებად გადაკეთება, ერთი მხრივ, მის კოლექტივს საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად განახორციელოს მომგებიანი საერთაშორისო გარიგებები და შეკვეთები (ცნობილი უცხოელი ავიასამრეწველო ფირმები კერძო კომპანიებთან უფრო ხალისით დებენ გარიგებებს, ვიდრე სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ ობიექტებთან), თუმცა, სხვა მხრივ, აქციების 100%-იანი მფლობელი ჯერჯერობით კვლავ სახელმწიფო რჩება.

— სანამ არ ჩატარდება ქარხნის პრივატიზაციის გამჭვირვალე პროცესი და აქციების დიდი ნაწილი არ გადაინაცვლებს ქარხნის მუშამოსამსახურეების, სამეთვალყურეო საბჭოსა და უცხოელი პარტნიორების ხელში, მანამდე ქარხნის აღორძინებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. ჩვენ დღემდე რამდენიმე სერიოზულ დასავლელ პარტნიორთან (მათ შორის „ბოინგთანაც“) იმიტომ ვერ ავაწყვეთ სრულფასოვანი ორმხრივი თანამშრომლობა, რომ მათ არ სურთ საქმის დაჭერა მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ ობიექტთან. ზოგი გვსაყვედურობს, — რატომ გეჩქარებათ ქარხნის პრივატიზებაო. გვეჩქარება კი არა, უკვე დაგვაგვიანდა. ჩვენ მაღაროები არა ვართ, სადაც შეიძლება დააკონსერვო წარმოება და სასურველი ინვესტორის გამოჩენის შემდეგ დაუბრკოლებლად განაახლო. საავიაციო წარმოების მცირე ხნით შეჩერებაც კი მთლიანად ამ დარგს კლავს საქართველოში, არადა ავიამშენებლობით მთელ მსოფლიოში მხოლოდ ორ ათეულამდე ქვეყანა თუ დაიკვეხნის. განვლილი ათი წლის განმავლობაში ისედაც ბევრი მაღალკვალიფიციური კადრი წავიდა ქარხნიდან. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, — აცხადებს სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ვაჟა თორდია.

ქარხნის გეგმები მარტო საქვეყნოდ ცნობილ Су-25 მოიერიშეს როდი უკავშირდება. „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი ბატონი ნოდარ ბერიძე ფიქრობს, რომ მომავალში ქარხანა განახორციელებს Су-25 ტიპის მოიერიშეების რემონტსა და მოდერნიზებას, თუმცა აქცენტი ბიზნესკლასის პატარა თვითმფრინავებისა და, უპირველესად, შვეულმფრენების აწყობაზე გაკეთდება, რადგან ამ ტიპის საფრენი აპარატები ძალზე პერსპექტიულია კავკასიის რეგიონში ფართოდ გამოსაყენებლად. გარდა ამისა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები საბჭოთა შვეულმფრენების სარემონტო ცენტრის შესაქმნელად, სადაც კაპიტალურად გაარემონტებენ ჩვენს რეგიონში მფრენ ამ ტიპის მანქანებს. გაგრძელდება ქარხნისა და მთელი ქვეყნისთვის ძალზე მომგებიანი მინი-ჰესების წარმოება. მესაზღვრეებმა უკვე შეგვიკვეთეს სასაზღვრო საგუშაგოებთან დასადგმელად 56 მინი-ჰესის დამზადება.

ჩანს, იმედი, რომ ავიამშენებლობის დარგი საქართველოში არ დაიღუპება, კვლავ რჩება. ჩვენს სამხედრო რუბრიკას კი უფრო ის აინტერესებს (ისევე, როგორც ბევრ მკითხველს), როდის გამოჩნდება ქართული სამხედრო ავიაციის შემადგენლობაში თანამედროვე „სკორპიონი“, რომელსაც არც კოდორის ხეობაში ჩამოწოლილი ნისლი შეაშინებს და არც უკუნი სიბნელე მოწინააღმდეგის ობიექტებზე უზუსტესი საჰაერო „წერტილოვანი“ დარტყმის განსახორციელებლად.

„თბილავიამშენის“ ახალდანიშნული მთავარი კონსტრუქტორის ბატონ თამაზ ჯორბენაძის (29 წლის ახალგაზრდა კაცის ამ პასუხისმგებელ თანამდებობაზე დანიშვნა შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ მას აქვს ქარხანაში მუშაობის 9 წლის სტაჟი და, რაც მთავარია, ამერიკულ „ბოინგსა“ და ებრაულ „ელბიტში“ სტაჟირების საკმაო გამოცდილება) თქმით, ამჟამად მიმდინარეობს „სკორპიონის“ შეიარაღების მართვის სისტემის შექმნა-დახვეწა. ამ სისტემის გამოყენებით მალე პოლიგონზე ჩამოვყრით უმართავ ბომბებს. იმედი გვაქვს, რომ იგი მიზანში მოხვდება 10 მ რადიუსის სიზუსტით. ეს საუკეთესო შედეგი იქნება და თავისი ეფექტურობით დაუახლოვდება მართვადი, ოღონდ ბევრად უფრო ძვირი ბომბების მოხვედრის სიზუსტეს.

არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში დაიწყოს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი რამდენიმე (რიცხვს არ დავაკონკრეტებთ) Су-25 მოიერიშის „სკორპიონის“ პროგრამით მოდერნიზების პროცესი. ეს ორმაგად მომგებიანი იქნება — ჯერ ერთი, ქართულ საბრძოლო ავიაციას მიეცემა საშუალება, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, მათ შორის კრიზისულ სიტუაციაშიც, შეასრულოს ოპერატიული საბრძოლო ამოცანა და მეორეც, როდესაც იმ ქვეყნების სამხედროები, რომელთა შეიარაღებაშიც არის Су-25 მოიერიშეები, ნახავენ „სკორპიონებს“ ქართულ ავიაციაში, თვითონაც მოისურვებენ თავისი თვითმფრინავების „სკორპიონის“ დონეზე მოდერნიზებას. ეს კი საკმაო თანხაა არა მარტო „თბილავიამშენისთვის“, არამედ მთლიანად საქართველოს ბიუჯეტისთვის.

P.S. სარწმუნო წყაროების ინფორმაციით, Су-25 მოიერიშეების არც ისე მცირე პარტია (მათ რაოდენობასა და შეძენის მსურველ ქვეყნებს კომერციული საიდუმლოების დაცვის გამო ჯერჯერობით ვერ გავამხელთ) მალე სხვა კონტინენტზეც გამოჩნდება.

კასპიის ნავთობი მეზობლებს ერთმანეთს წაჰკიდებს

პრეზიდენტი პუტინი კასპიის ზღვაში სამხედრო ფლოტილიას აძლიერებს

აშხაბადის სამიტის სტუმრებმა თავის ქვეყნებში დაბრუნება ვერ მოასწრეს, რომ პრეზიდენტმა პუტინმა ბრძანება გასცა კასპიის ზღვაში რუსეთის სამხედრო ფლოტილიის გაძლიერებისა და საჩვენებელი სამხედრო-საზღვაო სწავლების ჩატარების შესახებ.

აშხაბადში კასპიის ზღვის სანაპირო ქვეყნების — რუსეთის, აზერბაიჯანის, ირანის, თურქმენეთისა და ყაზახეთის მეთაურები შეხვდნენ, რომლებსაც კასპიის ნავთობის მოპოვების შემდგომი პროცესის წვრილმანები უნდა დაედგინათ. თუმცა შეხვედრამ ნაყოფი ვერ გამოიღო — მხარეები ვერ შეთანხმდნენ კასპიის ნავთობის გაყოფაზე და თავის ქვეყნებს მიაშურეს.

პრეზიდენტმა პუტინმა კი გზად ასტრახანში შეიარა, რუსეთის კასპიის ზღვის ფლოტილიის შტაბი და სამხედრო-საზღვაო ხომალდების ნავსაყუდელი მოინახულა. საშტაბო კატარღაზე რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება დიდი დიპლომატიურობით არ გამოირჩეოდა, — აშხაბადში ძალზე სუსტი მომლაპარაკეებლები შეგვხვდნენ, თუმცა ეს მათი პრობლემაა. მოვითხოვ, გაძლიერდეს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალები კასპიის ზღვის ჩრდილო და ცენტრალურ ნაწილებში, რისთვისაც წელს, ზაფხულში უნდა ჩატარდეს მსხვილმასშტაბიანი შეკრება-ლაშქრობა კასპიის სამხედრო-საზღვაო ფლოტილიის, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის, ფედერალური სასაზღვრო სამსახურისა და ავიაციისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მე-4 არმიის ძალების მონაწილეობითო, — და დაამატა, — ჩვენ უკვე იმდენი დავთმეთ, რომ დასათმობი აღარაფერი დაგვრჩაო.

ადვილი მისახვედრია, რამ გაანერვიულა ასე რუსეთის პრეზიდენტი. სამხედრო ექსპერტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ 5-10 წელიწადში კასპიის საზღვაო აკვატორიაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ირანის გავლენა და მისი სამხედრო-საზღვაო ძალები გადააჭარბებენ რუსეთისას.

***ჩვენი დოსიე:* საბჭოთა კავშირის კასპიის ზღვის ფლოტი არც ისე ხელწამოსაკრავ ძალას წარმოადგენდა. მის შემადგენლობაში სარაკეტო ფრეგატებთან ერთად ირიცხებოდა სატორპედო კატარღები, გამნაღმველები, სადესანტო ხომალდები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფლოტილიის ძალიან დიდი ნაწილი აზერბაიჯანის ხელში აღმოჩნდა (თუკი პარალელს გავავლებთ, ძალზე საინტერესოა, რა დაგვრჩა ფოთში შავი ზღვის ფლოტიდან), არანაკლებ 34 მცურავი საშუალება. თურქმენეთი და ყაზახეთი პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ, რადგან დანარჩენი რუსეთის ფედერაციამ დაიტოვა ასტრახანში. ამჟამად მათ განკარგულებაშია 2 სარაკეტო ფრეგატი, 12 საპატრულო და სანაპირო დაცვის კატარღა, 18 გამნაღმველი გემი, 12 სადესანტო მცურავი საშუალება. თუმცა რუსეთის კასპიის ზღვის ფლოტილიაში ჯერ კიდევ დაცურავენ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ჯავშნიანი მცირე კატარღებიც.**

უმთავრესი დამრტყმელი ძალა რუსეთის კასპიის ზღვის ფლოტილიაში არის 206V პროექტის სარაკეტო კატარღები (სწორედ ქართული სამხედრო ფლოტის ფლაგმანის „თბილისის" მსგავსი). მათ 80 კმ-ის მანძილიდან შეუძლიათ მოწინააღმდეგის გემის ჩაძირვა „ტერმიტის" ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტით.

როდესაც მეზობელი ნებით არ თმობს, იგი უნდა დააშინო — სწორედ ამ პრინციპით აპირებს პრეზიდენტი პუტინი მოქმედებას, რათა რუსეთმა მომავალში არ დაკარგოს კასპიის ზღვის შელფში არსებული ნავთობის უზარმაზარი მარაგის ლომის წილი.

ოფიციალურ მოსკოვს მიაჩნია, რომ კასპიის ზღვის აკვატორიაში რუსეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ძალისმიერი მოქმედება შემდეგი სამი მიმართულებით — საზღვაო ანტიტერორისტული ოპერაცია, რადგან ავღანეთი მაინცდამაინც შორს არ არის ამ რეგიონიდან; ნარკოტიკების ტრაფიკის გადაკეტვა, რადგან კრემლში მიაჩნიათ, რომ სწორედ კასპიის ზღვის გავლით ხვდება ნარკოტიკების დიდი პარტიები ავღანეთიდან ჯერ რუსეთში და შემდეგ მთელ ევროპაში და ბოლოს, საზღვაო კონტროლი ბიოტერორიზმის — ზუთხის ბრაკონიერობის მთლიანად აღსაკვეთად.

კრემლს საბანკეტო დარბაზებში საუკეთესო ხარისხის ხიზილალის გამოლევაზე მეტად კასპიის ნავთობის უზარმაზარი მარაგის შემდგომ განაწილება აღელვებს. თუკი თურქმენეთში მოპოვებული ნავთობი აზერბაიჯანი-საქართველოს და თურქეთის გავლით გავა დასავლეთში, რუსეთი, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, წაგებული დარჩება.

ძნელი სათქმელია, მივა თუ არა საქმე კასპიის ზღვის სანაპირო მეზობელი ქვეყნების აშკარა დაპირისპირებამდე, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს ამ ზღვის აკვატორიაში — ცოტა ხნის წინ რუსეთის კასპიის ზღვის ფლოტილიის შემადგენლობაში შევიდა გამნაღმველი „გაჯიევი", ხოლო ერთ წელიწადში მას მიემატება თანამედროვე სარაკეტო ფრეგატი „თათარსტანი". რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ზეწოლას პირველ რიგში იგრძნობს აზერბაიჯანი და ალბათ თურქმენეთიც. არ არის გამორიცხული, რომ თეირანმა მოსკოვს დაუჭიროს მხარი, რადგან გასულ წლებში ირანს გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა აზერბაიჯანის მიმართ და საზღვაო საზღვარზე საქმე შეიარაღებულ ინციდენტამდეც კი მივიდა.

სანამ უმთავრეს ენერგეტიკულ წყაროდ რჩება ნავთობი, მის მარაგთა ხელში ჩასაგდებად ბრძოლა მსოფლიოში არ შეწყდება.

რადუევი, ბარაევი, ხატაბი... ვისი ჯერია — ბასაევისა თუ გელაევის?!

რუსული სპეცსამსახურები ნელ-ნელა ანადგურებენ ცნობილ საველე მეთაურებს

რუსეთის მასმედიაში პირველად 25 აპრილს გამოჩნდა ინფორმაცია — ცნობილი არაბი ტერორისტი ხატაბი ჩეჩნეთში მოკლესო. რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ იასტრჟემბსკიმ მკაფიოდ აღნიშნა, — ეს ცნობა ნამდვილია და რუსული სპეცსამსახურები მალე ყველა დამადასტურებელ საბუთს წარუდგენენ საზოგადოებასო.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ხატაბის „გაქრობის" შესახებ ხმები ჩეჩნეთში ჯერ კიდევ 11 აპრილს გავრცელდა, თუმცა ორი კვირა რუსეთის ხელისუფლება თავს იკავებდა მისი საქვეყნოდ გავრცელებისგან. შეიძლება იმიტომაც, რომ მოსკოვის მიერ არაერთხელ სიტყვიერად „განადგურებული" რადუევი თუ ბასაევი შემდეგ უცხოეთის ტელეეკრანებზე გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

მაგრამ ეტყობა, ხატაბის ლიკვიდაცია ამჯერად სიმართლეს შეესაბამება. მარტის ბოლოს რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა — ФСБ-მ მავანი არაბი ტერორისტის ხელით, რომელიც მანამდე დსთ-ის ერთ-ერთი ქვეყნის სპეცსამსახურს გადაუბირებია და შემდეგ თავისი რუსი კოლეგებისთვის გადაუცია გაანადგურა იორდანიელი ხატაბი.

ემირ იბნ ალ-ხატაბი, იგივე „ცალხელა ახმედი", იგივე „შავი არაბი" — რუსი ფედერალების ერთ-ერთი უპირველესი მტერი იყო. 1995 წელს, იარიშ-მარდისთან რუსი სამხედროების ავტოკოლონის პირწმინდად განადგურების შემდეგ, ხატაბი კრემლის მოსისხლე მტრად იქცა. მასზე გამოცხადებული იყო „ნადირობა". თუმცა ხატაბმა და მის მიერ წაქეზებულმა შამილ ბასაევმა კრემლს და პირადად ვლადიმირ პუტინს ერთი კარგი საქმეც გაუკეთეს — მათ მიერ წამოწყებული საბრძოლო ოპერაცია დაღესტნის მიმართულებით ჩაფლავდა, თუმცა მოსკოვს მშვენიერი საბაბი მისცა ჩეჩნეთის მეორე ომის დასაწყებად.

სწორედ ამიტომაც ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი ძალიან კრიტიკულად უყურებდა ხატაბ-ბასაევის დუეტს და მათ სურვილს — „გაეთავისუფლებინათ" დაღესტანი — ავანტიურას უწოდებდა (სწორედ ეს აზრი გამოთქვა პრეზიდენტმა მასხადოვმა ამ სტატიის ავტორთან პირად საუბარში).

ხატაბს საბრძოლო მოქმედებების თითქმის 18-წლიანი გამოცდილება ჰქონდა. იგი ებრძოდა ავღანეთში საბჭოთა არმიას, მონაწილეობდა ერაყში, ამერიკელების წინააღმდეგ ოპერაციაში „უდაბნოს ქარიშხალი", აფეთქებდა ებრაელებს ისრაელში, იყო პაკისტანში ავღანელი მოჯაჰედებისა და თალიბების მოსამზადებელი ბანაკების ინსტრუქტორი, ბოლოს თავი ამოყო ჩეჩნეთში. ამბობენ, თავის დროზე ჩეჩნეთში 500-კაციანი რაზმის შეგროვებას აპირებდა კოსოვოელი ალბანელების დასახმარებლადო.

ბოლო წამოწყება მას არ გამოუვიდა, თუმცა ჩეჩნეთის ომში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. მის ირგვლივ თავი მოიყარეს ჩეჩნეთში მებრძოლმა უცხოელმა დაქირავებულმა მებრძოლებმა.

ჩეჩნეთის პირველი ომის დროიდან ხატაბი, რომელიც თავადაც საკმაოდ მდიდარი გახლდათ, სავარაუდოდ, ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნების სპეცსამსახურების დაფინანსებით ცდილობდა, ვაჰაბიზმის იდეები არა მარტო ჩეჩნეთში, არამედ მთელ ჩრდილო კავკასიაში გაევრცელებინა. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ხატაბს და მის „უფროსობას" სამხრეთ კავკასიაზე, კერძოდ კი პანკისის ხეობაზეც ეჭირათ თვალი. ამაზე მეტყველებს ბოლო წლებში პანკისის ხეობაში მომრავლებული ვაჰაბიზმის მიმდევრები და მათი მტრული განწყობილება დანარჩენის, მათ შორის ერთმორწმუნე ქისტი მუსლიმანების მიმართ,

რომელთა უმრავლესობა აგრესიული ისლამის წინააღმდეგი იყო.

თავდაპირველად, შამილ ბასაევი ხატაბის იდეებსა და საქმიანობას საკმაოდ კრიტიკულად უყურებდა. ისინი დაახლოვდნენ 1997-98 წლებში, რაც, შესაძლოა განაპირობა იმ დიდმა ფულმაც, რომელმაც ხატაბის ხელიდან ბასაევამდე მიაღწია.

ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ შექმნილმა ორგანიზაციამ, „ჯაამათ ისლამმა", რომელშიც უცხოელი დაქირავებულები იყვნენ გაერთიანებულნი, ათასობით ჩეჩენი და სხვა ეროვნების პიროვნება მოამზადა პარტიზანული ბრძოლისა და დივერსიული ოპერაციების ჩატარებისთვის. ამისათვის შექმნილი იყო ბანაკი „საიდ იბნ აბუ ვაკასი", რომელიც დაბინავებული იყო ყოფილ პიონერთა ბანაკში.

მოსკოვს არც ეეჭვებოდა, რომ სწორედ ხატაბის ბრძანებით ააფეთქეს საცხოვრებელი სახლები რუსეთის რამდენიმე ქალაქში.

ასეა თუ ისე, ხატაბი უკვე ლიკვიდირებულია — ამას ირწმუნებიან რუსეთის სპეცსამსახურები და პირველ საბუთად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ მარტის ბოლოდან რადიოეთერში აღარავის გაუგონია მისი მოსახმობი შიფრი.

თუმცა ეს ხომ არ ნიშნავს საწინააღმდეგოს — ხატაბი ტოვებს ჩეჩნეთს და ხელს აძლევს, მოკლულად მიიჩნიონ და როგორც ცნობილი საერთაშორისო ტერორისტი, მთელ მსოფლიოში არ ეძებონ, მათ შორის ამერიკელებმაც.

მალე გამოჩნდება, ხატაბი რუსეთის სპეცსამსახურებმა მოიშორეს თუ არა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი კი ის უფროა, რომ ეს უკანასკნელები მალე ნამდვილ ნადირობას დაიწყებენ პანკისის ხეობასა თუ საქართველოს სხვა რეგიონში თავშეფარებულ ცნობილ ჩეჩენ საველე მეთაურებზეც, მათ შორის რუსლან გელაევზეც.

P.S. გავრცელებულ ვიდეოფირზე ხატაბის ნეშტს ძალისმიერი სიკვდილის ნიშნები არ ეტყობა, სავარაუდოდ, იგი მოწამლეს.

არსენალი

„რევოლვერი", რომელიც ჯავშანტრანსპორტიორს აფეთქებს

მცირე საბრძოლო მოქმედებების დროს მძიმე ტექნიკა თავის უპირატესობას ბოლომდე ვერ იყენებს, მით უმეტეს, თუკი ბრძოლა ტყით დაფარულ მთაგორიან რელიეფზე ანდა ქალაქის ქუჩებში მიმდინარეობს.

ამ დროს უფრო მოსახერხებელია რეაქტიული ყუმბარსატყორცნები და პატარა ნაღმსატყორცნები, თუმცა მათაც გააჩნიათ ნაკლი. ნაღმსატყორცნით 200-250 მ-ზე უფრო ახლოს სროლა ჭირს, ხოლო რეაქტიული ყუმბარსატყორცნიდან რაკეტის გასროლისას წარმოიქმნება დამახასიათებელი კვამლი, რომელიც დემასკირებას უკეთებს მსროლელის პოზიციას. ამასთან, უსაფრთხოების მიზნით, შენობიდან რეაქტიული ჭურვის გასროლა მიზანშეუწონელია, რადგან მისი რაკეტული ძრავა (ან გამომგდები მუხტი) გასროლისას წარმოქმნის მაღალი ტემპერატურისა და წნევის აირის ნაკადს, რომელიც „აირეკლება" ოთახის კედლიდან და მსროლელსვე აზიანებს.

შედარებით უკეთესი გამოსავალია ავტომატის ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნის გამოყენება; მასაც აქვს ნაკლი — დაბალი სწრაფსროლა. ყოველი გასროლის შემდეგ ეს ყუმბარსატყორცნი მსროლელმა ხელახლა უნდა დატენოს, მოწინააღმდეგე კი ამ პროცესს არ დაუცდის.

ბოლო ხანს ჩეჩნეთის ომში რუსეთის ფედერალურმა ძალებმა დაიწყეს უცნაური იარაღის გამოყენება, რომელიც ერთი შეხედვით უზარმაზარ რევოლვერს მოგაგონებთ. იგი მებრძოლს ორი ხელით უკავია და ისე ისვრის. ეს იარაღი მართლაც რევოლვერის სისტემითაა შექმნილი, ოღონდ ტყვიების მაგივრად 40 მმ კალიბრის ყუმბარებს ისვრის.

ყუმბარსატყორცნი-რევოლვერის შექმნის იდეა რუსეთში არ დაბადებულა. 1934 წელს კონსტრუქტორმა ჩარლზ მენვილმა შექმნა რევოლვერის ტიპის იარაღი, რომელშიც 12 კალიბრის ცრემლსადენი გაზით გავსებული ვაზნები თავსდებოდა და პოლიციელების მოსახმარად იყო განკუთვნილი. ამ უკანასკნელთ შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში მომიტინგეთა დაშლა.

რაღაცაზე თუ ვიღაცაზე გაბრაზებულმა კონსტრუქტორმა 1943 წელს ცეცხლს მისცა თავისი იარაღის ყველა ნახაზი და ეს რევოლვერი ყველამ დიდი ხნით დაივიწყა.

1981 წელს მსოფლიო კინოთეატრები „დაიპყრო" ფრედერიკ ფორსაიტის მძაფრსიუჟეტიანმა ფილმმა „ომის ძაღლები", სადაც, როგორც სუპერიარაღი, ნაჩვენები იქნა მენვილის ყუმბარსატყორცნის

რუსული ყუმბარსატყორცნი-რევოლვერი 6Г-30 და მისი ყუმბარები

ერთ-ერთი მოდიფიკაცია. ძნელი სათქმელია, ამ ფილმმა გაუწია დიდი რეკლამა რევოლვერული ტიპის ყუმბარსატყორცნებს, თუ სხვა მიზეზი იყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არმიის შეიარაღებაში მიღებული იქნა 40 მმ კალიბრის ექვსყუმბარიანი ყუმბარსატყორცნი MGL Mark I. მას 31 სმ სიგრძის ლულა და დასაკეცი კონდახი ჰქონდა და ყუმბარების გარეშე 5,3 კგ-ს იწონიდა. მის დასატენად საჭირო იყო რევოლვერის დოლურის გადახსნა და ექვსი ყუმბარის ჩაწყობა. თითოეული გასროლის შემდეგ დოლურა თავად დატრიალდებოდა და ლულის საპირისპიროდ ახალი ყუმბარა აღმოჩნდებოდა.

სამხრეთაფრიკელ სამხედროებს პარტიზანული ბრძოლების დიდი გამოცდილება დაუგროვდათ და ამიტომაც ეფექტიანად დაიწყეს რევოლვერული ყუმბარსატყორცნის გამოყენება. აღმოჩნდა, რომ ახალი ტიპის იარაღი ბევრად უკეთესი იყო 400 მ-მდე დისტანციაზე საბრძოლველად, სადაც იგი თავის ადგილს იკავებდა ხელყუმბარებსა (მათი ხელით ტყორცნა მებრძოლს 30-40 მ-მდე თუ შეუძლია) და 60 მმ კალიბრის მსუბუქ ნაღმსატყორცნებს (მათი სროლის მინიმალური მანძილი 300 მ-იდან იწყება) შორის.

ჩეჩენ პარტიზანებთან მებრძოლმა რუსმა სამხედროებმა მალე იგრძნეს საშუალო სიშორის ეფექტური იარაღის ნაკლებობა, განსაკუთრებით გროზნოს ქუჩებში შეტაკებებისას.

რეაქტიული და ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნების დაბალი სწრაფსროლა, მათი ხშირი ხელახალი დატენვის გამო, საკმაოდ წამგებიანი იყო ქუჩის ახლო ბრძოლებში. ერთჯერადი ყუმბარსატყორცნები („მუხა", „ნეტო", „აგლენი") თითქოს ამ პრობლემას ხსნიდნენ (ისროლე, გადააგდე და ახალი მოიმარჯვე), მაგრამ დიდი ხარჯის ფასად.

ეტყობა, ამიტომაც რუსმა კონსტრუქტორებმა გამოიყენეს სამხრეთაფრიკელი კონსტრუქტორების გამოცდილება და შექმნეს რევოლვერული ტიპის ყუმბარსატყორცნი РГ-6. მის დოლურაში თავსდება ექვსი ცალი 40 მმ კალიბრის ВОГ-25 ტიპის ყუმბარა, სწორედ ისეთი, როგორსაც ავტომატ „კალაშნიკოვის" ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი ГП-25 ისვრის. РГ-6-ის სროლის პრინციპი თითქმის იგივეა, როგორც ლეგენდარული „ნაგანის" რევოლვერისა (ყუმბარებიც ისევე იტენება, როგორც 7,62 კალიბრის ვაზნები „ნაგანში").

მოგვიანებით, ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ რუსმა კონსტრუქტორებმა სრულყვეს რევოლვერული ყუმბარსატყორცნი და 6Г-30 უწოდეს. იგი ყუმბარების გარეშე იწონის 6,2 კგ-ს, თითოეული ყუმბარა — 254 გ-ია. ყუმბარის გასროლის საწყისი სიჩქარე არც ისე დიდია (შეიძლება იმიტომ, რომ მსროლელმა მხარზე დიდი უკუდარტყმა არ იგრძნოს) და 74 მ/წმ-ს არ აღემატება, რის გამოც გასროლილი ყუმბარის შეუიარაღებელი თვალით დაფიქსირება თავისუფლად შეიძლება. სროლის მაქსიმალური სიშორე 380 მ-ს არ აღემატება. ყუმბარსატყორცნის საერთო სიგრძე გაშლილი კონდახით — 69 სმ-ია, ხოლო დაკეცილი — 52 სმ.

მიუხედავად ბევრი სიკეთისა რუსულ ყუმბარსატყორცნ-რევოლვერს ნაკლიც ბლომად აღმოაჩნდა, მათ შორის მექანიზმის მორყევა ხშირი სროლების შემდეგ, ანდა უმთავრესი — სიმძიმე. დატენილი თითქმის 8 კგ-მდე იწონის, რაც მებრძოლს აფიქრებინებს — ჯანდაბას, სწრაფსროლა, მირჩევნია, „კალაშნიკოვი" თავის ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით ვათრიო, ვიდრე ორჯერ უფრო მძიმე „რევოლვერიო". რუსი მებრძოლები ვერც ყუმბარების ნაირგვარობით დაიტრაბახებენ — მსხვრევადი ВОГ-25-ის გარდა მათ არსენალშია მხოლოდ ВОГ-25П (სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ყველაზე საშიშია ქვეითებისთვის, რადგან მიწაზე დაცემისას ისევ ჰაერში „ხტება" და ისე ფეთქდება — მისი ნამსხვრევები უფრო დიდ სივრცეს აზიანებს).

ამგვარი იარაღი, ცხადია, არც ქართულ საბრძოლო დანაყოფებს აწყენდათ. მით უმეტეს, რომ რამდენიმე წლის წინ ქართველმა კონსტრუქტორებმა სცადეს ხელის ყუმბარსატყორცნის დამზადება. მას ლულაგადაჭრილი თოფის ფორმა ჰქონდა და ერთ, 40 მმ კალიბრის ВОГ-25 ტიპის ყუმბარას ისროდა. სულ არაფერს ესეც ჯობდა, რადგან ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი ГП-25 (რომ არაფერი ვთქვათ ГП-30-ზე) საქართველოს სამხედრო ძალებში მეტისმეტად ცოტაა (რაც იყო, მგონი, ისიც კერძო კოლექციებშია). თითო ყუმბარის გასროლის უნარის მქონე ყუმბარსატყორცნის თუნდაც მცირე სერიაში გაშვება ყოველმხრივ მომგებიანი იქნებოდა საბრძოლო დონის ასამაღლებლად.

რუბრიკა მოამზადა
ირაკლი ალადაშვილმა

ისტორიული შემორიგება...

ამას წინათ, მასმედია იუწყებოდა, რომ მთავრობამ შემოირიგა თვრამეტი წლის განმავლობაში ძებნილი ევგენი აფრასიძე.

დიდი მიგელ დე უნამუნო ამბობდა, ჩვენი ცხოვრება ჩვევებისგან შედგებაო და თუ მწერლისეულ ამ განსაზღვრებას გამოვიყენებთ (რაც მისი ავტორის ავტორიტეტის გათვალისწინებით უდავო ჭეშმარიტებაა), გამოვა, რომ ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, მისი ჩვევების ჯამია; ანუ ერთს თეატრი ხიბლავს, მეორეს — მწვერვალის დაპყრობა. ვიღაც უსამართლობას თესავს, ვიღაც კი სიმართლისათვის იბრძვის და ა. შ. ევგენი აფრასიძეც ამ უკანასკნელთა კატეგორიას განეკუთვნება და არაფერია მასში ლეგენდარული და განსაკუთრებული. გარდა იმისა, რომ საჭირო დროს ხმის ამაღლებას არ უშინდება, იმავდროულად თვითონ არის მსაჯული იმ ვითარებისა და გარემოსი, სადაც კანონი მხოლოდ ლინგვისტური კატეგორიაა და აზრადაც არავის მოსდის მისი აღსრულება. მართალია, იგი ბევრად უფრო მკაცრია, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებს, მაგრამ რაკი მისი აღსრულების მექანიზმი არ არსებობს, ერთ კაცს ნუ მოვთხოვთ საკანონმდებლო ნორმების ზედმიწევნით დაცვას. უფრო მეტიც, არც არავინ ავალებს ადამიანების ბედის გადაწყვეტას, რადგან მსაჯული იქ, სადაც კანონი არ კანონობს, უზენაესი თუ იქნება და მხოლოდ და მხოლოდ მისმა სამსჯავრომ უნდა განიკითხოს მტყუან-მართალი. ევგენი აფრასიძე კი ღვთის მოციქული კი არა, ერთი ჩვეულებრივი გლეხკაცია, რომელიც უსამართლობას ვერ ურიგდება და დათა თუთაშხიას პრინციპით ცხოვრებას ცდილობს, თუმცა თუთაშხია მერე და მერე ხომ დაარწმუნეს, რომ იქ, სადაც სარეველა ამოთხარა, ერთის ნაცვლად ორი ამოვიდა, მაგრამ ევგენის დარწმუნება იმავე ჭეშმარიტებაში ცოტა არ იყოს, გახანგრძლივდა. უეჭველია, მისი სვანური სიჯიუტის გამო, რაშიც ისეთივე სუფთაა, როგორიც ის ბუნება, რომელშიც ცხოვრობს. ვგულისხმობ სვანეთის ერთ-ერთ მარგალიტს სოფელ ეცერს, რომელიც ენგურის ხეობის დასავლეთ მხარეს მდებარე ვეებერთელა მთის კალთას ისე აჰკვრია, ისე ამაყად დასცქერის ზემოდან ხეობაში გამავალ ერთადერთ გზას, თითქოს ეს სოფელი აქ იმიტომ დაესახლებინოთ, თვალყური რომ ადევნოს მისით მოხიბლულებს.

ევგენის სახლი სოფლის ბოლოშია; ანუ ყველაზე ზემოთ, იქ, სადაც საძოვარი მთავრდება და უსიერი ტყე იწყება. ასე რომ, ამ სახლამდე რომ მიხვიდე, ჯერ დედოგზაზე შეგნიშნავენ, შემდეგ კი მთელი სოფელი უნდა გამოიარო — ვიდრე ამ სახლს მიაღწევ, იქაურები შენს შესახებ ყველა საანკეტო მონაცემის შეგროვებას მოასწრებენ-მეთქი — არცთუ უსაფუძვლოდ მიხუმრია არაერთგზის. საბედნიეროდ, აფრასიძეთა ოჯახის იმ ახლობელთა კატეგორიაში ვირიცხები, ვის ანკეტაშიც იქაურებმა საჩოთირო ვერაფერი აღმოაჩინეს და ძმად და მეგობრად მიმიღეს. ევგენის გარდა, ჩემი მეგობრები არიან მისი და-ძმა, დოდო და ჯობე აფრასიძეები და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გაცნობის დღიდან ოცდაორი წელი გავიდა, ორივე მხარე ძალზე ვუფრთხილდებით ამ ურთიერთობას.

ჩვენი შეხვედრა 1980 წელს შედგა, როცა თექვსმეტწლიანი ამაო მცდელობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დააკავეს ევგენი და თბილისის ციხეში ჩამოიყვანეს. ამ ოპერაციის შესახებ „კვირის პალიტრა“ გასულ წელს მოუთხრობდა თავის მკითხველს და ერთხელ ნათქვამს აღარ გავიმეორებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მაშინ იგი (როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ) საკუთარი სიძის, დის ქმრის მკვლელობისთვის იმალებოდა... საკუთარ სახლში, რომელიც როგორც ზემოთ აღწერილიდან ჩანს, ბუნებრივ ციხესიმაგრეს წარმოადგენს მისი ამგვარი მდებარეობის გამო. მკითხველს შევახსენებთ, რომ ზემოდან, ანუ მთის ტყიანი ნაწილიდან სახლთან მიახლოება წარმოუდგენელია იმის გამო, რომ ტყე ფაქტობრივად გაუვალია.

იმხანად მე სამინისტროს ტელეპრესცენტრს ვხელმძღვანელობდი და ამასთან დაკავშირებით სატელევიზიო გადაცემის მომზადება გადავწყვიტეთ. თუ არ მეშლება, გადაცემა ეთერში გავიდა სახელწოდებით „კოშკები დუმან“. უპირველესად, ციხეში ვესტუმრე ევგენის, რომელიც სულაც არ ჰგავდა ჩემს წარმოსახვაში არსებულ თვალებგადმოქაჩულ აბრაგს. თხელი ტანის, საშუალოზე მაღალი, ძალზე მშვიდი, ამავე დროს მეტყველი გამოხედვითა და საუბრის წყნარი და მოზომილი ტონით სულაც არ ტოვებდა მკვლელის შთაბეჭდილებას. დიდხანს ვისაუბრეთ. გულახდილად მითხრა, მთის შვილისთვის ციხე რა საქებარია, მაგრამ როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, დავმშვიდდი, რადგან იქ, მთაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩემიანებში ვიყავი, სულ იმას ველოდი, აგერ ახლა მტაცებენ ხელს, აგერ ახლა, რომელიმე მოსყიდული თავში ჩამარტყამს რამეს-მეთქი. თექვსმეტი წელია ამ დღეში ვარ და, როგორც იქნა, პირველად ვუყურებ ადამიანებს უშიშრადო.

თექვსმეტი წლის განმავლობაში ძებნილმა კაცმა სოფელში ხნა და თესა... მკა და თიბა, სახლიც ააშენა, ცოლიც შეირთო და ბავშვებიც დააფრთიანა, თუმცა ბავშვებს სკოლაში არ იღებდნენ, თქვენი დედ-მამა არარეგისტრირებულ ცოლქმრულ კავშირშია და ამიტომ ბავშვებიც უკანონოებად ითვლებითო, ასეთი იყო განათლების მამების პასუხი. სამინისტროს ხელმძღვანელობას დავუკავშირდით და იმ საღამოსვე ციხის უფროსის კაბინეტში მოვაწერინეთ ხელი ცოლ-ქმარს. ეს გახლდათ ციხის ისტორიაში პირველი ქორწილი. უპირველესი მაყარი კი იმჟამად სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი მაიორი გივი ყვარელაშვილი იყო, რომელიც ევგენის დაკავების ერთ-ერთი აქტივისტი გახლდათ. მეორე დღეს მე და ზურაბ ხორავა, რომელმაც გადაცემის ოპერატორის ფუნქცია იკისრა, ეცერში ავედით. როგორ შეიძლება საქართველოში კაცი სტუმართმოყვარეობით გააკვირვო, მაგრამ ეს მართლაც საოცრება იყო. ოჯახმა მახვში დაგვისვა თამადად, სუფრასთან სულ ექვსი კაცი ვისხედით. დანარჩენი ჯალაბი და მეზობლები ფეხზე იდგნენ და ისე გვემსახურებოდნენ. ძმადნაფიცებად დავშორდით მაშინ მე და ჯობე და ეს ფიცი შვიდი წლის შემდეგ ლაგურკის დღესასწაულზეც განვამტკიცეთ. ამ დროს მე უკვე ლენტეხის მილიციის უფროსი გახლდით.

მანამდე კი ევგენის სასამართლო შედგა, სადაც დადასტურდა, რომ ქმარი სისტემატურად შეურაცხყოფდა ცოლს, ევგენის ღვიძლ დას, რაც ვერ აპატია თავმოყვარე კაცმა და საკუთარ სიძეს ესროლა. განაჩენი საკმაოდ ლმობიერი იყო — მკვლელობა აღელვების ნიადაგზე მომხდარ დანაშაულთა კატეგორიას მიაკუთვნეს. ისიც გაითვალისწინეს, რომ ძებნის პერიოდში არაფერი დაუშავებია და ევგენის სამი წლით პატიმრობა აკმარეს. შემდეგ სანიმუშო ყოფაქცევისთვის ეს სასჯელიც შეუმცირეს და ორ წელიწადში გაათავისუფლეს.

წავიდა ევგენი თავის ეცერში და იქაურ საბჭოთა მეურნეობაში მძღოლად დაიწყო მუშაობა. უაღრესად სამართლიანსა და გაჭირვებულის ქომაგს, დღემდე დიდ პატივს სცემენ სვანები. მოხდა ისე, რომ 1984 წელს ზემო ხაიშში ერთმანეთს დაერივნენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები (ამის შესახებ ამას წინათ გაკვრით იყო საუბარი „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ ჩემს პუბლიკაციაში. ევგენი აფრასიძის პორტრეტის სისრულისთვის იძულებული ვარ, უფრო ვრცლად იგივე გავიმეორო). ყოველ მეორე დღეს ერთ-ერთ მხარეს ვიღაცას კლავდნენ. სისხლის აღების წესი, ჩემი აზრით, ერთადერთია, რაც სვანებს ძველი ტრადიციებიდან თითქმის უცვლელად შემორჩათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ აკვანში მძინარე ექვსი თვის ბიჭუნა მოკლეს, გვიან ღამით ფანჯრიდან ნასროლი ტყვიით. სამინისტროდან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს პოლკი გაგზავნეს ასოცი კაცის შემადგენლობით. მზად იყო კიდევ ერთი ამდენი, მაგრამ რას გააწყობს სვანეთის მთებში პოლკი ან დივიზია, როცა მისმა არც ერთმა წევრმა არც გზა იცის და არც ბილიკი. სისხლის ამღებები, ანუ მკვლელები ტყეებს შეეფარნენ და არავინ

იყო იქიდან მათი გამომყვანი. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა, ბატონმა გურამ გვეტაძემ. მისი ბრძანებით, ხაიშში უნდა მიევლინებინათ იქაურობის მცოდნე თანამშრომელი, რომელიც შეძლებდა ადგილობრივ ავტორიტეტებთან (მკითხველს ვთხოვ ისინი ქურდებში არ აერიოს, როგორც ეს ჩვეულებისამებრაა მიღებული), ანუ უხუცესებთან საერთო ენის გამონახვას. ბუნებრივია, მას არც ევგენი აფრასიძე გამორჩენია მხედველობიდან. იმხანად მე სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელი მორიგი მივლინებიდან გამომიძახეს:

— ვიცი, რომ სვანებთან ლაპარაკი არ გიჭირს, იქაურებსა და იქაურობასაც კარგად იცნობ. ჯარი ვერაფერს გახდა. არადა მკვლელობების რიცხვი კატასტროფულად იზრდება. დღესვე უნდა გაემგზავრო. იქიდან პირდაპირ ჩემთან გამოხვალ კავშირზე, მეტისმეტს ნუ შეჰპირდები. მაგრამ კანონის ფარგლებში კი აუცილებლად ვუშუამდგომლებთ იმათ, ვინც თავისი ნებით ჩაგვბარდება. დროს ნუ დაკარგავ!

ეს საუბარი საღამოს შედგა, გამთენიისას კი ხაიშში ვიყავი. იქაური მილიციის პუნქტში ერთადერთი მილიციელი დამხვდა. წინ გავიძღოლე და მოსისხლე ოჯახები მოვინახულე. ვინმესთან დალაპარაკება შეუძლებლად მეჩვენა, რადგან ორივე მხარე დახოცილებს გლოვობდა — ერთ მხარეს სამი მიცვალებული იყო, მეორეს — ჯერჯეროbით, ორი. მითხრეს, დასაფლავებამდე, რაც იქაური წესებით ორ კვირამდე გრძელდება, ვერავის შევხვდებიო. ორ კვირაში კი დახოცილებს კიდევ ექვსი-შვიდი მიცვალებული მიემატებოდა, ამაში მეც და ჭირისუფლებიც ერთსულოვანნი ვიყავით. გიჟივით გავფრინდი ეცერში ევგენისთან. ბედად, იგი თავისი მანქანით გზად შემხვდა და როცა ვითარება ავუხსენი, თვალი არ დაუხამხამებია, ისე მითხრა — წავიდეთ! ევგენის გამოჩენაზე ჯერ ერთი, მერე მეორე მხარის ჭირისუფლები უფრო მოლბნენ. ჩვენი თხოვნის პირველი პუნქტი მოსისხლე მხარეების შერიგება იყო, მაგრამ რაკი იქაური ადათ-წესებით ამას დრო სჭირდება, მანამდე სისხლის აღების შეჩერება ვითხოვეთ. მხოლოდ და მხოლოდ ევგენის ხათრით დაგვთანხმდნენ მოსისხლეები. გავბედე და ჭირისუფლებს შევკადრე, თუ მკვლელები თავისი ნებით ჩაგვბარდებიან, მინისტრის სახელით გიცხადებთ, შეღავათს გავუწევთ-მეთქი. მოკლედ მომიჭრეს: ვიდრე აქ ეს ჯარი დგას, მაგაზე ლაპარაკი არ იქნებაო. მივხვდი, ამ შემთხვევაში უპირატესობის მიღების საშუალება მქონდა და მეც მოკლედ მოვჭერი — ჯარი რომ დღესვე გავიდეს, მაშინ?.. ჭირისუფლებს აშკარა გაკვირვება გამოეხატათ სახეზე.

— ვინ მოგვცემს მაგის გარანტიას? — მკითხეს შეფიქრიანებულებმა.

— რა თქმა უნდა მე, ოღონდ ჯერ თქვენგან გვჭირდება გარანტია, რომ ძებნილები ჩაგვბარდებიან.

ჭირისუფლები მაინც ეჭვით სავსე თვალებით მიმზერდნენ. ამ დროს ჩვენს საუბარს ხაიშელი ტარიელ ჭკადუა შემოესწრო, რომელიც რამდენიმე წლის წინ რუსეთში, კოლონიაში გაგზავნის ნაცვლად, უკვე დაჭერილი შინ გავუშვი (ამაზეც ვწერდით „კვირის პალიტრაში“ რამდენიმე თვის წინ). ევგენიმ და ტარიელმა ერთად დაადასტურეს, რაკი ამბობს, ესე იგი, ამ განცხადების საფუძველიც აქვს. მე რომ დღეს ციხეში არ ვზივარ, ეს ამ კაცის დამსახურებააო, დასძინა ტარიელმა და მომეჩვენა, რომ მაინც ევგენის სიტყვამ გადასწონა ამ შემთხვევაშიც:

— მე მჯერა ვაჟასი. გვპირდება, ჯარი დღესვე გავაო. ჩვენც ვნახოთ, გავა თუ არა. ოღონდ თქვენ სიტყვა მიეცით, რომ ძებნილებს ჩააბარებთ. დამიჯერეთ, ამ გზით დაწყნარდებით ორივე მხარე, ბოლოს და ბოლოს, ბიძაშვილ-მამიდაშვილები ხოცავთ ერთმანეთს, კიდევ სისხლის ღვრა გინდათ?! ვის არ ენდობით, ხალხო?! მე თუ რამეს შემპირდნენ, შემისრულეს კიდეც. აგერ ვარ თქვენ გვერდით. ციხიდან სულ განთავისუფლებაზე, რა თქმა უნდა, არ იქნება ლაპარაკი, მაგრამ ეს კაცი შეღავათებს გპირდებათ მინისტრის სახელით, ენდეთ მას და არ დაზარალდებით. მე ვიქნები ამის თავდები.

— თუ ასეა, თანახმა ვართ. ოღონდ ჯერ ჯარი გავიდეს.

მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო და ქვემო ხაიშში მომიწია ჩასვლა. მინისტრს დავურეკე. შეთანხმების შესახებ მოვახსენე და ჯარის გაყვანა ვთხოვე. მან იქვე გასცა შესაბამისი განკარგულება და ჯარი მართლაც იმავე დღეს გავიდა. მომდევნო დილით კი ყველა ძებნილი ზუგდიდის ციხეში გადავიყვანე. ამის შემდეგ როგორც მოსალოდნელი იყო, მოსისხლე მხარეები დამშვიდდნენ და შერიგებაზე მოლაპარაკებაც, რომლის ინიციატორი, რა თქმა უნდა, ევგენი გახლდათ, შედარებით იოლად წარიმართა. მოსისხლეები შერიგდნენ და, ვფიქრობ, უინტერესო არ იქნება ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ სვანური ტრადიციით, შემრიგებლის სტატუსი ძალიან მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

აი, ასეთი „გამოუსწორებელი რეციდივისტი“ გახლავთ ჩემი მეგობარი ევგენი აფრასიძე და არც ის გამკვირვებია დიდად, რომ ამ ამბების შემდეგ სამართლიანობისათვის მებრძოლის დროშით ის კვლავ ახალ სკანდალებში გაება და ისევ იძებნებოდა თვრამეტი წლის განმავლობაში. თუ ამას მისი ძებნის თექვსმეტ წელსაც დავუმატებთ, საერთო ჯამში ოცდათოთხმეტი წელი გამოვა. წარმოგიდგენიათ, ოცდათოთხმეტი წელი გამუდმებულ შიშსა და ეჭვებში. თუმცა დევნის ეს წლები ვაჟკაცურად გადაიტანა. იმ კონკრეტული ფაქტის გარდა, — კვლავაც არ ჩაუდენია დანაშაული. მე კარგად ვიცნობ დამნაშავეთა სამყაროს ფსიქოლოგიას და დარწმუნებული ვარ, ბევრი ვერ გაუძლებდა ამას. სულერთია, მაინც დასაჭერად დამდევენო და ახალ-ახალი დანაშაულობებით აავსებდნენ თავიანთი ბიოგრაფიის ფურცლებს. ევგენი კი ამ შემთხვევაშიც სუფთა კაცად დარჩა, არ გაბოროტებულა. არც რწმენა დაჰკარგვია ადამიანებისადმი — ასე რომ არ მოქცეულიყო, გატყდებოდა. სხვაგვარად დაიღუპებოდა.

გულახდილად ვაღიარებ, ჩვენი ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა ბევრი არაფერი მჯერა, მაგრამ ევგენი აფრასიძის შემორიგება მართლაც რომ კარგი საქმეა, რამეთუ ჩვენს საზოგადოებას არაფერი აქვს ევგენი აფრასიძის მსგავს ადამიანებთან სადავო, — ისინი სიმართლისა და სამართლიანობისთვის იბრძვიან მხოლოდ.

ისიც ქურდულია, მეგობარს რომ კაცის კვლას აჰკიდებ...

დიდი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, ვიპოვე ჩემი ძველი ჩანაწერების რვეული და პირველივე ფურცლიდან ჩეკისტობის დროინდელი უფროსი მეგობრის, საოცრად ალღოიანი მაძებრის, შოთა დავიდოვის მონათხრობმა შემახსენა თავი. ამბავი თითქოს ბანალური კრიმინალის სტილს განეკუთვნება, ერთი ნიშანდობლივი შტრიხი რომ არა. თუმცა მოვყვეთ თავიდან.

ხონში, ქალაქის ცენტრში, ცხოვრობდა იქაური დაფნის დამამზადებელი პუნქტის გამგე, გვარად ტყაბლაძე, უკონფლიქტო, გაწონასწორებული კაცი. თითქოს მტერიც არ უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ერთ ღამეს მის სახლს სამი ნიღბოსანი მიადგა. ქურდები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პატრონები თბილისში იყვნენ წასულები, სადაც მათი გოგონა სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა მისაღებ გამოცდებს, მაგრამ მოულოდნელად მათ იქ ოჯახის მამა დაუხვდათ. საქურდლად მისულმა სამეულმა იქვე იცვალა ნიღაბი და ახლა ისინი ქურდებიდან ყაჩაღებად იქცნენ, შემდეგ კი... მკვლელებად.

— გეყოფა, რაც იგრიალე დაფნის ფულით. ახლა ჩვენც გვინდა კარგი ცხოვრება... ჩქარა, ფული და ძვირფასეულობა გადმოალაგე, თორემ ამ ნაჯახს ხომ უყურებ, ახლავე თავს გაგიჩეხ შუაზე, — შეუღრინა ერთ-ერთმა, მაგრამ როცა ნახა, სახლის პატრონი უომრად არაფერს დათმობდა, ნაჯახის ყუა ჩაარტყა თავში და წამსვე „გათიშა“. მაგრამ ნაჯახი ისე უგერგილოდ მოიქნია, რომ უნებურად ერთი თავისიანი დაჭრა, ოღონდ მსუბუქად. მეორე დღეს ტყაბლაძე მკვდარი იპოვეს მისიანებმა. პირველადი დათვალიერებით გამოძიებამ მხოლოდ ერთი თითის ანაბეჭდს მიაკვლია პიანინოს სახურავქვეშ, რომელიც „კანონიერ ქურდს“, იმ დროისათვის ოთხჯერ ნასამართლებ მურმან ფანცულაიას ეკუთვნოდა. როცა მოიკითხეს, აღმოჩნდა, რომ მურმან ფანცულაია და მისი მეგობარი, ასევე ოთხჯერ ნასამართლები შოთა ბახტაძე დანაშაულის ჩადენის დღიდან ქალაქში აღარავის უნახავს. იგივე დაადასტურა ბახტაძის მეუღლემაც, მაგრამ ოპერატიული ჯგუფის წევრებმა ყურადღება მიაქციეს გასაშრობად გაფენილ მამაკაცის პერანგს, რომელსაც აშკარად ეტყობოდა სისხლის ლაქები. გაირკვა, რომ ბახტაძე წინა ღამით მისულა შინ. ტანსაცმელი გამოუცვლია და კვლავ გაუჩინარებულა. თითქოს ყველა გზა ამ ორი რეციდივისტისკენ მიდიოდა, მაგრამ როცა ბახტაძის პერანგზე აღმოჩენილი სისხლის ლაქების ანალიზი გარდაცვლილისას არ დაემთხვა, გამოძიება დაიბნა, მაგრამ ფანცულაია და ბახტაძე მაინც დააკავეს. დაადგინეს და დააკავეს დანაშაულის მესამე მონაწილეც, ვინმე თამაზ კეთილაძე, რომელმაც „პატიოსნად აღიარა“, რომ სახლის პატრონი თავში ნაჯახის ყუის ჩარტყმით მოკლა. თითქოს ძიება აქ უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ ექსპერტებმა კიდევ ერთი, ახალი სიურპრიზი შესთავაზეს გამოძიებას — ტყაბლაძე ნაჯახის ჩარტყმით კი არ მოუკლავთ, არამედ დაუხრჩვიათო. ეს კი ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერდა. კეთილაძე არ უარყოფს მკვლელობას, მისთვის რა მნიშვნელობა აქვს ნაჯახით მოკლა თუ დაახრჩო თავისი მსხვერპლი. ორივე შემთხვევაში კაცის კვლაზე უნდა აგოს პასუხი. სასჯელი კი ერთი და იგივეა. კი ბატონო, პერანგზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები ნაჯახით შემთხვევით დაჭრილი ბახტაძის ყოფილა, მაგრამ ეს მეორე რებუსი რაღააო, ტვინს იჭყლეტდნენ გამომძიებლები. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა.

— მიდი, ოთახები გაჩხრიკე, ამას მე მოვუვლი, — უთხრა მურმან ფანცულაიამ თამაზ კეთილაძეს და დაჭრილი შოთა ბახტაძის ჭრილობის დათვალიერებას შეუდგა. საგანგაშო არაფერი იყო. მართალია, ნაჯახის წვერს ღრმა კვალი დაემჩნია ბახტაძის მარჯვენაზე, მაგრამ მხოლოდ რბილობი იყო დაზიანებული, საბედნიეროდ, ძვალი გადარჩენილიყო და მურმანი ჭრილობის შეხვევას შეუდგა. ის იყო, ამ საქმეს მორჩა, მაგრამ ერთბაშად გაშეშდა, როცა მოპირდაპირე მხარეს სარკეში შენიშნა ფეხზე წამომდგარი, ჯერ კიდევ ბურანში მყოფი სახლის პატრონი, რომელიც ალბათ ესესაა გონს მოვიდოდა და აღარავის დაინდობდა. არავინ იცის, რას გახდებოდა მარტოდმარტო, თანაც თავგატეხილი კაცი, მაგრამ მომხდური მხდალია. მას ეშინია და ეს შიშია უპირველესი მიზეზი იმისა, რომ საქურდლად მისული ერთბაშად მკვლელი ხდება. თუ მე ამ საქმეში რამე დამეჯერება, მარტო ასეთ შემთხვევებში კი არა, მკვლელობების ორი მესამედი სწორედ მშიშრების მიერაა ჩადენილი. ამჯერადაც ასე მოხდა. თავგატეხილი, ფაქტობრივად, გონდაკარგული კაცი წააქციეს და ისე დაახრჩვეს შეშინებულმა კანონიერმა ქურდმა და მისმა ძველმა თანამოსაქმემ, რომ ამის შესახებ არც გაუგია ოთახებში ფულისა და ნივთების ძებნაში გართულ მათ შედარებით ახალ კოლეგას, თამაზ კეთილაძეს.

— წავედით, ბიჭებო, ყველაფერი ჩემოდნებშია ჩალაგებული. ფული შედარებით ცოტაა, სამაგიეროდ, ოქრო და ბრილიანტია ბლომად, ისე შეიძლება ფულის სამალავიც იყოს ამ სახლში. მაგრამ ვხედავ ჩვენი მასპინძელი გონზე მოსვლას არ აპირებს და როდემდე დაველოდებით. აწი ალბათ მალე გათენდება კიდეც.

— რაღაის გონზე მომსვლელია ეგი. წეილო უკვე ჩვენი ჭირი. გასულია გაღმა და აღარც დაბრუნებას აპირებს. ეტყობა, ცოტა მეტი მოგივიდა თავში ჩაცხობა, — ირონიულად მოუქცია ფანცულაიამ. კეთილაძე შეცბა. კი, მართალია, ჩაარტყა ნაჯახის ყუა, მაგრამ სახლის პატრონის მოკვლა გულშიც არ გაუვლია. ახლა კი უნებურად კაცის მკვლელი გახდა. უნდოდა თუ არა ეს, ფაქტი იყო და თუ ოდესმე ეს ამბავი გახმაურდებოდა. პასუხიც მას უნდა ეგო. ფანცულაია და ბახტაძე აქ არაფერ შუაში იყვნენ. ამიტომაც იყო, თავი რომ გადადო, — სხვას ნუ დააბრალებთ, სახლის პატრონი მე მოვკალიო — მაგრამ როცა დაარწმუნეს, თუ როგორ გაწირეს გარეწრებმა, აქამდე რომ მეგობრებად ეგულებოდა, ორივეს სახეში შეაფურთხა და ცალკე საკანში გადაყვანა ითხოვა.

გვერდი მოამზადა ვაჟა გავაშელმა

თუ პრეზიდენტი ჩვენს რეკომენდაციას არ გაითვალისწინებდა, მოვითხოვდი შევარდნაძის, როგორც კორუმპირებულ მოხელეთა მფარველის, იმპიჩმენტს

(დასაწყისი იხ. გვ.7)

ამის შემდეგ, ხატიძის მითითებით, აგარის შაქრის ქარხანამ ჭყოიძის ანგარიშზე „ივერთბანკში“ 50.000 ლარი გადარიცხა, მაგრამ ეს თანხაც არ აღმოჩნდა საკმარისი ვალის დასაფარავად. ამიტომ გორის წისქვილკომბინატმა, შესაძლოა ხატიძის მითითებისამებრ, 100 ტ ფქვილი გამოუყო ჭყოიძის ახლობლის ფირმას. ჭყოიძემ ფქვილი სხვა წისქვილკომბინატებიდანაც გამოიტანა. ვალის სწრაფად გასასტუმრებლად, ხატიძის მეგობარი ფქვილს თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად ყიდდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ჭყოიძეს წისქვილკომბინატის ვალებიც დაედო... საქმე გაჭიანურდა 1999 წლის ნოემბრამდე. სწორედ ამ დროს შეხვდნენ მოსალაპარაკებლად ერთმანეთს ხატიძე და ჭყოიძე. ბ-ნი ბადრი შეჰპირდა მეგობარს, რომ მისცემდა 50.000 დოლარს და ფქვილის ვალსაც გაუსტუმრებდა. მათი საუბარი ხელშეკრულების გაფორმებით დამთავრდა.

— **ხელშეკრულებაში ვალის ამღებად ჭყოიძე ფიგურირებს და არა ხატიძე...**

— ეს პრაქტიკაში მიღებული წესია, როცა არსებობს დავის საშიშროება. ჭყოიძე მომავალში შეტევაზე რომ არ გადასულიყო, მისთვის ვალის დაბრუნება გაფორმდა როგორც სესხება.

ჭყოიძემ დადო ხელწერილი, რომ პრეტენზია აღარ ექნებოდა ხატიძესთან. ბ-ნმა ბადრიმ მართლაც დაუბრუნა ჭყოიძეს (ხელშეკრულებაში ისიც ჩაიწერა, რომ ჭყოიძეს ეს ფული უვადოდ ასესხეს) 50.000 დოლარი, მაგრამ უარი განაცხადა ფქვილის ვალის გადახდაზე. საბოლოოდ გაკოტრებულმა ჭყოიძემ (როგორც ამბობს) აგარაკი, დის ორი ბინა, მშობლებისა და საკუთარი ბინები გაყიდა და დღეს ნაქირავებში ცხოვრობს... როცა ამ ქალბატონმა ბრძოლის ყველა საშუალება ამოწურა, ეს დოკუმენტაცია მიაწოდა ერთ ჟურნალისტს. ჟურნალისტსა და ბადრი ხატიძეს შორის შედგა სატელეფონო ინტერვიუ და ხატიძემ (რაკი მიხვდა, მომავალში რაზე შეედავებოდნენ) იმ დღესვე მიმართა ქონებრივი დეკლარაციების ბიუროს, რათა მისი ქონებრივი მონაცემებისთვის დაერთოთ ფულის გასესხების ზემონახსენები ხელშეკრულებაც.

— **ითქვა, თითქოს ჭყოიძეს განუწყვეტლივ უწყობდნენ შანტაჟს.**

— 1993 წლიდან (ვალის ამოღების მიზნით) ჭყ-

ოიძეს დევნიდა „მხედრიონი“, შავი სამყარო და პოლიცია. ხატიძისა და მისი ახლობლების მხრიდანაც იყო მუქარა, — თუ საჯარო დაპირისპირების ფორმას მიმართავ, ფიზიკურად გაგისწორდებიო. ახლა თვალყურს ვადევნებთ პროცესებს და არ მგონია, ამ ქალბატონს საფრთხე დაემუქროს.

— **მაგრამ ამ დოკუმენტზე არ არის ხატიძის ხელმოწერა. მისი იურისტი აცხადებს, რომ თანხის გამსესხებელი არის ხატიძის და, ხოლო მასზე ხატიძის მეუღლის ხელმოწერა ფორმალურად დაფიქსირდა.**

— ხელშეკრულებაზე ნამდვილად არის არა ხატიძის, არამედ მისი მეუღლის, მანანა მეტრეველის ხელმოწერა და ეს არის აშკარა კანონდარღვევა. რაც შეეხება ხატიძის ნათქვამს, თანხის რეალური გამსესხებელი ჩემი დაარ, ზღაპარია. შეურაცხმყოფელია, როცა უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი ანტიკორუფციულ საბჭოში მე-4 კლასელივით იმართლებს თავს. საბჭოს სხდომაზე ხატიძე აბდაუბდას მოჰყვა — თითქოს მისი და ხელმოკლედ იყო და გორში მამაპაპისეული სახლის გაყიდვას აპირებდა. ხატიძეს ნდომებია ამ სახლის შენარჩუნება და სანაცვლოდ დისთვის ვაკეში თავისი ბინის გაყიდვა შეუთავაზებია. ხატიძის თქმით, ეს 20 წლის წინანდელი ისტორიაა, სინამდვილეში ბინა 1999 წელს გაიყიდა და უცნაურია, ხატიძის ხელმოკლე დამ, რომელსაც ფული სჭირდებოდა, უვადოდ და უპროცენტოდ გადასცა 50.000 დოლარი ლეილა ჭყოიძეს. ხატიძე ამბობს, — არ ვიცოდი, ამ დოკუმენტზე ხელი ჩემმა მეუღლემ თუ მოაწერა, რადგან ეს ხელშეკრულება ჩვენს ოჯახში არ ინახებოდაო. ასეთი პასუხი ვერაფერი არგუმენტია.

— **რატომ უნდა დაემალა ხატიძეს გასესხებული თანხა?**

— იმიტომ, რომ ვერ დაასახელებდა დეკლარაციაში მითითებული თანხის წარმოშობის წყაროს. ვფიქრობ, ეს იყო განზრახ „შეცდომა“. აბსურდულია, ხატიძის მხრივ იმის მტკიცება, რომ ეს არის უნებლიე შეცდომა და არ იმსახურებს სასჯელს. უნებლიე, ანუ გაუფრთხილებლობის გამო შეცდომა ადმინისტრაციულ სასჯელს ექვემდებარება — დაწყებული შენიშვნით და დამთავრებული თანამდებობიდან გათავისუფლებით.

— **ხომ არ არის რეგიონალური პოლიტიკის ხელმძღვანელზე შეტევა, ბუჩუკურის გამო შურისძიება?**

— გულთმისანი არ ვარ, ვიცოდე, რომელ ჩინოვნიკს რა დარღვევა აქვს. აქამდე ეს დოკუმენტაცია არ მქონდა და ამიტომ არ ვამბობდი, თორემ ხატიძის კორუმპირებულობაზე ეჭვი ყოველთვის მქონდა. როდესაც ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც მთელი ხელისუფლება კორუმპირებულია, მავანი კი ფლობს ისეთ საკვანძო ადგილს, რომ რეკომენდაციას უწევს მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნას, რა თქმა უნდა, მაქვს ეჭვი, რომ ამ დანიშვნების სანაცვლოდ ხდება გარკვეული თანხობრივი ანაზღაურება. ამას ხატიძის პიროვნებიდან კი არა, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების წესიდან გამომდინარე ვამბობ.

— **უცნაურია, რომ ეს დოკუმენტები ადგილობრივი არჩევნების წინ გამოჩნდა, რომელშიც გადამწყვეტი როლი ხატიძეს უნდა შეესრულებინა.**

— უბრალო დამთხვევაა. იმ ადამიანს, რომელმაც ეს დოკუმენტები გადმომცა, ვალის გამო ნაქირავები ბინის დატოვებაც უწევს. ქუჩაში ხომ ვერ იცხოვრებდა, ამიტომ მიმართა ასეთ უკიდურეს ფორმას.

— **მაგრამ რად მოგმართათ თქვენ?**

— იმიტომ, რომ იცოდა, ამ დოკუმენტებს არ დავმალავდი. კომპრომატებით ბრძოლა პოლიტიკურ ბრძოლაში მიღებული ნორმაა. ჩვენთან ეს დოკუმენტაცია ხატიძისგან გამწარებულმა პირმა მოიტანა. ყველა პირზე არსებულ დოკუმენტაციას გამოვაქვეყნებთ.

უკვე ვიცი, როგორი იქნება ხატიძის ისტორიის ფინალი — იტყვის, რომ პოლიტიკურად დევნიან, მაგრამ, რადგან არ სურს პრობლემები შეექმნას პრეზიდენტს, თავად ტოვებს თანამდებობას (სწორედ ეს არგუმენტი დაასახელა ხატიძემ თანამდებობიდან წასვლისას. — ი.რ.). ამით ხატიძე აიცილებს მოსალოდნელ სასჯელს, რომელიც მას 3 წლით აბსაიდში ამყოფებს და წავა როგორც ნათელი პიროვნება. კი ბატონო, თანახმა ვარ, ასე წავიდეს. ოღონდ კორუმპირებულმა პირებმა დატოვონ თავიანთი თანამდებობები. ხომ ნახეთ ინჯია კორუმპირებულობის გამო გასამართლების ნაცვლად, მარტვილში სკამების დამტვრევისთვის გაასამართლეს და შედეგად მივიღეთ — დეპუტატი ინჯია. ალბათ ხატიძესაც ვიხილავთ პარლამენტში ან საკრებულოში.

— **უნდა ვივარაუდოთ, რომ რიგში სხვა კორუმპირებული ჩინოვნიკები გყავთ?**

— კანონის დამრღვევის დასჯა ქვეყნისთვის საზიანო არასოდეს იქნება. დარწმუნებული ვარ, კიდევ გამოჩნდება ბევრი, რომელთაც ქონებრივ მონაცემებში ასეთი „უნებლიე“ შეცდომები გაეპარათ. ზოგიერთ ჩინოვნიკს ჩემი სახელი და გვარი აღარ ახსოვს (ლევან მამალაძე ბოლო დროს გივი თარგამაძეს რატომღაც თარგამაშვილად იხსენიებს — ი.რ.). მინდა მათ ვუთხრა, რომ სამაგიეროდ მათი სახელები და გვარები ძალიან კარგად მახსოვს. კარგად მახსოვს, რას წარმოადგენენ და რა დანაშაული მიუძღვით ქვეყნის წინაშე. ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა პასუხი აგონ საზოგადოების წინაშე, რათა მათაც და მათ შორეულ შთამომავლებსაც კარგად დაამახსოვრდეთ ჩემი სახელი და გვარი.

ანტიკორუფციულ საბჭოს საკმაოდ მძიმე ბარიერების დაძლევა უხდება. საბჭოს რეკომენდაციით დაყენებულია მთავრობის შემცირების საკითხი, ამ დროს კი პრეზიდენტი ზრდის სახელმწიფო მინისტრის მოადგილის შტატს, რომელზეც ნიშნავს თავისი შვილის მეგობარს (მამუკა ნიკოლეიშვილს — ი.რ.). ხომ ცინიზმია, შვილის პროტეჟეს მოყვანა თანამდებობაზე და მერე შეტევა დავით მირცხულავაზე იმ მიზნით, რომ მის ადგილზე ნიკოლეიშვილი დანიშნოს. პრეზიდენტს უნდა ვადის გასვლამდე ამ ყველაზე ნოყიერი ნიადაგიდან (ენერგეტიკის სამინისტროდან) მოხსნას უკანასკნელი თანხები, რომ შემდეგ მისმა ოჯახმა უზრუნველად იცხოვროს. მირცხულავას თვითონ ვერ ხსნის პრეზიდენტი (არ უნდა ამერიკელები გაანაწყენოს, რომელთაც მოსწონთ მირცხულავას მუშაობა) და ცდილობს თანამდებობიდან წასვლა აიძულოს.

— **ითქვა, ხატიძეს პირველი ლედი წყალობსო...**

— სამწუხაროა, რომ პრეზიდენტის მეუღლეს ამდენი ნათესავი და ახლობელი აღმოაჩნდა. ძალიან დიდია მისი პროტეჟეების რიცხვიც. დარწმუნებული ვარ, ხატიძეს წინ აქვს ამ რეჟიმის არსებობის პირობებში კარიერის გაგრძელების საშუალება, მას დაეხმარებიან.

— **თუ პრეზიდენტი ყურად არ იღებდა ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციას, რას აპირებდით?..**

— თუ პრეზიდენტი არ გაითვალისწინებდა ჩვენს რეკომენდაციებს, ეს იმის დასტური იქნებოდა, რომ არ ენდობა საბჭოს შემადგენლობას. აქედან გამომდინარე, საბჭოს მუშაობასაც აღარ ექნებოდა აზრი. საბჭოს სახელით ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ თუ პრეზიდენტი ჩვენს რეკომენდაციას არ გაითვალისწინებდა, მოვითხოვდი შევარდნაძის, როგორც კორუმპირებულ მოხელეთა მფარველის, იმპიჩმენტს.

P.S. პრეზიდენტი უკვე ანტიკორუფციული საბჭოს მეორე რეკომენდაციას აკმაყოფილებს — ბუჩუკურის კვალს ხატიძეც მიჰყვა.

იზო რეკაძე

„ეგ ევტეევია თუ ვიღაც, ცრუობს, ცილს მწამებს“

„ნოსტრადამუსი არა ვარ, მაგრამ ერთ თვეში ახალი ინციდენტია მოსალოდნელი...“

(დასაწყისი იხ. გვ.5)

რუსებს ამასობაში კარვების გაშლა დაეწყოთ. ჩანდა, აბარგებას კარგა ხანს არ აპირებდნენ. პოლკოვნიკს ვურჩიე, თქვენს ხელმძღვანელობას შეეხმიანეთ-მეთქი. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო პროვოკაცია. დაახლოებით 40 წუთის შემდეგ შვეულმფრენით ჩამოფრინდნენ ემზარ კვიციანი და კობა კობალაძე. რუს ოფიცრებთან მათი საუბრის შინაარსი ჩემთვის უცნობია, არ ჩავრეულვარ. კვიციანმა მერე მითხრა, ამ წუთებში სახელმწიფო მინისტრი და პრეზიდენტი აქეთ მოფრინავენო. დავუკავშირდი გენერალ გულუას, ჩემს მოადგილეს და ინფორმაცია გადავამოწმე... კოდორი ცხელი წერტილია და ვფიქრობ, არ არის სავალდებულო ჩემი რანგის მოსამსახურემაც რომ იცოდეს პრეზიდენტის მოულოდნელი ვიზიტის შესახებ. ასე იყო თუ ისე, პრეზიდენტი მესაზღვრეების შვეულმფრენით ჩამოვიდა კოდორში.

— **რამ განაპირობა ევტეევის განცხადება ყოველივე ამის შემდეგ?**

— ამაზე ალბათ ამომწურავად ბატონი მალხაზ კაკაბაძე გიპასუხებდათ. იგი ჭუბურხინჯის შეხვედრისას ქართულ მხარეს ხელმძღვანელობდა. სწორედ მან ჰკითხა ევტეევს რუსული დესანტის კოდორში შესვლის თაობაზე. მაშინ გაისმა ბრალდება მესაზღვრეების მისამართით.

ძნელია მორიგი პროვოკაციის თარიღის განსაზღვრა, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში მოსალოდნელია ახალი ინციდენტი და ჩვენ მაქსიმალურად მობილიზებულები უნდა ვიყოთ, რათა მათი სამზადისი არ გამოგვეპაროს.

— **რისთვის დასჭირდა ევტეევს ასეთი ბრალდებების წამოყენება თქვენ მიმართ, თანაც ჭუბურხინჯის შეხვედრაზე?**

— იმისთვის, რომ იქ ირკვევა ინციდენტში მონაწილეთა ბედი და პასუხისმგებლობის საკითხი დგება; ანუ რუსებმა საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე უნდა აგონ პასუხი. ბრალის მოსაცილებლად და ქართველებისთვის შანტაჟის მოსაწყობად გააკეთა ევტეევმა ის თავხედური განცხადება. ეს იყო წინასწარ გამიზნული აქცია, რომელსაც მოგვიანებით საქართველოში მოქმედი რუსეთის აგენტურა ქვეყნის საზიანოდ გამოიყენებდა. ევტეევის განცხადებას მოჰყვებოდა აჟიოტაჟი მესაზღვრეების გარშემო და ამას კიდევ ერთი მიზანი ჰქონდა — ჩემი დისკრედიტაცია. სიტუაცია გამწვავდებოდა კოდორთან, აფხაზები კი მოითხოვდნენ მესაზღვრეების გამოყვანას ხეობიდან, რაც შეუძლებელია.

ამ თემას, ბუნებრივია, უმალ აიტაცებდნენ თქვენი კოლეგებიც. რუსებსაც სწორედ ეს უნდოდათ. მე მივმართავ პრეზიდენტს, მალხაზ კაკაბაძეს, რომ მომავალ შეხვედრაზე ევტეევს მოსთხოვონ ახსნა-განმარტება ამგვარ ბრალდებაზე.

პრეზიდენტმა მადლობა გადამიხადა იმისათვის, რომ მის ჩასვლამდე კოდორში დაძაბულობა განვმუხტე, თორემ რას მოიმოქმედებდა აი, ის „რელსებზე დაყენებული“ მედესანტე ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელიც ქალაღდს აფრიალებდა, მე მარტო ჩემს გენერალს ვემორჩილებიო, მგონი ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. რუსებს დაგეგმილი ჰქონდათ სისხლის ღვრა, პოლიტიკურ-სოციალური ვითარების დაძაბვა მთლიანად საქართველოში. რუსეთში მთელი აპარატი, მთელი ინსტიტუტები მუშაობს ჩვენი დისკრედიტაციისთვის საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე. ეუთოს მხრიდან მკაცრი განცხადებები რომ არ ყოფილიყო, კოდორში დესანტის შესვლის შემდეგ რუსები რას მოიმოქმედებდნენ, კაცმა არ იცის.

— **პრეზიდენტთან რით იმართლა თავი ევტეევმა 12 აპრილს?**

— თავისი ხელისუფლებისკენ გაიშვირა ხელი. მაშინ იქ არ ვიდექი? რატომ არაფერი თქვა ჩემზე?

— **რუსულ დესანტს თვითმფრინავებით შემოსვლის უფლება თუ ჰქონდა კოდორის ხეობაში?**

— თუ ეს შემოფრენა დაფიქსირებულია თავდაცვის სამინისტროს მიერ, ეს მისი პრეროგატივაა, თუ ეს არის სახელმწიფო საზღვარზე გადმოსული თვითმფრინავი, თავდაცვის სამინისტრო კანონით ვალდებულია რეაგირება მოახდინოს.

— **კერძოდ?**

— გააფრთხილოს, რომ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და მოსთხოვოს დამრღვევს საჰაერო სივრცის დატოვება, თუ მფრინავი აგრძელებს სვლას, აიძულოს მას დაჯდომა, ამის ათასი ხერხი არსებობს. თუ ის იარაღს იყენებს, სრული უფლება აქვს ქართულ მხარეს, რომ საჰაერო სივრცის დამრღვევი ჩამოაგდოს.

— **ჰქონდათ თუ არა მესაზღვრეებს რუსული თვითმფრინავებისთვის სროლის უფლება 12 აპრილს?**

— ჩვენ ვართ საზღვარზე. იმ ადგილზე კი, სადაც ვერტმფრენები შემოფრინდნენ, მესაზღვრეები არ დგანან. იმ ზოლის კონტროლი მესაზღვრეების ფუნქცია არ არის.

— **ჩრდილოეთის მხრიდან საჰაერო სივრცის დარღვევა რომ მოხდეს, მესაზღვრეები ხომ არ დატოვებენ პოსტს, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა შატილში?**

— შატილიდან მესაზღვრეები არ გამოქცეულან. ეს არასწორი ინფორმაციაა. თუ საჰაერო სივრცე დაირღვა, ამაზე პასუხისმგებელი არის თავდაცვის სამინისტრო. ჩვენ მხოლოდ სახმელეთო საზღვარს, საკონტროლო გამშვებ პუნქტებს და ზღვის აკვატორიას ვაკონტროლებთ.

— **კოდორიდან თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები რომ გამოვიდა, მათი ფუნქციები მესაზღვრეებზე არ გადანაწილდება?**

— ჩვენ გვაქვს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბთან შეთანხმებული გეგმა, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში, თუ კოდორში სიტუაცია გამწვავდა, მოქმედებას დაიწყებს გეგმა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს და შინაგან ჯარსაც ეხება.

— **დავუშვათ, კოდორში საომარი სიტუაცია შეიქმნა, აგრესორთან გამკლავების საშუალება გვაქვს?**

— საომარი სიტუაციის შექმნის საშუალება არ უნდა მივცეთ პროვოკატორებს. 12 აპრილსაც რომ გვესროლა, ეს რას მოიტანდა? ხელ-ფეხი გაეხსნებოდათ რუსებს. ამ პროვოკაციას გეგმავდნენ ისინი.

— **რუსულ პროვოკაციებს ისევ უნდა ველოდოთ?**

— ჩემი გამოცდილების, ინტუიციის და მიღებული ინფორმაციების საფუძველზე არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება კიდევ რაღაც მოხდეს. კარგად ვიცნობ რუსებს.

— **მაინც როდის უნდა ველოდოთ ახალ პროვოკაციას?**

— მე ნოსტრადამუსი არა ვარ. მაგრამ კოდორის ხეობაში რომ დავესწარი რუსების წასვლას, მივხვდი, ერთი-ორი დღით ნამდვილად არ იყვნენ ჩამოსულები. თანაც, რაც ჰქონდათ ჩამოტანილი, ერთი თვის მზადების შედეგად იყო ჩატვირთული თვითმფრინავებში. ე.ი. ეს პროვოკაციაც ადრევე იყო მომზადებული. ძნელია მორიგი პროვოკაციის თარიღის განსაზღვრა, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში მოსალოდნელია ახალი ინციდენტი და ჩვენ მაქსიმალურად მობილიზებულები უნდა ვიყოთ, რათა მათი სამზადისი არ გამოგვეპაროს.

ეკა ლომიძე

თვალსაზრისი

იესო ქრისტეს შობის წელთან დაკავშირებით...

2002 წლის შობის დღესასწაულის პირდაპირი ტელეტრანსლაციის დროს ითქვა, რომ ეკლესიას არა აქვს ზუსტი ცნობა, თუ რომელ წელს იშვა ქრისტე. მართალია, წელთაღრიცხვა დაკავშირებულია ქრისტეს შობასთან (ეს არის რომის დაარსებიდან 754 წელი), მაგრამ მკვლევართა ვარაუდით, ქრისტე არ უნდა დაბადებულიყო ზუსტად პირველ წელს.

ქრისტეს შობის ზუსტი წლის გამოანგარიშება შეიძლება ზეპირი გადმოცემების საკმარისი ცოდნითაც:

ცნობილია, რომ ქრისტე დაიბადა კვირა დღეს. ძვ.წ-აღ-ით, 25 დეკემბერი კვირა დღე იყო 9 და 4 წლებში, ხოლო ახ.წ.-აღ-ით — 2 და 13 წლებში. ყველანაირ ცნობას ემთხვევა მხოლოდ ძვ.წ.აღ.-ის 4 წლიდან გაკეთებული ანათვალი. მაშ ასე: იესო ქრისტე დაიბადა ძვ.წ.აღ-ით 3 წლის 7 იანვარს (ახ.სტ.). 0 წელს ქრისტე გახდა 3 წლის. საეკლესიო ახალი წელი დაკავშირებულია ქრისტეს პირველ ქადაგებასთან იუდეველთა სინაგოგაში (1/14 სექტემბერი). ეს უნდა მომხდარიყო 26 წელს, რადგან, იმ წელს ეს დღე შაბათი იყო, ხოლო შაბათს სინაგოგაში უამრავი ებრაელი იკრიბებოდა. ებრაული კალენდრით ეს იყო 3787 წელი, 13 თიშრეი. ზეპირი გადმოცემით ცნობილია, რომ ქრისტემ იქადაგა სამ წელიწად-ნახევარი. ებრაული (მთვარის) კალენდრით ამ თარიღიდან გადათვლილი 3 წელი და 6 თვე მიგვიყვანს 3790 წლის 13 ნისანამდე (იოანეს გამოცხადებაში ნახსენები 1260 დღე, წოდებული სამ წელიწად-ნახევრად, ემთხვევა სწორედ მთვარის კალენდარს, განსხვავებით რომაულისაგან). თუ, მაგალითად, 3782 წლის (261 წლის) 14 სექტემბრის შესაბამისი მთვარის კალენდრის დღიდან ამავე კალენდრით გადავთვლით 3 წელსა და 6 თვეს, მოვხვდებით არა ნისანის, არამედ იარის თვეში. ასე რომ, წლის არასწორმა ცოდნამ შეიძლება დიდი განსხვავებითი შეცდომა დაგვაშვებინოს, რადგან ამ კალენდრის პრინციპი საკმაოდ განსხვავდება რომაული კალენდრისაგან. სახარებებიდან ვიცით, რომ ქრისტე ჯვარს ეცვა ებრაელთა პასექის შვიდეულში (პასექი გრძელდება 15-დან 21 ნისანის ჩათვლით). ასე რომ, ოთხშაბათს (იმ წელს 14 ნისანი იყო), იუდამ გასცა ქრისტე (ეკლესია ამასთან დაკავშირებით მარხულობს ოთხშაბათობით), 14-ში, საღამოს, იესომ აღნიშნა პასექი (მათ. 26:17-20; მარკ. 14:12-17; ლუკ. 22:7-14), 15-ში მოსეს რჯულის მიხედვით, უნდა მოეწვიათ წმინდა კრება (ლევ. 23:5-8), ეს ალბათ საიდუმლო სერობა იყო. ქრისტემ ამ სერობაზე მხოლოდ მოციქულებს უქადაგა (იოანეს სახარების 13,14,15,16 და 17 თავები), ხოლო ღამით, როცა უკვე დამდგარი იყო 16 ნისანი, იესო შეიპყრეს გეთსემანიის ბაღში და იმავე დილას ჯვარს აცვეს. ეს იყო ებრაელთა პასექის მეორე დღეს, პარასკევს (იოან. 19:14).

არსებობს კიდევ ერთი მტკიცებულება: ლუკა მახარებლის მიხედვით, იოანე ნათლისმცემელმა ქადაგება დაიწყო ტიბერიუს კეისრის მმართველობის მე-15 წელს (ლუკ. 3:1). ტიბერიუსი გამეფდა 14 წელს, მაგრამ იგი კეისარმა ავგუსტუსმა თანამმართველად დანიშნა გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე (12 წელს), ალბათ ლუკა მახარებელი სწორედ ამ უკანასკნელ წელს გულისხმობდა — 12+15=27 წელს, როცა იესო ქრისტე მოინათლა იოანესაგან. ასე რომ, ეს ცნობაც ემთხვევა, რადგანაც ქრისტე ნათლობისას იყო 30 წლის (ლუკ. 3:21-23). ეს იყო 27 წლის 6/19 იანვარი, კვირა.

ზეპირი გადმოცემებით, ღვთისმშობელი, როდესაც ქრისტე შვა, იყო 15 წლისა. ამ გაანგარიშებით ღვთისმშობელი დაბადებულა ძვ.წ.აღ-ით 19 წელს. მართლაც, იმ წელს 8/21 სექტემბერი იყო შაბათი, ძველი აღთქმის წმინდა დღე.

ყველა თარიღი რომაული კალენდრით:

ქრისტეს შობა: ძვ.წ.აღ-ით — 3 წლის 7 იანვარი (ახ. სტ.), კვირა დღე.

პირველი ქადაგება: 26 წლის 1/14 სექტემბერი, შაბათი.

ჯვარცმა: 30 წლის 25 მარტი/7 აპრილი (ხარება დღეს).

ამაღლება: 5/18 მაისი.

სულთმოფენა: 15/28 მაისს.

ღვთისმშობლის შობა: ძვ.წ.აღ-ით 19 წლის 8/21 სექტემბერი.

ამ გაანგარიშებიდან ერთი თვის შემდეგ შემთხვევით ჩამივარდა ხელთ 1998 წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოცემული ვ. სკრიპნიკოვის წიგნი „დადგება თუ არა ქვეყნიერების აღსასრული 2000 წელს?“. ამ წიგნში ავტორი ქრისტეს ჯვარცმის დროდ ასახელებს რომის დაარსებიდან 783 წლის 7 აპრილს, რომელიც ემთხვევა ჩემს გაანგარიშებას, მაგრამ მას ამდენი თანმხვედრი მტკიცებულებები არ ჰქონდა მოყვანილი და ამიტომაც გადავწყვიტე ამ ნარკვევის გამოქვეყნება.

ზურაბ ცირეკიძე

სათნომყოფელნი უფლისა

ამბავი პონტოელი ჭაბუკისა, რომელიც წმინდა გიორგიმ ხილულად ჩამოიყვანა საქართველოში და სასწაული აღდგომის ღამისა

ნეტარი ბერის – გიორგი კარსლიდისის ცხოვრებიდან

1901 წელს არგირუპოლში, საბა და სოფიო კარსლიდისების ოჯახში დაიბადა ყრმა, რომელსაც ათანასე დაარქვეს. ადრე დაობლებული პატარის აღზრდა კეთილმორწმუნე ბებიამ ითავა, რომელმაც გაუღვივა ღვთის მოშიშება და სიყვარული.

უფროსი ძმა ბიჭუნას ამწყემსვინებდა საქონელს, თან მკაცრად და ულმობლად ექცეოდა, მაგრამ იგი უდრტვინველად ითმენდა ყოველივეს. მდუმარე მთებში მარტოდ შთენილი სწავლობდა ლოცვასა და გალობას, გული ეკლესიისკენ მიუწევდა.

ერთხელ, განმარტოებით მლოცველს, უცნობი მხედარი გამოეცხადა და შესთავაზა, გაჰყოლოდა. გზადაგზა იგი ესაუბრებოდა ყმაწვილს და ამცნობდა, სად მიჰყავდა და რა უნდა ეკეთებინა. უგრძესი მანძილი თვალის დახამხამებაში გალიეს. ათანასეს თანამგზავრი აღმოჩნდა წმინდა გიორგი, რომელიც ხილულად შეეწია ბავშვს, ხოლო ქვეყანა, სადაც დიდმოწამემ ჩაიყვანა — საქართველო!

ობოლი ბიჭუნა კეთილად ისტუმრეს ღვთისმოსავმა ქართველებმა და მისივე სურვილით, გაამწესეს მონასტერში, სადაც, გარდა დიდი სულიერი მუშაკობისა, ხელსაქმითაც გამოიჩინა თავი — ქსოვდა, კერავდა, მზარეულობდა, რითაც ყველას სიყვარული დაიმსახურა.

უცხოტომელმა ჭაბუკმა სრულყოფილად შეითვისა ქართული ენა და დაუზრკოლებლად მონაწილეობდა ქართულ საეკლესიო მსახურებებში. 1919 წელს კი იმავე მონასტერში ბერად აღიკვეცა.

მაგრამ არ გასულა დიდი დრო რომ დამპყრობლურმა ომმა გადაუარა საქართველოს. ქვეყანას ბოლშევიკები დაეპატრონნენ. დაიწყო ეკლესია-მონასტრების ნგრევა, ათასობით საეკლესიო პირთა წამება და დაპატიმრება. სხვებთან ერთად შეიპყრეს ბერძენი ბერიც და დახვრეტა მიუსაჯეს.

დაპატიმრებულმა სასულიერო პირებმა აღდგომის ღამეს ციხის მესვეურებს ეკლესიაში წაყვანა სთხოვეს, მაგრამ ნება ვერ მიიღეს. მაშინ ყველამ ერთად დაიწყო ლოცვა-ვედრება უფლის მიმართ, რათა სულის სიმხნევე მიენიჭებინა მათთვის. იგალობეს „ქრისტე აღსდგა“. უეცრად საპატიმრო შეირყა და კარები თავისით გაიღო. ხმაურზე მთელი ქალაქის მოსახლეობამ მოიყარა თავი და ყველამ იხილა, როგორ გამოისახა ჰაერში სამი წმინდა მამა ჯვრით ხელში. ეს ჯვარი მათ „უფალო შეგვიწყალენს“ გალობით სამგზის შემოატარეს ციხის გარშემო... სასწაული მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა, ხოლო მეორე დღისათვის ყველა პატიმარი მზად იყო წამებისა და სიკვდილისათვის. პატიმრები თეთრ სამოსელ-

ში გამოაწყვეს, უკან ხელებგაკრულნი ერთმანეთს თოკებით გადააბეს და უსიერ ადგილას დასახვრეტად წაიყვანეს...

ყმაწვილ ბერს სამი ტყვია მოხვდა: ერთი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სპილოს ძვლის ხატის ლითონის ჩარჩომ აისხლიტა, მეორემ — ყელი გაუხვრიტა, მესამემ — ფეხი... მაგრამ გადარჩა! მაგრამ რადგან სხვა მსჯავრდებულებზე თოკით იყვნენ გადაბმულნი, ცხედრებმა გადაიყოლიეს უფსკრულში. იქიდან ძლივძლივობით ამოფოფხდა. ბერი გაათავისუფლეს იმ კანონის თანახმად, რომელიც თვით ბოლშევიკების დროსაც კი მოქმედებდა — სამი ტყვიით დაჭრილსა და გადარჩენილს სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ.

ციხის უფროსმა უბრძანა, — უარყავ რწმენა და იცხოვრე, როგორც საერო პირმაო. პასუხად ბერმა მრისხანედ დაურტყა მაგიდაზე ხელი, — შენ არა გაქვს ხელმწიფება უმეტესი ღვთისაზე! გაცოფებულმა ციხის უფროსმა ბრძანა, ყველაზე ბნელ სენაკში ჩაეგდოთ იგი და უწმინდურებანი დაესხათ თავზე. საკანში დასცვივდა კბილები და დაუავადდა ფეხები. დიდხანს დაყო იქ ბერმა, ვიდრე ერთი მორწმუნე ქალბატონის — პონტოელი მომლოცველის შუამდგომლობით არ განთავისუფლდა და 1929 წელს, უკვე მღვდლადკურთხეული, გიორგის სახელით გასაბჭოებული ქვეყნიდან რუსეთის გავლით დაბრუნდა მშობლიურ ელადაში.

საბერძნეთში ბერი გიორგის მოღვაწეობა სავსეა ძველი დროის წმინდა ბერების ფარდი ღვთივსათნო ღვაწლით. კეთილმორწმუნე მრევლიდან ბევრს უნახავს, უსისხლო მსხვერპლშეწირვის დროს როგორ ვიდოდა იგი ტაძრის იატაკზე ფეხუკარებად, როგორ მაღლდებოდა ჰაერში სახარების კითხვისას ან როგორ ადგა თავს ღვთიური ნათელი. ღვთაებრივი ევქარისტიის დროს მისი სულიერი სიწმინდე ღირსჰყოფდა თანამწირველებად ჰყოლოდა წმინდა იოანე ნათლისმცემელი, წმინდა ნიკოლოზი, წმიდა გიორგი.

იგი შინაგანი ხედვით სცნობდა ადამიანთა მანკიერებებს და მოუნანიებელ ცოდვებს. მან ამხილა ქალი, რომელიც აბორტის ცოდვას სჩადიოდა და როცა ქალმა იუარა, სათითაოდ ჩამოუთვალა მუცელმოშლილი დედების ვინაობა, ეპიტიმიის სახით, დაუწესა სოფელ-სოფელ ხელგაშვერილი სიარული, ხოლო მოწყალების გაჭირვებულთათვის გადაცემა.

ერთ მრეცხავს არ მისცა ზიარების უფლება, რადგან იგი შემკვეთებს ახალ ზეწრებს ძველით უცვლიდა...

ბერს განსაკუთრებით ღამე უყვარდა ლოცვა. ამბობდა, — ღამე ცა გახსნილია და ჩვენი ლოცვები ზეცად აღწევსო. მორწმუნეებს არიგებდა, — ითხოვეთ თავმდაბლად და მოკრძალებით, ეგოიზმის გარეშე... უწილადეთ სიყვარული მოხუცებს, ობლებსა და ავადმყოფებს, თანაგრძნობით მოეპყარით ღარიბებსა და იმ ადამიანებს, რომლებსაც სხვები ამცირებენო.

გიორგი ბერმა თავისი აღსასრულის თარიღიც იწინასწარმეტყველა. სიკვდილის წინ ითხოვა, მისთვის ქართული სახარება დაედოთ გულზე, რომელიც საქართველოდან გაეყოლებინა და მთელი სიცოცხლე განუშორებლად თან ატარებდა. ბერის საფლავში ჩასვენებისას ორი კიპარისი დაიხარა მისი საცხედრისაკენ, რაც ხალხმა ზეციურ ნიშნად მიიღო, ხოლო ტაძარს გალობითა და ჟღურტულით გარს უფრენდნენ ფრთოსნები და არ უფრთხოდნენ ადამიანებს.

რას გვეტყვი, მამაო?

— ცოლს გაყრილმა „მორწმუნე“ მამაკაცმა უქორწინებლად შინ მიიყვანა ქალი, მაგრამ ბავშვის გაჩენის შემდეგ, უარი უთხრა დედას, შვილს მისი გვარი ეტარებინა, რადგან თვლის, რომ ახალი სიცოცხლე ჩაისახა მაშინ, როცა ის „მოჯადოებული“ იყო.

შეუძლია თუ არა პიროვნებას, რომელიც უარს ამბობს ღვიძლ შვილზე, თავს მორწმუნე და ეკლესიური უწოდოს? მოეკითხება თუ არა მას ჩადენილი საქციელი და ეკუთვნის თუ არა შენდობა და მიტევება?

— ადამიანს არა აქვს უფლება, განუსაზღვროს სხვა ადამიანს მისი მორწმუნეობის თუ ურწმუნოების ხარისხი. უფალია უზენაესი მსაჯული იმის გასარკვევად — რამდენად მორწმუნეა ესა თუ ის პიროვნება. რაც შეეხება იმ საკითხს, მოეკითხება თუ არა ჩადენილი ცოდვისთვის დამნაშავეს და მიიღებს თუ არა შენდობას, უფალი ყოვლისმხედველია და ვანდოთ მის უზენაეს მსჯავრს მისაგებელი ყოველი ჩვენი საქციელისათვის.

— მყავს ასაკით ჩემი თანატოლი ნათლია. მოვინათლე სტუდენტობის პერიოდში. გავიდა ხანი. მე დავოჯახდი. ჩემი ნათლია დარჩა გაუთხოვარი. ერთ დღეს მოვიდა ჩემთან და გამომიცხადა, — ვნანობ, რომ მოგნათლე: ჩემი ბედნიერება შენ დაგანათლე და მე უბედო დავრჩიო. როგორ უნდა მოვიქცე, როდესაც ჩემი ნათლია ნათელმირონს უარყოფს?

— თქვენი ნათლიის ემოციური გაცხარება არ შეიძლება ჩაითვალოს ნათელმირონობის უარყოფად. მოსაზრება, რომელსაც ემყარება მისი მტკიცებულებანი, ცრურწმენაა და სრულიად აბსურდულია. როდესაც ამას თავად შეიმეცნებს, შეინანებს და შეგირიგდებათ.

— შეიძლება თუ არა მშობლებისა და შვილების ჯვრისწერა ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ეკლესიაში?

— შესაძლებელია. მსგავსი შემთხვევები სრულიად უცხო იყო ადრინდელ ქრისტიანულ ეპოქაში, როდესაც ოჯახის შექმნა არ ხდებოდა ჯვრისწერის გარეშე. მაგრამ კომუნისტური დიქტატურის ხანის ათეისტური მსოფლმხედველობის და იდეოლოგიის გავრცელების პირობებში მშობლები, რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ ახერხებდნენ ამ საიდუმლოს შესრულებას, ახლა კი მათ სერიოზული სარწმუნოებრივი დარღვევის გამოსწორების საშუალება ეძლევათ.

აპოსტასური ჟამი

ჩვენს საოჯახო-მართლმადიდებლურ საკითხავ გვერდში ახალ რუბრიკას გთავაზობთ. „აპოსტასური ჟამი“ — „განდგომილების ჟამს“ ნიშნავს და ამ ტერმინით მოიაზრება დღევანდელი, სახარების ქრისტიანულ იდეალებს დაშორებული ჩვენი თანამედროვე მსოფლიო, რომელიც ურწმუნოებაში ჰგიებს. თუ რა დიდ ძალისხმევას მოითხოვს მართლმადიდებლებისაგან ასეთ სამყაროში სულიერი მხნეობისა და აღმსარებლობის სიწმინდის შენარჩუნება, ამას ქვემოთ მოტანილი მასალებიც ცხადყოფენ.

ცოდვისკენ – სკოლის მერხიდან

დასავლურმა „დემოკრატიულმა ფასეულობებმა“ ფართო ნაბიჯებით შეაბიჯა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სამკვიდროში. გამოცდილება გვკარნახობს — რაც დღეს იქ არის, ხვალ ჩვენკენ გადმოინაცვლებს ხოლმე...

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და საზოგადოების მხარდაჭერით, სანკტ-პეტერბურგში შედგა სასამართლო პროცესი. მე-7 კლასის მოსწავლის ირა კაჩესოვას მშობლები უჩიოდნენ სკოლის აღმზრდელებს მათი შვილის შეგნებულად გარყვნისათვის. სექსუალური განათლების სპეცკურსში განსწავლული პედაგოგი, ირასა და მის თანაკლასელებს, მე-5 კლასიდან მოკიდებული, არკვევდა ინტიმური ცხოვრების წვრილმანებში თეორიული მასალისა და ეროტიკული ილუსტრაციების საფუძველზე.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ამბავი, ირას მშობლებს განგაშის ზარი რომ არ დაერისხებინათ, რაც მოხდა მათი გოგონას კლასში მულტფილმის, „რა მემართება მე“, ჩვენების შემდეგ. ფილმი პროპაგანდას უწევდა ონანიზმს, იძლეოდა მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს ამ ქმედების „ტექნიკის“ დასაუფლებლად.

...სკოლის ხელმძღვანელობამ თავი იმართლა — მულტფილმი ჩვენთან მოხვდა „ოჯახის დაგეგმარების“ რუსეთის ასოციაციის დახმარებით, რომლის მეოხ-მზრუნველობითმა პროგრამამ სკოლების ქსელის 90% უნდა მოიცვასო. ასოციაციის რეკომენდაციებში აღნიშნულია: „მულტფილმი განკუთვნილია მოსწავლეებისათვის, როგორც თვალსაჩინოების ნიმუში იმ დებულების განსამტკიცებლად, რომ მასტურბაცია ჩვეული მოვლენაა მთელი ცოცხალი სამყაროსათვის“.

თანამედროვე დასავლური სექსოლოგიის მამამთავრები — მასტერსი, ჯონსი, კოლოდნი და სხვანი, მიიჩნევენ, რომ ადამიანის დღეკეთილობის ამოსავალია ჰედონიზმი (სიცოცხლის მიზნად სიამოვნების დასახვა), ხოლო ყოველგვარი სიამოვნების დასაბამია საკუთარი თავის დაკმაყოფილება!

რაღა თქმა უნდა, დასავლელები და მათი აღმოსავლელი ადეპტები კრინტს არ სძრავენ, რომ არც ტერმინი და არც მოვლენა დღეს არ დაბადებულა; ძველი აღთქმის წიგნებიდან გვეუწყება, თუ როგორ დასაჯა ღმერთმა სიკვდილით იუდას შვილი ონანი გარყვნილებისთვის.

მღვდელმსახურებისა და ფსიქიატრებისათვის კარგად არის ცნობილი, ადრე თუ გვიან როგორ ისჯება ხელთცთუნებისათვის უკვე ახალი აღთქმის ადამიანი ფსიქიკური თუ სომატური დაავადებებით და, რაც მთავარია, ჩუკენობა მითვლილია იმ წარმწყმედელ ცოდვებთან, რომელთაც „სასუფეველი ღმრთისაი ვერა დაიმკვიდრონ“ (კორ. 6,9,12).

ირა კაჩესოვას მშობლებმა პროცესი მოიგეს. მულტფილმის დემონსტრაცია აიკრძალა სკოლაში. სასამართლო პროცესზე ერთი საგულისხმო გარემოებაც გამოიკვეთა: ვიდრე წყალგაუვალი მტკიცებულებანი არ დაიდო სასამართლოს წინაშე, მშობლების დიდ ნაწილს არ სჯეროდა საჩივრის საფუძვლიანობა ძველი, საბჭოური ინერციის მოტივით — „ჩვენს სკოლაში შეუძლებელია ცუდი რამ ასწავლონ ბავშვებს“. ვიდრე ასეთი ინერცია კვლავ ბატონობს, მსგავსი საშიშროება თანაბრად არსებობს მთელი პოსტსაბჭოური სივრცისათვის...

(ინტერნეტიდან, ტატიანა შიშოვას მასალის მიხედვით)

გაკათოლიკებული ფინია

ჰოლანდიის ქალაქ ლუვენის მცხოვრებ ედგარ დენის იმდენად უყვარდა თავისი პუდელი მოტრილი, რომ წუთითაც ვერ იშორებდა თავიდან. ის კი არა, კვირაობით ეკლესიაშიც დაჰყავდა და მასთან ერთად ისმენდა მესას.

ბევრ მლოცველს არ მოსწონდა ბატონი ედგარის საქციელი და უჩიოდა კიდეც მოძღვართან. მომჩივანთა პასუხად ედგარ დენიმ თავად სთხოვა პატერს, — ჩემს ძაღლს ოფიციალურად მიეცით მესაზე დასწრების უფლებაო. მღვდელმსახური დაჰყვა ამ უჩვეულო თხოვნას და გასცა წერილობითი დასტური, რომლის თანახმად, ძაღლი შერაცხული იყო კათოლიკედ და უფლება ჰქონდა, ტაძარში მოესმინა ღვთის სიტყვა. თუმცა, პატერმა დენის უარი უთხრა ძაღლის მონათვლაზე, რადგან თურმე შეეშინდა — მომავალში ჯვრის დაწერა და ზეთისცხებაც არ მომთხოვოს მოტრილისათვის.

„რადონეჟი“

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36

გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა

მოდერნი თბილისში

ანუ როგორ ნადგურდება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ევროპული ნაწილი

„დასავლეთის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლეთისაკენ თუ აღმოსავლეთის ქარმა დასავლეთისაკენ — ტფილისმა არ იცის. იცის მხოლოდ, შეყენებულა იგი ერთ ალაგას. წინ გაიწევს — რაღაც უკან აეკიდება და აჩერებს. ბრუნდება უკან — რაღაც წინ მიათრევს და აყენებს. არ აქვს საძრავი შორი. ვინ გადააგდო ღუზა?! ათასი ქარი ეხეთქება, თითქოს ქვეყნის გზაჯვარედინია. აღმოსავლეთს მოსცილდა და დასავლეთს ვერ მიაღწია: შუაზე გარჩა“, — თითქოს ლუპით უყურებს ჩვენს ქალაქს გრიგოლ რობაქიძე...

თბილისის ქუჩებში ხეტიალისას ძველი სახლების თუ ნაგებობების კედლებზე, აივნებზე, გუმბათებზე, მოაჯირებზე შეიძლება ერთი ისეთი პატარა დეტალი შენიშნო, რომ სუნთქვა შეგეკრას... სწორედ ასეთი დეტალების ერთობლიობა ანიჭებს ჩვენს ქალაქს იმ საოცარ ხიბლს, რომელსაც უამრავი სტუმარი დაუტყვევებია.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩვენამდე უმოკლეს დროში მოაღწია ევროპაში აღმოცენებულმა მოდერნის სტილმა. მისი ფორმები და ელემენტები შეერწყა ტრადიციულს და შეიქმნა თვალსაჩინო მოდერნისტული არქიტექტურული ნამუშევრები — მათ შორის, ე.წ. მელიქ-აზარიანცის სახლი, უნივერმალი კამოს ქუჩაზე, მარჯანიშვილის თეატრის შენობა, ბავშვთა საავადმყოფო ზუბალაშვილების ქუჩაზე, კონსერვატორიის მცირე დარბაზის ინტერიერი, საქართველოს ეროვნული ბანკი და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. თბილისში მოდერნის 160-ზე მეტი ნიმუშია გამოვლენილი. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი სავალალო მდგომარეობაშია, ბევრი კი ისე განადგურდა, მათი ფოტოც არ შემოგვრჩა...

უცხოელები თბილისში ძველი ნაგებობების დათვალიერებისას აღფრთოვანებას ვერ ფარავენ, ჩვენ კი, იმის მაგივრად, რომ რესტავრაცია გავუკეთოთ, მოვუფრთხილდეთ ეროვნულ საგანძურს, ერთი ხელის მოსმით ვანგრევთ და ვანადგურებთ და მათ ადგილას ვაშენებთ „ევროპული სტილის“ უსახურ სახლებს თუ სასტუმროებს, რომლებიც ვერაფრით ეხმიანებიან ქალაქის არქიტექტურულ კომპოზიციას...

თბილისში შეიქმნა საქართველოს მოდერნის დაცვის ჯგუფი, რომლის მიზანია საქართველოში მოდერნის სრული გამოვლენა, შესწავლა, პოპულარიზაცია და გადარჩენა. მისი თაოსნობით მოეწყო ფოტოგამოფენა „მოდერნი თბილისში“ და გამოიცა კატალოგი. ცოტა ხნის წინ ჯგუფი მიიწვიეს გერმანიაში — ბერლინსა და ზაარბრიუკენში. ქართული მოდერნით დაინტერესდნენ ბელგიაში, ავსტრიასა და საფრანგეთშიც.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა საქართველოს მოდერნის დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელს, არქიტექტორ-რესტავრატორ **ნესტან თათარაშვილს.**

— მოდერნის ყველა ნიმუში გამოვლენილია თბილისში?

— მოძიება არ დამთავრებულა კრწანისის რაიონში, ავლაბარში, ჩუღურეთსა და დიდუბეში. მოდერნის ნიმუშებს თბილისის გარდა ვხვდებით ბათუმში, ქობულეთში, ფოთში, სოხუმში, გაგრაში, დუშეთში, ქუთაისში...

— ვინ მუშაობდა ამ სტილში?

— არქიტექტორები, ინჟინრები, მშენებლები. რამდენიმე არქიტექტორის ვინაობა დავადგინეთ. მათგან ყველაზე ცნობილი გახლდათ სიმონ კლდიაშვილი — კაცი, რომელმაც თავის დროზე უნივერსიტეტის პირველი კორპუსი ააგო.

— რა მდგომარეობაშია ეს შენობები?

— ძალიან ცუდ დღეშია... ადრე თუ ერთ ოჯახს ეკუთვნოდა და პატრონი ჰყავდა, ახლა თითოეულში მრავალი ოჯახი ცხოვრობს და მოუვლელია. ამას ემატება ნაგებობების ხანდაზმულობაც. სახელმწიფოს მათი მოვლის და რესტავრაციის სახსრები არ გააჩნია. ჩვენი ჯგუფის მიზანია თითოეულ მათგანს ვუშოვოთ სპონსორი, მშველელი... მოვახერხეთ ისიც, რომ აქ მცხოვრებნი დაგვეინტერესებინა. ამის შედეგად ზოგმა კარი შეაკეთა, ზოგმა რესტავრაცია გაუკეთა სახლს, ზოგმა გაყიდვა გადაიფიქრა, ზოგმა დანგრევა. უცხოელები უფრო აფასებენ და ითხოვენ ქართული მოდერნის შესახებ ინფორმაციას. არა და, ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ კულტურაში. ჩვენ ყოველთვის მივისწრაფოდით ევროპისაკენ, მაგრამ ევროპულ სტილს ზუსტად არ მივდევდით. მოდერნი ჩვენთან ევროპის პარალელურად გავრცელდა და საკმაოდ მაღალ დონეზეც... სამწუხაროდ, თანამზრახველების პოვნა სპეციალისტებს შორისაც გვიჭირს...

— ბევრი შენობა განადგურდა?

— ძალიან ბევრი. სხვათა შორის, კატალოგში შესული მასალებიდან 2-3 ნიმუში უკვე გაქრა. თავისუფლების მოედანზე ადრეული მოდერნის არაჩვეულებრივი ნაგებობა დაანგრიეს. სტიქიურად ინგრევა მთელი ვერა, ვაკე, პლეხანოვი...

ბოლო მიწისძვრამ სხვა ნაგებობებთან ერთად მოდერნისტული შენობებიც დააზიანა კიდევ ერთხელ... ვინ იცის, მათი აღდგენისთვის როდის მოიცლიან ქვეყნის ხელისუფალნი?!

იქნებ მიწისძვრას და დროს არ გავატანოთ ქართული მოდერნის უნიკალური ნიმუშები.

ეკა მახარაშვილი

მოსწავლეთა მიღება

ამერიკული აკადემია თბილისში

აცხადებს 13-14 წლის მოსწავლეთა მიღებას მე-9 კლასში 2002-2003 სასწავლო წლისათვის. მისაღები გამოცდები ჩატარდება ინგლისურ ენასა და მათემატიკაში. სწავლის ღირებულება წელიწადში შეადგენს 3000 დოლარის ექვივალენტს ლარებში. ღია კარის დღე ჩატარდება 15 მაისს 17 საათზე. ანკეტებისა და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ ამერიკული აკადემიის ოფისში: ჭავჭავაძის 37ა (ახალი ეკლესიის უკან). ☎ 22 74 41; 22 78 89

ფსპ-რიხტერი

PSP-RICHTER

PSP — ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალებისაკენ

საქართველოში ერთ-ერთმა პოპულარულმა ფარმაცევტულმა ფირმამ PSP-რიხტერმა ახალმოსახლეობა იზეიმა. 2002 წლის 25 აპრილს აღმაშენებლის გამზირზე ქართულ-უნგრული ფარმაცევტული კომპანიის ახალი ოფისი გაიხსნა, სადაც საზეიმო ლენტი თავად უნგრეთის ელჩმა ბატონმა კეშკენ ერნემ და კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ბატონმა კახაბერ ოქრიაშვილმა გაჭრეს. ოფისის გახსნის საზეიმო ცერემონიალს სტუმრობდნენ უნგრეთის ელჩის მრჩეველი, ქარხანა „გედეონ რიხტერის“ უნგრელი და კომპანიის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან: რუსეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან. სტუმრები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ გემოვნებით გაკეთებული ოფისის ინტერიერის ხილვისას და ლენტის გაჭრის შემდეგ მოწყობილ ალა-ფურშეტზე სიამოვნებით შესვეს PSP-რიხტერის მომავალი საქმიანობის სადღეგრძელო და წარმატება უსურვეს ორი ქვეყნის ხალხების ურთიერთობებს. ფურშეტს კონფერენცია მოჰყვა მასმედიის წარმომადგენლებისათვის. პრესკონფერენცია გახსნა PSP-ს გენერალურმა დირექტორმა კახა ოქრიაშვილმა. შემდეგ ისაუბრეს უნგრეთის ელჩმა და სტუმრებმა, სხვადასხვა ქვეყანაში „გედეონ-რიხტერის“ კომპანიონი ქარხნებიდან.

„PSP ექიმების მიერ დაარსებულია 1995 წელს და იმ დროიდან მოღვაწეობს ფარმაცევტულ ბაზარზე და პირველი დღეებიდანვე ერთ-ერთ წამყვან ფარმაცევტულ კომპანიას წარმოადგენს. თავიდან მოღვაწეობა ერთი ციდა, სერიოზული ფირმისათვის შეუფერებელ 35 კვადრატული მეტრის ფართის მქონე ნახევარსარდაფის ტიპის ოთახში დავიწყეთ. მაგრამ ჩვენი შეუდრეკელი შრომისა და გულითადი საქმიანობის შედეგად შევძელით წარმატებების მიღწევა და აი, დღეს ამ მშვენიერ დარბაზში თქვენ ჩვენი სტუმრები ხართ“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ბატონმა კახაბერ ოქრიაშვილმა და იქვე დასძინა: „1997 წელს PSP-მ უნგრულ ფარმაცევტულ ქარხანა „გედეონ-რიხტერთან“ 2-წლიანი წარმატებული თანამშრომლობის შემდეგ გადაწყვიტა ქართულ-უნგრული ფარმაცევტული ურთიერთობების გაუმჯობესება და 1997 წელს დაარსდა ქართულ-უნგრული ერთობლივი საწარმო PSP -რიხტერი. კომპანია PSP და PSP-რიხტერის წარმატებული საქმიანობის დასტურია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემები, რომლის მიხედვითაც კომპანიის წილი საქართველოს მთლიანი ფარმაცევტული ბაზრის 30%-ს შეადგენს. ჩვენ საქართველოში ვმუშაობთ ისეთი ტექნოლოგიებით, რომელიც აუცილებელი და ეფექტურია და ჩვენი მთავარი პარტნიორი არის „გედეონ-რიხტერის“ ფარმაცევტული ქარხანა. ჩვენ გვიხარია, რომ ხალხი აფასებს ჩვენს მომსახურების დონეს და გვენდობა. ალბათ, ამიტომაც უფრო მრავლდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩვენი სააფთიაქო ქსელი, რომელსაც ურიცხვი სხვა აფთიაქებისაგან კომპანიის ლოგო, ორიგინალური ჯვარი და თანამშრომელთა მაღალკვალიფიციურობა და მომსახურების მაღალი დონე გამოარჩევს. ბევრში გაოცებას იწვევს ჩვენი ფირმის სახელიც PSP, რაც ლათინური წინადადების ინიციალებს წარმოადგენს, ქართულად კი ნიშნავს შემდეგს „ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალებისაკენ“. დიახ, მწვერვალისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ ლტოლვა უფრო მომგებიანია, ვიდრე ისრისებური ქროლვა. რადგან აჩქარებით მიღწეული წარმატება შეუძლებელია სრულყოფილი იყოს. ჩვენი მიზანი კი დაუზარელი, თუნდაც მძიმე შრომის შედეგად მიღწეული წარმატებაა, რითაც უკეთ დავამახსოვრებთ თავს ჩვენს მომხმარებლებს და არასოდეს დაავიწყდებათ, რომ მათი ჯანმრთელობისათვის ზრუნავს PSP-რიხტერი. ქართულ-უნგრული კომპანიის ხელმძღვანელობის თქმით, სადისტრიბუციო საქმიანობის გარდა, თავისი მოღვაწეობის სფეროს გაზრდას აპირებს ანუ PSP-რიხტერს განზრახული აქვს ხელი მიჰყოს აგრარულ სექტორში და ტურისტულ სფეროში ინვესტიციების დანერგვას. თუმცა, როგორც ბატონი კახა ოქრიაშვილი აცხადებს, ეს ყველაფერი ჯერ-ჯერობით მხოლოდ იდეის დონეზე არსებობს, რაც სულ მალე განხორციელდება კიდეც. მანამდე კი, მომხმარებელთა უკეთ მომსახურების მიზნით PSP-რიხტერი უამრავ საინტერესო პროგრამას განახორციელებს და ფარმაცევტულ ბაზარზე ახალი სამედიცინო პრეპარატების შემოტანას გეგმავს. კომპანიის ცენტრალურ ოფისში 60 ადამიანი მუშაობს. ხოლო მთლიანად ქსელში 300-მდე ადამიანია დასაქმებული. ყოველწლიურად კომპანია აფართოებს და აძლიერებს თავის სისტემას, რაც ახალ კონტაქტებსა და ახალი პრეპარატების დანერგვასაც მოიცავს. ბატონი კახაბერ ოქრიაშვილის შემდეგ პრესკონფერენციაზე ისაუბრა უნგრეთის ელჩმა ბატონმა კეშკენ ერნემ და განაცხადა, რომ ქართულ და უნგრულ კომპანიებს შორის დადებული ახალი ხელშეკრულებები კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობებს როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე სავაჭრო ურთიერთობებში. ბატონმა ელჩმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დიდი სიმპათია აქვს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ აღებული კურსის მიმართ, რის შედეგადაც საქართველო ცდილობს მჭიდრო ევროპულ ინტეგრაციაში გაერთიანებას. კეშკენ ერნემ ასევე სიამოვნებით აღნიშნა იმის შესახებაც, რომ „გედეონ-რიხტერია“ ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც პირველმა დაამყარა ურთიერთობები საქართველოსთან“.

„PSP-სთან ურთიერთობების განმტკიცების სურვილი „გედეონ-რიხტერს“ განუმტკიცა იმ ფაქტმა, რომ ეს ქართული ფარმაცევტული ფირმა საუკეთესო გადამხდელია და არასოდეს აგვიანებს თავისი ვალდებულებების შესრულებას. ამ ფირმას განსაკუთრებული მუშაობის წესი აქვს, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს რიხტერის ქარხანას“, — განაცხადა საქართველოში „გედეონ-რიხტერის“ კომპანიის წარმომადგენლობის დირექტორმა ზაზა ჩარკვიანმა. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში დაგეგმილია ახალი პრეპარატების შემოტანა, მომხმარებლისათვის მათი უკეთ მოწოდების მიზნით მოეწყობა კონფერენციები და სიმპოზიუმები, სადაც მოხდება ექიმებისა და ფარმაცევტების ინფორმირება და შემდეგ ახალი პრეპარატების პრაქტიკაში დანერგვა.

„გედეონ-რიხტერს“ აქვს წარმოების თავისებური ტექნოლოგია. ყოველ პრეპარატს აქვს — სერტიფიკატი და აკმაყოფილებს ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატს. დღეისათვის დაახლოებით 120 დასახელებამდე სერტიფიკატია დარეგისტრირებული სხვადასხვა ფორმით და დიზაინით. სხვადასხვა ფარმაკოლოგიური ჯგუფის პტრეპარატები აქტიურად და ეფექტურად გამოიყენება საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

R

„კოდორის ხეობის კრიზისი — რუსული პოლიტიკის კრიზისია. როდესაც პოლიტიკურ საკითხებს სამხედროები წყვეტენ, მაშინ დატრიალდება ხოლმე ჰაერში დენთის სუნი. ეტყობა, რუსეთის საზოგადოებრიობამ და საქართველომ ამიტომაც ვერ მიიღეს პასუხი კითხვაზე — ვისი ბრძანებით გადაისხა დესანტი, ვინ ბრძანა სამხედრო სიტუაციის გამწვავება.

რა, არ კმარა ომი ჩეჩნეთში?“

გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტები ესაუბრნენ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და საქართველოს ელჩს რუსეთში ზურაბ აბაშიძეს

„მშვიდობიანი ყოფა გენერლებს ულუკმაპუროდ ტოვებს...“

— ბატონო ედუარდ, კოდორის ხეობის ამასწინანდელი სკანდალი თქვენი უშუალო ჩარევითა და პრეზიდენტ პუტინთან საუბრით მოგვარდა. ამასთან, ბრძანებთ, რომ შემდგომი პროვოკაციებისგანაც არ ხართ დაზღვეული. ნუთუ თქვენი და რუსეთის პრეზიდენტის პირადი ურთიერთობა არ არის გარანტი საქართველოსა და რუსეთს შორის ამგვარი ინციდენტის თავიდან ასაცილებლად?

— ის, რაც კოდორის ხეობაში მოხდა, ძნელი ასახსნელია. რატომ ხდება ამგვარი რამ ჩვენთანაც და რუსეთშიც? ყველანაირი შეცდომა შეიძლება მოხდეს, შეიძლება არასწორად მოიქცნენ ჩვენი ან თქვენი სამხედროები, მაგრამ დავიჯერო, თავისი ნებით აიკრეს გუდა-ნაბადი და კოდორში გადაბარგდნენ? მათ უთუოდ ბრძანება მიიღეს. საერთოდ, ვინ გადაწყვიტა დესანტის გადმოსხმა? კოდორში ჩასულმა გენერალ ევტეევს ვთხოვე, — მოერიდეთ სისხლის ღვრას, სასწრაფოდ შეკრიბეთ თქვენი ხალხი და უკან გაბრუნდით-მეთქი. მითხრა, — ეს ამბავი გაძნელდებაო. თურმე ორმოცი დღის საკმარისი სანოვაგე, დიდძალი იარაღი, ტყვია-წამალი წამოეღოთ თან... ისიც დაუმატა, — ჯერ ჩვენი თავდაცვის მინისტრს უნდა მოველაპარაკოო. საკითხავია, რა საჭირო იყო მინისტრთან დაკავშირება, თუკი თავად ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება? მაგრამ მგონი, კოდორში შესვლა უმაღლესმა ინსტანციებმა ბრძანეს — იფიქრეს, ახლაა ყველაზე მარჯვე დრო ამ ხეობის ხელში ჩასაგდებადო. მათ ეგონათ, რომ სიტუაციას არ გავამწვავებდით.

რუსეთის დესანტს ყველაფერი დაწვრილებით ჰქონდა გათვლილი. შვეულმფრენებიც ცარიელ, დაუცავ ადგილზე დაეშვნენ და ბლინდაჟებისა და სანგრების გათხრა დაიწყეს. ჩვენ რადიოდამჭერებით მოვიპოვეთ რუსი სამხედროების ურთიერთკავშირის ჩანაწერები, საიდანაც გაირკვა, რომ ისინი ელოდნენ დამატებით ძალებს ჰაერიდან და იქადნებოდნენ, — ისე გავაცამტვერებთ ქვემო აჟარას, რომ ქვას ქვაზე არ დავტოვებთო. იმედი ჰქონდათ, — საქართველო წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევსო. მათი მიზანი იყო, როგორმე სამხედრო კონფლიქტში ჩავეთრიეთ.

— პუტინს როდის დაუკავშირდით?

— ამ ამბის პირველსავე დღეს, 12 აპრილს დავურეკე, მაგრამ ადგილზე არ აღმოჩნდა. ვითხოვე მის თანაშემწესთან ან თავდაცვის მინისტრ იგორ ივანოვთან დაკავშირება — მოსკოვიდან მიპასუხეს, — საჭირო არ არისო. რამდენიმე საათს ველოდე. პრეზიდენტი არ გამომხმაურებია. ხომ არ დაველოდებოდი! და კოდორში გავფრინდი. შეიძლება ბ-ნ პუტინს დროულად არ მოახსენეს ან უკვე კონსულტაციები მიმდინარეობდა... არ ვიცი...

კოდორში სამხედროებს ძლივს ვაკავებდი — თამამად შეგვიძლია დესანტის განადგურება, ისე, რომ თმის ბეწვიც არ დაგვვარდებაო. ადგილობრივი მოსახლეობა — სვანებიც კბილებამდე შეიარაღებულნი იყვნენ. 13 აპრილს, 5 საათზე პუტინი დამიკავშირდა და მითხრა, — ეს საკითხი მოგვარდებაო.

— რა განსხვავებაა მოსკოვსა და თბილისს შორის დადებულ ძველსა და ახალ ხელშეკრულებას შორის და როგორ გესახებათ ახალი ხელშეკრულება?

— ჯერ პრინციპული საკითხები არ განგვიხილავს. ეს ეხება სამხედრო ბაზებს, მათ აქ ყოფნასა და სამხედრო თანამშრომლობას. დასანანია, რომ რუსეთის დუმამ ძველი, 1994 წლის მართლაცდა იდეალური ხელშეკრულების რატიფიცირება არ მოახდინა. როდესაც ორი მეზობელი სახელმწიფო ექვსი-შვიდი წლის მანძილზე საერთო ენას ვერ გამონახავს, ეს არ არის ნორმალური.

სახელმწიფოთა შორის სამხედრო თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუმცა სამხედრო ბაზების გაყვანა სტამბოლის შეთანხმებით იყო განპირობებული... თურქეთშიც არის ამერიკული ბაზები, მაგრამ მათ გაყვანას არავინ ითხოვს, იმიტომ, რომ ამერიკელები ამისათვის წელიწადში ორ მილიარდ დოლარზე მეტს უხდიან თურქეთს. ჩვენ რას გვიხდის რუსეთი? — არც ერთ კაპიკს. თანაც ჩვენი ელექტროენერგიითა და წყლით უფასოდ სარგებლობენ. ყველაფერი ეს ხელშეკრულებით უნდა დარეგულირდეს. რაც შეეხება იმას, რომ მე აქ ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგებას ვაპირებ, არ არის მართალი. რუსებს აღიზიანებთ, ჩვენ რომ ამერიკელი სპეციალისტები გვეხმარებიან, თვითონ კი აფხაზებს აიარაღებენ, ფულსაც აძლევენ, ტექნიკასაც...

გადაჭრით ვამბობ, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მალე დავიწყებთ ზრუნვას ნეიტრალური ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად.

— რუსულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობაც ვერ არის კარგად აწყობილი. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ რუსულ კაპიტალს გზა გადაეკეტა საქართველოში?

— ასე არ არის. მგონი, აქ გარკვეული პოლიტიკური მომენტები მოქმედებენ. არის პოზიტიური მაგალითებიც: მაგალითად, ყველასათვის ცნობილმა „იტერამ“ ჩვენი ქიმიური წარმოების ფლაგმანთან, ქარხანა „აზოტთან“ დადო ხელშეკრულება. „ლუკოილთანაც“ მოსალოდნელია თანამშრომლობა. თანაბარ პარტნიორულ პირობებში ურთიერთობა ყველასთან გვინდა. თურქებს ჩვენში ასზე მეტი ფირმა აქვთ გახსნილი. განა სისულელე არ არის იმაზე ფიქრიც კი, რომ თურქებს მეტ პატივს ვცემთ, ვინემ რუსებს? ესაა, მხოლოდ, რომ ისინი უფრო აქტიურები და საქმიანები არიან: რუსეთში კი სულ იმაზე ლაპარაკობენ, — არიქა, საქართველოს ეკონომიკური სანქციები მივუყენოთო. ეს მაშინ, როდესაც ევროკავშირში მიღებულია გადაწყვეტილება, საქართველოს დაუწესდეს რბილი ეკონომიკური რეჟიმი. ასევე იქცევიან ამერიკელები.

საქართველო ძალზე შეშფოთებულია. თბილისში არ გამორიცხავენ, რომ მოვლენები კოდორის ხეობაში საშინელი სცენარით შეიძლება განვითარდეს და იქაურობა მეორე ჩეჩნეთად იქცეს. მოსკოვის იმ ძალებმა, რომელთაც ჰგონიათ, აფხაზეთთან ლაციცით საქართველო მუდმივ შიშში ეყოლებათ, შეიძლება ახალი ომი მიიღონ.

მშვიდობიანი ყოფა, როგორც ცნობილია, გენერლებს ულუკმაპუროდ ტოვებს...

ამონარიდი ინტერვიუდან

ზურაბ აბაშიძე: — სოხუმი რუსეთის დაკრულზე ცეკვავს...



— ხანდახან მგონია, რუსეთს იმდენად მშვიდობისმყოფელობა არ აწუხებს, რამდენადაც სოხუმის რეჟიმის უსაფრთხოების დაცვა. იშვიათად თუ ახსენდებათ ეთნიკური წმენდა აფხაზეთში, ათიათასობით ქართველი დევნილი. არადა ეს ძირეული პრობლემაა, ამის მოუგვარებლად მშვიდობის მიღწევა შეუძლებელია. ბევრს ლაპარაკობენ, — გელაევმა შეიძლება აფხაზეთს ხელმეორედ შეუტიოსო. ის კი აღარავის ახსოვს, 1992-1993 წლებში ჩეჩნები ორგანიზებულად, ავტობუსებით რომ ჩაჰყავდათ სოხუმში სეპარატისტების მხარდასაჭერად. მაშინ „გმირებად“ თვლიდნენ, მათ სახელებს ქუჩებს არქმევდნენ. ახლა, როდესაც აფხაზებს შეუბრუნეს იარაღი, „ბანდიტები და ტერორისტები“ გახდნენ. საიდან აქვს სოხუმს მძიმე ჯავშანტექნიკა, სამხედრო კატერები, ავიაცია? ვინ ასაზრდოებს სეპარატისტულ რეჟიმს? რატომ სარგებლობს აფხაზეთი რუსეთის გარკვეული ძალების მხარდაჭერით, მაშინ როდესაც კავკასიის სხვა რეგიონებში სეპარატისტებს ებრძვის? — ეს ლიტონი კითხვები არ არის. არ შეიძლება ორმაგი სტანდარტების პოლიტიკის კულტივირება.

— რუსეთის უნდობლობა ჩეჩნების მიმართ საქართველოს პოზიციით და ვაშინგტონთან დახლოებით ხომ არ არის გამოწვეული?

— პანკისის პრობლემა ჩეჩნეთის კონფლიქტის პირმშოა. სხვათა შორის, პანკისის ხეობამ რუსეთის მოქალაქეები — ჩეჩნები შეიფარა და მადლობის მაგივრად რა მივიღეთ? ალბათ მათ შორის კრიმინალური ელემენტებიც არიან და ძალიანაც გვინდა, რომ უკან დაბრუნდნენ, მაგრამ ძალისმიერი დეპორტაცია შეიძლება საქართველოს ავად მოუბრუნდეს.

რაც შეეხება ამერიკას, მგონი ამ ეტაპზე ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გამწვავებას ერთი მიზანი აქვს — ხელი შეუშალოს ვაშინგტონთან ჩვენს სამხედრო კონტაქტებს. საოცარია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენ არაფერი გვრგებია — მთელი არსენალი და შეიარაღება რუსეთში გაიტანეს ან გაანადგურეს, და მაინც სულ იმას წუწუნებდნენ — რუსეთს ბევრი პრობლემა და მცირე შესაძლებლობა აქვსო. ჰოდა, რატომ უკვირთ ჩვენი ურთიერთობა აშშ-თან, თანაც მოსკოვმაც გააკეთა თავისი არჩევანი — დღეს თუ არა ხვალ ნატოს „ოცეულში“ გაფორმდება ოფიციალურად, მაშ, რაღას გვაყვედრიან ნატოსთან თანამშრომლობას?

— იმედი გაქვთ, რომ მშვიდობა დამყარდება და საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მოგვარდება?

— რასაკვირველია. დევნილთა დაბრუნება და აფხაზეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია თუ ერთდროულად დაიწყო, მაშინ სამშვიდობო პროცესიც დაიძვრება წერტილიდან. ძალიან ბევრია დამოკიდებული მოსკოვზე. რაც შეეხება ჩვენს ორმხრივ ურთიერთობას, აქაც ეკონომიკა უნდა წამოვიდეს წინა პლანზე. უნდა წამოვწიოთ რუსეთის ეკონომიკური ინტერესები. სწორედ ეს განამტკიცებს სამხრეთ კავკასიაში მოსკოვის პოზიციებს. უკვე არის ერთობლივი, იმედის მომცემი პროექტები.

ერთსაც გეტყვით — ჩვენმა ენერგეტიკოსებმა ბაქო-ნოვოროსიისკის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების ერთ რკალში მოქცევის ორიგინალური პროექტი მოამზადეს. ამასთან, გამიზნულია აფხაზეთზე სატრანზიტო მარშრუტის გაყვანა, რაც მათ წელიწადში 60 მილიონს მოუტანს. რუსეთის მხარე ამ პროექტს იცნობს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიმართებით მუშაობა რეგიონში მშვიდობისა და აყვავების საწინდარი იქნება.

მოსკოვსკიე ნოვოსტი №16

რა ხდება ამასობაში აფხაზეთში?

სანამ პოლიტიკოსები დავობენ, ხალხი საკურორტო სეზონისა და ომისთვის ემზადება.

აფხაზეთში დარწმუნებულნი არიან, რომ ქართველ პოლიტიკოსთა მთავარი მიზანია, აფხაზებს საკურორტო სეზონი ჩააშხამონ.

სოხუმში სეზონზე 3000 დამსვენებელი ჩამოდის. წლევანდელი საგზურები მარტიდანვე გაიყიდა. ომის შემდგომ პერიოდში მსგავსი არაფერი მომხდარა. ახლა კი, აპრილის მოვლენების შემდეგ, საგზურებს უკან აბრუნებენ.

ასე ამბობდა ზარატუსტრა...

ერთმა მშვიდობისმყოფელმა ოფიცერმა საქმის ვითარება ასე წარმოადგინა: საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები კარზეა მომდგარი. „ბაბუა შა“, ასე ეძახიან აქ შევარდნაძეს, კი ვერაფრით დაიკვეხნის. მიწები უფრო ნაკლები შემორჩა, ვიდრე ზვიად გამსახურდიას — მან მარტო სამხრეთ ოსეთი დაკარგა, ედუარდ ამბროსევიჩმა კი აფხაზეთიც ზედ მიაყოლა. თანაც ტელევიზიით გამოსვლისას არც მალავენ — მშვიდობანი პროცესით აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთო. მეორე ის გახლავთ, რომ ახალი თაობა წამოიზარდა, მათ ომი არ ახსოვთ, სწორედ ამის იმედი აქვს შევარდნაძეს, — დასძინა ოფიცერმა.

პრობლემის გადაწყვეტა

თუმცა თავსატეხი მარტო საქართველოს გასჩენია. აფხაზებს პრობლემა არა აქვთ. მათ ორჯერ შეარცხვინეს ქართული არმია, მართალია, „ბოროტების იმპერიის“ ჩაურევლად ეს არ მომხდარა, მაგრამ ხომ მოხდა..

აფხაზები ბასაევსაც თბილად იგონებენ — მტკიცე და სამართლიანი იყოო. კოდორის ხეობიდან ქართველების გადმოსვლისა არ ეშინიათ, — ჩვენამდე ვერ მოაღწევენ — აქამდე 25 კილომეტრია. თანაც ტყუილად ხომ არ ჩავატარეთ სწავლებაო, — ამბობენ. ამ სიტყვებში სიმართლე არის... ყოველ შემთხვევაში, უკიდურეს შემთხვევაში, ზღვის მხრიდან მოფრინდება 2-3 ამოუცნობი მფრინავი ობიექტი, რომელთაც, რასაკვირველია, ამოსაცნობი ნიშნები არ ექნებათ...

სარწმუნოება

აფხაზეთში მეჩეთს ვერ ნახავთ. აფხაზებს თავისი წარმართული პანთეონი აქვთ, მაგრამ უმეტესობა მართლმორწმუნე ქრისტიანია. თუმცა აქ ახალი ათონის მონასტერიც არის, მაცხოვრის და ივერიის ტაძრებიც, ურწმუნოც ბევრია.

— ჩვენს მუსლიმანებს რწმენა მიცვალებულის დასაფლავებისას ახსენდებათ, თანაც გაუნათლებლებიც არიან, — ამბობენ აქაურები.

გაზეთა რუ იბეჭდება შემოკლებით



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგ-თავაზოთ.

პატარები ბრძნობენ

6 წლის დემეტრე ტყემალაძე დედას უყვება:

— დღეს მასწავლებელმა გვკითხა, აბა, ვის ჰყავს ყველაზე ლამაზი, კეთილი, კარგი დედაო და მე ავიწიე ხელი. მერე იკითხა — ვის ჰყავს ყველაზე ბრაზიანი დედაო და ბექამ აიწია, მე არ ამიწევია.

ცოტა ხანში დემეტრემ დედა გააბრაზა და ერთი-ორი სილა დაიმსახურა, ეტყობა, ემწვავა, გვერდზე გახტა და წამოიძახა:

— არ უნდა ამეწია ხელი ყველაზე კეთილზე, ყველაზე ბრაზიანზე უნდა ამეწია.

***

მანანა ბებომ **3 წლის ანანოს** „ბორჯომი" დაალევინა.

— მოგეწონა, ანი?

— არა, ძალიან ბორჯომიანია!

***

2,5 წლის გვანცა ვაშაყმაძე ხშირად ისველებდა, რისთვისაც დედა უჯავრდებოდა:

— ძროხა, შე ძროხაო.

გვანცა ჯერ გამართულად ვერ ლაპარაკობს და ძროხას ეძახის „ბოს". ერთხელ, მორიგი ჩასველების შემდეგ, დედასთან მივიდა და ამაყად ეუბნება:

— დედა, ბოო.

***

2,5 წლის დათო ხვედელიძეს დედა საჭმელს აჭმევს, ლუკმების მიცემა ცოტა სწრაფად მოუვიდა, დათომ ვეღარ მოითმინა და გაბრაზებულმა დაუყვირა:

— დაიცა, გოგო, დაიცა, კაცი მაყუთში ჩაიქცა!

***

2 წლის ანანო კობერიძე მშობლებმა თბილისში წაიყვანეს სტუმრად. გოგონამ უცებ იკითხა:

— მამა, შენ სადაური ხარ?

— სოფლელი ვარ, ფციელი. შენ სადაური ხარ?

— მე ჩემი სახლიდანური ვარ, — დაასკვნა ანანომ ცოტა ფიქრის შემდეგ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: მოყვითალოა, უზომოდ ტკბილი, ისე იჭმება, არ უნდა კბილი.

III

იპოვე 11 განსხვავება



იპოვე ორი ერთნაირი ხაჭაერო ბურთი



მიიყვანე გენა ჩებურაშკასთან



რომელი ფიგურაა ყველაზე მეტი და ყველაზე ნაკლები?

რომელი ყვავილია სიდიდით მესამე?



I რამდენი სამკუთხედი იმალება ამ ფიგურაში?

II რებუსი

ქიავორდი

მახრჩობელა გველი			მაუგლის მეგობარი დათვი		ნაძვის ფოთოლი	ეკლიანი ბუჩქი შავი, ტკბილი ნაყოფით		მუსიკ. ნოტი
ქალის სახელი	ცხენი რუსულად	სოფელი ... ქალაქი	კენტის ანტონიმი		ჟუჟუნა ... მოვიდა	ყვავის ხმიანობა	ლურჯი საღებავი თეთრეულისთვის	

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" კუპონების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

ცხოვრებისეული კურიოზები

„მეგრული სინდრომი“



პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტებს თეორიულ მექანიკაში გაერთიანებული ლექცია ყველაზე დიდ, 65-ე აუდიტორიაში გვიტარდებოდა. ლექციას ბატონი ლევან რურუა გვიკითხავდა. რურუას ლექცია ცოცხალი და საინტერესო კი იყო, მაგრამ საათ-ნახევრის განმავლობაში იშვიათად თუ შეგვასვენებდა. იმ დღესაც ის-ის იყო, ლექცია დასასრულს უახლოვდებოდა და ჩვენ თან სიცხისგან, თან კონსპექტის სწრაფი წერისგან ქანცგაწყვეტილები, იმედით ველოდით ზარს, რომ მოულოდნელად დერეფნიდან რაღაც ხმაური შემოგვესმა. ხმაურს ბიჭების კამათი მოჰყვა. ლექციის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა — რურუამ კარი გამოაღო. მალე ჩვენს აუდიტორიაში ოთხი თავჩაქინდრული სტუდენტი შემოვიდა და კედლის გასწვრივ განლაგდა. ლექტორი მოგვიბრუნდა და მოგვმართა:

— ამ სტუდენტებმა ლექციის მსვლელობაში ხელი შეგვიშალეს. ისინი უნდა დაისაჯონ. რით დავსაჯოთ?

აუდიტორია უმალ გამოცოცხლდა. გაიმართა კამათი.

— სტიპენდია მოვუხსნათ, პატივცემულო! — თქვა ერთმა.

— სესიებზე არ დავუშვათ! — წინადადება შემოიტანა მეორემ.

— ინსტიტუტიდან გავრიცხოთ! — არ დაინდო მესამემ.

— თმა გადავპარსოთ! — ხუმრობის ხასიათზე მოვიდა მეოთხე...

იყო სხვა წინადადებებიც და ყველა მათგანი ბატონი ლექტორისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. აუდიტორიაში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მოულოდნელად ბოლო რიგებიდან მეგრული აქცენტით გაისმა:

— თქვენს ლექციებზე დავსვათ, პატივცემულო ლევან!..

ნათელა ჭიპაშვილი, თბილისი

თავი ლურსმანსაც ქე აქ!..

ზემო იმერეთში, რაიონის გამგებელი სოფლის თავკაცთან ერთად საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობას ათვალიერებს. მოულოდნელად მომუშავე ხალხს ერთი ჭარმაგი გლეხი გამოეყო.

— გვაპატიეთ, უფროსო, ხიდი წეიღო წყალმა და იქნება თქვენ გაგვიკეთოთ რამეფრად...

— მე რატომ მომმართავთ? აგერ არ არის თქვენი სოფლის თავი?!

— თავი ლურსმანსაც ქე აქ, მარა, ჩაქუჩი თუ არ დაარტყი, კი არ წავა!.. — უპასუხა გამგებელს ხელჩაქნეულმა გლეხმა.

ანიკო, თბილისი

რატომ გშურს?!

ამ არეულმა დრომ ერთ ჩემს ნაცნობსაც აურია გონება და ერთ დროს ჩუმმა და უთქმელმა კორნელი ლ.-მ ისე შეაწუხა ახლობლები თავისი „გენიალური იდეებით“, ისინიც ადგნენ და ამ იდეებისგან გასათავისუფლებლად წინწკილაზე (ფსიქიატრიული საავადმყოფოა იმერეთში) მოათავსეს. ორი თვის შემდეგ კორნელიმ თავისიანებს მოსწერა, ძალიან ცუდ პირობებში ვარ და მიშველეთ რამეო.

„გიჟის“ ახლობლებმა ერთ თავიანთ ნათესავს, დიდი თანამდებობის პირს, ბატონ ბადრის სთხოვეს დახმარება:

— წამოგვყევი ავადმყოფის სანახავად, ავტორიტეტი გაქვს, იქნებ პირობები გაუუმჯობესონ, რაც არ უნდა იყოს, ქვეყანა გიცნობს.

კი დაეზარა, მაგრამ რას იზამდა ბადრი. მოიცალა და მიაკითხა ავადმყოფ ნათესავს ახალი „ჯიპით“.

— რა გიჭირს, ჩემო კორნელი, კვება გაკლია?

— სამჯერ მაჭმევენ, რამაზიჩ!..

— აბა, სისუფთავეს უჩივი?

— არა, სისუფთავე არის, მარა არ მინდა მაინც აქ ყოფნა!

— რატომ, კაცო, რატომ? კულტურული მომსახურება თუ არ მოგწონს, მითხარი და ამათ სულ ტყავს გავაძრობ!

— კულტურულად კი გვემსახურებიან, ყოველდღე „რემბოს“ გვაყურებინებენ კლუბში, მარა...

— აბა, რას უჩივი, შე კაცო? ჭამის მადა ქე გაქვს, ჰაერი აქ როა, ისეთი უნდა და დაისვენე... იყავი წყნარად...

— მასე თუ მოგწონს, რამაზიჩ, ამეიყვანე შენი ცოლ-შვილი აქ და თქვენ დეისვენეთ ახლა, მე ქე ვარ დასვენებული და გამიშვით სახლში!..

მურმან მერკვილიშვილი, თბილისი

რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტებანი

კონვერტი — დაიჯერე, რომ ცხენის წელია

მუშკეტერი — ერის შეიარაღება, ანუ თევზაძის არმია, მუშტებითა და კეტებით შეიარაღებული

სოლომონი — მღებრიშვილის მარილი, „ბუნტოვშჩიკებისთვის“ ყურში ჩასაყრელად

ქიშმიში — მიშას მუქარა (ჭადრაკში)

კრისტალი — ტალის ვირთხები (ჭადრაკის თამაშიც უსწავლიათ)

პეტროსიანი — ვიმღეროთ რუსებო, სამღერლად არ გაქვთ საქმე თუ რა!..

კაშალოტი — ქობალიას „ქაშა“ ჰყვარებია

ლისაბონი — ბონელი მელა (გერმანელებსაც ჰყოლიათ ერთი მელა)

ანტიკური — მტკვრის მოწინააღმდეგე

ბებერი — აიღე ბე და მოუსვი აქედან!

დუბაი — აი, „მუხაა“, გაიქეცი, თორემ აფეთქდება!

გოგი რატიანი, თბილისი

„მოგონებანი გარდასულ დღეთა...“

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს ტელევიზია მხოლოდ ერთი, ანუ პირველი არხით იყო წარმოდგენილი და მიუხედავად ძალზე მწირი ტექნიკური შესაძლებლობებისა, ყოველმხრივ ცდილობდა სიახლეთა დანერგვას. იმხანად საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“ მუსიკალური ფონის გარეშე გადიოდა ეთერში და ტელევიზიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მუსიკა დაედო სიუჟეტებისთვის. თუმცა ერთგვარი უხერხულობა იქმნებოდა იმის გამო, რომ „მოამბის“ ტექსტებზე მუშაობა თითქმის ეთერში გასვლის ბოლო წუთამდე გრძელდებოდა და მუსიკის შერჩევისთვის დრო ფაქტობრივად აღარ რჩებოდა. ასე იყო თუ ისე, გადაწყვეტილება ძალაში შევიდა და დაიწყო პროგრამის მუსიკალური გაფორმება.

პირველ დღეს ყველაფერი ნორმალურად აეწყო, შემდეგ დღეებშიც არ ჰქონიათ ჩავარდნები, მაგრამ ერთი კვირის მერე „მოამბის“ მორიგი გადაცემისას, იმდენად ცოტა დრო რჩებოდა, მუსიკალურ გაფორმებას ველარ ასწრებდნენ და ამის შესახებ ხელმძღვანელობას მოახსენეს. მათ კი ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — გინდათ თუ არა პროგრამა მუსიკის თანხლებით უნდა წავიდესო. არადა, ეთერში გასვლამდე ათიოდე წუთი რჩებოდა. სასწრაფოდ ჩამოწერეს სიუჟეტების ნუსხა და მუსიკალურ გამფორმებელს გადასცეს. მანაც ფონოთეკაში სახელდახელოდ, გამოსახულების უნახავად შეარჩია მუსიკალური ფონი თითოეული სიუჟეტისთვის...

საინფორმაციო პროგრამები იმ დროს ქვეყნისა (სსრ კავშირის) და რესპუბლიკის პირველ პირებთან დაკავშირებული ამბებით იწყებოდა. ასე იყო ამჯერადაც. ტელეკამერა აჩვენებს, თუ როგორ ათვალიერებს თეთრ ხალათში გამოწყობილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე მეფრინველეობის ფაბრიკას ათასობით ფრთა ქათმის გარემოცვაში და უცებ... მუსიკა — „საქათმეში შეპარულა მელა, ქათმებს ეჩურჩულებოდა ნელა...“

მაშინ სხვა დრო იყო და ყველა მადლიერი დარჩა, რომ ამ საქმეს მხოლოდ რამდენიმე თანამშრომლის ჩამოქვეითება მოჰყვა...

ვაჟა გავაშელი, თბილისი

ბებიაშენი „იოლკა“ კი არაა!..

ეს ამბავი გასული საუკუნის 70-იან წლებში მოხდა, გურიაში. გარდაიცვალა მხცოვანი ქალბატონი, სოციალისტური შრომის გმირი. დაკრძალვაზე მის პატივსაცემად ლამის მთელი რაიონი მოვიდა.

გამოსვენების წინ მისასამძიმრებლად გმირის შვილიშვილის კლასელები, ალისფერყელსახვევიანი გოგო-ბიჭები შეუშვეს დარბაზში. გვირგვინების, სურათებისა და ოქროსფერი მედალ-ორდენების სიმრავლემ ისე დააბნია პატარები, რომ ერთხელ საპატიო წრე რომ შემოუარეს (იქნებოდა ასე 30 ბავშვი), ბევრ ხალხში გამოსასვლელი ვერ იპოვეს და მეორედ წავიდნენ წრეზე. ასე განმეორდა რამდენჯერმე, სანამ ერთ-ერთმა ჭირისუფალმა არ დაუკივლა განსვენებულის შვილიშვილს, — გოგო, ბებიაშენი „იოლკა“ კი არაა, „კრუგებს“ რო უვლით, გადით ახლა გარეთ!..

ნინო, თბილისი

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

— ჭიჭიკია, ფხიზელი ხარ?!

— ხო, ლოთობას დავანებე თავი.

— გამეხარდა, ბიჭო! რამდენი ხანია?

— სამი დღე შემისრულდება ზეგ!!!

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

გურიაში, გზის პირას გაჩერებულ „ჟიგულს“ მოხუცი ქალი მიადგა:

— ნენა, სა მივა აი მანქანა?

— სად მიდის და... იტალიაში! — ხუმრობის ხასიათზე მოვიდა მძღოლი.

— ნატანებს ხომ გეიარს?

გია პატარიძე, თბილისი

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

დოდო აბაშიძე — მართალი კაცის ცხოვრების წესი

„გოგოს" ვერ გამოთქვამდა და „დოდოს" ამბობდა, ამიტომ შეარქვეს სახელად დოდო

ინტერვიუ ზაზა აბაშიძესთან

მამა მეშვიდე თუ მერვე კლასამდე საოცრად წყნარი და რბილი ხასიათის ბავშვი ყოფილა. თურმე, სახლში იჯდა და ქარგავდა ბალიშისპირებს. ახლაც შენახული გვაქვს მისი ბავშვობის დროინდელი ნაქარგები. გოგოებთან თამაში უყვარდა, მაგრამ სიტყვა „გოგოს" ვერ გამოთქვამდა და „დოდოს" ამბობდა, ამიტომ შეარქვეს სახელად დოდო, თორემ დავითი ერქვა. როცა წამოიზარდა, ჰანტელებით ვარჯიში დაუწყია და მეათე კლასში უკვე ისეთი „ყოჩი" დამდგარა, რომ აუღებელ ციხესიმაგრეს ჰგავდა. თუმცა, ძველი ბიჭი კი არ იყო, დღევანდელი გაგებით. ვერ იტანდა, როცა ვილაც ვინმეს ჩაგრავდა. თვითონ სხვას არასოდეს დაჩაგრავდა, მაგრამ მისი დაჩაგვრაც შეუძლებელი იყო... როგორც ყველა ბავშვს, მასაც უყვარდა ფეხბურთის თამაში. დიდი დავით ყიფიანი — დათო ყიფიანის მამა — იხსენებდა, ერთად რომ ვთამაშობდით, ფეხები სულ დამტვრეული მქონდაო.

საინტერესო მოგონება

ერთხელ დოდო აბაშიძე მეგობართან ერთად ყოფილა სნოში, ერთი მოხევის ქორწილში, რაღაც გაუგებრობის გამო ჩხუბი ამტყდარა. დოდოს და მის მეგობარს შვიდი თუ რვა კაცი დასევია, მაგრამ ამაოდ. ამ ორმა იქით სცემა თურმე ყველანი... ამ ჩხუბს შემთხვევით შესწრებია საქართველოს დღევანდელი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც მაშინ ბავშვი იყო. შემდეგში მას დოდოსთვის უთქვამს — იმ დღიდან მახსოვხარ, შენს ჩხუბს რომ ვუყურებდი, მაშინ ვფიქრობდი, ალბათ ასეთი ძლიერი იქნებოდა გიორგი სააკაძეო...

დოდო აბაშიძეს მსახიობობა მემკვიდრეობით გადაეცა

დოდოს დედ-მამა რუსთაველის თეატრის მსახიობები იყვნენ. ბაბუაჩემი ვანიკო აბაშიძე ოცდაჩვიდმეტ წელს იმ ცხრა კაცთან ერთად დახვრიტეს, სანდრო ახმეტელის ჯგუფს რომ ეძახიან. ერთი წლით ადრე იგი თეატრიდან გაუშვეს და ლანჩხუთში გადაიყვანეს — თითქოს თეატრის დაარსების მიზნით. ბოლო წელს იქ ცხოვრობდა, იქ დააარსა თეატრი, რეჟისორიც იყო და მსახიობიც. დოდო მამამისს ძალიან თბილად იხსენებდა — ვაჟკაცი კაცი იყოო, ამბობდა. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, რეპეტიციაზე რომ წასულა, უკან აღარ დაბრუნებულა.

დოდოს ძალიან უყვარდა დედა — ნინო ანდრონიკაშვილი. ქმრის დახვრეტის შემდეგ მარტომ გაზარდა ვაჟი. დიდი ბებია ეფრო კლდიაშვილი პირველი ქართველი პროფესიონალი მსახიობი ქალი, მე-19 საუკუნის მსახიობთა თაობის წარმომადგენელი, აკაკი წერეთლის პარტნიორი ყოფილა სცენაზე. ბებიაჩემს საოცრად ემაყებოდა ანდრონიკაშვილობა, სახლში ჩამოკიდებული ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორების, კომნენოსების სასახლის ფოტო. ისტორიული მოვლენები ისე განვითარდა, რომ კომნენოსების შთამომავლები საქართველოში აღმოჩნდნენ, — ანდრონიკე კომნენოსის შთამომავლები არიან ანდრონიკაშვილები. ბებიაჩემს გამორჩევით უყვარდა ყველა ანდრონიკაშვილი. საზოგადოდ, ანდრონიკაშვილების ქალები სილამაზით იყვნენ განთქმულნი. ნატო ვაჩნაძეც ხომ ანდრონიკაშვილი იყო გვარად. ბებიაჩემი სულ ამბობდა — მე, ანდრონიკაშვილის ქალი, აბაშიძეს როგორ გავყევიო. დოდო იქით უტევდა — აბაშიძეები თქვენზე ნაკლები რით ვართ, მეტიც ვართო. სულ ამაზე კამათობდნენ...

როლები...

მამის პირველი პარტნიორი სცენაზეც და კინოშიც მედეა ჩახავა იყო. კინოში მისი პირველი როლი „ჭრიჭინაში" შესრულებული ბიჭიკოა. სხვათა შორის, სცენაზე შილერის „ყაჩაღებში" როლერი ითამაშა. ამ როლს მამამისიც თამაშობდა. დოდოს მამის კოსტიუმი ჩააცვეს თურმე და ვინც ვანიკოს იცნობდა, ყველა ტიროდა, დოდოს რომ უყურებდნენ. ტექსტის დამახსოვრება უჭირდა და თეატრიდან მისი წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. „დათა თუთაშხიაში" სეთური რომ ითამაშა, გიგა ლორთქიფანიძე ოპერატორის უკან მდგარა და დოდოს ტექსტს კარნახობდა. ძალიან დისციპლინირებული მსახიობი იყო, — წუთით არ დაიგვიანებდა გადაღებაზე... როგორი ნასვამიც უნდა მოსულიყო ღამით, მეორე დილას ექვს საათზე ფეხზე იყო. საერთოდ, დოდოს თავის შემოქმედებაზე ლაპარაკი არ უყვარდა.

დოდო აბაშიძე შინ და გარეთ

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში ქარგავდა, რომ გაიზარდა, სახლში არაფრის გაკეთება არ ეხერხებოდა. ლურსმანს ვერ მიაჭედებდა და გადამწვარ ნათურას ვერ გამოცვლიდა. შინ სულ სხვანაირი იყო, ვიდრე გარეთ. შეეძლო საათობით არ ელაპარაკა, თავის ოთახში ჩაკეტილიყო და წიგნი ეკითხა. როგორც ჩანს, გარეთ ხარჯავდა მთელ ენერგიას.



შეყვარებული დოდო აბაშიძე

მონათხრობით ვიცი, რომ დედაჩემის და დეიდაჩემის სახლში, დეიდაჩემის დაბადების დღეზე სტუმრად მისულან ცნობილი ქირურგები — ვახტანგ ხურციძე (წოპე) და ზაალ კახიანი, რომლებსაც თან ეროსი მანჯგალაძე და დოდო მიუყვანიათ. ასე გაიცნო მამამ დედაჩემი — მარინა ახვლედიანი. დედა უცხო ენების ინსტიტუტში სწავლობდა და მამაჩემმა ამის გამო თეატრალურის დამთავრების შემდეგ უცხო ენების ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ ვერ გაძლო და სწავლას თავი დაანება. ცოლად მოგვიანებით შეირთო, ფილმის „მე ვიტყვი სიმართლეს" გადაღებისას. ამ ფილმში დედაჩემი მთავარ როლს ასრულებს, — მამა მეხანძრეს თამაშობს. ფილმის ბოლო კადრებზე ვხუმრობ — მეც ვთამაშობ-მეთქი, რადგან ამ დროს დედაჩემი უკვე ფეხმძიმედ იყო..

წინა პლანზე — მარცხნიდან: გოჩა აბაშიძე, დათო დანელია, ლეილა აბაშიძე, დოდო აბაშიძე

დოდო აბაშიძემ ერთადერთ ვაჟს მსახიობობა დაუშალა

მე რომ დავიბადე, მამა 33 წლის იყო, დედა კი 25-ის. დოდო იმ დროს სამშობიაროში ყოფილა და როცა სახლში დაურეკავს, მარტო ეს უყვირია: ბიჭია, ბიჭიო... მიუხედავად იმისა, რომ მამას დოდოს ვეძახდი და დედას — მარინას, ბავშვობიდანვე მათთან ძალიან მორიდებული ვიყავი. ისინი არასოდეს მანებივრებდნენ, თუმცა არც არაფერს მაკლებდნენ. არ მახსოვს, რომ მამას ჩემთვის საგანგებოდ მორალი წაეკითხოს. ორ-სამ სიტყვას იტყოდა ისეთს, რომ უკვე ვხვდებოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. არასოდეს ძალა არ დაუტანებია რაიმეზე. ერთადერთი, რასაც ხშირად მიმეორებდა, ის იყო, იქნებ ბიოლოგიურზე ჩაგებარებინაო. რატომ ჰქონდა ეს აჩემებული, არ ვიცი. მახსოვს, მამაჩემთან მხოლოდ ერთხელ ვთქვი — თეატრალურში ხომ არ ჩავაბარო-მეთქი. ვიცოდი, მაინცდამაინც არ გამიჭირდებოდა იქ მოხვედრა... მაგრამ ეს რომ წამომცდა, ისე შემომიბღვირა და მითხრა, ამ სისულელეებს თავი გაანებეო, რომ მას მერე ამაზე ხმა აღარ ამომიღია. მე არც ბიოლოგიურზე ჩავაბარე და არც თეატრალურში. სკოლაში მე-9 კლასში მოგვიტანეს ანკეტები, — სად გინდა ჩააბარო და ვინ გინდა გამოხვიდეო. ვიცოდი, მცხეთის სასულიერო სემინარია აცხადებდა სტუდენტთა მიღებას და ანკეტაში ჩავწერე, ჩავაბარებ მცხეთის სასულიერო სემინარიაში და მღვდელი გამოვალ-მეთქი. ეს იყო 1973 წელი. ასეთ ანკეტებს ვინ კითხულობდა, მაგრამ როგორც ჩანს, ვილაცამ მაინც გადაათვალიერა და ატყდა განგაში. დაიბარეს მშობლები, მაგრამ დოდო მაშინ გადაღებებზე იყო კალინინგრადში — „ციმბირელ პაპას" იღებდნენ. იქ მისწერეს — იქნებ შვილს რამე ურჩიოო. მომივიდა წერილი. მამა მწერდა — ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა, ამას მე ვერ დაგიშლი, მაგრამ მოდი ჯერ სხვა უმაღლესი განათლება მიიღე და მერე იფიქრე მღვდლობაზეო. ამასთან, ხუმრობით დასძენდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამი ან ოთხი შვილი რომ მყოლოდა, კიდევ ჰო, მაგრამ ერთი მყავდეს და ისიც „ბლაღოჩინიო"?! თუმცა, არ მახსოვს მამას ეკლესიასთან გაევლოს, პირჯვარი არ გადაეწეროს და ტაძარში არ შესულიყოს (ზაზა აბაშიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, ამჟამად დოცენტია, საპატრიარქოში ხელმძღვანელობს სამეცნიერო საენციკლოპედიო ცენტრს, მუშაობს ტელევიზიაში, უძღვება გადაცემას „ისტორიანი". — ლ.კ.).

რაში ეხმარება ზაზას დოდო აბაშიძის შვილობა

ყველაფერში... 44 წლის ვარ და უფრო ხნიერიც რომ ვიყო, დოდოს შვილიაო, მაინც იტყვიან. თავიდან მაღიზიანებდა, მერე შევეჩვიე. ისე კი არასოდეს არსად გამომიყენებია მისი სახელი — ავტოინსპექციასთანაც კი...

კურიოზი

დოდო ერთხელ კახეთში ყოფილა, მეგობართან ერთად ქეიფობდა თურმე რესტორანში. შემოსულა ერთი ვაჟკაცური შესახედაობის ტრაქტორისტი, აუღია ორი ულუფა კერძი და დაუწყია მადიანად ჭამა. დოდოს უთქვამს, ეს კაცი უღვინოდ რატომ ჭამსო და გაუგზავნია ორი ბოთლი ღვინო. იმ კახელს არც გამოუხედავს მათკენ, სამაგიეროდ, მთელი ყუთი ღვინო გამოუგზავნია. დოდო წამომდგარა და მადლობა გადაუხდია. ტრაქტორისტს არც ამჯერად მოუხედავს. გაცეცხლებულა დოდო, დასწევია წასასვლელად გამზადებულ კახელს, შემოუბრუნებია და უთქვამს — რა იყო, ერთი სიტყვაც რომ არ იკადრე ჩვენთვის, ღირსი ხარ, კაცმა ერთი მაგრად დაგკრასო. ამ კახელმა კიდევ, არც აცია და არც აცხელა, ისე მაგრად დაურტყამს, რომ დოდო მაგიდის ქვეშ შეცურებულა. კახელი მშვიდად გასულა რესტორნიდან.

მოკლედ, კახეთში მამას ბედი არ წყალობდა. სამაგიეროდ, ბებიაჩემმა ძალიან იხალისა, ეს რომ გაიგო და მერე სულ ეუბნებოდა: ჰა, ხომ მიიღე გემრიელი გურჯაანულიო...

საუკეთესო თამადის სადღეგრძელო

ძალიან კარგი თამადა იყო. სხვადასხვა სუფრას სულ სხვადასხვანაირად უძღვებოდა. ქალების სადღეგრძელოს თქმა იცოდა ძალიან ხატოვნად და ორიგინალურად. ერთხელ ერთ ქალს უთხრა — სახეზე გეტყობა, სიყვარულის აფიშა ხარო. სხვათა შორის, მე თამადების კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი ვარ საქართველოში. როცა საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი, ეს კლუბი მაშინ შეიქმნა. ამერიკაში არის საერთაშორისო „ტოსტმასტერების" კლუბი. კლუბის წევრები უღვინოდ ამბობენ სადღეგრძელოებს, ეს ერთგვარი ორატორული სკოლაა. ჩვენც შევქმენით ამგვარი კლუბი, ოღონდ ღვინით გავამყარეთ.

რისი ეშინოდა...

ნემსის გაკეთების ეშინოდა... სულ მანქანით დადიოდა. ერთხელ გაიარა ფეხით და მაინცდამაინც მაშინ სახურავიდან თუნუქის ფურცელი ჩამოვარდა და თავში დაეცა, — შვიდი ნაკერი დაადეს უნარკოზოდ. ექიმი სთხოვდა, ნემსს გაგიკეთებო, მაგრამ დოდო არაფრით დათანხმებულა. სხვათა შორის, ცხვირის ოპერაციაც უნარკოზოდ გაიკეთა, — პისტოლეტის ტარი ჩაარტყეს ერთხელ ცხვირში და გაუტეხეს, არასწორად შეუხორცდა. და ვეღარ სუნთქავდა. წოპეს გააკეთებინა ოპერაცია უნარკოზოდ. ტკივილს იტანდა, მაგრამ ნემსის ეშინოდა...

დოდო აბაშიძე და კომფორტი

ძალიან უყვარდა უახლესი ტექნიკა — ტელევიზორები, მაგნიტოფონები... ასევე მანქანა. თბილისში მაშინ ერთი ჯანო კახიძეს ჰყავდა „მერსედესი" და მეორე დოდოს, მაგრამ არ უვლიდა. ბოლოს „მერსედესი" გაყიდა, „ვილისი" იყიდა და იმით დადიოდა, მე ეს მანქანა თუ გამიძლებსო, ამბობდა. კარგი მეოჯახე იყო, სულ უცხოეთიდან ჩამოჰქონდა წვენების საწური, ყავის სახარშები, ტაფები, ქვაბები, უამრავი ჭურჭელი, დანა-ჩანგალი... ისეთი ნივთები ჩამოჰქონდა, რომ ქალსაც გაუჭირდებოდა შერჩევა...

დოდო აბაშიძე და შვილიშვილები

ნუცა განსაკუთრებით უყვარდა, მუციკოს ეძახდა. ნუციკომ შეირქვა თვითონ „მუცა" და იმიტომ... მერე, დათუნა რომ დაიბადა, სულ გაგიჟდა. ფოტოსურათზე რომ ნახა საწოლზე ტიტლიკანა წამომჯდარიყო, თქვა, — ვა, ეს რა შაჰივით ზისო და ამის მერე დაუდ-შაჰს ეძახდა. სანდროს კი ვეღარ მოესწრო.

სხვათა შორის, ხანდახან ნაცნობების სახელები ავიწყდებოდა და ყველას მამუკას ეძახდა. მამა, ესე იგი, მამუკაო — ეტყოდა. ზოგჯერ ნაცნობებს სიყვარულოვიჩსაც ეძახდა... როგორც ჩანს, ძალიან უნდოდა, ჩემთვის ვანიკო დაერქმიათ და არა ზაზა. ამიტომაც გადაწყვეტილი მქონდა, — როცა პასპორტს ავიღებდი, სახელი გადამერქვა. კომკავშირულ ბილეთშიც ივანე ჩავაწერინე. როცა მამამ წაიკითხა — „ივანე დავითის ძე აბაშიძე" — ცრემლი მოადგა. მართალია, ვეღარ მოვახერხე სახელის გადარქმევა, მაგრამ ახლა ჩემს შვილს, დათუნას ვეუბნები, შვილი რომ გეყოლება, ვანიკო დაარქვი-მეთქი...

ცხოვრების წესი

მამას მართალი კაცის ცხოვრების წესი ჰქონდა და არასოდეს გადაუხვევია. მისი ცხოვრების წესი — ჩემთვის მამის დანატოვარი მემკვიდრეობაა.

ლელა კვირკველია

თუ მანქანას ვერ მიყიდი, წადი და ბევრი ფული იყიდე...

*მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, პირველი არხის საინფორმაციო-მუსიკალური შემეცნებითი პროგრამების „ალიონისა“ და „ნაშუადღევის“ წამყვანი, ყოფილი „მოამბელი“ **გიორგი ახვლედიანი** მაინც ახერხებს გამონახოს თავისუფალი დრო თავისი საყვარელი ვაჟის, 3 წლის სანდროსთვის და მასთან ერთად მთელი გულით იხალისოს, რაშიც თავადაც დარწმუნდებით...*

— **გიორგი, როგორც ვიცი, სრულიად შემთხვევით მოხვდი ტელევიზიაში.**

— მართლაც ასე იყო. 1994 წელს, როცა მძიმე ზამთარი ინყებოდა, მეგობარმა, რომელიც პირველ არხზე მუშაობდა, შემომთავაზა პირველი არხის საინფორმაციო პროგრამის კორესპონდენტად მუშაობა. ცოტა კი დავიბენი, პროფესიით თეოლოგი ვარ და მაშინ არავითარი შეხება არ მქონდა ტელევიზიასთან. მაგრამ გადაწყვეტილება მივიღე და ტელევიზიაში 3-4 თვით მძიმე ზამთრის გადასატანად მისული უკვე 8 წელია აქ ვარ. ძალიან მსიამოვნებს ჩემი საქმის კეთება. ოთხი წელი საინფორმაციოს კორესპონდენტად ვიმუშავე, მერე 3-4 წელი „მოამბის“ წამყვანი ვიყავი. მას შემდეგ კი, რაც ტელევიზიაში რეფორმები დაიწყო და „მოამბეში“ ახალი სახეები დასჭირდათ, მე „ალიონისაგან“ მივიღე მიწვევა და სიამოვნებით დავთანხმდი.

— **უკვე დიდი ხანია ეკრანზე ხარ და ალბათ პოპულარობასაც გრძნობ.**

— ნამდვილად ასეა და ძალიანაც მომწონს ეს ამბავი. არავინ არ თქვას, პოპულარობა არ მსიამოვნებსო. კარგი რამეა, ოღონდ ერთი კია, რომ მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. კურიოზებიც ხშირად მაქვს იმის გამო, რომ ყველგან მცნობენ. ახლახან მეტროში ჩავედი, ვაგონში გვერდით მომიჯდა ვიღაც დიდი ჩანთებით დატვირთული ქალბატონი და დაჟინებით მომაშტერდა, მერე უცებ იკივლა — უიმე, მომიკვდეს თავი. შენც მეტროთი მგზავრობ, შენ გენაცვალეო? მთელი ვაგონი ჩემკენ შემოტრიალდა, მე კი უხერხულობისაგან იმ ქალის დამშვიდება დავიწყე, მერე რამეთქი, ვეუბნებოდი.

— **ალბათ საეთერო კურიოზიც ბლომად გქონია.**

— დიახ. ერთხელ, გია ბუღაძე გვყავდა სტუმრად სტუდიაში. ბენზზე გადაურჩა დაშავებას. საუბრის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, მცირე აფეთქების ხმა მომესმა და მივხვდი, რომ ზემოთ განლაგებული უზარმაზარი ნათურებიდან ერთ-ერთი გადაიწვა. მუსიკალური პაუზა რომ დაიწყო, გაისმა დიდი აფეთქების ხმა. მაღლა ავიხედე და დავინახე, როგორ მოფრინავდა ჩემკენ უზარმაზარი ნათურა. ხოლო იქ, სადაც 15 წამის წინ ბატონი გია იჯდა, ორი უზარმაზარი, გავარვარებული სპირალი დაეცა. მე მაგიდას გადმოვეველე და ნათურა ტახტზე დავარდა. ასე გადავრჩი, მაგრამ, როცა ტექნიკური პერსონალი შემოვიდა და იკითხა — ტახტი ხომ არ დაიწვაო, კინაღამ გავგიჟდი, მე არც გავხსენებივარ...

— **ხშირად ხდება ისე, რომ მუსიკალური პაუზის დროს თქვენ კვლავ ეთერში ჩანხართ. რატომ?**

— აბა, რა გითხრათ. ეგეც კურიოზია. ამოსუნთქვის საშუალება არ მეძლევა, ამიტომაც უხერხულობის გასაფანტავად ხან ყავას ვსვამ, ხან ბლოკნოტში ვინიშნავ რაღაცას და ხანაც უაზროდ ვიღიმები.

— **როგორც გავიგე, შესანიშნავად ახერხებ დროის გატარებას შენს პატარა ოჯახთან ერთად.**

— დიახ, მართალია, მყავს მეუღლე და პატარა სანდრო. სულ ვცდილობ, რომ მან უჩემობა არ იგრძნოს.

— **მამის პროფესიისადმი ინტერესს ხომ არ ამჟღავნებს?**

— არა, უცნაურ პროფესიებს ირჩევს. ერთი პერიოდი იძახდა, მეფე უნდა გამოვიდეო, მერე აიხირა, ცუდი მუშა უნდა გავხდეო, მერე ჯარისკაცობა უნდოდა, პოლიციელობაც. ბოლო ხანს იძახის — აჯობებს, შენ შვილი იყო და მე მამა. სულ ტელევიზორში ვიქნები და რასაც მინდა, იმას ვუყურებო, ანუ მულტფილმებს. სანდრო ნახატ ფილმებზე გიჟდება.

— **საგანგებო შეკვეთებს ხომ არ გაძლევს ხოლმე?**

— კი. ორი სიმღერა უყვარს ძალიან — „ერისიონი“ და „ვაგონი მიქრის“. რატომ მოსწონს ხალხს და განსაკუთრებით ბავშვებს ეს ორი, სრულიად განსხვავებული სიმღერა, ამ თემით ფსიქოლოგებიც დაინტერესდნენ. ვფიქრობ, რომ „ერისიონის“ კლიპში არის უზარმაზარი ენერგია, რომელიც ბავშვში გენეტიკურად კოდირებულ ქართველს აღვიძებს და კლიპიდან წამოსული ემოციური დატვირთვა ამიტომაც ახლოს არის მის სულთან. „ვაგონი მიქრის“ კი არის მელოდია, რომელიც ნებისმიერი ასაკის, სქესისა და ფორმის ადამიანს უჩენს სილაღის, თავისუფლების და სურეილისამებრ ცეკვის განწყობას.

— **თავად სანდროც ცდილობს სიმღერას?**

— სიმღერის მცდელობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ ამბავს მოგიყვებით: ბაკურიანში ვიყავით. სანდრომ პირველად ნახა დიდი თოვლი და ძალიან გახარებული იყო. სულ სრიალი და ქროლვა უნდოდა, მაგრამ, ერთხელაც, ტრასაზე რომ უნდა დავეშვებულიყავით, შემაჩერა. თურმე იქვე, ჯიხურში „ერისიონის“ მუსიკა ინყებოდა. მამიკო, ამას მოვუსმინოთ და მერე დავეშვათო, მთხოვა. მოვუსმინეთ და ვუთხარი, აბა, მოემზადე-თქო. არა, არა, ჯერ წიგნი დაიხუროსო, თავიდან ვერ მივხვდი. მერე კი მეც წარმოვიდგინე, როგორ დაიხურა კლიპში წიგნი და თოვლში დავეშვით. ამ შემთხვევის სახსოვრად ფოტოც გვაქვს გადაღებული.

— **თავგადასავლებიც ხომ არ გქონიათ ერთად?**

— არ ვიცი თავგადასავალი თუ შეიძლება ეწოდოს ამბავს, რომელსაც ახლა გიამბობთ. ერთხელ ასეთი რამ დამემართა: მაშინ ტელევიზიაში ღამეების გათენება მიხდებოდა და უძილობის გამო უცნაურად ვიქცეოდი. ერთხელაც შინ გვიან მისულმა სანდროსთან ერთად დავიძინე. დილით ავდექით და ორივენი სასწორისკენ გავემართეთ. მუდმივად მაწუხებს წონის პრობლემა და ამიტომაც დიეტების, შიმშილობისა და ათასი უბედურების ფონზე მუდმივად ვიწონები. დავდექი სასწორზე და ჩემმა ღრიალმა სახლი შეძრა. მეუღლეს დავუძახე, ეკა, მიშველე, დავიღუპე-მეთქი. შეუძლებელი იყო სასწორი ისე გაფუჭებულიყო, რომ 12 კგ-ით მეტი წონა ეჩვენებინა. ჩემი მეუღლე და სიდედრი ჩემს ღრიალზე ოთახში შემოვარდნენ და ისტერიკული სიცილი აუტყდათ. კინაღამ გავგიჟდი, ნუთუ დამცინიან კიდეც ჩემი უბედურების გამო-მეთქი... სასწორზე ვიდექი და ხელში 12-კილოგრამიანი სანდრო მეკავა. გაიცინებდნენ, აბა რას იზამდნენ.

— **რა გადაწყვიტე, მანქანას ყიდულობ სანდროსთვის?**

— ეს რა გამახსენე. როცა პირველად მთელი კატეგორიულობით გამომიცხადა მამიკო მანქანა მიყიდეო, გავოცდი. ნუთუ კიდევ მანქანა გინდა, სახლში შენი სათამაშოების გადამკიდეს ფეხი წესიერად ვერ დამიდგამს-მეთქი. არა, ნამდვილი მანქანა მიყიდეო — ეს ახირება მაშინ, როგორღაც შევაჩერე. მერე კი კაზინოს გვერდით რომ გასამაშებისათვის განკუთვნილი ლამაზი მანქანა დაინახა, მორიგი „შეტევა“ მოუწყო და მიბრძანა — ახლავე, ეს მანქანა მიყიდეო. მაგას ბევრი ფული უნდა-მეთქი. შენც რაღაც უცდი, წადი და ეგ ბევრი ფული იყიდეო — იოლად მოძებნა გამოსავალი, მაგრამ ბოლოს მაინც მოუხდა იმ აზრთან შეგუება, რომ მამიკოს მსგავსად ჯერ კიდევ ფეხით უნდა იაროს, მომავალში კი ენახოთ, რა იქნება.

ეკა ლომიძე

ჯინსი ისეთი ფუფუნება იყო, აბა, მას ვინ დახედა

*პოპულარულ ქართულ თუ უცხოელ ვარსკვლავთა კონცერტებით განებივრებულ თბილისში ახალ საკონცერტო ჟანრს ჩაეყარა საფუძველი. — „სიმღერის გარეშე კონცერტის“ დამფუძნებელი გახლავთ **კაკო ვაშალომიძე** — მუსიკალურ სამყაროში როკის აკადემიკოსად წოდებული პოპულარული გიტარისტი, არაერთი ფილმის მუსიკალური რეჟისორი, სატელევიზიო გადაცემა „როკ-სიტის“ წამყვანი და ბევრი საინტერესო იდეის ავტორი. ბევრმა არ იცის, რომ დაახლოებით ათი წლის წინ ბატონმა კაკომ გადაიღო მუსიკალური კლიპი, რომლის მსგავსიცაა აგერ ახლა გადაღებული „ერისიონის“ კლიპი, რომელმაც მსოფლიო აღიარება. ბატონ კაკოს სიამოვნებს „ერისიონის“ წარმატება და გული სწყდება, რომ თავის დროზე, როცა თავად იღებდა ქართულ მუსიკალურ კლიპთაგან ერთ-ერთ პირველს, არ ჰქონდათ საჭირო ტექნიკური აპარატურა და კიდევ ბევრი სხვა პირობა...*

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა კლიპის გადაღებაზე თითქმის არავინ ფიქრობდა საქართველოში, სიამოვნებით მოვკიდე ხელი ამ საქმეს და გადავიღე კიდეც რამდენიმე მუსიკალური კლიპი. მათ შორის ჩემთვის ყველაზე საყვარელი ნამუშევარი იყო „მწყემსური“. ყველაფერი მთაშია გადაღებული, მწყემსებთან, ყოველგვარი რეპეტიციების გარეშე. სამწუხაროა, რომ მის პოპულარობას ხელი შეუშალა საქართველოში 10 წლის წინ არსებულმა სიტუაციამ.

— **თქვენ საქართველოში ახალ საკონცერტო ჟანრს ჩაუყარეთ საფუძველი. გვიამბეთ ამის შესახებ.**

— „კონცერტი სიმღერის გარეშე“ მსოფლიოში პოპულარული საკონცერტო ჟანრია, მხოლოდ ჩვენთან არის იგი მივიწყებული. თუ ინსტრუმენტული მუსიკის ლეგენდარული შემსრულებლები არ ჰყავთ, საზღვარგარეთ მათ იგონებენ. ჩვენ ბევრი უნიჭიერესი შემსრულებელი გვყავს და ისინი ჩრდილში დგანან. არადა მათი არანეირებით ასრულებს ნებისმიერი პოპულარული ქართველი მომღერალი სიმღერას. მაგრამ ვირტუოზების მიერ შესრულებული მუსიკა ფონოგრამაზეა ჩანერილი. მაყურებელი კი ითხოვს, რომ ფონოგრამაზე, „მინუსებზე“ შესრულებულ სიმღერაზე უარი თქვან შოუბიზნესის ვარსკვლავებმა და სცენაზე პროფესიონალ მუსიკოს-ინსტრუმენტალისტებთან ერთად გამოჩნდნენ.

— **ერთ მშვენიერ დღეს ეს ალბათ ასეც იქნება, როცა ყველა მომღერალი უარს იტყვის ფონოგრამაზე.**

— ეს ალბათ მაშინ მოხდება, როცა მთავარი აქცენტი გაკეთდება პროფესიონალიზმზე, დაფასდება ნიჭიერება და უყურადღებობით დავიწყებას არ მივცემთ დიდ ხელოვანებს. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ვერც ახალი თაობები გაიზრდება.

— **პესიმისტურად ხართ განწყობილი?**

— არა. იმედი მაქვს, რომ დღეს შოუბიზნესში არსებული რთული სიტუაცია ბუნებრივად დარეგულირდება, ანუ ბოლოს ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა. თუმცა ეს პროცესები ბევრ პროფესიონალს დატოვებს კვლავ ჩრდილში. დღეს უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდაა საქართველოში, მათი შემჩნევის მსურველი უნდა გამოჩნდეს. ნიჭი არ უნდა დაეკარგოთ მოზარდებს.

— **როკზე რას იტყვით, თქვენ შესანიშნავი გადაცემა გქონდათ „როკ-სიტი“, რომელიც გაქრა ეკრანებიდან. რატომ?**

— „როკ-სიტი“ ძმები ცინცაძეების გადაცემა იყო. შესანიშნავი ადამიანი, ლევან მელიქიშვილი იყო რეჟისორი. მე და ჩემს მეუღლეს სოფის მიგვყავდა გადაცემა. ძალიან საინტერესო პროგრამები გვქონდა, მაგრამ „როკ-სიტისათვისაც“ დადგა დრო, როცა იგი ვიღაცის ინტერესებს ვერ მოერგო. ან იქნებ აღარავის სჭირდებოდა ამგვარი გადაცემები.

— **თქვენ ბევრი მოწვევა გაქვთ უცხოეთიდან. არ აპირებთ წასვლას?**

— მოწვევები არ წყდება, მაგრამ არ შემიძლია დიდი ხნით ჩემი ქვეყნიდან წასვლა. ნახევარ წელზე მეტხანს ვერსად ვძლებ, თორემ ახლაც მივიღე ინგლისიდან გრძელვადიანი კონტრაქტი.

— **ხშირად გვსმენია — როკი სატანური მუსიკაა. ეთანხმებით ამ აზრს?**

— არა, ბევრმა მოძღვარმა უპასუხა ამ შეკითხვას, არ შევეცდები ფილოსოფოსობას, მაგრამ ერთს ვიტყვი, მთავარია, ადამიანი სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარდეს, მისმა შემოქმედებამ ნებისმიერ სფეროში დადებითი ნაყოფი რომ მოგვცეს. რაც შეეხება როკზე ჩემს აზრს, ეს არის უაღრესად კეთილშობილური მუსიკა. ამას კი მისი წარმოშობის ისტორიაც მოწმობს.

— **ამერიკაში ჩაისახა თუ ინგლისში როკი?**

— ლონდონია როკის სამშობლო. თუმცა, თავდაპირველად, ვიეტნამის ომის დროს, ამერიკაში დაიწყო ჰიპების მოძრაობა. ჰიპები მდიდარი ოჯახების შვილები იყვნენ, პროტესტის ნიშნად მიატოვეს ახლობლები; ყვავილების შვილებს უწოდებდნენ საკუთარ თავს. ჰიპების დევიზი იყო პაციფისტური, ძალადობის საწინააღმდეგო. აი, სწორედ მაშინ გაჩნდა როკი, რაც აფეთქებას ნიშნავს...

— **როკი თავის დროზე სსრკ-ში იკრძალებოდა, არა?**

— საქართველოში ეს აკრძალვა ძალიან არ იგრძნობოდა. ჩვენ გვქონდა კლუბებში მუშაობის საშუალება და კონცერტებზეც ვახერხებდით ჩვენს რეპერტუარში როკიც გაგვეპარებინა. უამრავი ხალხი მოდიოდა კონცერტებზე და ბილეთები არასდროს არ ჰყოფნიდათ.

— **ამერიკაში და ევროპაში როკის დამკვიდრების შემდეგ ჩაცმულობისა და ვარცხნილობის სტილიც შეიცვალა — დახეული ჯინსები და გრძელი თმა შემოვიდა მოდაში. აქ როგორი მდგომარეობა იყო?**

— ჯინსის ყიდვა იმხელა ფუფუნება იყო ჩვენთვის, რომ აბა მას ვინ დახევდა. გრძელ თმასაც მეტ-ნაკლებად ატარებდნენ როკის მიმდევრები. ამერიკელებისაგან განსხვავებით ჩვენთან ოჯახს არავინ უპირისპირდებოდა და ოჯახის პატივისცემა ყველაზე დიდ ღირსებად ითვლებოდა. ამერიკულ ოჯახებში კი სწორედ უზრუნველყოფილი ცხოვრების გამო გაუჩნდათ ახალგაზრდებს უკმაყოფილების გრძნობა და გადაწყვიტეს, ყველაფერი თავად მოეპოვებინათ.

— **რა ნიშნით იყო აღბეჭდილი თქვენი ახალგაზრდობის ხანა?**

— ჩვენს დროში არსებობდნენ სიტყვის კაცები და მეფობდა როკის დევიზი — „Make love“...

ეკა ლომიძე

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
საგაზეთო და ოფსეტური
ყველაზე იაფად
ადგილზე მიწოდებით
ტელ: 71-04-14; 877-43-28-62

იმდენად მშვენიერია გაფრენა, რომ ღირს დამსხვრევადაც კი...

„როგორ მეუხერხულება, იცით, ქალბატონო, რომ თქვენ რაღაც უნდა დაწეროთ ჩემზე... დედის სულს გეფიცებით, ძალიან მეუხერხულება“... გავიგონე და დავინახე: ჩემ წინ სულში ბავშვობაშენახული, სევდიანი ხელოვანი იჯდა — ბატონი დიმიტრი ბათიაშვილი. გაგიკვირდებათ, არა? დიახ, ძნელი წარმოსადგენია მხატვრული ფილმების: „არასერიოზული კაცი“, „შნო“, „ზურა და გია“; დოკუმენტური სურათების: „ავლიპ ზურაბაშვილი“, „სვანეთი“, „სიმებიანი კვარტეტი“, „სერგო ზაქარიაძე“, „ქალაქური ცხოვრების ფრაგმენტები“... რეჟისორის ეს ბავშვური მოკრძალება. ბატონი დიმიტრი თბილისში ცნობილი, პატივცემული ოჯახის შვილია.

— დედაჩემი, ემა სხირტლაძე, განათლებული, კეთილი ქალი იყო. ყოფილ პუშკინის სახელობის ინსტიტუტში ასწავლიდა. ლექსებსაც წერდა. მამაჩემი ბიოლოგი გახლდათ, 15 წელი იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი. უნივერსიტეტშიც კითხულობდა ლექციებს. ჩემს მეხსიერებაში დარჩა მამა, რომელიც დილის 6 საათზე უკვე საწერ მაგიდასთან იჯდა... ახლა მამაჩემის მაგიდასთან ჩემი ვაჟი — ირაკლი მუშაობს... მამა ძალიან შრომისმოყვარე იყო. ინსტიტუტიდან დაბრუნდებოდა და ისევ წერდა ღამის თორმეტ საათამდე. განებივრებული არ ვყოფილვარ. უბრალოდ ვიზრდებოდი. ერთი რამ კი იყო: სულ მეშინოდა, ვინმეს არ ეთქვა ჩემზე: აი, ნახეთ პროფესორის შვილიაო... მამა ძალიან ადრე, 33 წლის ასაკში გახდა პროფესორი. მე კი, სულ იმას ვცდილობდი, ჩემი მეგობრებისაგან არაფრით ვყოფილიყავი გამორჩეული. ჩვეულებრივად მეცვა, მაგრამ ჩემ გვერდით იყვნენ ბიჭები, რომლებიც ძირგავარდნილი ფეხსაცმელებით და დაკემსილი შარვლით დადიოდნენ. როცა ახალ შარვალს ჩამაცმევდნენ, მაშინვე გავხევდი. დედა დამიკემსავდა და მე კმაყოფილი ვიყავი, რომ ჩემი მეგობრების მსგავსად გამოვიყურებოდი. ერთხელ მამამ ახალი ფეხსაცმელი მიყიდა. ჩემს კლასელზე ვუთხარი, — იმას რომ არა აქვს-მეთქი?! მეორე დღეს მისთვისაც შეიძინა ისეთივე ფეხსაცმელები. საერთოდ, მამა საოცარი კაცი იყო. მასთან ხშირად მოდიოდნენ სტუდენტები და წასვლისას ხელმოკლეებს ჯიბეში ფულს უდებდა. მარტო მამა კი არ იყო ასეთი. მე მახსოვს თბილისელი ბიჭები, რომლებიც უკანასკნელს გაიღებდნენ სხვისთვის.

ბავშვობიდან კიდევ მუსიკაზე სიარული მახსენდება. მუსიკალურ სკოლაში დავდიოდი. ფორტეპიანოზე დაკვრას ვსწავლობდი. ახლაც ვუკრავ მოყვარულის დონეზე კლასიკურ ნაწარმოებებს, ჯაზს... ძალიან მიყვარდა მუსიკა, მაგრამ ერთგვარი „მსხვერპლის გაღებაც“ მიწევდა, რადგან ყოველთვის, როცა კონცერტზე გამოვდიოდი, თეთრ პერანგს მაცმევდნენ და ყელზე „ბანტიკს“ მიკეთებდნენ. ეს იყო ჩემი უბედურებაც. კოჭის, „გრძელი ვირის“ ნათამაშები ბიჭი და „ბანტიკი“? სასწავლებელში სულ მიხვეულ-მოხვეული გზებით მივდიოდი, რომ ჩემს უბნელ ბიჭებს არ დავენახე. ეს იმ ასაკში ვიყავი, როცა ჩემთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ჩემი მეგობრები იყვნენ. ისე, ახლაც ასეაა... ვეღარ გავუძელი ტანჯვას. დედას ვთხოვე: აღარ შემიძლია ამდენი — გუნდი, სოლფეჯიო, თეორია... გამომიყვანე მუსიკალური სკოლიდან და კერძოდ ვივლი მასწავლებელთან-მეთქი. გულში კი იმ „ბანტიკს“ გავურბოდი. რბილი ქალი იყო დედა. დავითანხმე.

— როგორც ვიცი, შესანიშნავი ბავშვობის მეგობრები გყავდათ...

— ჩემი მეგობრები იყვნენ მერაბ კოსტავა, ვოვა სიხარულიძე, გურამ სხირტლაძე, ჯონდო მეტრეველი, გურამ დოჩანაშვილი. მე და გურამ სხირტლაძე ერთ კლასში ვსწავლობდით. გურამის მამა უშიშროებაში მუშაობდა. მათ სახლში ბეჭდავდნენ ბიჭები პროკლამაციებს. მახსოვს, ბაკურიანში მივდიოდით დასასვენებლად. ჩემი ძმა მაცილებდა. ველოდი გურამს. არა და არ გამოჩნდა. ალბათ, აგვიანებსო, თქვა ჩემმა ძმამ. მე და ჩემი მეგობრები გავემგზავრეთ. მეორე დღესაც არ ჩამოვიდნენ დარჩენილი ბიჭები, მესამე დღეს კი გამოვიხედე და დედაჩემს და ჩემი მეგობრის დედას არ ვხედავ? გული გამისკდა. დედებს ბაკურიანში რა უნდათ-მეთქი, ვიფიქრე. თურმე ბიჭები დაუჭერიათ და იმიტომ ჩამოსულან. საშინელება გადაიტანეს მაშინ — წარმოიდგინეთ, ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ და ცნობიერად ჰქონდათ თავი განწირული...



— ერთმანეთის შემოქმედებას რამდენად იცნობდით?

— ერთად ვიყავით. ვთამაშობდით, მაგრამ ამ მხრივ თითქოს უფრო გვერიდებოდა ერთმანეთის, გვრცხვენოდასავით... ზვიად გამსახურდია გვიკითხავდა ხშირად თავის ნაწერებს... გურამ დოჩანაშვილი შეპარვით მოიტანდა: აი, ეს რაღაც დავწერე... ისე, უბრალოდო... ძლივს გამოაჩენდა.

— რაც შეეხება თქვენს არჩევანს — პროფესიას, როგორ მიაგენით?

— ჩემი ძმა რომ არქიტექტორი გახდა, მამას უნდოდა, ბიოლოგი გავმხდარიყავი. მე კი არ მაინტერესებდა, არც ვიცოდი... რომ ამბობენ, ბავშვობიდან მინდოდა რეჟისორობაო, მე ასე არც მიფიქრია, ვერც კი ვიხსენებ, როგორ გადავწყვიტე. პირველად რომ ვნახე ფრანსუა ტრიუფოს „400 დარტყმა“, ვიტირე. მე მგონი, რაღაც მაშინ მოხდა ჩემში. ბავშვობაში ბევრს ვკითხულობდი, თანაც ძალდაუტანებლად.

კინორეჟისორობა რომ მოვინდომე, მშობლებმა მოსკოვში არ გამიშვეს — იქ დაიღუპებიო. აქ, თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე ვაბარებდი. კომისიის წევრები აკაკი ხორავა და დოდო ალექსიძე იყვნენ. გოგი, დოდოს ვაჟი, ჩემი კლასელი და მეგობარი იყო, მაგრამ მამამისმა არაფერი იცოდა, თუ ვაბარებდი. ბატონი დოდო ცოტა ექსცენტრიკული იყო, მგონი, არც ვახსოვდი. სულ 5 ადგილი იყო. გასაუბრებაზე ლექსიც უნდა წაიკითხოთო, გვითხრეს. მახსოვს, ვდარდობდი. ამხელა კაცმა ლექსი როგორ უნდა წავიკითხო-მეთქი. სოლოლაკელი ბიჭები გამომყვნენ გულშემატკივრებად. ასი გრამიც კი დამალევინეს გასამხნევებლად. რეზო ამაშუკელის ლექსი წავიკითხე. მხოლოდ იმიტომ, რომ მოკლე იყო და მალე დავამთავრებდი. მეორე დღეს ეტიუდი უნდა გაგვეკეთებინა. მოგვცემდნენ ორ-სამ ნივთს და აზრობრივად უნდა დაგვეკავშირებინა. გოგი მაჭავარიანიც გამოცდაზე იყო და ისიც არის ამისი მოწმე. მომცეს აგური და ნემსი და მოსაფიქრებლად — ნახევარი საათი. ვერ მოვისვენე. თუ შეიძლება, ადრე გამოვალ, ქვემოთ ბიჭები მელოდებიან-მეთქი. გავედი. რატომღაც გამახსენდა დედაჩემის ბიძა, რომელიც ლევილში ცხოვრობდა და ასეთი სიუჟეტი მოვყევი: ბიძაჩემი საფრანგეთში ცხოვრობდა, არც ძალიან ცუდად, არც ძალიან კარგად. ბოლოს, მოეძალა საქართველოს მონატრება, დატოვა ყველაფერი და ჩამოვიდა. დოდო ალექსიძე გაოცებული თვალებით მიყურებდა. ეტყობა, გულში ფიქრობდა, — ეს ბიჭი ვერ არისო... თან ამბობდა, — ვაცალოთ, რას იტყვისო... მე კი განვაგრძობდი: — ბიძაჩემი საქართველოში ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. ერთი გაცრეცილი პალტო ჰქონდა. აიღებდა ძაფს, გაუყრიდა ნემსში, პალტოს კემსავდა, მეორე ხელში კი აგური ეჭირა და თავში ირტყამდა, — ეს სად ჩამოვედიო. დოდომ იყვირა: — ვსიო, ხვატიტ-ო. თან ეცინებოდა... აი, ასე ჩავირიცხე.

კომკავშირელი არასოდეს ვყოფილვარ... თურმე გეგმა არსებობდა და ერთ დღესაც მომადგნენ: ინსტიტუტში მხოლოდ ორი კაცი არ არის კომკავშირელი — დიმა ბათიაშვილი და გელა კანდელაკი. განცხადება დაწერეთ, უნდა მიგიღოთო. უარი რომ ვთქვი, შინ მომაკითხეს. მამა ავად იყო და შეესწრო ამ ამბავს. ხვალვე კომკავშირში უნდა შემოვიდეს, თორემ მაგის გულისთვის მოგხვდება. მისაღებ გამოცდებზე რომ დაუშვეს, არც მაგის გამო დაგვაყრიან კარგ დღესო.

მამამ უთხრა: იცით, რას გეტყვით? ეს კაცი არ გამოგადგებათ. რად გინდათ ასეთი კომკავშირელიო...

რომ წავიდნენ, გადავეხვიე და ვაკოცე. ინსტიტუტში მე და რობერტ სტურუა ვმეგობრობდით. თვეობით ვრჩებოდი მასთან სახლში. არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავდა. დედა ახლაც ჰყავს. მამამისი, ბატონი რობერტი კეთილშობილი კაცი იყო. ასეთი ქრისტიანი სხვა არც მინახავს. რომ მიხვიდოდი, ვერ გაიგებდი, ვინ იყო უფროსი, ვინ უმცროსი, ისე მოგემსახურებოდა, ისე მოგეფერებოდა... ღმერთო, ეს რა კაცი იყო!.. რობიკო ამბობს, — მე მამაჩემისნაირი ვერა ვარო. საერთოდ, რობიკო სულ ეჭვიანობდა, ნერვიულობდა... მეორე თუ მესამე კურსზე იყო, დედაჩემს ეუბნებოდა: მგონი, ტყუილად ჩავაბარე სარეჟისოროზე, ტყუილად ვსწავლობო... დედაჩემმა უთხრა: რობიკო, აი, ნახე, შენ გამოხვალ ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეჟისორიო...

— თქვენ რას გიწინასწარმეტყველებდათ დედა?

— მგონი, არ მიყურებდნენ სერიოზულად. ფიქრობდნენ, იქნებ გაანებოს თავი რეჟისორობას და რაიმე სხვას მოჰკიდოს ხელიო.

— მაგრამ ეს ცოტა უსაფუძვლო დამოკიდებულებას ჰგავს, როცა თქვენ სადიპლომო ფილმიც კი, „ზურა და გია“, ასე მშვენიერად გადაიღეთ.

— ნაღდი შეგრძნებით გადავიღე... ჯერ რამდენი ბიუროკრატიული საფეხური უნდა გაგვევლო, რომ გადაღების უფლება მიგვეღო, მაშინ მხოლოდ 23 წლისა ვიყავი. მიუხედავად სიძნელეებისა, გადავიღე. სიუჟეტი ორ პატარა ბიჭზეა. ერთი მარტო იზრდება, დედა მუშაობს და იძულებულია, შვილი სოფელში გაუშვას. მეორე ბიჭი მარტო რჩება. ეს ჩემეული ტკივილი იყო. დღესაც მახსოვს ის ბავშვი, ჩემს მერხზე რომ იჯდა კლასში. რაღაც „ვიხულიგნეთ“ ბავშვებმა. ერთ დღესაც აღარ მოვიდა სკოლაში. ჩემთან სხვა გადმოსვეს. შევხედე და გული მეტკინა. ის ტკივილი დღესაც მახსოვს. არყოფნამ დიდი დარდი იცის. არადა რამდენი ხალხი წავიდა... მშობლები, მეგობრები... ერთი რამ გამახსენდა ახლა: მათემატიკის მასწავლებელი მყავდა. თურმე ჩემს კლასელებს, ყველას, ცალ-ცალკე ამეცადინებდა თავისთან, შინ. მე სამიანებს ვიღებდი. ჩემ გვერდით ჩემნაირი ჭკუისკოლოფი — ხუთს. მიკვირდა გულში. გვიან გავიგე, თურმე ყველა ემზადებოდა, მე კი არ მითხრეს. გაკვეთილზე ვიჯექი. ცრემლები წამომივიდა, ნიშანი კი არაფერ შუაში იყო. ჩვენ იმაზე ვდებდით ნაძლევს, ვინ მეტ ორიანს მიიღებდა და სამის გულისთვის როგორ ვიტირებდი! უბრალოდ, მე მომატყუეს. ეს რომ გამახსენდება, დღესაც მეტირება. ისე არ გამიგოთ, თავი ანგელოზად მომაქვს — უხეშიც ვარ, მიჩხუბია კიდეც, მაგრამ ისეთი რაღაცებიც არსებობს ადამიანში, ისეთი სათუთია სული, რომ გეტკინება, მერე შეიძლება თავიც კი მოიკლა. მე მაინც ის მაცოცხლებს, რომ მარადისობას ვუკავშირებ ადამიანის ყოფას... გაოგნებული ვარ, სამყაროზე რომ ვფიქრობ. ყველაფერი იდუმალია... ვაჟას სიტყვებს გავიხსენებ:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მეხატა მზე, მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“...

ვაჟა ბუმბერაზია. ის გასულია ყოფიერებიდან. შემოქმედება მე გასვლად, გაფრენად მიმაჩნია. ამას რომ განიცდი, რაღაცები სისულელედ მოგეჩვენება... მიხვდები, რა პაწაწკინტელა ხარ.

— თქვენი „არასერიოზული კაცი“ ბევრის საყვარელი ფილმია. საოცარია, რომ საბჭოურ წლებში არაიდეოლოგიური კინო გადაგაღებინეს.

— ამ სცენარის იდეა მქონდა. ერლომ ახვლედიანთან დავდიოდი, ერთად ვმუშაობდით სცენარზე. ბევრი რამ იბადებოდა უშუალოდ მუშაობის პროცესში. სცენარი მოვამზადეთ, მაგრამ არ გინდა ამისი გატანა საბჭოზე? დავარქვი „არასერიოზული კაცი“. არასერიოზული ხომ იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მას ბრალდება. თვითონვე არ ამბობს: „რა გავუჩნდი ეგეთი უბედურება ამ ქვეყანას. რა გავუჭირე საქმეო“? განიხილეს ტელევიზიაში, ტელეფილმებში უნდა გადამეღო. ატყდა ერთი ამბავი. ხან ის თქვეს, ეს რა არისო, ხან ის, იქნებ სხვა დროში გადავიტანოთო. ყველა იმედი გადამეწურა. ავდექი და გამოვაცხადე: მოქმედება ჩვენს წელთაღრიცხვამდე გადავიტანოთ, თუ გნებავთ-მეთქი. ჩემდა ბედად გურამ ენუქიძეს — ტელევიზიის დირექტორს წაეკითხა სცენარი, მერაბ კოკოჩაშვილმაც დიდად დამიჭირა მხარი და დაამტკიცეს. ვიფიქრე, ახლა მე ვიცი, რასაც გადავიღებ-მეთქი. ყველაფერი მოფიქრებული მქონდა, მთელ ფილმს ვხედავდი. ორი ეპიზოდის გადაღება იყო დარჩენილი და შეიცვალა მთავრობა. ტელევიზიაშიც მოვიდა ახალი „უფროსი“. ნახა გეგმა. ეს „არასერიოზული კაცი“ რა არის, რას იღებთო? აგვიკრძალა გადაღება. ჩუმად, ძლივს დავასრულე ფილმი. ბედად, ჩამოვიდა რუსი კინოკრიტიკოსი ანდრეი პლახოვი. მოისურვა ნახვა, რას ვაკეთებდით ტელეფილმებში. ფილმი გახმოვანებული არ იყო. მე თვითონ გავახმოვანე რუსულად. პლახოვს მოეწონა. „პრავდაში“ წერილიც დაწერა და ასე გაეხსნა გზა ჩემს ფილმს. მაშინ წესი იყო, სრულმეტრაჟიანი ფილმი მოსკოვში უნდა ჩაგვებარებინა. ვცდილობდით, „არასერიოზული კაცი“ მოკლემეტრაჟიანებში შეგვეპარებინა, რომ თბილისში ჩაგვებარებინა. ანაზღაურებაზე არც ვფიქრობდი... ბოლოს და ბოლოს, შედგა ფილმი. მოწონებაც დაიმსახურა. პრემიერის შემდეგ რეზო გაბრიაძე და დევი ივანოვ-ჩიქოვანი მოვიდნენ ჩვენთან შინ. დედაჩემს უთხრეს: ეს რა კარგი ფილმი იყოო! დედა თან ტიროდა, თან ეკითხებოდა, — მართალია, მართლა ასეთიაო? არ ვიცი, რას ტიროდა, იმ სიხარულს, რომ რაღაც შევძელი, თუ...

გია ფერაძე სულ მეუბნებოდა: „არასერიოზული კაცი“ შენს თავზე გადაიღეო.

ამ ფილმმა დამამშვიდა. რწმენა მომცა. თუმცა „შნომაც“ ჩამისახა იმედი თავის დროზე...

— ახლა, როცა თქვენს ფილმებს უყურებთ...

— ვერ ვუყურებ. ძალიან მაინტერესებს, მაგრამ კასეტები არ მაქვს... ყველა რეჟისორს აქვს თავისი ფილმები. მე მეუხერხულება ვინმეს ვთხოვო, გადამიწერეთ-მეთქი. ამას წინათ, საავადმყოფოში ვიწექი. ტელევიზიით „არასერიოზული კაცი“ გადიოდა. ადგილ-ადგილ ვუყურე. ირაკლის მეგობრები იყვნენ მოსულები... რაღაც მომერიდა და ბოლომდე ვერ ვუყურე. იმ ფილმში არის დარდი, რომელიც ჩემში იყო... იქ რამდენიმე ადგილია, რომ ვუყურებ, მეტირება. თუ მაყურებელიც გაიზიარებს, ტყუილად არ გადამიღია...

— ახალი ფილმის გადაღებაზე არ ფიქრობთ?

— დოკუმენტური ფილმი „შალვა ნუცუბიძე“ დამრჩა დასასრულებელი. ძალიან მინდა დავამთავრო. ფული ვერ გამოინახა ამისთვის... კიდევ ერთი სცენარი მაქვს, „ბრმა“ ჰქვია. თუ მინიმალური სახსრები მაინც გამოჩნდა, გადავიღებ. დიდ ფულებს რომ ხარჯავენ, მე ათჯერ ნაკლები სახსრებით გადავიღებდი... არა, კი არავის ვაკრიტიკებ... უბრალოდ, ამ ამერიკულ ფილმებს რომ ვუყურებ, ვფიქრობ, — რა უბედურებაა, ამდენი მკვლელობები... ან მკვლელობას თუ უჩვენებენ, ერთი მაინც იყოს, რომ განვიცადო. არადა რამდენი ფული ჯდება ეს კინო?! ახლა ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს. ფეხი მაწუხებს... ველოდები, რომ კარგად გავიარო... მერე ფილმის გადაღება შევძლო... მთავარია კამერასთან, მსახიობთან თავისუფლად მივიდე, სხვა არაფერი მაინტერესებს. სიცოცხლეს მარტო ფიქრში ხომ ვერ გავატარებ?!

— დღევანდელობაზე რას ფიქრობთ?

— ირაკლის ვეუბნები ხოლმე, — ალბათ ქართველებს მხოლოდ ერთეულები გვყავდა განსაკუთრებული, თორემ მთლიანად არ ვყოფილვართ კარგები-მეთქი... კი ბატონო, მე ვამაყობ, რომ ქართველი ვარ, რუსთაველით, ფიროსმანით ვამაყობ, თორემ ისე გულნატკენი ვარ. ის ხალხი, ვისაც ასეთი წინაპრები გვყავდა, როგორ შეიძლებოდა გაგიჟებულიყო ვერცხლის სიყვარულით? ფული შეიძლება გქონდეს, მაგრამ კერპად კი არ უნდა გაიხადო! ხშირად მიფიქრია: ფიროსმანი მაწანწალასავით ცხოვრობდა სარდაფში. როგორ არ უსკდებოდათ გული... ვიღაცამ ხომ იცოდა, რომ ფიროსმანი იყო. ღამით მაინც არ ეზმანებოდათ?! აუცილებელი იყო, ვიღაც ფრანგი და პოლონელი ჩამოსულიყვნენ და ეთქვათ: ეს, ბატონო, დღევანდელი ჯოტო ყოფილაო... რამდენი კარგი წინაპარი გვყავდა. ჩვენს სახლში, მეორე სართულზე ქეთევან მაღალაშვილი ცხოვრობდა. დედაჩემის მეგობარი იყო. ქვეტექსტებით კი არ ცხოვრობდა, რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა... მახ-სოვს ელენე ახვლედიანი, მათი საუბრები... სულ უბრალო თბილისელი ბიჭები მახსოვს, ნაღდი ადამიანები. ახლა რომ ზოგი ერთს ფიქრობს, მეორეს ლაპარაკობს, ისე კი არ იყვნენ. ბევრი რამ არ მესმის... როცა შენ გვერდით ვიღაც შიმშილით კვდება, მათხოვრობს, როგორ შეიძლება, შენ დღე და ღამე რესტორნიდან არ გამოდიოდე... უკვე გითხარით, გულგატეხილი ვარ-მეთქი...

— მაგრამ თქვენს ცხოვრებაში იმდენი ნათელი ადამიანი ყოფილა, იმდენი კარგი რამ გახსოვთ...

— დიახ, მიუხედავად ბევრი ცუდისა, სიცოცხლე მაინც მშვენიერია. გოტფრიდ კელერი ამბობს, სიცოცხლე ტკივილშიც კი, სევდაშიც კი მშვენიერიაო. ტრაგიკულშიც არის ნათელი სხივი. რამდენი მშვენიერი მუსიკა არსებობს, რამდენი კარგი ფილმი... მართალია, ყოველდღიურობა გვანგრევს, მაგრამ ფრენაც ხომ არსებობს. დოკუმენტურ ფილმს ვიღებდი სვანეთში შვეულმფრენიდან. მფრინავი მიშა ნიგურიანი გვატარებდა. ამას წინათ შემხვდა, მითხრა: აღარ დავფრინავ და იცი, როგორ განვიცდი?! ვისაც ფრენა გამოუცდია, მისთვის მიწაზე მიჯაჭვა სიკვდილიაო... ვიცი, მეც ეგრე არა ვარ-მეთქი?..

— რატომღაც „შნო“ გამახსენდა...

— დიახ, იმდენად მშვენიერია გაფრენა, რომ ღირს დამსხვრევადაც კი...

ლელა ჯიყაშვილი

„გამარჯობათ! არ ვიცი, როგორ დავიწყო ჩემი ამბავი... მთლად არა, მაგრამ ჩემი თავგადასავალი რაღაცით ჰგავს ნუციკოსას, რომლის სიყვარულიც იმ საბედისწერო 9 აპრილიდან დაიწყო... დაიწყო ლამაზად, მაგრამ ვეღარ დასრულდა ისე, როგორც ამას ნუციკო ოცნებობდა“, — გვწერს ახალგაზრდა ქალი და გვთხოვს, პირობითად მარიკა დამიძახეთო.

წერილის ავტორმა არ ისურვა ჟურნალისტთან საუბარი, ამიტომ ვეცდები ბარათის მიხედვით მოგითხროთ მისი ამბავი.

არავინ იცის, როდის იბადება სიყვარული. იგი დაუკითხავად მოდის ნებისმიერ ასაკში: ბავშვობის ადრეულ წლებში, მოზარდობისას თუ ხანდაზმულობისას. გალაკტიონი პირველ სიყვარულსაც ეთაყვანებოდა, მაგრამ ადმერთებდა „ასაკიან“ სიყვარულს, „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“. სამაგიეროდ, კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „მოულოდნელად გაღვიძებული ავაზააო ყველაზე საშინელი რამ, სიყრმის სიყვარულის გაღვიძება კი მასზე მეტია“.

მარიკას პირველი სიყვარული მეექვსე კლასში ეწვია. თავდაპირველად ეგონა, რომ ისიც მოდას „აჰყვა“ და მთელი სკოლის გოგონებს ბაძავდა, რომლებიც ყველასგან გამორჩეულ ბიჭს ზაზას ეპრანჭებოდნენ, მერე მიხვდა — ეს მიბაძვა კი არა, სიყვარული იყო. ამ გრძნობის გამჟღავნებას პატარა, კნაჭა გოგო როგორ გაბედავდა!

ზაზას და მარიკას მამები თანამშრომლები აღმოჩნდნენ, ეს კი სრულიად შემთხვევით გაიგო — ერთ მშვენიერ დღეს მამამისის მეგობარი ვაჟიშვილთან ერთად სტუმრად ეწვიათ. დაიბნა, შეშინდა, არ მიმიხვდნენ, რომ ზაზა მიყვარსო. ოჯახებით მისვლა-მოსვლა გრძელდებოდა. ახალგაზრდები დამეგობრდნენ, მაგრამ ზაზა მას ისე ექცეოდა, როგორც პატარა ბავშვს, ზოგჯერ ენასაც კი უჩლექდა. ეს გოგოს აბრაზებდა, რაც უფრო აბნევდა და ისეთ სისულელეებს წამოაცდენინებდა, ზაზა სიცილით ბჟირდებოდა ხოლმე.

როცა ბიჭმა სკოლა დაამთავრა, მარიკას ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. გოგონამ იქაურ სკოლაში გააგრძელა სწავლა. ძალიან დატვირთული იყო — მუსიკა და უცხო ენა, სპორტი დიდ დროს ართმევდა, მაგრამ ზაზაზე ფიქრი არ შორდებოდა. ზოგჯერ, როცა დაფასთან გამოიძახებდნენ, ან ტანვარჯიშის რთულ ილეთს ასრულებდა, ან ფორტეპიანოზე უკრავდა, წარმოიდგენდა, რომ იქვე, შორიახლოს, ზაზაც იჯდა, ამიტომ ცდილობდა, საუკეთესოდ გამოსვლოდა ყველაფერი... და გამოსდიოდა კიდეც. რუსი პედაგოგები ქართველი გოგონას ქებაში იყვნენ. სკოლა, რა თქმა უნდა, წარმატებით დაამთავრა. მშობლებს მოულოდნელად გამოუცხადა, სწავლის გაგრძელებას თბილისში ვაპირებო. რაღას იზამდნენ მშობლები და მარიკა სამშობლოში მამიდასთან გამოუშვეს.

გოგონა უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. არავინ იცოდა, რომ მისი დაჟინებული სურვილის — თბილისში სწავლის გაგრძელების მთავარი მიზეზი ზაზა იყო. როცა ნაცნობ-მეგობრებში ისე, სასხვათაშორისოდ მოიკითხა — სად არისო. უთხრეს, უნივერსიტეტის დამთავრების მერე იტალიაში წავიდა სამუშაოდ და მას მერე აღარაფერი გვსმენიაო. გული დაწყდა, მაგრამ რაღას იზამდა? მაინც არ ჰკარგავდა იმედს. ფიქრობდა: როდემდე იქნება უცხოეთში? მისი ხასიათის ბიჭი დიდხანს ვერ გაძლებს საზღვარგარეთო...

მარიკა ისე ელოდა ზაზას, როგორც ერთგული საცოლე (ან ცოლი) ელოდება ხოლმე ომში წასულ ვაჟკაცს. ხანდახან თავს ეკამათებოდა, — რა ნახე ამისთანა ერთ ჩვეულებრივ ბიჭში, რომ უამრავ თაყვანისმცემელს ზედაც არ უყურებ და მხოლოდ მის გზას გასცქერი... იცოდეს მაინც, რომ მოგწონს, შე ჩერჩეტო, ვინ იცის, ეგებ აღარც ახსოვხარო...

ლოდინში გაილია სტუდენტობა. ბევრი მისი მეგობარი უკვე დედა იყო, ის კი ჯიუტად გასცქეროდა ზაზას გზას... მერე უცებ, შემთხვევით გაიგო, ზაზა დაბრუნებულაო. ლამის საგულედან ამოუხტა გული. როგორც იქნა, გაბედა და დარეკა, მაგრამ უპასუხეს, ეს ბინა დიდი ხანია სხვას ეკუთვნისო. მაინც არ კარგავდა იმედს — მთამთას შეხვდებაო...

ასპირანტურაში ჩააბარა, თან საკანდიდატო დისერტაციაზე დაიწყო მუშაობა. ხელმძღვანელი, მისი უსაყვარლესი ლექტორი, ქალბატონი მედეა ხშირად შინ იბარებდა. მას ორი შვილი ჰყავდა — ლევანი და ნატა. ლევანი უკვე საცოლო ვაჟკაცი იყო. პედაგოგიც და მშობლებიც ცდილობდნენ მარიკას და ლევანის დაახლოებას. შეძახებამ თავისი ქნა და მარიკაც სიმპათიით განეწყო ლევანის მიმართ. ამას დაემატა ყურმოკრული — ზაზა ისევ უცხოეთში წავიდაო. პირველმა გრძნობამ ჯერ წათვლიმა, მერე კი მიიძინა. სამაგიეროდ, მის სანაცვლოდ ახალი დაიბადა. ლევანი ძალიან ყურადღებიანი, თავაზიანი და თბილი ბიჭი აღმოჩნდა. გამოუტყდა, ძალიან მიყვარხარო და ცოლობა სთხოვა. ისიც დათანხმდა. მშობლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ქორწილი კი მარხვის მერე, ივნისისთვის დათქვეს.

ერთხელ, ლევანის ოჯახში სტუმრობისას, მამამ შვილსა და სარძლოს მიმართა, — მგონი,

საქმე ისე მიდის, რომ შეიძლება ნატამ დაგასწროთ ქორწილი. შაბათს გაგვაცნობს სასიძოსო.

შაბათს უფრო ადრე მივიდა მათთან. ნატა სარკის წინ ტრიალებდა, წამდაუწუმ ეკითხებოდა რჩევას, — რომელი კაბა ჩავიცვა, როგორი ვარცხნილობა უფრო მომიხდებაო. ლამაზი გოგო იყო ნატა და ყველაფერი უხდებოდა... კარზე ზარი რომ დაირეკა... მალე სახეგაბრწყინებული ნატა შემოუძღვა საქმროს — ეს ზაზაა, ჩემი საქმროო!

„არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ ის გრძნობა, რაც მაშინ დამეუფლა. გავნადგურდი, თითქოს არარაობად ვიქეცი. მხოლოდ თავშეკავების უდიდესმა უნარმა შემაძლებინა, რომ გრძნობა არ დამეკარგა. გახევებული ვიდექი, ვეღარ ვაკონტროლებდი, რა ხდებოდა ჩემ გარშემო. ნატამ ჩემთან მოიყვანა ზაზა „გასაცნობად“. ზაზამ მიცნო, ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა, მომიკითხა, არც ჩემი მშობლები დაივიწყა. სუფრასთან თითქოს არაფერი მეტყობოდა, მაგრამ სახეზე თეთრი ფერი დამედო. ლევანი წამდაუწუმ მეკითხებოდა, – რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხარო?!

...მეორე დღიდან საშინელი დეპრესია დამეწყო. აღარავისთან შეხვედრა არ მინდა, არც არავის ხმის გაგონება მსურს. ზაზამ და ნატამ სექტემბერში გადაწყვიტეს დაქორწინება. ლევანი ყოველდღე მირეკავს. ხვდება, რომ რაღაც ამბავია ჩემს თავს. მე მასთან შეხვედრას თავს ვარიდებ...

გთხოვთ ამიხსნათ, შეიძლება ბავშვობის სიყვარული ისეთი ძლიერი იყოს, რომ კარს მომდგარ ბედნიერებას ხელი ვკრა? ეს სიყვარული რომ ორმხრივი იყოს, გასაგები იქნებოდა ყველასათვის, ახლა კი ჩემი თავისა მეც მიკვირს და სხვა როგორ გავამტყუნო?

ერთადერთი, რასაც ვახერხებ, ლოცვაა. ღმერთს ვევედრები, რომ მომცეს ძალა, დავივიწყო ყველაფერი, რაც ზაზას ეხება.

ლევანს რა პასუხი გავცე? თუკი მისი ცოლი გავხდები, გამოდის, რომ მე და ზაზა ერთი ოჯახის რძალი და სიძე ვიქნებით და ხშირად ვნახავთ ერთმანეთს. შევძლებ კი, რომ მტანჯველი გრძნობა არ დამეუფლოს მის დანახვაზე? შევძლებ, რომ სამუდამოდ ამოვირეცხო გულიდან და სრულიად გულგრილი გავხდე მის მიმართ?“

ეს ამბავი ერთ ნაცნობ ფსიქოლოგს, ქალბატონ **მანანა გედევანიშვილს** ვუამბე. მან კი ასეთი რჩევა მისცა მარიკას: პირველი სიყვარულის გახსენება, მასთან შეხვედრა მართლაც ძალიან ძნელია, მაგრამ ადამიანი თავისი სიძლიერით, ხასიათის სიმტკიცით არის დადებითი, ამაღლებული საინტერესო პიროვნება და არა სისუსტეებით, ამიტომ გირჩევთ, თავს მოერიოთ, მით უმეტეს, რომ თქვენი გრძნობა ცალმხრივი ყოფილა თავიდანვე და როგორც ამბობთ, ზაზამ არც კი იცოდა გიყვარდათ თუ არა. თქვენი გრძნობის გამხელით შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდოთ თავი; იფიქრეთ ლევანზე, ნატაზე და, ბოლოს და ბოლოს, ზაზაზეც. მას ხომ წრფელი გულით უყვარს ნატა, რახან მისი ცოლად მოყვანა გადაუწყვეტია?! მერწმუნეთ, ადამიანი თავისი ამქვეყნიური სატანჯველითაც მაღლდება სულიერად, ნუ „დადაბლდებით“, პატივი ეცით სხვის გრძნობასაც.

მარინა ბაბუნაშვილი

ტესტი

თუ მარტოხელა და მარტოსული ხართ, მაინც ნუ დაკარგავთ იმედს. ჩვენი ტესტი არა მარტო იმის გაცნობიერებაში დაგეხმარებათ, რატომ მოგექცათ ბედი ასე სასტიკად არამედ ბარიერსაც გადაგალახვინებთ.

მარტოხელა ქალები და მამაკაცები ხშირად წუხან, — რატომ არ გვიმართლებსო. ყოველი ახალი ნაცნობობა, რომელზეც იმედს ამყარებდნენ, კრახით მთავრდება. თითქოს ყველაფერი კარგადაა, არაფერი გაკლიათ, მაგრამ მაინც ბედი გვერდს გივლით.

თქვენი უიღბლობის ზოგიერთ მიზეზს აგიხსნით ბიოენერგოთერაპევტის მიერ შედგენილი ეს ტესტი:

1. სად გირჩევნიათ, რომ გაგიცნონ?

— ტრანსპორტში — 2 ქულა;
— სტუმრად — 3 ქულა;
— ქუჩაში — 1 ქულა.

2. რას ფიქრობთ გაცნობისას?

— ის სიმპათიურია — 3 ქულა;
— საშინლად გამოიყურება — 1 ქულა;
— არა უშავს რა. ვნახოთ, რა იქნება — 2 ქულა.

3. რას განიცდით, პაემნისთვის მზადებისას?

— ღელავთ — 3 ქულა;
— მშვიდად ხართ — 1 ქულა;
— შინაგანად მობილიზებული ხართ — 2 ქულა.

4. პარფიუმერიის რომელი სურნელი უფრო გიზიდავთ?

— მოტკბო — 2 ქულა;
— მომწარო — 1 ქულა;
— ნაზი — 3 ქულა.

4. ნაცნობისგან როგორი საჩუქრის მიღება გესიამოვნებათ?

— ძვირფასი — 3 ქულა;
— მოკრძალებული — 1 ქულა;
— ნებისმიერი — 3 ქულა.

6. რა ფერის პერანგი უხდება მამაკაცს (ან კაბა — ქალს)?

— თეთრი — 2 ქულა;
— ყვითელი — 1 ქულა;
— ნებისმიერი — 3 ქულა.

7. უნებლიე შეხვედრას დღის რომელ მონაკვეთში ისურვებდით?

— შუადღემდე — 1 ქულა;
— საღამოს — 2 ქულა;
— ნებისმიერ დროს — 3 ქულა.

8. როგორი სახელები უფრო მოგწონთ?

— მოდური — 1 ქულა;
— ძველებური — 2 ქულა;
— ნებისმიერი — 3 ქულა.

თუკი 8-დან 11 ქულამდე მოაგროვეთ, ყველაფერი თქვენს ხელთაა — ძლიერი ბიოველი გაქვთ. ეს არის თქვენი ხიბლის და სინაზის საწინდარი.

დაუკვირდით პლანეტების და მნათობების მოძრაობას და შეუხამეთ მათ თქვენი საქციელი. ნურც უვნებელ ეშმაკობაზე — ყვავილებისა და სურნელის მაგიაზე იტყვით უარს.

თუკი 12-დან 18 ქულა მოაგროვეთ, გირჩევთ, მეტი ყურადღება მიაქციოთ ადამიანების აზრსა და დამოკიდებულებას თქვენ მიმართ. თქვენი უიღბლობის მიზეზი შეიძლება იყოს ბიოენერგიის უკმარისობა, ბიოველის ფორმისა და სტრუქტურის დარღვევა. ამიტომ გირჩევთ, სასწრაფოდ მიმართოთ ექსტრასენსს ან ექიმ-ბიოენერგოთერაპევტს.

თუკი 19-დან 24 ქულა მოაგროვეთ, გირჩევთ ეწვიოთ ექიმ-ბიოენერგოთერაპევტს და რამდენიმე სეანსის შემდეგ ისევ მომხიბვლელი და სანდომიანი იქნებით.

სერიოზულად მოგიწევთ საკუთარ თავზე მუშაობა. გულხელდაკრეფილი ნუ ელით ღვთის წყალობას. თავად იზრუნეთ საკუთარ ბედნიერებაზე.

კარგი იქნება, თუ მიმართავთ სპეციალისტს, რომელიც თქვენს კარმაში გაგარკვევთ.

რატომ ჭაღარავდება თმა?

ია მამულია

თმა შეიცავს მელანინის პიგმენტს, რომელიც ფერს განაპირობებს (შავი, ჟღალი, წაბლისფერი და ა.შ.). ამ პიგმენტის თანდათანობითი გაქრობა იწვევს გაჭაღარავებას და რადგან თმა არათანაბრად იზრდება, ჭაღარაც არაპროპორციულად ედება თავს და დროთა ვითარებაში თმა სულ თეთრდება. ეს შეიძლება მოხდეს 20 წლის ან 50 წლის ასაკში და დამოკიდებულია მემკვიდრეობაზე. მაგრამ ეს მემკვიდრეობა შეიძლება დედ-მამისგან კი არა, პაპის პაპისგანაც ერგოს ადამიანს.

მემკვიდრულობის შეცვლა და გაჭაღარავების შეჩერება შეუძლებელია.

რა სიხშირით შეიძლება ფრჩხილების დაჭრა?

ბელა ლელაძე

ფრჩხილები რეგულარულად, არანაკლებ კვირაში ერთხელ მაინც უნდა მოიჭრათ. თანაც იცოდეთ, ძირში არ მოიჭრათ, ფრჩხილის წვერი თითების ბალიშებს უნდა ფარავდეს, ფრჩხილი სწორად მოიჭერით, არ მოიმრგვალოთ. ამან შეიძლება ჩაზრდა გამოიწვიოს. აუცილებლად გაიქლიბეთ და გააპრიალეთ, თორემ კოლგოტებს დაგიხევთ.

როგორ მოვუაროთ ძალიან მშრალ კანს?

ქარისა ვანიძე

მშრალი კანის პატრონმა არც საპონი უნდა იხმაროს და არც ლოსიონი. პირის დასაბანი წყალი რბილი და ზამთარში ოთახის ტემპერატურისა უნდა იყოს, ზაფხულში კი ცივი. მშრალი კანის მოვლა უნდა დაიწყოთ დარბილებითა და დატენიანებით. გამოიყენეთ ცხიმოვანი მკვებავი კრემები და სხვადასხვა ზეთი. საღამოს სასურველია სახე წყალგარეული რძით (თანაბარი ოდენობით) გაიწმინდოთ.

ქალის ჩაცმულობასთან დაკავშირებით ბოლო დროს ხშირად ხმარობენ გამოთქმას „სტილი“ VINTAGE (ვიზაჟი). რას გულისხმობენ ამ გამოთქმაში?

ლიანა კიღურაძე

ეს გამოთქმა ლონდონიდან შემოვიდა. ამ სიტყვას სხვადასხვა სიტყვასთან მიმართებაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, VINTAGECAR — ძველი მარკის მანქანებს ნიშნავს, ტანსაცმელი VINTAGE თავისებური სექენდ-ჰენდია (ჩვენ რომ ძონძებს ვეძახით) მდიდრებისთვის და ცნობილ კუტიურეთა მიერ 70-80-იან წლებში შექმნილ მოდელებს აღნიშნავს. ის, რომ ეს ტანსაცმელი ცოტად თუ ბევრად ნახმარია, ამ მოდელებს მეტ ექსკლუზიურობას და ფასს ანიჭებს. მოდური VINTAGE და სექენდ-ჰენდი ერთი და იგივე არ არის. ეს სტილი იმდენად პოპულარულია, რომ ზოგიერთ მოდურ ბუტიკში ზოგჯერ 70-იანი წლების სტილის ხელოვნურად „დაძველებული“ მოდელებიც იყიდება. ახალი ტყავის შარვალს, მაგალითად, VINTAGE-ს სტილს ანიჭებს ხელოვნურად გაცრეცილი ადგილები.

VINTAGE-ს ტანსაცმლისგან განსხვავებით, არ არის მოდაში იმავე 70-80-იანი წლების, თუნდაც ცნობილი კუტიურეს მიერ შექმნილი ფეხსაცმელი. VINTAGE-ს მოდელებს უფრო ახალგაზრდები იცვამენ.

როგორ შევღებოთ სააღდგომო კვერცხი?



გემოვნებით მოწყობილ სამუშაო ოთახში დაუკაკუნებლად შედიან მეგობრები და კოლეგები. ყველას ხალისით ხვდება... ისეთი საინტერესო მთხრობელია, ყურს ვერ მოსწყვეტ... პრეზიდენტის რადიოინტერვიუმდე და „ტაიმ-აუტამდე“ დიდი გზა გაიარა. **ნატო ონიანი** სკოლის მერხიდანვე შეეჩვია მიკროფონს. 57-ე სკოლის რადიომაუწყებლობის დიქტორად აურჩევია თურმე თავის დამრიგებელს ქალბატონ თინა ცინცაძეს. ისიც დიდ დასვენებაზე იჯდა რადიომაუწყებლობასთან და მოსწავლეებს სკოლის ახალ ამბებს აცნობდა. ერთ მშვენიერ დღეს საკლასო ოთახი ნამდვილი სტუდიით შეიცვალა და რესპონდენტის სავარძელზე თანაკლასელების ნაცვლად, თავად საქართველოს პრეზიდენტი დაბრძანდა.

— პირველი ოცნება იყო გამომძიებელი გამოვსულიყავი. შემდეგ არქეოლოგობა მინდოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ სრულიად მოულოდნელად ჩავაბარე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ჩემი პირველი რეპორტაჟი, უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა. იმ ნომრის თითქმის მთელი ტირაჟი მე შევიძინე და ძალიან მეამაყებოდა ჩემი პირველი პუბლიკაცია. მეორე კურსზე მიგვავლინეს თელავში. კახეთი ძალიან მიყვარს და ბედნიერი ვიყავი, რომ ორი თვე იქ ცხოვრების საშუალება მომეცა... მესამე კურსზე პრაქტიკა გავიარეთ აფხაზეთის ერთ-ერთ მაღალი დონის გაზეთში. მახსოვს, როგორ გვეხმარებოდნენ სტუდენტებს მისი თანამშრომლები, როგორ გვათამამებდნენ. იმ პერიოდში სოხუმში ჩამობრძანდა ბატონი მიშა თუმანიშვილი თავისი დასით და ჩამოიტანა სპექტაკლი. ამ სპექტაკლზე რეცენზია მე დამაწერინეს და მთელი გვერდი დამითმეს... ეს იმ დროისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო.

— შემდეგ, თუ არ ვცდები, იყო „პიკის საათი“ რადიოში...

— არა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე რადიოს პოლიტიკური პროგრამების მთავარ რედაქციაში. ვაკეთებდით გადაცემას „ღია ეთერი“, სადაც მხოლოდ ხუთწუთიანი საინფორმაციო ჩადგმები გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით, დანარჩენი ყველაფერი ჩაწერილი იყო. ეს ალბათ იმ სისტემის უნდობლობის გამოხატულება იყო თანამშრომლებისადმი.

სწორედ ამ რედაქციაში შემნიშნა ბატონმა ვახტანგ ნანიტაშვილმა და „პიკის საათში“ წამიყვანა. 9 აპრილის შემდეგ აქ გავაკეთეთ სამსაათიანი გადაცემა „მაცნე“, სადაც უკვე პირდაპირ ეთერში ვამბობდით იმას, რაც სიმართლედ მიგვაჩნდა. მესამე გადაცემაზე ვახტანგმა წამყვანის მიკროფონი მომანდო და ამით ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— თავიდანვე გადაწყვეტილი გქონდათ, რომ პოლიტიკის სფეროში გემუშავათ?

— არა, რადგან მე იმ ბედნიერ თაობას განვეკუთვნები, რომელმაც 37 წელი, გულაგები და ა.შ. მონათხრობით იცოდა. თუმცა ოჯახში ამ მხრივ არც ისე მშვიდი სიტუაცია იყო — ბაბუაჩემი იმ ავადსახსენებელ დროს ათი წლით გადაასახლეს შორეულ აღმოსავლეთში, ორი ძმა დაუხვრიტეს... მაშინ შორეული აღმოსავლეთი თავისებური აკადემია იყო, რადგან თითქმის ყველა ჭკვიან ადამიანს იქ ასახლებდნენ. ბაბუამ ბევრი რამ იწინასწარმეტყველა — ამბობდა, კომუნისტური წყობა მალე დაიშლება და რუსები ლენინს მავზოლეუმიდან თავისი ხელით გამოათრევენო. პირველი თარიღი, რომელიც ჩემი დაბადების თარიღამდე დავიმახსოვრე, იყო 37 წელი, პირველი გვარი კი — სტალინი, რადგან ბაბუა მისი ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებდა. „პიკის საათში“ რომ მოვედი, აღმოვაჩინე, რომ აქ უფრო უარესებს ამბობდნენ და გამიხარდა — ჩემი ჭკუის ადამიანებს შევხვდი-მეთქი. ყველაფრის მიუხედავად, პოლიტიკა არ მიზიდავდა, უფრო კულტურა, ხელოვნება და სოციალური თემები მხიბლავდა. უცებ, მდგომარეობა რომ დაიძაბა, ჩემდა უნებურად, აღმოვჩნდი მოვლენების ცენტრში და არც ვნანობ — გავაცნობიერე, რომ პოლიტიკა უაღრესად საინტერესო სფეროა.

— ის პერიოდი როგორ გახსოვთ, როცა ნახევარი ტელევიზია კიბეებზე იჯდა?

— გულდასაწყვეტია, როცა კოლექტივში განხეთქილება ხდება. მე პოლიტიკური მრწამსის მიხედვით არ ვაგებ ადამიანებთან ურთიერთობებს. არ შემიძლია მიტინგებზე გამოსვლა და კიბეებზე ჯდომა. მაშინ მე შენობაში დარჩენილთა მხარეს ვიყავი, მახსოვს პირველი სტუმარი რადიოკლუბ „კონტაქტში“, როცა ამ საშინელი მოვლენების შემდეგ პირველად გავედით ეთერში. ჩემს კითხვაზე — რა მოხდა? მან მიპასუხა — ეს იყო დემოკრატიული რევოლუცია. მე კი დავაზუსტე, რომ ეს იყო სახელმწიფო და სამხედრო გადატრიალება. მიუხედავად იმისა, რომ ის რეჟიმი მიუღებელი იყო, არ ნიშნავს იმას, რომ დემოკრატიული რევოლუციაა ის, როცა ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ესვრიან. არსებობს რაღაც ზღვარი, ჩარჩო, რომელსაც არ უნდა გადააბიჯო.

— როდის შედგა პირველი რადიოინტერვიუ პრეზიდენტთან?

— 1992 წელს. სამი დღის დაწყებული იყო აფხაზეთის ომი — ეს იყო 17 აგვისტო.

— დაძაბული ხართ ორშაბათს, დილაობით?

— რასაკვირველია... ათმა წელმა ეს დაძაბულობა ვერ მომიხსნა. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი რესპონდენტი პრეზიდენტია.

— როგორი რესპონდენტია პრეზიდენტი?

— ძალიან კარგი. ცდილობს გამიიოლოს საქმე, მომეხმაროს. პრობლემებს და ბარიერებს არ მიქმნის.

— სამსახურის მიღმა თუ გაქვთ ურთიერთობა?

— მე ჩემი ადგილი ვიცი. რაც უნდა თბილად მექცეოდეს, ის ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია და მასთან კვირაში ერთხელ ერთი საათით მივდივარ, ვწერ ინტერვიუს და უკან ვბრუნდები, ანუ ეს ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა...

— ნატო, ხშირად მოგზაურობთ ხოლმე...

— ამას მოგზაურობა არ ჰქვია, ეს არის უმძიმესი დღის რეჟიმი. ისეთი დაღლილი ვარ დღის ბოლოს, რომ არაფრის ნახვის და აღქმის თავი არ მაქვს ხოლმე. ჩვენ ვნახულობთ ისეთ რაღაცებს, რასაც ჩვეულებრივი მოგზაური ვერ ნახავს — სასახლეებს, პრეზიდენტების აპარტამენტებს... სამაგიეროდ, რასაც ჩვეულებრივი მოგზაური ნახულობს, იმის ნახვას ჩვენ ვერ ვახერხებთ — მაგალითად, სამჯერ ვარ პარიზში ნამყოფი და ლუვრი არ მინახავს...

— სამსახურისგან თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

— ძალიან მიყვარს კინოში, თეატრში სიარული. ეს მთელი რიტუალია ჩემთვის.

— როგორი დიასახლისი ხართ?

— სხვების გასაკვირად, ძალიან კარგი. არასდროს სჯეროდათ ჩემი გადატვირთული რეჟიმის გამო, რომ მე რამის გაკეთებას ვახერხებდი. ამ ცოტა ხნის წინ მოვაწყვე ჩემი შესაძლებლობების პრეზენტაცია და იქ მაღიარეს. განსაკუთრებით მიყვარს ცხობა...

— როგორ შეაფასებდით იმ პროცესებს, რომლებიც დღეს ჟურნალისტიკაში ხდება?

— ჟურნალისტიკაში დღეს ხდება ის, რაც ზოგადად საზოგადოებაში. ერთი მხრივ, ფასეულობები გადაფასდა, მეორე მხრივ კი — სხვა მოთხოვნები მოიტანა დრომ. ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. საქართველოში ყველამ იცის, როგორ მართოს ქვეყანა, როგორ ითამაშოს ფეხბურთი, როგორ გააკეთოს გაზეთი და ტელევიზია. ეს პერიოდი აუცილებლად გაივლის. დრო ისეთი რამეა, რომ იმ მდარეს გარიყავს და ფასეული დარჩება...

— ესე იგი, ოპტიმისტი ხართ?

— მე რეალისტი ვარ. ვხედავ, რომ ყინული დაიძრა და ვიცი, საქართველო ნამდვილად კარგი ქვეყანა იქნება სულ მალე. ამას წინათ, ვუსმენდი — ყოფილი თანამდებობის პირი კომუნისტებს მოუწოდებდა — ხელი გაანძრიეთ, ხომ ხედავთ, რა ხდება ქვეყანაშიო. ძალიან მაინტერესებს, კომუნისტებს ხელი რომ გაენძრიათ, რა იქნებოდა? მართალია, მათი წასვლის შემდეგ მატერიალურად ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდით, მაგრამ მაინც იმ დროის დაბრუნება არ შეიძლება. რეფერენდუმში მოსახლეობის 97%-ის პასუხი კითხვაზე — გინდათ თუ არა სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნა, იყო — არა! ეს იყო ჩვენი პასპორტი დასავლეთის მიმართულებით. ამ კურსს ველარავინ შეცვლის და მჯერა, რომ შედეგს სულ მალე მოვიმკით...

ორი წლისაც არ ყოფილა გიორგი ყიფშიძე სულ პირველად მამას რომ მიუყვანია თეატრში. დიდხანს ეფერა თურმე მაშინ ბატონი მიშა თუმანიშვილი. შემდეგ ხელში აუტაცია და პატარა სცენაზე აუყვანია, იქვე, ფიცარნაგზე დაუსვამს. გიორგის შიშისაგან ჩაუსველებია და სცენაზე გუბე დაუყენებია. ბატონ მიშას სინანულით გადაუქნევია თავი და უთქვამს — დავიღუპეთ, ხედავთ, როგორ ინერვიულა სცენაზე? ნამდვილად მსახიობი გამოვაო... მაშინ ყველას გასცინებია, არადა, რა სწორად იწინასწარმეტყველა ბატონმა მიშამ! დღეს გიორგი ყიფშიძე სანახევროდ კინომსახიობთა თეატრში ცხოვრობს, მისი ჰაერით სუნთქავს და არსებობს, სწორედ ისე, როგორც მამამისი — უნიჭიერესი მსახიობი ზურა ყიფშიძე მის ასაკში... ახალი როლების, ლამაზი სპექტაკლების მოლოდინით, ისიც იმედებით აღსავსე იძინებს და იღვიძებს... მასაც სჯერა, რომ ხვალ...

ზურას ნიჭზე მსოფლიოს თეატრალური სამყარო ალაპარაკდა... მის დონ-ჟუანს ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდა მაყურებელი, მის თეატრალურ თუ კინოროლებს ოვაციებს უმართავდნენ...

ერთხელ თბილისში უდიდესი მაესტროს პიტერ ბრუკის დასის წამყვანი მსახიობი ტიმ პიგოტსმიტი ჩამოვიდა გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილის ფილმის „ბედიანის“ გადაღებებზე. ზურას შესაძლებლობებით გაოგნებული გამუდმებით იქნევდა თავს: — ბრავო, ზურაბ კიპშიძეეე! — ყვიროდა შეშლილივით და ყველას გულისტკივილით უმტკიცებდა, რომ ქართველებმა მისი ფასი არ ვიცით... წლები გავიდა... იმედი თოვლივით დადნა... ზურა ჯერ მარჯანიშვილის თეატრში გადავიდა, შემდეგ იძულებული გახდა, მოსკოვში წასულიყო... სამწუხაროდ, უცხოელი მსახიობი მართალი აღმოჩნდა — ჩვენ ზურას ფასი არ ვიცით! ახალგამომცხვარ და გამოგონებულ „ვარსკვლავებს“ ოვაციებს ვუმართავთ, ზურა ყიფშიძეს კი იძულებულს ვხდით, ელემენტარული საარსებო პირობებისთვის საქართველო დატოვოს... ესეც ჩვენი ქართული მენტალიტეტი!..

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ფაქტია — **გიორგი ყიფშიძე** მამის გზას დაადგა... ჩვენი საუბარი მის საგრიმიორო ოთახში შედგა. სწორედ იმ ოთახში, რომელიც ადრე ზურას ეკუთვნოდა და რომელიც, ჩემდა გასაოცრად, საერთოდ არ შეცვლილა — იგივე აფიშები, ფოტოები, იგივე შირმა...

— გიორგი, ეს ოთახი, როგორც მახსოვს, ზურას ეკუთვნოდა..

— ეს იყო ზურას და ამირან ამირანაშვილის საგრიმიორო... შემდეგ ცოტა ხანს გოგა გველესიანს ეკუთვნოდა, რომელიც რუსთაველის თეატრში გადავიდა. ახლა მე ვარ...

— თუ არ ვცდები, აქ არაფერი შეგიცვლია...

— არაფერი. ამაზე უკეთ როგორ მოვაწყობდი? ეს ხომ ამ თეატრის მატიანეა — ეს აფიშები, ეს ფოტოები... ხელი არაფრისთვის მიხლია.

— ასე პატარას, როგორ დაგამახსოვრდა თეატრში შენი პირველად მოსვლის ამბავი?

— ეგ ამბავი მე არ მახსოვს, გამუდმებით სხვები იხსენებენ და იცინიან... თეატრთან დაკავშირებული პირველი მოგონება ესაა — ერთხელ, სამიოთხი წლის ვიქნებოდი, წამომიყვანეს სპექტაკლზე — „ჩვენი პატარა ქალაქი“. მე და ჩემი მეგობარი დარბაზიდან გამოვიპარეთ და ფოიეში დავიწყეთ თამაში. უცებ, საიდანღაც ბატონი მიშა გამოვიდა. მოგვიახლოვდა და როგორც დიდებს, ისე გვეჩხუბა — სცენაზე წარმოდგენა მიდის, თქვენ კი როგორ ბედავთ ასე ხმაურსო... ამის შემდეგ კარგა ხანს მეშინოდა ბატონი მიშასი და ცუდი კაცი მეგონა...

— ზურამ არ დაგიშალა, მსახიობობა რომ გადაწყვიტე?

— ძალიან მინდოდა მსახიობობა, მაგრამ ჩავაბარე სარეჟისორო ფაკულტეტზე გოგა მარგველაშვილის ჯგუფში. შემდეგ მაინც აქ, ამ თეატრში მოვედი. ზურა ჩემს არჩევანში არ ჩარეულა, მაგრამ მკაცრად გამაფრთხილა, სულ პატარა შეცდომასაც არ გაპატიებო.

— მართლა ასეა?

— თუ თბილისშია, ჩემს არც ერთ სპექტაკლს არ ტოვებს. ისე ნერვიულობს ხოლმე, ფერი აღარ ადევს და სხვები აწყნარებენ — ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო. სპექტაკლის შემდეგ პირდაპირ მეუბნება იმას, რაც არ მოეწონება. მაგრამ იმასაც მეუბნება, რაც მოეწონება. იმდენ ინფორმაციას მაძლევს, რომ ვხვდები, შემდეგ წარმოდგენაზე როგორ უნდა ვითამაშო, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთესად გამომივიდეს როლი...

— ზურას ნიჭი სათანადოდ არ დაფასდა საქართველოში... ასეთი მაგალითი წინ გქონდა და მაინც მსახიობის პროფესია აირჩიე?..

— მეც ასე ვთვლი, რომ ვერ დააფასეს მამაჩემის მოღვაწეობა... შენ გგონია მიწვევები არ ჰქონდა? უამრავი მიწვევა ჰქონდა უცხოეთშიც, რუსეთშიც... თავს იკლავდა, არ მიდიოდა... სულ ერთი რამ ეკერა პირზე — „არ გავცვლი სალსა კლდეებსა“... არც გაცვალა. წლები გადიოდა. ხშირად არ იდგმებოდა სპექტაკლები... შემდეგ, ამ ქვეყნიდან წავიდა ბატონი მიშა... მამამ მისი სულის გამოძახილი თემურ ჩხეიძეში იპოვა და მარჯანიშვილის თეატრში გადავიდა... შემდეგ... იძულებული გახდა, წასულიყო საქართველოდან... იანვრიდან მოსკოვშია... იღებენ სერიალებში... ეს მას ძალიან ალიზიანებს, მაგრამ რა ქნას? არსებობა ხომ გვინდა?! რაც შემეხება მე — ისეთ ოჯახში გავიზარდე. სულ თეატრზე საუბრობდნენ ჩვენთან. მსახიობები არიან დედაჩემიც, მამაჩემიც, ბებიაჩემიც, ბაბუაჩემიც... სხვა რა უნდა მეკეთებინა?.. სხვას ვერაფერს შევძლებდი... მზად ვარ, მთელი ცხოვრება თეატრს, და კერძოდ, კინომსახიობთა თეატრს შევწირო... გოგა მარგველაშვილის გვერდით ყოფნა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა...

— ესე იგი, ამ თეატრიდან სხვაგან არსად აპირებთ წასვლას?

— არა! ამ თეატრში სხვანაირი სითბოა, სხვანაირი აურაა... სხვა, დიდ თეატრებში, ასე მგონია, ძალიან ცივა... ინტრიგებისგან არც ერთი დასი არაა დაზღვეული, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ჩვენ აქ ერთ ოჯახად ვცხოვრობთ — ერთმანეთის სიხარული გვიხარია, ერთმანეთის ტკივილი გვტკივა... ერთს რომ წაიწუწუნებ — თავი მტკივაო, ექვსი მსახიობი მორბის შენკენ ანალგინით და წყლიანი ჭიქით ხელში. ასეთი სიყვარული და ყურადღება ძალიან ამაღელვებელია... ამ თეატრიდან ვერსად წავალ...

— ბებია თუ დადის ხოლმე შენს სპექტაკლებზე?

— ლენა ყოველ პრემიერაზე აქაა და ძალიან მგულშემატკივრობს... ვგეგმავთ კიდეც ერთად რაღაცის გაკეთებას აქ, ამ სცენაზე. ძალიან მინდა გამოგვივიდეს... ვნახოთ... ჩემი დიდი გულშემატკივარია მეორე ბებიაც, დედაჩემის დედა ჰერაც.... თითქმის სულ მისი შეკერილი კოსტიუმები მაცვია... არქიტექტორია პროფესიით, მაგრამ არაჩვეულებრივად ხმარობს ნემსს და ძაფს... სხვათა შორის, მამასაც სულ ჰერა უკერავდა კოსტიუმებს.



— დედა თუ გახსოვს სცენაზე?

— არა. დედამ ვერ გაუძლო თეატრალურ ინტრიგებს, დატოვა სცენა და თავი ოჯახს მიუძღვნა. ისე, რამდენიმე როლი შეუსრულებია ამ სცენაზე და საკმაოდ ნიჭიერ მსახიობად ითვლებოდა თურმე. იყო ბატონი მიშას და ქალბატონი ლილი იოსელიანის სტუდენტი. სამჯერ გაურიცხავთ ინსტიტუტიდან ცელქობისათვის. სამჯერვე თავისით ჩააბარა გამოცდები და თავი აღიდგინა... საქმე იმაშია, რომ ბაბუაჩემი ლელას ბიჭურად ზრდიდა, ასწავლიდა სროლას, იარაღის დაშლა-აწყობას... ამიტომ ხშირად ბიჭივით იქცეოდა ხოლმე... დედაჩემი სულ მაკრიტიკებს! ზურა ხანდახან კარგ რამეებსაც მეუბნება, ლელა კი სულ შენიშვნებს მაძლევს...

— ახლა, როგორც ვიცი, „რომეოს და ჯულიეტას“ დგამთ...

— მალე პრემიერა იქნება. მე მერკუციოს ვთამაშობ და საშინლად ვღელავ. აქ ვათენებთ და ვაღამებთ...

— არსებობს რაღაც რიტუალი, რომელსაც სცენაზე გასვლის წინ ასრულებთ...

— შევიკრიბებით მსახიობები, საკმეველს ავანთებთ და ერთმანეთს ხელიდან ხელში გადავცემთ. მისი სუნი და კვამლი გვაწყნარებს, გვამშვიდებს, ძალას გვმატებს...

— გიორგი, შენ მიიღე ერთ-ერთი მთავარი როლი ლევან ზაქარეიშვილის ფილმში „თბილისი-სტამბული“. რა ბედი ეწია ამ ფილმს?

— ძალიან კარგი სცენარი იყო, როლიც მომწონდა, არაჩვეულებრივი ჯგუფი შეკრიბა ლევანმა. დავიწყეთ მუშაობა. მასალის 40%-ის გადაღების შემდეგ ფილმი უფინანსობის გამო შეჩერდა. ძალიან მომწონს და მაინტერესებს კინო. ეს ჩემი პირველი როლი არ ყოფილა. ბავშვობაში ბაბუაჩემთან ლევიკო თურმანიძესთან ორ ფილმში ეპიზოდებში ვითამაშე... გავიგე, რომ ლევანი ფილმის გაგრძელებას აპირებს. ამ შემთხვევაში ყველაფერი თავიდან იქნება გადასაღები, რადგან „თბილისი — სტამბულში“ ბევრი ბავშვი თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში ისინი გაიზარდნენ და დაკაცდნენ.. ამიტომ ახალი სახეების მოძიება იქნება საჭირო... გული მწყდება, რომ საქართველოში კინემატოგრაფი ამ დღეშია, ფაქტობრივად სულს ლაფავს.

— შენი მეუღლე — კრისტი მანეკენია... იყო დრო, როცა დედაც — ერთ-ერთ სამოდელო სააგენტოში მანეკენად მუშაობდა. მოდელია შენი დაც — ლენუკა...

— კრისტი პროფესიით ინგლისური ენის სპეციალისტია, მაგრამ მოდის სამყაროში მოღვაწეობა არჩია. უკვე ექვსი წელია, ერთად ვართ და გვყავს ცხრა თვის გოგონა — ნატალია. იმასაც გეტყვი, რომ პატარას ამქვეყნად ყველაზე მეტად მამა უყვარს და სულ ჩემთან უნდა ყოფნა. ყველა მეუბნება, რომ ძალიან მგავს. კრისტი დროებით სახლში ზის და პატარას უვლის... ყველა ერთად ბებიაჩემის — ჰერას სახლში ვცხოვრობთ ერთ დიდ ოჯახად, ვზრდით ნატალიას და ერთმანეთის დიდი გულშემატკივრები ვართ...

— შენი ყველაზე დიდი სურვილი...

— ძალიან მინდა იმდენი ვიმუშაო და ისეთი მსახიობი ვიყო, რომ ჩემზე კი არ ამბობდნენ ზურა ყიფშიძის შვილიაო, ზურაზე თქვან — გიორგი ყიფშიძის მამააო...

გვერდი მოამზადა ეკა მახარაშვილმა

მაგელანის სრუტე

480 წლის წინ ესპანეთის პორტ სან-ლუკარ-დე-ბარამედაში ღუზა ჩაუშვა გემმა „ვიქტორიამ“, — ასე დასრულდა ფერნანდო მაგელანის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა. თვითონ ვერ ეღირსა სამშობლოში ტრიუმფალურ დაბრუნებას. ხუთ გემთაგან მხოლოდ „ვიქტორიას“ ერგო ეს პატივი წილად — მისი ტრიუმები ევროპაში ოქროდ ღირებული სანელებლებით იყო სავსე. მოგზაურობის ფინალმა დაამტკიცა არა მარტო დედამიწის სიმრგვალე, არამედ პორტუგალიელი ზღვაოსნის „ბიზნესგეგმის“ ეფექტურობაც. თუმცა მან საარაკო მოგება მოუტანა არა თავის სამშობლოს, არამედ — ესპანეთს.

მოგზაურობის გეგმა იმდენად თამამი იყო, პორტუგალიის სამეფო კარმა უარი თქვა მის დაფინანსებაზე. გასაგებიც იყო — სანელებლების ლეგენდარული კუნძულების საძიებელ პროექტში ავანტიურიზმი უფრო მეტი იყო, ვიდრე პრაქტიკულობა და საქმის ცოდნა. არადა მიზანიც მნიშვნელოვანი იყო: მე-16 საუკუნის ევროპაში სანელებლების გარეშე ვერც ერთი სადღესასწაულო წვეულება ვერ გაიმართებოდა, მათ ექიმებიც იყენებდნენ. შავი პილპილი, იმბირი, დარიჩინი, ზაფრანა, ნუში, მიხაკი ოკეანისგაღმიდან ჩამოჰქონდათ არაბებს. მაშინ სანელებლებს ოქროს ფასი ჰქონდა და კონვერტირებადი ვალუტის როლს ასრულებდა საერთაშორისო ვაჭრობაში. ორი წამყვანი სახელმწიფო — პორტუგალია და ესპანეთი არაბეთის მონოპოლიის დამარცხებას ცდილობდნენ და სანელებლების პირველწყაროს ხელში ჩაგდებას ესწრაფოდნენ...

მაგელანი დაახლოებით 1480 წელს დაიბადა ქ. საბოროსში, მერის ოჯახში. მამამისმა, სამხედრო პირმა პედრო რუი დე მაგალიაეშმა შვილს ფერნაო დაარქვა. მოგვიანებით, უკვე ცნობილმა, 37 წლის კაპიტანმა და სამხედრო პირმა ეროვნება გამოიცვალა და კასტილია-არაგონის მეფის სამსახურში ჩადგა, სახელად კი ერნანდო მაგალიანესი დაირქვა. ევროპაში მას ფერნანდო მაგელანს ეძახდნენ.

ახალგაზრდა, პატივმოყვარე კაპიტანს ოცნებად ექცა სანელებლების ლეგენდარული კუნძულების პოვნა. იცოდა, პორტუგალიის დროშით ამას ვერ მიაღწევდა და თავისი სამსახური ესპანეთს შესთავაზა. მისი გეგმით, სანელებლების კუნძული უცნობი სამხრეთი მიწის რაიონებში — ახლანდელ ავსტრალიაში იყო, მაშინ ავსტრალიას რუკაზე ვერავინ გიჩვენებდათ. მაგელანს მეორე გეგმაც ჰქონდა — უფრო სწორად, ბიზნესგეგმა — მასში ზედმიწევნით იყო გაანგარიშებული, თუ რამხელა მოგებას მიიღებდა ხაზინა ოპერაციის წარმატების შემთხვევაში. შესაძლო წარუმატებლობას კი თუ გაითვალისწინებდნენ, მაშინ აჯობებდა ექსპედიცია ვაჭრების ჯიბიდან დაფინანსებულიყო. რადგან ვაჭრებს ხელს არ აძლევდა ხელისუფლებასთან წაკიდება, ფული მართლაც შეგროვდა. ამასობაში, გონიერმა კაპიტანმა დაოჯახებაც მოასწრო — ცოლად სევილიის სამეფო ციხესიმაგრის მმართველის ქალიშვილი მოიყვანა და სიმამრის წყალობით მეფესთან აუდიენციასაც მიაღწია. მას კარდინალმა ფონესკამაც დაუჭირა მხარი.

პატარა ფლოტილია, რომელიც 5 გემისგან შედგებოდა, ისტორიაში შევიდა. ყველას თავ-თავისი სახელი ჰქონდა: „ვიქტორია“, „ტრინიდადი“, „კონსეპსიონი“, „სანტიაგო“ და „სან-ანტონიო“. ეკიპაჟი 237 კაცს შეადგენდა. მათ შორის იყო არაბებისგან ნაყიდი მონა, აბორიგენების ენის მცოდნე და ვენეციელთა „ჟურნალისტი“ (შეთავსებით ჯაშუშიც) ანტონიო პიგაფეტი, რომელმაც მოგვიანებით დეტალურად აღწერა მოგზაურობის ყველა პერიპეტია. მაგელანმა ორი წლის სამყოფი იარაღი და სურსათი მოიმარაგა (თუმცა გემები სამი ოკეანის გადასალახავად სათანადოდ გამართულები არ იყვნენ) და პატარა არმადამ კურსი დასავლეთისკენ აიღო. პორტუგალიის კონსულმა სევილიაში ლისაბონს აცნობა: ამ ვარცლებით მოგზაურობას კანარის კუნძულებამდეც ვერ გავბედავდიო. მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში არმადა კუს ნაბიჯებით მიიწევდა წინ და თითოეულ სრუტეს იკვლევდა. მეზღვაურებს ქანცი გაუწყდათ, ბუნტი ბუნტს მისდევდა, მაგრამ მაგელანი დაუნდობლად ახშობდა ყველა გამოხდომას. 1520 წლის 21 ოქტომბერს მოგზაურები დაკლაკნილ და ვიწრო, 373-მილიან მატერიკის სიღრმეში მიმავალ სრუტეს მიადგნენ — სწორედ იმას, რომელსაც მოგვიანებით მაგელანის სახელი დაერქვა. სრუტეში სამკვირიანი მოგზაურობა ექსპედიციისთვის ლამის საბედისწერო შეიქნა — ქარიშხალმა კინაღამ იმსხვერპლა ორი გემი. სრუტეში გადატანილი საშინელების შემდეგ ოკეანე მოგზაურებს სრული შტილით შეხვდა და მემატიანე ანტონიო პიგაფეტიმ პირველად გამოიყენა სახელწოდება, რომელიც მოგვიანებით მაგელანს მიაწერეს: წყნარი ზღვა. თვე-ნახევარი დაუბრკოლებლად იცურეს, თუმცა ეკიპაჟის განწყობას იდეალურს ნამდვილად ვერ უწოდებდი — დაიწყო შიმშილობა, სანელებლების მაძიებლები ვირთხებსა და მოხარშულ ბოტფორდებს ჭამდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ოკეანე სავსე იყო თევზით — მაშინდელი გემები თევზჭერისთვის მოუხერხებელი იყო. როგორც იქნა, სამი თვის შემდეგ ოკეანე უკან მოიტოვეს და ფილიპინის კუნძულების რაიონს მიადგნენ. მაგელანს ერთ-ერთ კუნძულზე გაუღიმა ბედმა: გემებთან პიროგებით მიცურებულ აბორიგენებს მონა-თარჯიმანი პიგაფეტი გამოეხმაურა (იგი ბავშვობაში ტყვედ ჰყავდათ აბორიგენებს).

ექსპედიციას დედამიწის გარშემო მოგზაურობა არ დასცალდა. სანელებლების კუნძულებისკენ გამგზავრების წინ მაგელანმა ფილიპინებზე ეკიპაჟის დასვენება გადაწყვიტა. 1521 წლის 27 აპრილს კუნძულ მაკატანზე ესპანელთა რაზმი ალყაში მოექცა და ბრძოლაში მოწამლული ისრით დაიღუპა ფერდინანდ მაგელანი. იქვე დაასაფლავეს.

რაც ვერ მოასწრო მაგელანმა, გადარჩენილმა „ვიქტორიამ“ დაასრულა. 1521 წლის 8 ნოემბერს მოლუქსის არქიპელაგზე გემი ტონობით სანელებლებით დაიტვირთა. 1522 წლის 8 სექტემბერს „ვიქტორია“ ექსპედიციის 18 წევრითა და 26 ტონა სანელებლებით სამშობლოში დაბრუნდა. ექსპედიციის გადარჩენილი წევრები დააჯილდოეს. „ვიქტორიას“ კაპიტანს ელ კანონს მისცეს პენსია და გერბი, რომელზეც ამოტვიფრული იყო ციხესიმაგრე და სამი მუსკატის კაკალი, მიხაკის ხის 12 კოკორი, ორი დარიჩინის ჩხირი და დედამიწის სფერო წარწერით: „შენ პირველმა შემომიარე ირგვლივ“.

მას კი, ვინც ამ მოგზაურობას ჩაუყარა საფუძველი, სხვა დიდება ელოდა. მაგელანის სახელი ენციკლოპედიებსა და ატლასებში შეიტანეს, ესპანეთსა და პორტუგალიაში ძეგლები დაუდგეს, მათ შორის ფილიპინებზეც. მისი სახელი ციურ რუკებზეც აციაგდა. ჩვენს ორ ახლობელ გალაქტიკას კი მაგელანის ღრუბლები ჰქვია.

დენგი №11

უნდა მიყვარდეს მამაჩემი, თუ...?

მონიკა ბიოგრაფთან ერთად

ნიურნბერგი. 1993 წლის ერთ კვირადღეს ორმოცი წლის ქალი კინოთეატრში ფილმის, „შინდლერის სია“, სანახავად შედის. ეკრანზე კი პოლონეთის პლასცოვის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი ამონ გოთი თავისი ვილის აივანზე დგას და, ნადირობის ჟინით შეპყრობილი. ბანაკის ტერიტორიაზე მობორიალე ტყვეებს ისე, გასართობად ესვრის და ხოცავს. იქვე, საწოლში კი მისი საყვარელი წევს და სთხოვს: „ერთი, ყავა მოხარშე!“

„დედაჩემისთვის ჩვეული ფრაზა“, — გაიფიქრა ქალმა და დარბაზში შიშით მიიხედ-მოიხედა — ეგონა, ყველა მას უყურებდა, თითქოს იცოდნენ, იგი, ახლა ეკრანზე რომ აჩვენებდნენ, იმ კომენდანტის და მისი საყვარლის ქალიშვილი იყო. საღამოს, უკვე შინ მისულ ქალს ნერვიული შეტევა დაეწყო.

1945 წელს დაბადებული მონიკა გოთის წარმომავლობა მიუნხენის ტელევიზიის ჟურნალისტმა მათიას კესლერმა გამოამზეურა და თავად მონიკაც მხოლოდ მერელა დაინტერესდა მამამისით — ვინ იყო იგი და რას აკეთებდა ომის წლებში. დედამ უთხრა, — პლასცოვო შრომის ბანაკი იყო და მამაშენი კი მისი კომენდანტიო. არადა გოთს თავის ხელით მოკლული ჰყავს 500 ბავშვი, ქალი და კაცი. იგი 1946 წელს კრაკოვში ჩამოახრჩვეს. ოჯახი კი მკვლელს ყოველთვის იცავდა და ამართლებდა. ერთხელ ერთ კაფეში მონიკა გოთმა ორი ებრაელი, პლასცოვოს საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვეები გაიცნო. ცნობისმოყვარეობამ წასძლია და მამის შესახებ ყველაფრის გაგება მოინდომა. „შვილო, შინ წადი“, — უთხრეს კაცებმა და თავზე ხელი გადაუსვეს.

1983 წლის დასაწყისში ბი-ბი-სი-მ დედამისისგან ინტერვიუ აიღო და ოსკარ შინდლერისა და ამონ გოთის შესახებ ჰკითხა. ფრაუ რუთმა მეორე დღეს თავი მოიკლა. „ჩვენს ცხოვრებაზე ეს ამონ გოთი დღესაც გავლენას ახდენს. მართალია, იგი მკვდარია, მაგრამ აქ, ჩვენ გვერდით არის“, — ამბობს ქალიშვილი.

ახლახან მონიკა გოთმა და მისმა ბიოგრაფმა მათიას კესლერმა დაბეჭდეს წიგნი სათაურით „უნდა მიყვარდეს მამაჩემი, თუ...?“

შტერნი

"საგაზაფხულო პრიზების წვიმა" დაიწყო!



1 აპრილიდან, პოპულარული სიგარეტის მარკის "მაგნა კლასიკის" მომხმარებლებს, საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიიღონ წამახალისებელ გათამაშებაში "საგაზაფხულო პრიზების წვიმა".

გათამაშების ორგანიზატორები არიან სარეკლამო სააგენტო "ქედი/მაკენ-ერიქსონი" და კომპანია "ჯეი-თი-აი" – უმაღლესი ხარისხის ფილტრიანი სიგარეტის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი მსოფლიოში.

გათამაშებაში მონაწილეობს "მაგნა კლასიკის" ქართულ აქციზიანი ოქროსფერი და ვერცხლისფერი კოლოფები.

"მაგნა კლასიკის" რბილი გემო კარგადაა ცნობილი მისი მომხმარებლებისათვის. ნახშირის ფილტრი, რომელიც სიგარეტს რბილ გემოს ანიჭებს, თანამედროვე ტექნოლოგიაში რევოლუციურ აღმოჩენად ითვლება და ყველაზე პრეტენზიული მომხმარებლის მოთხოვნებსაც კი აკმაყოფილებს. ნახშირის პატარა ნაწილაკები ადსორბირებენ არასასურველ კომპონენტებს და თამბაქოს უნარჩუნებენ არომატს.

"მაგნა კლასიკის" შეუდარებელი გემო, უმაღლესი ხარისხის თამბაქოს ჯიშების – ვირჯინიას, ბურლეისა და ორიენტალის ზუსტი პროპორციების ნაზავის შედეგია. თამბაქოს ეს ნაზავი, გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლაბორატორიებში, მრავალრიცხოვანი ტესტების ჩატარების შემდეგ იქნა მიღებული. წარმოების პროცესის კონტროლის ავტომატური სისტემა უზრუნველყოფს ევროპული ხარისხის მიღწევას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, საშუალებას აძლევს კომპანია "ჯეი-თი-აის", მსოფლიო დონის სიგარეტის მარკა ხელმისაწვდომ ფასად შესთავაზოს ქართველ მომხმარებლებს.

"მაგნა კლასიკის" შარშანდელი აქციის "შეინარჩუნე სტილის" დროს, რომელიც 23 ივლისიდან – 23 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა, ასობით მომხმარებელი გახდა შესანიშნავი პრიზების მფლობელი, გათამაშდა სიდი მაგნიტოლები, მობილური ტელეფონები და სუპერპრიზი – ავტომობილი "შკოდა ოქტავია".

წელს კი "მაგნა კლასიკმა" თავის მომხმარებლებს კიდევ უფრო დიდი სიურპრიზი მოუმზადა, – გათამაშების "საგაზაფხულო პრიზების წვიმის" თითოეულ მონაწილეს თითქმის გაორმაგებული პრიზები ელოდება. თამაშდება 500 მაისური, 250 ზურგჩანთა, 50 ფოტოაპარატი, 25 სიდი ფლეიერი და, რაც მთავარია, 2 სუპერპრიზი – ავტომობილები "შკოდა ოქტავია".

გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, "მაგნა კლასიკის" 5 ოქროსფერ ან ვერცხლისფერ კოლოფს უნდა მოაჭრათ გვერდითი შტრიხკოდიანი ნაწილი და დააწებოთ ისინი გათამაშების ბილეთზე, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ სავაჭრო ობიექტებში. ბილეთი უნდა შეავსოთ და 2002 წლის 1 აგვისტომდე მიიტანოთ ბილეთების შეგროვების პუნქტებში, ბილეთებზევე მითითებულ მისამართებზე ან გამოაგზავნოთ ფოსტით: 380060, თბილისი, სააბონენტო ყუთი 110 "მაგნა".

წამახალისებელი გათამაშება გაიმართება 2 ეტაპად, პირველი ეტაპი 2002 წლის 10 ივნისს, მეორე ეტაპი – 10 აგვისტოს **(თითოეულ ეტაპზე გათამაშდება 250 მაისური, 125 ზურგჩანთა, 25 ფოტოაპარატი, 12-13 სიდი ფლეიერი და 1 ავტომობილი "შკოდა ოქტავია").**

ყველა გამოგზავნილი ბილეთი მონაწილეობას მიიღებს გათამაშების ორივე ეტაპში. გათამაშების შედეგები გამოქვეყნდება გაზეთში "ალია", პირველი ეტაპის – 14 ივნისს, მეორე ეტაპის – 14 აგვისტოს. გათამაშების ორივე ეტაპს დაესწრება ფინანსთა სამინისტროს, სარეკლამო სააგენტო "ქედი/მაკენ-ერიქსონისა" და კომპანია "ჯეი-თი-აის" წარმომადგენლები.

პირველ ეტაპში გამარჯვებულებს პრიზების მიღება შეუძლიათ 2002 წლის 15 ივნისიდან – 15 ივლისამდე, ხოლო მეორე ეტაპში გამარჯვებულებს – 15 აგვისტოდან – 15 სექტემბრამდე.

მოგების შემთხვევაში მიმართეთ ორგანიზატორ სარეკლამო სააგენტოს "ქედი/მაკენ-ერიქსონი", მისამართზე: თბილისი, ასათიანის 12ა. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონზე 391 491.

გისურვებთ წარმატებას!

სერტიფიცირებულია ლიცენზირებულია

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.

პასიური მოწევა საშიშია ჯანმრთელობისათვის.

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.

დიდი ხანია მაწუხებს ფეხის დეფორმაციით გამოწვეული პრობლემები. მე–8 კლასში ვიყავი, როდესაც მარცხენა ფეხის ცერა თითის გვერდით ამტკივდა და ორ დღეში გამოიჩნდა ძვლოვანი წანაზარდი. მალე ასეთი წანაზარდი მარჯვენა ფეხზეც გამომივიდა. უკვე 18 წლის ვარ, მაგრამ იგი არა და არ ქრება, რის გამოც ფეხსაცმლის ყიდვა სადავიდარაბოდ მექცა. გამუდმებით დისკომფორტს განვიცდი.

გთხოვთ მითხრათ, რა დაავადებაა ეს და როგორ უნდა ვიმკურნალო? მეუბნებიან, ეს პოდაგრაა და იგი მემკვიდრული დაავადებააო.

პატივისცემით ა.ა. თბილისი

თქვენი ნაამბობის მიხედვით, გაქვთ ფეხის პირველი თითების ფალანგთაშორისი სახსრების ანთება („პოდაგრის“ დიაგნოზის დასადგენად საჭიროა სათანადო გამოკვლევების ჩატარება).

თქვენს შემთხვევაში, ცერის ფალანგთაშორისი ართრიტი (სახსრის ანთება) გამოწვეული უნდა იყოს ბრტყელტერფიანობით. ბევრმა არ იცის, რა არის ბრტყელტერფიანობა: ტერფის ძირზე გადაჭიმულია იოგები. ერთი სიგრძივი იოგი (თითებიდან — ქუსლამდე) და მეორე, განივი (თითების ქვეშ). ბევრს ჰგონია, რომ მხოლოდ სიგრძივი იოგის გასწორებას გულისხმობს ბრტყელტერფიანობა, მაგრამ ეს უკვე შორს წასული შემთხვევაა. დასაწყისში კი ხდება განივი იოგის მოდუნება, რის გამოც ტერფის ძვლები თითქოს მთლიანად ეყრდნობა მიწას. თითები მოშვებულია, ზოგჯერ ნეკა თითი მე-4 თითზე გადმოდის. მაგრამ ყველაზე მეტად ბრტყელტერფიანობაზე რეაგირებს ცერა თითის სახსარი. მისი ცვლილების მექანიზმი შეიძლება აღიწეროს, როგორც თანდათანობით განვითარებადი ქვეამოვარდნილობა, რომელსაც თან ახლავს სახსრის ანთება — ართრიტი. ეს გაგრძელდება მანამ, ვიდრე ქვეამოვარდნილობა არ დასრულდება. მეცნიერულად ამ ცვლილებას ვალგუსურ დეფორმაციას უწოდებენ.

ბრტყელტერფიანობა არ არის მემკვიდრული დაავადება. იგი დაკავშირებულია იმასთან, რომ თქვენ სიარულის დროს არასწორად დგამთ ტერფს და არ აკეთებთ იოგების გამამაგრებელ ვარჯიშებს.

მკურნალობა ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს. მკურნალობის კურსი მოიცავს ანთების საწინააღმდეგო თერაპიას, ფიზიოთერაპიას, ტერფის განტვირთვას (ინდივიდუალურ მაკორეგირებელ სუპინატორებს), იოგების გამამაგრებელ ვარჯიშებს. თვითმკურნალობა უშედეგოა. პაციენტი მხოლოდ კარგავს დროს და ექიმთან მიდის დაგვიანებით, როცა უკვე რადიკალური ღონისძიებების მიღებაა საჭირო. ამიტომ გირჩევთ, დროულად მიაკითხოთ ექიმ-ორთოპედს.

ყველა ორგანო გამოვიკვლიე, მაქვს მხოლოდ მსხვილი ნაწლავის ქრონიკული ანთება და ტაქიკარდია (გულის აჩქარება). ტაქიკარდიის მიზეზს ვერ იგებენ. განსაკუთრებით მიჩქარდება გული ჩაისა და ალკოჰოლური სასმელების მიღებისას, ამისთვის საკმარისია თუნდაც ერთი პატარა ყლუპი. მაინტერესებს გულის აჩქარების მიზეზი.

მზია ა.

ტაქიკარდია გულის შეკუმშვათა გახშირებაა. მოზრდილი ადამიანის გულის შეკუმშვათა სიხშირე ნორმალურია თუ წუთში 60-75-ს უდრის. სინუსური ტაქიკარდია ფიზიოლოგიურია (გადახრას არ წარმოადგენს) ფიზიკური მუშაობის, გადახურების, ნერვული აგზნებადობის დროს და ჭამის შემდეგ. ახლა კი ვნახოთ ის პათოლოგიები (დაავადებანი), რომელთა ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს გულის აჩქარება. ასეთებია: მიოკარდიტი (გულის კუნთის ანთება), გულის უკმარისობა, ჰიპერთირეოზი (ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერება — მაგალითად, ჩიყვის დროს), ცხელება (ტემპერატურის მომატება), ანემიები (სისხლნაკლებობა), ჰიპერტონია (დაბალი წნევა), სხვადასხვა ინფექციები და ინტოქსიკაციები (მოწამვლები).

თუ ჩატარებული გაქვთ ყოველმხრივი გამოკვლევა და გამორიცხულია ყველა ზემოთ აღნიშნული პათოლოგია, მაშინ არსებობს კიდევ ერთი, საკმაოდ ხშირი მიზეზი ტაქიკარდიისა. ეს გახლავთ თქვენი ორგანიზმის ჰიპერრეაქტიულობა (გაძლიერებული აგზნებადობა), რაც ვეგეტაციური ნერვული სისტემის ტონუსის მომატებასთანაა დაკავშირებული. ალკოჰოლი, ჩაი და ყავა (კოფეინი) სწორედ ის ნივთიერებებია, რომლებიც ტაქიკარდიის განვითარების პროვოცირებას იწვევს. ვინაიდან თქვენს ორგანიზმში ჭარბადაა გამოხატული რეაქციები ყოველგვარ გამღიზიანებელ ფაქტორზე, სწორედ რომ ერთი ყლუპიც საკმარისი შეიძლება გახდეს მსგავსი რეაქციისთვის.

გამორიცხული არ არის, რომ თქვენს შემთხვევაში, მსხვილი ნაწლავის ანთების განვითარების მექანიზმშიც წამყვანი ადგილი სწორედ ვეგეტაციური ნერვული სისტემის აგზნებას ეკავოს. ნერვული სისტემის ტონუსის მატებისას სხვადასხვა ორგანოში, მათ შორის ნაწლავებშიც ვითარდება კუნთების სპაზმები. სწორედ სპაზმური კოლიტებია დღეს საკმაოდ გავრცელებული მოსახლეობაში.

ჩვენი რჩევაა, მიიღოთ ნევროპათოლოგის კონსულტაცია და ჩაიტაროთ სათანადო მკურნალობა ვეგეტოტონუსის მოხსნის მიზნით. მანამდე კი მოერიდეთ ალკოჰოლს, მაგარ ყავასა და ჩაის. შეგიძლიათ მიირთვათ ჩაის სუსტი ნაყენი ან სხვა მცენარისგან დაყენებული ჩაი. სვით ნერვული სისტემის დამამშვიდებელი მცენარეული პრეპარატები — კატაბალახას, შავბალახას, პიტნის ნაყენი.

ტესტი: იცით, როგორ უნდა მოიქცეთ?

თქვენმა ნაცნობმა მიიღო ელექტროტრავმა (დენის დარტყმა) თქვენ შეესწარით ამ ფაქტს, ადამიანმა გონი დაკარგა და პულსი არ ესინჯება. როგორ მოიქცევით?

ა) სასწრაფოდ გადავიყვან და, თუ არის საშუალება, ჩავფლავ ქვიშაში.

ბ) დავაწვენ ლოგინზე და შემდეგ ჩავუტარებ ხელოვნურ სუნთქვას.

გ) გამოვიძახებ სასწრაფო დახმარებას.

დ) დავაწვენ იატაკზე და მაშინვე ჩავუტარებ გულის არაპირდაპირ მასაჟს და ხელოვნურ სუნთქვას. ამავდროულად, სასწრაფო დახმარებასაც გამოვიძახებ.

სწორი პასუხია დ.

დენის დარტყმის დროს ადამიანის სიკვდილის მიზეზია გულის რიტმის დარღვევა მძლავრი ელექტროიმპულსის ზეგავლენით. ვითარდება ფიბრილაცია (გულის კუნთის ცალკეული ბოჭკოს მოუწესრიგებელი შეკუმშვა, გულის თრთოლვა), რასაც მისი გაჩერება მოსდევს. პირველსავე წუთებში თუ გვერდით მყოფნი სწორად მოიქცევიან, არის დაზარალებულის გადარჩენის შანსი, მაგრამ სათანადო ცოდნის უქონლობის გამო ამას ვერავინ ახერხებს. გულის არაპირდაპირი მასაჟი ასეთ დროს გამიზნულია იმისათვის, რომ გულის კუნთზე მძლავრი გარე გამღიზიანებლის მოქმედებით მოხდეს მისი რიტმის აღდგენა.

ა პასუხში მოყვანილი ქმედება აბსოლუტურად მცდარი და გაუმართლებელია დენის დარტყმის დროს. ამგვარად თქვენ მხოლოდ დაკარგავთ იმ ძვირფას წამებს, რომლებიც დაზარალებულის გადასარჩენად უნდა გამოიყენოთ. გულის ეფექტური მასაჟის ჩატარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი მაგარ ზედაპირზე წევს, ამიტომ მას აწვენენ მიწაზე, იატაკზე, გრძელ მაგიდაზე. ლოგინზე მსგავსი მასაჟის ჩატარებას აზრი არ ექნება, რადგან სათანადო ეფექტს ვერ მიიღებთ. ამიტომ **ბ** პასუხიც არაზუსტია.

რაც შეეხება **გ** პასუხს, სასწრაფო დახმარება მართლაც აუცილებლად უნდა გამოიძახოთ, მაგრამ თუ მხოლოდ ამით შემოიფარგლება თქვენი ჩარევა, დაზარალებულის გადასარჩენად, ეს მისთვის არ იქნება საკმარისი, რადგან ასეთ დროს სასწრაფო დახმარება უხშირესად მოდის მას შემდეგ, რაც ეფექტური პირველი დახმარების შესაფერისი დრო — პირველი წუთები უკვე გავლილია და დენის დარტყმის ობიექტი გარდაცვლილია. ამიტომ, გახსოვდეთ, ელექტროტრავმის დროს უდიდესი მნიშვნელობა სწორედ გვერდით მყოფ ადამიანებს და მათ სწორ მოქმედებას აქვს.

ახლა უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ დახმარების სწორ ვარიანტზე. დახმარების აღმოჩენის დაწყებამდე უნდა შეამოწმოთ, მოშორებულია თუ არა დაზარალებული დენის წყაროსგან, რომლიდანაც დენის დარტყმა მოხდა.

მასაჟის ჩამტარებელი უნდა დადგეს დაზარალებულისგან მარცხნივ. თუ დაზარალებული იატაკზეა, იგი დგება მუხლებზე. პირველ რიგში დაზარალებულს ცხვირსახოცით ამოუწმენდენ პირის ღრუს და ჩაბერავენ პირით პირში 3-5-ჯერ (ან პირით ცხვირში). შემდეგ მასაჟის ჩამტარებელი მკერდის ძვლის ქვედა მესამედზე ადებს მარცხენა ხელისგულს, ხოლო ზევიდან მარჯვენას და დააწვება საკმაოდ ძლიერად მკერდის ძვალს ისე, რომ იგი 5 სმ-ით ჩაიზნიქოს. დაჭერა-აშვების 15 ციკლის ჩატარების შემდეგ უნდა გამეორდეს 2 ჩაბერვა პირით პირში. მასაჟის ეფექტის ნიშანია დაზარალებულის გუგების შევიწროება, გულის ერთეული შეკუმშვის გაჩენა და სპონტანური (თავისთავადი) სუნთქვის აღდგენა. ასეთ შემთხვევაში მასაჟი უნდა გაგრძელდეს გულის მოქმედების საბოლოო აღდგენამდე, მკვეთრი პულსის ჩამოყალიბებამდე.

თუ დაზარალებული ბავშვია, გულის მასაჟი ნაკლები ძალით უნდა გაკეთდეს, რადგან ბავშვების მკერდის ძვალი ელასტიკურია.

გულის არაპირდაპირი მასაჟის სწორად ჩატარების ცოდნა ყველა ადამიანისათვის აუცილებელია, რადგან მსგავსი დახმარება ეფექტურია არა მხოლოდ ელექტროტრავმის, არამედ გულის უეცარი გაჩერების სხვადასხვა შემთხვევაში, რომლებზეც ჩვენი შემდგომი შეხვედრებისას ვისაუბრებთ.

თამარ მამაცაშვილი

მოვაწესრიგოთ ორგანიზმი საგაზაფხულოდ

ზამთრის შემდეგ ჩვენი ორგანიზმი საფუძლიანად უნდა განვტვირთოთ. სასურველია დავიცვათ ერთკვირიანი ან რამდენიმედღიანი (თვეში 4-5 დღე) დიეტა. განტვირთვის დღეებში სასარგებლოა დილით (უზმოზე) ნახევარი გრეიპფრუტის მირთმევა. როგორც ვიცით, ის შეიცავს კალიუმს, რაც ხელს უწყობს ორგანიზმიდან ზედმეტი სითხის გამოდევნას.

ერთკვირიანი დიეტა აუცილებელია კანისა და თმის მოსაწესრიგებლად. დიეტის რაციონი, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, რა თქმა უნდა, არ არის მრავალფეროვანი, შეიძლება ითქვას, ასკეტურიც კია, მაგრამ, გვერწმუნეთ, საკმარისია ძალის შესანარჩუნებლად და ორგანიზმიდან წიდების გამოსადევნად.

უკვე მესამე დღეს გამოცოცხლდება სახის ფერი, კანი სრიალა გახდება, მზერა — უფრო აზრიანი და, რაც მთავარია, დიეტის დაწყების მეორე დღესვე მთელ სხეულში საოცარ სიმსუბუქეს იგრძნობთ.

დიეტის პირველი დღე

საუზმე: 2 ვაშლი, ნახევარი გრეიპფრუტი და 1 ნიგვზის ან 3 თხილის გული.

სადილი: ბოსტნეული და ხაჭო.

ვახშამი: ხილის სალათი. შუალედებში მაწონი (უშაქრო) ან ვაშლი.

განტვირთვის კვირაში ყოველდღიურად მიიღეთ 3 ლ წყალი, ბალახეულის ან ხილის ჩაი.

დიეტის მეორე–მეხუთე დღე

საუზმე: ბალახეულის ან ხილის ჩაი.

სადილი: ბოსტნეულის ბულიონი: 50 გ კარტოფილი, 100 გ ქინძი, ერთი სტაფილო, 30 გ ხახვი დაჭრით მსხვილად და ხარშეთ 30 წუთი 1 ლ წყალში.

ვახშამი: ბოსტნეულის წვნიანი, წყალი.

დიეტის შემდეგ 5 დღე

საუზმე: 4-5 ცალი შავი ქლიავი ან ქლიავის ჩირი, ბალახეულის ან ხილის ჩაი.

სადილი: მოხარშული კარტოფილი, ბოსტნეულის ბულიონი.

ვახშამი: ტომატის წვნიანი.

შუალედებში მიირთვით 2-2 ცალი ტკბილი ვაშლი.

6–7 დღე (აღდგენითი)

საუზმე: 4-5 ცალი ლეღვის ან შავი ქლიავის ჩირი. ხილის ან ბალახეულის ჩაი.

სადილი: ჩაშუშული ბოსტნეული (უმარილო) ქინძით, კამით (შეიძლება ცოტა კარაქიც) შეკაზმული კარტოფილის პიურე (ურძეო).

ვახშამი: ხაჭო, ასკილის წვენი (ოდნავ დაშაქრული).

ლიზა №13

ონტკოფა — ვიტამინების წყარო

ონტკოფა ანუ ფიზალისი პომიდვრის ოჯახის მცენარეა. იგი ყველგან, მთელი დედამიწის ზურგზეა გავრცელებული. უფრო სითბოს მოყვარეა, მაგრამ პომიდვრისგან განსხვავებით, უკეთ უძლებს სიცივეს, არ უჩნდება ჭია, კოლორადოს ხოჭო.

საქართველოს ყოველ კუთხეში შეხვდებით ამ ლამაზ ბუჩქს, რომელსაც ამშვენებს გულის ფორმის სტაფილოსფერი ბუშტები, მასში მოთავსებული ამავე ფერის პრიალა ნაყოფით. აქვს სასიამოვნო მომჟავო-მოტკბო გემო.

ქართლში ონტკოფას ონთქოფა ჰქვია, კახეთში — დუდღუბო, დუდგუბო, დუდღუბელა, იმერეთში — ონტკოფა, ფშავში — დუდღუბა, დღუბდღუბა, რაჭა-ლეჩხუმში ბაბუშტელა, გურიაში კატაყვერა და ოტყაჩუა. ინგილოები ზაღლი ზივს ეძახიან, აჭარლები — სატკაჩუნას, ზემო რაჭაში — ონტკოფილას და ოტკოფილას, სამეგრელოში — ტყვატყვაციას და ყუაში მაპაშქინიას უწოდებენ, სვანეთში კი ჟუნტი ჰქვია.

ონტკოფა ევროპასა და ამერიკაში კულტურული მცენარეა, მას თესენ მარტის ბოლოს და მაისში გადარგავენ ხოლმე.

ხალხურ მედიცინაში იგი ოდითგან გამოიყენება ფილტვების სამკურნალოდ, როგორც შარდმდენი — შარდკენჭოვანი დაავადების, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის დროს.

ონტკოფა უხვად შეიცავს ცილებს, შაქარს, პექტინებს, ვიტამინებს (C ვიტამინის ოდენობით არ ჩამოუვარდება ქაცვს), ორგანულ მჟავებს, მიკროელემენტებს.

ონტკოფა საუცხოო ხილია — ჭამენ უმად, ხარშავენ მურაბას, რომელიც გემოთი ვაშლის მურაბას წააგავს, ამწნილებენ, აკეთებენ მარინადს, კომპოტს, პომიდვრის მსგავსად შუშავენ სხვადასხვა ბოსტნეულში, შაქართან ერთად გახეხილი ონტკოფა (1:2) ინარჩუნებს თითქმის ყველა სასარგებლო ნივთიერებას...

ონტკოფა არის მწვანე, ყვითელი, იისფერი. ჩვენში გავრცელებულია ნარინჯისფერი ნაყოფი.

პრიროდა №5

მშობიარობის შემდგომი დეპრესია

ქალი, რომელსაც მშობიარობის შემდეგ დეპრესია დაეწყო, მარტო ამ პრობლემას ვერ მოუვლის. სამწუხაროდ, ხშირად ოჯახის წევრები არც კი ცდილობენ ჩასწვდნენ ახალგაზრდა დედის დეპრესიის მიზეზს და თვლიან, რომ იგი განებივრებული და გაზულუქებული ქალია. ახალგაზრდა დედა კი, საკუთარ თავსაც ვერ უტყდება, რომ ბავშვთან დაკავშირებით პრობლემა უჩნდება. ცდილობს, არავის არაფერი შეამჩნევინოს, თავს ძალას ატანს, რომ ყველაფერი გააკეთოს, თავს უბრაზდება, რომ ისე არ უყვარს ბავშვი, როგორც უნდა უყვარდეს. მისი მდგომარეობა კი, სულ უარესდება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ფსიქოლოგის კონსულტაცია, თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ სჯობს, ქალმა თავისი განცდები გაანდოს მეგობარს, ოჯახის წევრებს, ქმარს. ოჯახი სულგრძელად უნდა მოეკიდოს მის განცდებს, დროებით გაათავისუფლოს ბავშვზე ზრუნვისგან და ახალგაზრდა დედა ისევ ბედნიერად იგრძნობს თავს. მშობიარობის შემდგომი დეპრესია ორ თვეზე მეტხანს არ გრძელდება.

ოტდოხნი №15

მთვარის აბაზანები მზისაზე სასარგებლოა



ნათქვამია, მთვარე სხივებს მზეს ჰპარავსო. მთვარეს გაცილებით სუსტი ულტრაიისფერი სხივები აქვს, მაგრამ გარუჯვა მაინც შეიძლება. თანაც, ეს უფრო სასარგებლო და უსაფრთხოა. არ გვემუქრება დამწვრობა, მზის დარტყმა და კანის გადაგვარება. უფრო მეტიც, მთვარის აბაზანების შემდეგ კანი ოქროსფერდება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისთვის. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მიაქციეს ყურადღება კოსმეტოლოგებმა და თავიანთ კლიენტებს ურჩევდნენ მთვარის აბაზანების მიღებას. ამ პროცედურის ჩატარება შესაძლებელია დარში, მხოლოდ სავსემთვარეობისას. მთვარის ხელოვნური აბაზანების მისაღებად საგანგებო ულტრაიისფერ ნათურას იყენებენ.

მეგაპოლის-ექსპრესი №15

სამკურნალო თიხა

ბრაზილიაში ექსპედიციის დროს ბრიტანელმა მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ ათასობით თუთიყუში მდინარის ნაპირებზე ფრენისას კენკავდა თიხას. ექსპედიციის ხელმძღვანელის ჯეიმ ჰილარდის თქმით, ეს ფრინველები ამ გზით თავს იცავენ შხამებისგან, რადგან საკვების უკმარობის გამო ზოგჯერ კენკავენ სტრიქნინის, ქინაქინის და გოგირდმჟავას შემცველ მარცვლეულს. დოქტორი ჰილარდი ფიქრობს, რომ ოდესღაც ადამიანებიც იცავდნენ თავს ნებისმიერი საწამლავისგან — საჭმელში ურევდნენ თიხას. ძველი ინდიელები ჭამდნენ თიხის „ფქვილით" შეზავებულ შხამიან კერძებს. ჩინეთში თეთრ თიხას — კაილონს მორფინთან ერთად ხმარობდნენ კუჭის აშლილობისას. გარდა ამისა, თიხის ზოგიერთი კომპონენტი შედის თანამედროვე წამლების შემადგენლობაში, მაგრამ სუფთა სახით შხამსაწინააღმდეგოდ არ გამოიყენება.

ბრიტანელი ორინტოლოგების აღმოჩენით დაინტერესდნენ ფარმაკოლოგიური ფირმები.

მეგაპოლის-ექსპრესი **№15**

დაეხმარეთ თქვენს ვენებს



ვენები მთავარი მაგისტრალია, რომლითაც ჩვენს ორგანიზმში სისხლი გულისკენ მიედინება. ვენების კედლები საკმაოდ თხელია. ყველაზე დიდი დატვირთვა ადგება ფეხების ვენებს, რადგან სისხლი ქვემოდან ზემოთ მოძრაობს. ამ დროს ვენებს კუნთები ეხმარება. ფეხის კუნთების შეკუმშვისას სისხლი ზემოთ გაიდევნება. ამიტომ მას, ვინც ხშირად დარბის ან ბევრს დადის, ჯანმრთელი ვენები აქვს. თუ ადამიანი ნაკლებს მოძრაობს ან სიმძიმეების ტარება უხდება, რაღაც დროის შემდეგ მისი ვენები ზიანდება. დიდი დატვირთვის გამო ვენური კედელი დეფორმაციას განიცდის. ზედაპირული ვენები უხილავი აღარ არის. კანის ზედაპირზე ჩნდება სისხლძარღვები და გაბერილი ვენები.

პრაქტიკული რჩევები: გთავაზობთ რამდენიმე მარტივ რეკომენდაციას პროფილაქტიკისთვის. მთავარია — აქტიური ცხოვრების წესი, მეტი მოძრაობა, ფეხის კუნთების გამაგრება. ჩვეულებრივ ვარჯიშებს დაუმატეთ რამდენიმე მარტივი ვარჯიში: ხშირად აიწიეთ ფეხის წვერებზე, იცურეთ, დილაობით ირბინეთ ან საღამოს საშუალო ტემპით იარეთ. გაითვალისწინეთ რომ ფეხი ფეხზე გადადებული ჯდომა არღვევს სისხლის მიწოდების რიტმს და აძლიერებს დატვირთვას ვენებზე. რეკომენდებული არ არის ერთ ადგილზე დიდხანს დგომა. ვარჯიშების გარდა საჭიროა მიიღოთ მეტი ბოსტნეული და ხილი — ვიტამინები და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები კარგად ამაგრებს კუნთებსა და ვენების კედლებს.

ჟენსკიე დელა **№4**

მკურნალობა აპარატურით:
ალერგიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ენაბლუობის, წნევის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის (სიმსუქნე, ოსტეოქონდროზი), იმუნური სისტემის დაქვეითების მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით.
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მე-13 სართ. (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა) ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი, ექიმი ზურაბ ხარიაშვილი, 10-16 სთ-მდე
☎ 899-97-58-77; 39-58-77 ბინა



სისხლში შაქრის საზომი აპარატები
სერტიფიცირებულია **კომპლექტი 95ლ**
შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.
შპს „კონტრასტი", ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.

ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი"
გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.
მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა
☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

პარკინსონის დაავადება...

პარკინსონის დაავადება ნევროლოგიურ დაავადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. იგი საშუალოდ 65 წლის ასაკში, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე იწყება და დაუსრულებლივ, სიკვდილამდე პროგრესირებს!

დაავადების გამომწვევი მიზეზი ჯერაც უცნობია. ის მოძრაობის დარღვევით მიმდინარე დაავადებათა რიგს მიეკუთვნება.

დაავადების განვითარებას საფუძვლად უდევს თავის ტვინის გარკვეულ უბნებში დოფამინის ნაკლებობა. დოფამინი არის ნივთიერება, რომელსაც ჩვეულებრივ სხვა ფუნქციებთან ერთად კუნთოვანი ტონუსისა და მოძრაობების რეგულირება ეკისრება. ამიტომაც მისი დეფიციტი მოძრაობის დარღვევებს განაპირობებს.

დაავადების განვითარების წინაპირობად ზოგი ავტორი სხვადასხვა რისკ-ფაქტორს გამოყოფს, მაგ. ქალატვინის ხშირ ტრავმას, სისხლძარღვოვან მოშლილობებს, მუდმივ სტრესულ სიტუაციას, მაგრამ ეს საეჭვოა.

გამოყოფენ მემკვიდრულ ფაქტორსაც, არსებობს დაავადების ოჯახური შემთხვევები, მაგრამ ეს ძალიან მცირეა.

დაავადებამ იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა ორმოცი წლის ასაკში იჩინოს თავი.

დაავადების ძირითადი ნიშნებია: მოძრაობების შეზღუდვა, შენელება, კუნთების გაშეშება, გახევება და ცნობილი პარკინსონული ტრემორი — კანკალი.

კანკალი ბევრი სხვა ნევროლოგიური დაავადების დროსაც მიმდინარეობს, მაგრამ პარკინსონულ კანკალს თავისებურება ახასიათებს. ის მოჩვენებითი კანკალია, ანუ არ არის დაკავშირებული მოძრაობით აქტთან და ძილში ქრება.

ტრემორი და დაავადების სხვა ნიშნები თავდაპირველად მოიცავს სხეულის ერთ მხარეს და შემდეგ ოთხივე კიდურზე ვრცელდება. ეს არის მაღალი სიხშირის, თანაბარი ამპლიტუდის მქონე მოძრაობები ანუ ე.წ. „ხურდა ფულის თვლის" კანკალი.

ტრემორი თავიდან შეუმჩნეველია, შემდეგ კი ის ძლიერდება. კუნთების გახევების გამო ნიღბისებური სახე ვითარდება. ადამიანი თავისებურ პოზას იღებს — წელში მოხრილია, თავდახრილი, მოკლე ნაბიჯებით დადის, უჭირს კოხტად სიარული, შებოჭილია.

ზოგჯერ კანკალი სულაც არ ფიქსირდება და ადამიანს მხოლოდ შებოჭილობა, უმოძრაობა, მოძრაობის შენელება აღენიშნება.

იშვიათად შეიძლება საპირისპირო მდგომარეობაც არსებობდეს, კანკალის ფონზე გახევება და შენელებული მოძრაობა ნაკლებად იყოს გამოხატული, მაგრამ მათ გარეშე პარკინსონის დაავადება არ არსებობს!

შორს წასულ შემთხვევაში ჩამოთვლილ ნიშნებს ზოგჯერ ემატება წონასწორობის დარღვევა, რაც ხშირი დაცემების მიზეზი ხდება. შეიმჩნევა აგრეთვე გუნება-განწყობილების ცვალებადობა, განსაკუთრებით — მიდრეკილება დეპრესიისაკენ, აპათიისაკენ. ზოგჯერ ფსიქოზური მოვლენებიც ვითარდება.

უფრო მოგვიანებით შესაძლოა განვითარდეს შარდის შეუკავებლობა, გაშეშების ან მოტორული მოუსვენრობის ეპიზოდებიც. ზოგჯერ ქვეითდება მეხსიერება და სხვა შემეცნებითი ფუნქციები.

დაავადების დიაგნოსტიკა ძირითადად კლინიკურ ნიშნებს ემყარება. დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპიუტერული ტომოგრაფია და მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა.

პარკინსონის დაავადების შემთხვევაში რაიმე სპეციალური პროფილაქტიკური ღონისძიებები არ არსებობს.

პარკინსონის დაავადების მკურნალობაში, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დიდი წარმატებები აღინიშნება, მას შემდეგ, რაც სინთეზირებულია დოფამინის შემცველი პრეპარატები.

ამჟამად მკურნალობისთვის გამოიყენება კომბინირებული პრეპარატები, L-დოფასთან ერთად ავადმყოფობის შემაფერხებელი სხვა საშუალებებიც (ნაკომი, სინემეტი, მადოპარი).

დოზების შერჩევა ინდივიდუალურად ხდება, იწყება მინიმალურიდან და შემდეგ იზრდება.

გაითვალისწინეთ! პრეპარატების ჭარბი დოზები უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ემოციურ და ინტელექტუალურ სფეროზე, ზოგჯერ იწვევს ქცევით დარღვევებს, ჰალუცინაციებს, დეპრესიას...

პარკინსონის დაავადების მკურნალობაში წარმატებით გამოიყენება ქირურგიული მკურნალობაც. ხდება თავის ტვინის შესაბამის ქერქქვეშა სტრუქტურებზე ზემოქმედება ან სხვა სტრუქტურებში ელექტროდების ჩანერგვა და მათი სტიმულაცია.

ქირურგიული მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც მედიკამენტური მკურნალობის რეზერვები გამოლეულია ან მედიკამენტური მკურნალობა ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა.

პარკინსონის დაავადება სასიკვდილო არ არის, მაგრამ დაავადების შორსწასული შემთხვევაში ზოგადი დაუძლურების ფონზე, ვითარდება თანდართული დაავადებები: საშარდე გზების ინფექცია, ფილტვების ანთება და ა.შ.

რეკომენდაციები: ზემოთ აღწერილი ნიშნების გამოვლენისას უნდა მიმართოთ ნევროპათოლოგს, რადგანაც მსგავსი ნიშნები ახასიათებს სხვა დაავადებებსაც, რომელთაც ურთიერთგანსხვავებული მიდგომა ესაჭიროებათ, თვით დადგენილი პარკინსონის დაავადების შემთხვევაშიც. სხვადასხვაა მათი მიმდინარეობა, პროგნოზი, მკურნალობის ტაქტიკა თუ მკურნალობაზე რეაქცია.



პარკინსონის დაავადების შემთხვევაში ადამიანს სჭირდება ფსიქოლოგიური და მორალური მხარდაჭერა, ახლობელმა უნდა შექმნან მაქსიმალურად კომფორტული გარემო, შეურჩიონ სამკურნალო საშუალებების მიღების ოპტიმალური რეჟიმი, აარიდონ ფიზიკური ტრავმები. არსებობს სპეციფიკური რეკომენდაციები — როგორ უნდა იაროს პარკინსონით დაავადებულმა.

მაია მუხიგული

კოცნა გულს იცავს...



ტყუილად ხომ არ უმღერიან ვნებიან და ნაზ კოცნას პოეტები... ექიმებს მიაჩნიათ, რომ კოცნა არა მარტო სასიამოვნოა, არამედ სასარგებლოც, რისთვისაც 5 მიზეზი არსებობსო:

1. სახის კუნთების მასაჟი. როდესაც კოცნით, აქტიურდება სახის 34 კუნთი, მათ შორის ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის ტუჩებზე, „სამაგიეროდ" (ამ მასაჟის მეშვეობით) ტუჩი ინარჩუნებს ფორმას. გარდა ამისა, სამწუთიანი კოცნის დროს ორგანიზმი წვავს დაახლოებით 12 კალორიას. კოცნის დროს გამოიყოფა დიდი რაოდენობით ნერწყვი, რომელიც ინტენსიურად აშორებს კბილებს ნადებს და იცავს კარიესისაგან.

2. მძაფრდება გრძნობები. დადგენილია, რომ კოცნის დროს მამაკაცებს უფრო უჩქარდებათ პულსი, ვიდრე ქალებს. ამ დროს წნევა 180 მმ-მდე იწევს, ტვინი აძლიერებს ენდორფინების გამოყოფას, რომლებიც ხვდებიან სისხლში, ამაღლებენ გუნება-განწყობილებას. გარდა ამისა, სისხლში გლუკოზის მომატების საპასუხოდ, ჩვენი კუჭქვეშა ჯირკვალი იწყებს დიდი რაოდენობით ინსულინის გამომუშავებას, აქტიურდება იმუნური სისტემა.

3. ვისაც კოცნა უყვარს, დიდხანს ცოცხლობს. კოცნით შეიძლება გადავარჩინოთ ადამიანი, უფრო მეტიც, ისინი, ვინც კოცნის შემდეგ მიუჯდა საჭეს, ნაკლებად აგრესიულები არიან და თითქმის უავარიოდ მართავენ მანქანას.

4. ხანგრძლივი მგრძნობიარე კოცნა-ალერსი ამცირებს სისხლში სტრესული ჰორმონის, კორტიზონის, გამოყოფას, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტნიორების ნაზი ურთიერთდამოკიდებულება ბევრი დაავადების ბრწყინვალე პროფილაქტიკური საშუალებაა — ამცირებს მიოკარდის ინფარქტის განვითარების რისკს.

5. კოცნა გვანიჭებს სიამოვნებას და გვიმაღლებს გუნება-განწყობილებას. კოცნა ადამიანს უფრო აწონასწორებს და დიდხანს უნარჩუნებს ჯანმრთელობას.

ლიზა **№14**



სამედიცინო ცენტრი მედი MEDI
ალ. ყაზბეგის გამზ №1 25-02-02 93-89-75

უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია

ფიგურის კორექცია ულტრაბგერითი ლიპოსაქციით საუკეთესო შედეგებით

ზღვის გაყოფის ქროლობა

აშხაბადში დამთავრდა კასპიისპირეთის სახელმწიფოთა სამიტი. შეხვედრას, რომელიც წლის განმავლობაში რამდენჯერმე გადაიდო, უნდა დაეზუსტებინა კასპიის სამართლებრივი სტატუსი. რუსეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და ირანის ლიდერები თითქმის ვერაფერზე შეთანხმდნენ.

რუსეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის პოზიციები კასპიის ზღვის გაყოფის პრინციპთან დაკავშირებით, მეტ-ნაკლებად უთავსდება ერთმანეთს — „ფსკერს ვიყოფთ, წყალი საერთოა“. ირანი ამის წინააღმდეგია, იგი აცხადებს, რომ სსრკ-ირანის ხელშეკრულების თანახმად, მას ზღვის 50% ეკუთვნის, დანარჩენი 50% — საბჭოთა კავშირის ყოფილმა რესპუბლიკებმა გაიყონო.

რა თქმა უნდა, ირანის პოზიციას დსთ-ის არც ერთი ქვეყანა არ ეთანხმება.

კასპიის ხუთეულმა არა მარტო ვერ გადაწყვიტა კასპიის სტატუსის საკითხი, შემაჯამებელ დეკლარაციასაც კი ვერ მოაწერა ხელი, რადგან აშხაბადის სამიტის მონაწილეებმა ვერ განსაზღვრეს შემაჯამებელი საბუთის შინაარსი. მაგალითად, თურქმენეთის პრეზიდენტმა განაცხადა, — კასპიის სამიტის დეკლარაცია ფარატინა

ქაღალდია და მისი მიღება დაუშვებელიაო. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა კი შემაჯამებელი დოკუმენტის მიუღებლობა იმით ახსნა, რომ იმაზე მეტი პრობლემა დაგროვდა, ვიდრე ველოდითო.

კომერსანტი №74

ტვ-6 – სახელმწიფო არხი გახდება?

„მედია-სოციუმიდან“, რომელმაც V სატელევიზიო არხზე მაუწყებლობის უფლება მიიღო, დამფუძნებლები გარბიან. მანქანათმშენებელი ქარხნების გენერალური დირექტორის კახა ბენდუქიძის შემდეგ, ცნობილი ოლიგარქებისა და ჟურნალისტების გაერთიანებიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა „ვიმპელკომის“ თავკაცმა დ. ზიმინმაც. მიზეზი ერთია — ფული. ოლიგარქები მიხვდნენ, რომ ჩადებული ფული მოგებას ვერ მოიტანს, ის კი არა, შესაძლოა წაგებულებიც კი დარჩნენ. ისინი იმანაც შეაშფოთა, რომ „მედია-სოციუმის“ ხელმძღვანელი ევ. პრიმაკოვი, რომელსაც საკუთარი კაპიკიც არ ჩაუდვია ტვ-6-ის პროექტში, თავს ვალდებულად არ თვლის, მათ ანგარიში გაუწიოს. მისი ეს პოზიცია კიდევ უფრო ზრდის ოლიგარქების ფინანსურ რისკს.

ამბობენ, ბატონ ბენდუქიძეს უნდოდა ერთ-ერთი დარჩენილი კოლეგისთვის გადაეცა თავისი აქციები, მაგრამ ამის ნება არ დართესო. „მედია-სოციუმის“ მესვეურებს შეეშინდათ, ერთი კაცის ხელში არ მოხვედრილიყო აქციათა უმეტესობა.

დამფუძნებლებს ეეჭვებათ, რომ საქმიდან გასულ ოლიგარქებს ახლები შეცვლიან. რაც მოხდა, მას შემდეგ ვინ გარისკავს კაპიტალის ჩადებას! არც იმის გარანტია არსებობს, რომ ჩაფიქრებული პროექტი განხორციელდება ან ტვ-6 არ იქცევა კიდევ ერთ სახელმწიფო არხად. სიტუაციის მძევლად რჩება ა. ჩუბაისი — მან დაითანხმა ოლიგარქები „მედია-სოციუმში“ შესვლაზე. იმასაც ამბობენ, პრიმაკოვის მეგობარი — ყოფილი საბჭოთა პოლიტკომენტატორი ტ. კოსელნიჩენკო ტვ-6-ის ახალ პროექტზე მუშაობსო.

არგუმენტი ი ფაქტი №17

ლონდონის სასამართლომ კისინჯერის დაპირისპირება აკრძალა

ყოფილი სახელმწიფო დეპარტამენტის თავკაცი და აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების დარგში (70-იან წლებში) ჰენრი კისინჯერი ევროპელი იურისტებისა და სამართალდამცავების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ბრიტანელი იურისტი პიტერ ტეტჩელი ირწმუნება, რომ სწორედ კისინჯერმა უბიძგა პრეზიდენტ ნიქსონს ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში სამხედრო დანაშაულის ჩადენისკენ. მაგრამ ლონდონის საპოლიციო სასამართლომ ტეტჩელს უარი უთხრა აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის დაპატიმრების ორდერზე იმ მოტივით, რომ ამას სჭირდება დიდი ბრიტანეთის გენპროკურატურის თანხმობა. ტეტჩელის გარდა, სხვებსაც სურთ კისინჯერის ციხის კედლებში ხილვა. რამდენიმე წლის წინ ესპანელმა მოსამართლემ ბალთაზარ გარსონმაც სთხოვა ინტერპოლს კისინჯერის დაკითხვის უფლება 1970-1980 წლებში ჩატარებული ოპერაცია „კონდორთან“ დაკავშირებით. ეს ოპერაცია არგენტინის, ბოლივიის, ბრაზილიის, ჩილეს, პარაგვაისა და ურუგვაის მთავრობებმა განახორციელეს მმართველი ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად.

იზვესტია №72

ევროპელი ობოლი

ბევრი ქვეყანა ზარ-ზეიმით აცხადებს, — ანტიტერორისტულ კამპანიაში ჩავებიო. თურქეთი კი ამას უჩუმრის პირით აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ნატოს წევრია და დასავლურ სამყაროს მიეკუთვნება, სერიოზული პრობლემები აქვს ევროგაერთიანებასთან. ანკარა კითხვის წინაშე დგას: ვინ არის თურქეთის ნამდვილი მეგობარი და სად ძევს მისი სტრატეგიული ინტერესები. ამბობენ, დაძაბული ურთიერთობა ევროგაერთიანებასა და თურქეთს შორის ამ უკანასკნელის სამხედრო მაღალჩინოსანთა გამონათქვამებშიც ჩანსო. „თურქეთს არასდროს არანაირი დახმარება არ მიუღია ევროგაერთიანებისაგან და არც ესმის ჩვენი. თურქეთს ახალი მოკავშირეები სჭირდება, შესაძლოა ასეთად რუსეთი და ირანიც კი მივიჩნიოთ,“ — აცხადებს თურქეთის არმიის გენერალი მაიორი ტუნკერ კილინკი. ის გახლავთ მას ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი. ეს სამხედრო-სამოქალაქო ორგანო ქვეყნის ფაქტობრივი უმაღლესი ხელისუფლებაა. ისტორიულად კი საითკენაც არმია და უშიშროების საბჭო მიდის, ქვეყანაც იმ მიმართულებას ირჩევს. მას შემდეგ, რაც მუსტაფა ათათურქმა თურქეთი რესპუბლიკური გზით წაიყვანა და მის განახლებას დაუდო სათავე, თურქები იმ სასიამოვნო შეგრძნების ზეგავლენით ცხოვრობდნენ, რომ ადრე თუ გვიან, ევროპის განუყოფელ ნაწილად იქცეოდნენ. თურქეთის მოსახლეობის უმეტესობა მიიჩნევს, რომ უმჯობესია ქვეყანა ევროპას შეუერთდეს, თუმცა არ სურს ევროპული წესების დიქტატით ცხოვრება.

დღევანდელი თურქეთის მთავრობა სერიოზულად განიხილავს იმ პრობლემებს, რომლის დაძლევათა აუცილებლობასაც ითხოვს ბრიუსელი, რათა ეს ქვეყანა ევროგაერთიანების სრულუფლებიან წევრად მიიღოს. პირველ რიგში ეს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს ეხება. გასულ თვეში ევროგაერთიანებამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს თურქეთში მცხოვრებ 12 მილიონ ქურთს, რომლებიც საკუთარი რადიოს გახსნას და ყოველდღიურ რამდენიმესაათიან მაუწყებლობას მოითხოვენ. მათ აგრეთვე სურთ, სახელმწიფო სკოლებში ქურთული ენა ისწავლებოდეს. ევროგაერთიანების განცხადებას თურქმა ნაციონალისტებმა მძაფრი პროტესტი გამოუცხადეს და ეს ქურთული სეპარატიზმის მხარდაჭერად და ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევად მიიჩნიეს.

შესაძლოა დღეს თურქეთი უფრო დასავლეთისკენ იყურებოდეს, მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებითაც აქვს.

ევროგაერთიანებაში თურქეთის შესვლას ხელს უშლიან დემოგრაფიული მიზეზით, რადგან ექსპერტთა გაანგარიშებით, ქვეყნის მოსახლეობა 15 წელიწადში რაოდენობრივად გერმანიის მოსახლეობას გადააჭარბებს და ევროპული კანონების თანახმად, ევროპარლამენტსა და ევროსტრუქტურათა სხვადასხვა დაწესებულებაში ადგილთა უმეტესობის მფლობელი გახდება. თუკი თურქეთის ევროგაერთიანებაში შესვლა პრობლემად იქცა, იგი შეძლებს ახალი ორიენტირებისა და მოკავშირეების პოვნას.

ნიუზუიქი

ჰოლანდიის მთავრობა — გენოციდის მსხვერპლი

წელს ევროპელები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წარსულის ცოდვების აღიარებაში. ბელგიამ ბოდიში მოიხადა პატრის ლუმუმბას მკვლელობაში მონაწილეობისთვის, ფრანგებმა კი ალჟირში ჩადენილი სამხედრო დანაშაული აღიარეს, მაგრამ იმას, რაც ჰოლანდიაში მოხდა, პრეცედენტი არა აქვს. მთავრობამ არა მარტო მოინანია ჩადენილი საქციელი, არამედ გადადგა კიდეც. ამის მიზეზი წარსულში კი არა, ახლახან მომხდარი მოვლენებია. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვიმ კოკმა და მისმა მინისტრებმა თავის თავზე აიღეს ბოსნიის ქალაქ სრებრენიცაში 8 ათასი მცხოვრების დაღუპვის პასუხისმგებლობა. ჰააგის მიერ ბოსნიაში გაეროს ხაზით გაგზავნილ ჯარისკაცებს არავინ მოუკლავთ, ოღონდ არც არაფერი იღონეს, როცა ბოსნიელ სერბთა არმიამ გენერალ მლადიჩის მეთაურობით „საპასუხო დარტყმა მიაყენა ტერორისტებს“ — დაიხოცა სრებრენიცას 8 ათასი მცხოვრები. ჰოლანდიელმა ჯარისკაცებმა ვერაფერი იღონეს, რადგან არც ძალისმიერი მოქმედების უფლება ჰქონდათ, არც ინსტრუქცია და არც შესაბამისი შეიარაღება. უბრალოდ, იდგნენ იქ, სადაც ეს უბედურება დატრიალდა. ახლა კი სახელმწიფო აგებს მომხდარზე პასუხს — ქვეყნის ხელმძღვანელობა დამნაშავეა იმაში, რომ სრებრენიცას გარშემო „უსაფრთხოების ზონის“ დასაცავად მოუმზადებელი ჯარისკაცები გაგზავნა.

იმ საბედისწერო დღეს ჰოლანდიელი ჯარისკაცების ნაცვლად, ზონაში უკრაინელი მშვიდობისმყოფელები უნდა ყოფილიყვნენ. შენაცვლებაზე შეთანხმებული იყვნენ ჰააგა და კიევი, რასაც გაეროს რეზოლუციაც ედო, მაგრამ საორგანიზაციო მიზეზით ეს არ მოხდა. ალბათ ვერც უკრაინელი ცისფერჩაფხუტიანები გააკეთებდნენ რამეს. ასე რომ, დღეს ჰოლანდიის მთავრობის ნაცვლად შეიძლება უკრაინის ხელმძღვანელობას დასჭირვებოდა გადადგომა.

ჰოლანდიის მთავრობის კეთილშობილური საქციელი დიდად განსხვავდება სრებრენიცას ტრაგედიის მიმართ საფრანგეთის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებისაგან. ჰოლანდიელ მშვიდობისმყოფელებს ფრანგი გენერალი ბერნარ ჟანვიე ედგათ სათავეში. საფრანგეთის საპარლამენტო მისიის მოხსენებაში ნათქვამია: „ამ ტრაგედიის გამო პარიზმა ჰააგასთან ერთად უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა“. თუმცა ეს ასე არ მოხდა.

ლიბერასიონი

„კოზა ნოსტრა“ იშლება?

მას მერე, რაც 17 აპრილს ციხეში ამოაყოფინეს თავი მაფიის მამის ბერნარდო პროვენცანოს მარჯვენა ხელს ანტონიო ჟიუფრეს, სიცილიის მთავარმა პროკურორმა პიერ-ლუიჯი ვინიამ სენსაციური წერილი მიიღო „კოზა ნოსტრას“ ბოსებისაგან. წერილის ავტორთა გვარებს არ ასახელებენ, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ჟიუფრეს გარდა, ამჟამად ციხეში სხედან ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორიცაა ტოტო რიინა, ჯოვანი ბრუსკა, ლეოლუკა ბაგარელა. ისინი სხვადასხვა დროს დააპატიმრეს გახმაურებულ მკვლელობებში, მათ შორის მოსამართლე ჯოვანი ფალკონესა და პალერმოს მთავარი პროკურორის პაოლო ბორსელინოს მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობისათვის.

პატიმართა წერილში ნათქვამი იყო, რომ „კოზა ნოსტრა“ დაიშლება, თუ მისი თავკაცების მიმართ გამოტანილ განაჩენს გადახედავენ. არავინ იცის, რა იმალება კრიმინალთა ამ საჯარო განცხადების უკან. „კოზა ნოსტრას“ დასუსტების შემდეგ კრიმინალურ სცენაზე ახალი მძლავრი მაფიოზური ორგანიზაციები გამოჩნდნენ, როგორებიცაა, „საკრა კორონა უნიტა“ და „სტიდლე“. ასე რომ, დაპატიმრებულ ბოსებს მაშინვე უჩნდებათ შემცვლელები, რომლებსაც ნაკლებად ადარდებთ წინამორბედთა ბედი.

იტოგი №16

მოკლედ

ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ვაშინგტონის სამი აეროპორტის 104 თანამშრომელი დააპატიმრა. 3 მათგანს კარგა ხანია ეძებენ, 26-მა პატიმრობა მოიხადა ნარკოტიკებსა და იარაღთან დაკავშირებით, დანარჩენებს ყალბი საბუთები ჰქონდათ და ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებოდნენ. დაკავებულებს ელით 10-წლიანი პატიმრობა, 250 ათასი დოლარი ჯარიმა და აშშ-დან დეპორტაცია.

ვენესუელის მთებში კატასტროფა განიცადა შვეულმფრენმა, რომელშიც იმყოფებოდა ქვეყნის საჰაერო-სამხედრო ძალების ახალდანიშნული სარდალი ლუის ასეევედო. პრეზიდენტ ჩავესის მხარდამჭერი გენერლის დაღუპვამ შეიძლება შეიარაღებულ ძალებში მორიგი დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

საუდის არაბეთის პრინცი აბდალა აშშ-ის პრეზიდენტს ტეხასის რანჩოში შეხვდა. საუბარი, ძირითადად, შეეხო ახლო აღმოსავლეთის მოვლენებსა და ნავთობის ექსპორტიორთა პოლიტიკას. მოლაპარაკების შემდეგ ამერიკის ლიდერმა განაცხადა, რომ აშშ საერთაშორისო შუაკაცებისა და თავად კონფლიქტის მონაწილეთა გარეშე ვერ მიაღწევს მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში.

ნორვეგიაში გაიმართა პალესტინისთვის ეკონომიკური დახმარების გამწევი ქვეყნების დროებითი საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა, რომელზეც გადაწყდა, რომ ავტონომიას 1 მლრდ 200 მლნ დოლარით დაეხმარებიან დანგრეული ინფრასტრუქტურის აღსადგენად.

ამერიკელები სიმბოლოებს კარგავენ

ამერიკელები აღშფოთებულნი არიან — თავი შეირცხვინეს იმ ლეგენდარულმა ფირმებმა, რომლებიც, შეიძლება ითქვას, მათი ცხოვრების წესის თავისებური სიმბოლოები იყვნენ. სააუდიტო ფირმა Arthur Andersen-ის მენეჯერმა დევიდ დუნკანმა აღიარა, — დამნაშავე ვარ, უკანონოდ გავანადგურე გაკოტრებულ ენერგეტიკულ გიგანტ Enron-თან დაკავშირებული საბუთებიო. რა თქმა უნდა, ყველამ ისედაც კარგად იცოდა, რომ Arthur Andersen-ი ხელს აფარებდა Enron-ის მაქინაციებს. და მაინც, ფირმის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომლის აღიარებამ გააოგნა ამერიკა. კიდევ უფრო სკანდალური აღმოჩნდა მეორე ამბავი. Arthur Andersen-ის ხვედრი გაიზიარა უოლსტრიტზე ასევე პატივცემულმა ფირმა Merill Lynch-მა. მის თანამშრომლებს კლიენტების მოტყუებაში ადანაშაულებენ — ისინი მათ ინვესტიციების ჩასადებად არამომგებიან კომპანიებს სთავაზობდნენ. სკანდალი შეიძლება ისე აზვირთდეს, რომ Merill Lynch-მა სახელგატეხილ სააუდიტო კომპანიათა ნუსხაში ამოჰყოს თავი. დაბოლოს, მესამე მოვლენა — ნაკლებმასშტაბური, მაგრამ ძალზე სიმბოლური: Lewi Strauss-ის სახელგანთქმულმა ფირმამ, რომელმაც მსოფლიოს გააცნო ჯინსები, გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხურავს თავის საწარმოებს, მათ შორის თვით ფირმის დამაარსებლის მიერ გახსნილ ჯინსების პირველ საწარმოსაც. ამიერიდან ამერიკულ ჯინსებს განვითარებად ქვეყნებში გამოუშვებენ, კომპანია კი მხოლოდ გაყიდის მათ.

ნოვიე იზვესტია №73

აღმოსავლეთ ტიმორს ყოფილი ტერორისტი უხელმძღვანელებს

მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოს საპრეზიდენტო არჩევნებს შედეგად ის მოჰყვა, რომ ტერორისტთა რიცხვი ერთით შემცირდა. ტერორისტული ორგანიზაცია „ფრეტილინის“ ყოფილმა ლიდერმა ჟოზე ქსანანა გუსმანმა არჩევნებში გაიმარჯვა. 20 მაისს, როცა ოფიციალურად გამოცხადდება აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობა, იგი ქვეყნის პრეზიდენტის სავარძელს დაიკავებს. ძნელი სათქმელია, რა მოხდება აღმოსავლეთ ტიმორში, რომელსაც აქამდე მართავდნენ ჰოლანდია, პორტუგალია, ინდონეზია და გაერო. სტაბილურობას კი მსოფლიოდან მოკრებილი სამხედროები და პოლიცია იცავდნენ. მაისის დამლევს ისინი ტიმორს დატოვებენ და ალბათ ისევ დაიწყება სისხლიანი შეტაკებები ჟოზე გუსმანსა და პრემიერ-მინისტრის პოსტზე პრეტენზიის მქონე მარი ალიკატირს შორის. ოდესღაც ისინი ერთად ქმნიდნენ ტერორისტულ ორგანიზაცია „ფრეტილინს“, მაგრამ მერე იჩხუბეს და მხოლოდ უცხოელი დამპყრობლების მიმართ სიძულვილი აერთიანებდათ. ის, რომ ერთმანეთს სისხლის ზღვაში ჩაახრჩობენ, არავის ეეჭვება — ასე უკვე არაერთხელ მომხდარა იმ ქვეყანაში, სადაც ტერორისტები ხელისუფლების სათავეში მოდიან.

ვლასტი №15-16

ფრანგებმა არ იციან, ვინ აირჩიონ პრეზიდენტად

საფრანგეთს თითქმის აუხდა საშინელი სიზმარი, რომლის დაჯერებაც კარგა ხანს არ უნდოდა. ეს დაიწყო 1974 წელს, როცა ულტრანაციონალისტმა ჟან-მარი ლე პენმა პრეტენზიები გამოაცხადა ელისეს სასახლეზე. მაშინ ხმების

მხოლოდ 0,7% მოაგროვა, მაგრამ ფრანგებს აინუნშიც არ ჩაუგდიათ ფაშიზმის მოსალოდნელი საფრთხე. 1995 წელს ლე პენის მიერ მოპოვებულმა ხმების 15,1%-მა უკვე შეაშფოთა საფრანგეთი. ამჟამინდელ არჩევნებში იგი პრეზიდენტის სასახლის ზღურბლზე აღმოჩნდა ხმების 17,3%-ით. 73 წლის ჟან-მარი ლე პენმა შესაძლოა ახლანდელ პრეზიდენტს ჟაკ შირაკს სავარძელი დაატოვებინოს. შირაკს მეორე ტურში ფრანგების 19,67%-მა მისცა ხმა.

რით მოხიბლა ლე პენმა ამომრჩევლები ისე, რომ არად ჩააგდეს „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“ და ხმა მისცეს ადამიანს, რომლის ლოზუნგია „საფრანგეთი ფრანგებისათვის“? ლე პენს არასოდეს დაუმალავს, რომ იმიგრანტების წინააღმდეგია, რადგან ისინი „ერს ასუსტებენ“ და სოციალური საჭიროებისათვის გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი მიაქვთ.

პარი მატჩი

ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.

მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.

ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...

ჭია-ჭია, მაპოვნინე...

სამწუხაროდ, ქართველები საქმესთან დამოკიდებულებაში შვილებს არასწორად ვზრდით. თუ ფული გვაქვს, ყველა სურვილს უსიტყვოდ ვუსრულებთ, ფიზიკური დატვირთვისათვის გვეცოდება და შრომას თავიდან ვაცილებთ... სამაგიეროდ, საზოგადოება იღებს უსუსურ, უუნარო ადამიანებს, რომლებსაც მამებისგან დატოვებული ქონების მოხმარებაც არ შეუძლიათ, ანიავებენ, წარსულს მისტირიან და ბედს იწყევლიან...

რა შუაშია აქ ბედი? — აქ გამოუწრთობი, უნიათო გონებაა დამნაშავე: ჩემმა ერთმა ნაცნობმა, რაც მშობლებმა დაუტოვეს, ყველაფერი იმ განზრახვით გაყიდა, რომ ცოლ-შვილიანად უცხოეთში წასულიყო (აქ ისე გაუჭირდა, პურსაც ვერ ყიდულობდა). ამ საქმის მოგვარებას ახალგაცნობილი კაცი შეჰპირდა. გულიანად დააიმედა: ესპანეთში წაგიყვან, გამუშავებ და პატარა ვილასაც გაყიდვინებო. გაიხარა ჩემმა გმირმა და 4-ოთახიანი ბინა ვაკეში, აგარაკი და მანქანა სისწრაფეში ფაქტობრივად, კი არ გაყიდა, გააჩუქა. ფულის უმეტესი ნაწილი ახალგაცნობილს ჩაუთვალა, დარჩენილით კი ბარაკის სტილის ოთახები შეიძინა დიდუბეში, დაჯდა და დაუწყო ლოდინი გამგზავრებას... რასაკვირველია, „კეთილისმსურველი“ არ გამოჩნდა. მასთან ერთად ფულიც დაიკარგა. ფულთან ერთად — ადამიანური ცხოვრების პირობები...

დაიძაბა მდგომარეობა ოჯახში, შინ ველარ ჩერდებოდა, გამოდიოდა და უსაქმურად იდგა მტკვრის სანაპიროზე. იდგა და უყურებდა, როგორ თევზაობდნენ. თანდათან დაუახლოვდა მეთევზეებს. ესაუბრებოდა, გულს აყოლებდა. გაიგო, რომ უმეტესობას გულისა და ნერვული დაავადებების გამო დაეწყო თევზაობა. სტრესი არც თვითონ აკლდა, დროც ბევრი ჰქონდა და გადაწყვიტა მათ შეერთებოდა. გადაწყვიტა და, პრობლემის წინაშეც დადგა — ანკესი კი იშოვა, მაგრამ უბრალო ჭიებს ვერ შოულობდა. ამაზე ადრე არასოდეს უფიქრია — ჭია ისევე საჭიროა მეთევზისთვის, როგორც მონადირისთვის საფანტი... და... ჭიამ აპოვნინა საქმე... მიხვდა, რომ ამ უწყინარ სულიერს შეეძლო მისთვის ფული ეშოვნინებინა. შეისწავლა ჭიის გამოყვანის ტექნოლოგია და საქმესაც შეუდგა: თავიდან მომცრო, თბილი ნაგებობა გამონახა და 20-22 გრადუსი ტემპერატურით გაათბო — ეს სითბო აუცილებელია ჭიის გასამრავლებლად. ამის შემდეგ ნახვრეტებიანი თუნუქის ყუთისა და საქონლის ტყავის შოვნას წინ რალა დაუდგებოდა... ორ დღეში ჭიებიც გამოიჩეკნენ. ჩაყარა სიმინდისლერლილიან ნასვრეტებიანი თავსახურით თავდაცულ ქილაში და მონადირის მაღაზიას ჩაბარა — 20-30გ 50 თეთრად...

ამის შემდეგ ამ საქმეს მისდევს. როცა ბევრი ჭია დაუგროვდება და დროებით მაღაზიაში ვერ აბარებს, ქილებს მაცივარში ინახავს. იქ მატლი იძინებს და 15-20 დღე ცოცხლობს. ამ გზით გამრავლების უწყვეტ პროცესს ინარჩუნებს...

...ესეც ბიზნესის ორიგინალური სახე... შესაძლოა არც ისე სასიამოვნო იყოს (თუმცა გააჩნია, ვინ როგორ მიიღებს), მაგრამ სამაგიეროდ, ამ რთულ დროში სხვისი ხელის შემყურე არ იქნება...

ნიკო გორგი

P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.

ახალი სახლები თანამედროვე დიზაინით და მჭახე ფერის ფასადებით მოსახლეობისთვის სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება

დღეს უძრავი ქონების ბაზარი არაერთ მსხვილ და მასშტაბურ ბიზნესს აერთიანებს. საცხოვრებელი თუ საოფისე ფართების, მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება, გაგირავება სერიოზულ მოგებას აძლევს არა მარტო საშუამავლო ბიზნესს, არამედ უძრავი ქონების მფლობელ კერძო პირებსა თუ ორგანიზაციებს. რამდენიმე წლის წინ ბაზარზე სამშენებლო კომპანიების გამოჩენამ რევოლუციური ცვლილებები მოახდინა. თანამედროვე არქიტექტურით აგებულმა შენობებმა, რომელთა ფასადებიც ხშირად მკვეთრი ფერებით გამოირჩევა, ძველი ბინების ფასი თითქმის გაანახევრა. ერთოთახიანი ბინა კი კვლავინდებურად ინარჩუნებს ე.წ. ლიკვიდური კაპიტალის სტატუსს — ყოველთვის დროულად და და იოლად იყიდება. ახალმშენებლობებმა უძრავი ქონების ბაზარზე სოლიდური კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა შექმნა. დღეს სახლები მხოლოდ ქალაქის პრესტიჟულ რაიონებში ვერა-ვაკე-საბურთალოზე შენდება. ეს სამშენებლო კომპანიებისთვის უფრო ხელსაყრელია, რადგან ქალაქის ცენტრსა და პერიფერიებში სახლის აშენება ერთი და იგივე თანხა ჯდება, მაგრამ პრესტიჟულ უბანში ბინა გაუყიდავი არ დარჩება და კომპანიას მოგებასაც მოუტანს. უძრავი ქონების სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ახალ ბინებზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება და იგი საერთო მოთხოვნის თითქმის 70%-ს შეადგენს. მათივე მტკიცებით, საგრძნობლად გაიაფდა ე.წ. კარკასში 1კვმ-ის ფასი. მისი საშუალო ღირებულება 200-300 ამერიკული დოლარია.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს საქართველოში სულ 453 სამშენებლო კომპანია აქვს დაფიქსირებული. როგორც ირკვევა, აქედან თბილისში საქმიანობს — 204. მასში შედის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორიც. მარტო ამ მონაცემის მიხედვით აშკარაა, რომ სამშენებლო კომპანიებს შორის კონკურენცია საკმაოდ მაღალია. ბაზარზე მათი ბიზნესის წარმატებას დიდწილად განსაზღვრავს იმიჯი. იმის გამო, რომ მშენებლებს საკუთარი სახსრები არ აქვთ, ისინი ასაშენებელ სახლებს აშენებამდე ყიდიან. მყიდველი თანხას წინასწარ, ბინის დასრულებამდე, ნაწილ-ნაწილ იხდის. პირველადი შენატანი მთლიანი თანხის 30%-ია. ამგვარი გარიგება მყიდველისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე კომპანიისთვის. თბილისში დღემდე აშენებული ბინების თითქმის 70% სწორედ „წინასწარ გადახდის“ პრინციპით არის აშენებული.

რაც შეეხება კომერციულ ბანკებთან ურთიერთობას, როგორც ირკვევა, სამშენებლო კომპანიები ბანკებს თითქმის არ მიმართავენ. სესხის სარგებლობისთვის წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 20-26%-ს შორის მერყეობს, მშენებლებისთვის სრულიად მიუღებელია. კომერციული ბანკები კარგა ხანია დაინტერესდნენ უძრავი ქონების ბაზრით და ეს ინტერესი ბინის მყიდველთა სასარგებლოდ მუშაობს. მსოფლიოში უკვე აპრობირებულია იპოთეკური სესხები, რომელსაც ბინებისა და აგარაკების შენებაში, რემონტსა თუ მშენებლობაში „ღირსეული“ წვლილის შეტანა შეუძლია. დღეს იპოთეკურ სესხებს რამდენიმე ბანკი გასცემს. გაიცემა 1000-დან 25 ათას დოლარამდე სესხები. მისი დაფარვის ყველაზე ხანგრძლივი ვადა — 5 წელია. წლიური საპროცენტო განაკვეთი კი — 18-25%-ია. პროცენტი იანგარიშება შემცირებადი წესით ანუ ის იკლებს ძირითადი თანხის შემცირებასთან ერთად. პროცენტი განისაზღვრება ასევე ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ოჯახის წევრთა შემოსავალი, მუშაობის სტაჟი, სესხის უზრუნველყოფის ლიკვიდურობა. ბანკები სესხის გაცემისას საკმაოდ ფრთხილობენ. თანხის მიღების მტკიცე წინაპირობაა სტაბილური, დოკუმენტურად დადასტურებული ფიქსირებული შემოსავალი. იგი თვეში 400 დოლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. ასევე სესხის მფლობელი შეიძლება გახდეს ის პირი, ვინც დივიდენდებს იღებს ან შემოსავლები აქვს საიჯარო გადასახადის სახით. იპოთეკური სესხი შესაძენი საცხოვრებელი ფართის ღირებულების მხოლოდ 70%-ის დაფარვას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია მყიდველმა თვითონ დაფაროს სახლის საფასურის 50%-ზე მეტიც. ბანკები, როგორც წესი, ამგვარი ოპერაციების გარანტიად პირველ რიგში იღებენ იმ ბინას, რომლისთვისაც გასცემენ კრედიტს. აგრეთვე შესაძლებელია, ბანკმა დამატებით კიდევ მოითხოვოს ე.წ. ალტერნატიული ობიექტი, რაც საგრძნობლად ამცირებს ბანკების რისკს იმ შემთხვევაში, თუ სასესხო ვალდებულება არ შესრულდება. ასე რომ, თუკი აქამდე კომერციული ბანკებისთვის უძრავი ქონების ბაზარი მათ მიერ გაცემული სესხების ერთგვარი გარანტი იყო, დღეს ისინი აქ უკვე საკუთარ ბიზნესს მისდევენ. მარტივი გაანგარიშებით, იპოთეკური სესხით შესაძლებელია საშუალოდ 20-ათასდოლარიანი ბინის შეძენა, როცა 1კვმ-ის ფასი 200-300 დოლარია და საერთო ფართი საშუალოდ 150კვმ-ია. შემთხვევითი არ არის, რომ სამშენებლო კომპანიებმაც თვალი სწორედ ასეთი ფასის ბინების მშენებლობას მიაპყრეს. ელიტარული ბინების პოტენციურ მყიდველს კი სურს ისეთი სახლი, რომელსაც არა მარტო ავტოფარეხი და კეთილმოწყობილი ეზო ექნება, არამედ დაცვის სისტემაც, საცურაო აუზიც, გათბობის სისტემაც და ა.შ. რაც მთავარია, ელიტარული სახლი ერთსადარბაზოიანი და სულ ბევრი, ხუთსართულიანია. ასეთი ბინები საკმაოდ ძვირი ღირს. 1 კვმ 700 დოლარიც კი ჯდება. სხვათა შორის, დაახლოებით ამდენივე ჯდებოდა „ახალი ბინა“ მაშინაც, როცა ბინათმშენებლობა ახალი დაწყებული იყო. სწორედ ამიტომ მასზე ცოტას თუ მიუწვდებოდა ხელი. დღეს მყიდველთა წრე საკმაოდ გაიზარდა. უძრავი ქონების სააგენტოების ინფორმაციებზე დაყრდნობით, მოქალაქეთა თითქმის 40% ბინას ყიდულობს გასაქირავებლად. ეს ერთგვარ „ახალ“ ბიზნესად იქცა. პრესტიჟულ რაიონში, პრესტიჟულ სახლში გარემონტებული სამოთახიანი ბინის დაქირავება საშუალოდ 800 დოლარი ღირს. ასეთი ბინები ძირითადად უცხოელებზე არის ნაანგარიშევი. როგორც ირკვევა, დღეს თბილისში ამგვარ ბიზნესით დაკავებულ ადამიანთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ ბაზარი ე.წ. ევრორემონტიანი ბინებით, ფაქტობრივად გაჯერებულია.

რაც შეეხება საშუამავლო ბიზნესს, დღეს იგი გასცდა ბაღებსა და სკვერებს და მან კომფორტულ ოფისებში გადაინაცვლა. დღეს სოლიდური სააგენტოების სერვისი 3-6%-მდე მერყეობს. ბევრი სააგენტოსთვის ყველაზე მომგებიან საქმიანობად სამშენებლო კომპანიებთან ექსკლუზიური ხელშეკრულებების გაფორმება იქცა. როგორც თავად კომპანიები აღნიშნავენ, დიდი ფუფუნებაა სერიოზულ საშუამავლო ფირმასთან ურთიერთობა, რომელიც ბინის სწრაფად და სარფიან გაყიდვას უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ მშენებლებისა და ბროკერების ინტერესები დღეს უფრო და უფრო უახლოვდება ერთმანეთს. საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე უცხოური კაპიტალი კი ჯერჯერობით არ ჩანს. როგორც სამშენებლო კომპანიები აცხადებენ, ინვესტიციების მოზიდვა არა მარტო მათ ბიზნესს წაადგება, არამედ მოსახლეობასაც, რადგან აიწევს ხარისხი, სულ უფრო მეტი სახლი აშენდება, რაც ბუნებრივია, გააიაფებს ბინას და იგი ბევრისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

ლელა წითლანაძე

მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

წილის დათმობა ან გასხვისება შესაძლებელია

— 1997 წელს შეიქმნა შპს, რომელსაც ჰყავს 40 დამფუძნებელი. ვარ საწესდებო კაპიტალის 2%-ის მფლობელი. მაქვს თუ არა წილის დათმობის ან სხვა პირზე გასხვისების უფლება?

მკითხველი

— თქვენი უფლება-მოვალეობები უნდა იყოს განსაზღვრული საზოგადოების წესდებით. თუ წესდებაში მითითებულია, რომ თქვენი წილის გასხვისებისათვის საჭიროა მაგალითად: საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება — შეგიძლიათ გაასხვისოთ წილი მხოლოდ პარტნიორთა თანხმობით. ხოლო თუ ასეთი ან სხვაგვარი წინაპირობა წესდებაში მითითებული არ არის, მაშინ საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 46-ე მუხლის თანახმად, პარტნიორს შეუძლია საკუთარი წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა. წილის დათმობა ხდება სანოტარო წესით ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებით, ხოლო წილის ნაწილობრივი გასხვისებისათვის საჭიროა აღნიშნულთან ერთად საზოგადოების ნებართვა.

მედეა დემეტრაშვილი იურიდიული ფირმის დირექტორი

სტრესული პროფესიები

— არსებობს თუ არა რაიმე კრიტერიუმი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს პროფესიიდან გამომდინარე თითოეული ჩვენგანის დეპრესიულობა?

პედაგოგთა ჯგუფი

— სხვადასხვა ქვეყნის სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რომლის უმთავრესი მიზანი იყო სტრესულ პროფესიათა გამოვლენა. ვინაიდან საქართველოში ასეთი სტატისტიკა არ არსებობს, დავკმაყოფილდეთ სხვა ქვეყნების რეიტინგით. კერძოდ — ინგლისელმა მეცნიერებმა პირველ ადგილზე მეშახტის პროფესია დააყენეს; მეორეა ჟურნალისტის, შემდეგ კი მოდიან მსახიობები, პოლიტიკოსები, ექიმები, მძღოლები და დიპლომატები.

სრულიად საპირისპირო მტკიცებულება გააჩნიათ კანადელ ფსიქოლოგებს. ისინი თვლიან, რომ ყველაზე ძლიერ პროფესიულ სტრესს მუსიკოსები ღებულობენ. ამ გამოკითხვათა უმთავრესი კრიტერიუმი გახლდათ: ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ალკოჰოლისადმი მიდრეკილება, განქორწინების პროცენტული მაჩვენებელი და ავტოსატრანსპორტო შემთხვევები. რაც შეეხება პედაგოგის პროფესიას, იგი უცხოელ ფსიქოლოგთა აზრით, ნაკლებსტრესულია...

შოკოლადი — „ღმერთების საკვები“

— გთხოვთ მოგვითხროთ, თუ საიდან მიიღო შოკოლადის ხემ კაკაოს სახელწოდება?

ნანა სიგუა, თბილისი

— კაკაოს სახელწოდება შოკოლადის ხემ შვედი ბიოლოგ-სისტემატიკოსის კარლ ლინეუსის „ნათლობით“ მიიღო. ლათინურად ეს სიტყვა „ღმერთების საკვებს“ ნიშნავს. კაკაო ველური სახით მექსიკის სანაპიროზე, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკაში და აზიის ზოგიერთ კუნძულზე იზრდება. შოკოლადის ხე ყინვისა და გვალვის მიმართ ძალზე მგრძნობიარეა. ამიტომ მისი ნორმალური ზრდისთვის საჭიროა ნოტიო და თბილი კლიმატი, ანუ ფხვიერი, ნოყიერი ნიადაგი, რომლის ტემპერატურა 20-28 გრადუს ცელსიუსზე ნაკლები არ უნდა იყოს. ველური კაკაოს ხე 12 მეტრის სიმაღლეზე იზრდება, ხოლო კულტივირებულ პლანტაციაში გასხვლის შედეგად 5-7 მეტრამდე დაჰყავთ. ეს მცენარე ნაყოფს მე-8 წელიწადს იძლევა. ისხამს წელიწადში ორჯერ, 30-80 წლის მანძილზე.

მკითხველთა შეკითხვების მიხედვით პასუხები მოიძია *რუსუდან ჟორჟოლიანმა*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 27 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,2350
ევრო	2,0050
ინგლ. ფუნტი	3,2497
რუსული რუბლი	0,0716
თურქული ლირა (1.000.000)	1,6422

„ტრანსცენტრი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37 (საღამოს); 899-51-51-09; 899-902-091

შპს „ბეოკერი“

აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
ისნის სასახლის უკანა, ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი
აცხადებს მსმენელთა მიღებას
მოსამზადებელ კურსებზე 2002/2003
სასწავლო წლის მისაღები
გამოცდებისათვის
სწავლის ხანგრძლივობა სამი თვე. სწავლა ფასიანია. კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ფასიან ჯგუფებში.
საბუთების მიღება 15 აპრილიდან, შაბათ-კვირის გარდა 11-16 სთ-მდე. მის: მ. კოსტავას ქ. 77, VI კორპ. I სართ. ოთ. 106. ტ: 36-69-15; 899-58-85-37

ბეჭდები, შტამპები,
ფლექსოგრაფიული
ფორმა, სავიზიტო
ბარათები,
წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესახვევი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17



თარაზულად:



ორგანიზმში სიამოვნების ჰორმონის გამომყოფი საკონდიტრო ნაწარმი

პროდუქტი ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში

ხერხემლიან ცხოველთა კლასი, რომლის წარმომადგენლებსაც გამომუშავებული აქვთ წყალში და ხმელეთზე არსებობის უნარი



არქიტექტურული სტილი, რომლითაც ნაშენებია დრეზდენის ცვინგერი

ფრანგი ფიზიკოსი და მათემატიკოსი, რომლის სახელსაც ატარებს დენის ძალის ერთეული



ყვავილი ან პატარა თაიგული, რომელსაც გულზე იბნევენ



ფართის ერთეულზე მოქმედი ძალა

ბედისწერის დაფა

ქანდაკების ტიპი

თხრობითი ჟანრი

ნახევრად ლეგალური ტერორისტული ორგანიზაცია

მოძრაობა

26

ტიპობრივი ნიმუში, რასაც ზომის, ფორმის, ხარისხის და მისთ. მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს რაიმე ნაწარმი

მდინარე დასავლეთ საქართველოში

32


ნაზი გრძნობების გამოხატვა

წამლის სასაქონლო ფორმა

34

სუსტი ქუსლის მითოლოგიური პატრონი

35

ავტომობილის ძრავის ასამუშავებელი მოწყობილობა

შვეულად:

ევროპის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფო

სამოთხის ბაღი

მომცრო მგალობელი

ხეხილი ვარდისებრთა ოჯახისა

სადურგლო იარაღი

7

პირენეის ნ.-კ-ისა და დღევანდელი სამხრ.-დას. საფრანგეთის უძველესი მოსახლეობის ენები

პურეული მცენარე

კაცთმოყვარე



მცენარის ან ცხოველის ორგანიზმის ნაწილი, მომზადებული გამოკვლევისათვის

სახელმწიფო ევროპაში



„2001 წლის კოსმოსური ოდისეა", „მექანიკური ფორთოხალი", „ფართოდ დახუჭული თვალები" (რეჟისორი)

დელიკატესი



მაჰმადიანთა საშუალო სასულიერო სასწავლებელი

სამხედრო გემი

27

ნებაყოფლობითი გაერთიანება რაიმე სამეურნეო საქმის შესასრულებლად



საკრავი

სამეჯლისო ცეკვა

ბოქლომი

კროსვორდი შეადგინა *რამაზ ალანიამ*

„კვირის პალიტრა" №16 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. საფირონი; 6. ფორსმანი; 9. პლანეტა; 10. ვენახი; 11. წიწილა; 15. დეტექტივი; 17. ვისკი; 18. ლაქია; 19. სპაგეტი; 20. კარიესი; 24. ზებრა; 25. გრაფი; 26. დისტანცია; 29. სკივრი; 32. ყიჟინი; 33. მოკრივე; 34. ანტრაქტი; 35. ინჟინერი.

შვეულად: 1. ჩიბუხი; 2. ანწლი; 3. კოლტი; 4. ემოცია; 5. სელექცია; 7. ინფლაცია; 8. ანარქია; 12. გეომეტრია; 13. ავსტრალია; 14. სკიპტრა; 16. მაისური; 21. მელაკუდა; 22. „მთავარი"; 23. მფრინავი; 27. ორდერი; 28. აივანი; 30. ტორტი; 31. ტვინი.

მილოცვა

ჩემო თათა!

შენმა მოვლენამ ამქვეყნად — დიდი სამყაროს ჩვენს პატარა ოჯახში, ცაზე ვარსკვლავივით გამოანათა. ეჭვიანობის და შურის გარეშე დაბადებამდე შეგიყვარე და მთელი ცხოვრება მეყვარები. შორიდან გილოცავ დაბადების დღეს, მიყვარხარ, გეფერები, მენატრები.

იმედია, დღეს ჩვენი ცხოვრების გაყრილი გზები, ერთ დღეს სამუდამოდ შეერთდება და ამ დიდი ცხოვრების გზაზე, ერთმანეთის იმედად, ერთად ვივლით. არასოდეს არ დაივიწყო, რომ ჩვენ იმ სულითა და სხეულით ულამაზესი არის შვილები ვართ, რომელთაც ვერავითარი ძალა ვერ დააცილებს. გვარს, ჯიშს, სისხლსა და გენს ვერ შეგვიცვლიან, რადგან სხვა მამა არასოდეს გვეყოლება და მის საფლავზე ყვავილებს მხოლოდ მისი შვილები მიიტანენ.

შენი ძმა დათო ჯვარშეიშვილი

იაშა ბიძია!



გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს და დაბადების დღეს. დაესწარით მრავალს, თქვენი ოჯახის წევრებთან ერთად.

ეს დღეს ჩვენთვის ყოველთვის დღესასწაულია.

შენი მალხაზის მეგობრები

გიორგი მჭედლიძეს!

გიო, გილოცავთ 9 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და კარგად სწავლას.

სოფიკო და მშობლები

ბინები

3-ოთახიანი, კარგად გარემონტებული ბინა (ს/ფ 120 კვმ), ბელეტაჟზე, გამსახურდიას გამზირზე, ავტოფარეხით; შესასვლელი — როგორც ეზოდან, ასევე გამზირიდან. ბინას ახლავს 50 კვმ ფართის საკონდიტრო-საცხობი (ყველა საჭირო დანადგარით), მაღაზიასთან ერთად. 38-89-71; 877 72-39-06

გამსახურდიას გამზირზე, 120 კვმ ფართის ბინა, ავტოფარეხით, კარგი რემონტით. გამოდგება როგორც საოფისედ, ასევე კომერციული საქმიანობისთვის. ბინის ქვეშ არის საკონდიტრო, ყველა საჭირო დანადგარით, რემონტით, ბ/არით, მაღაზიასთან ერთად. ტელ: 38-89-71; 877 72-39-06

იყიდება ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოტორაანთკარზე გადაბმული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული — ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი — დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

ქირავდება

ოთხნახევრიანი ბინა, მაღალ ბელეტაჟზე, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, ყველანაირი ავეჯით, წყლის გამაცხელებლით, ბ/არით, ტელეფონით, რკინის კარით, გისოსებით, პატარა აივნით. ფასი $130. ტელ: 23-23-70

1 და 3 ოთახიანი ბინები, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში — როგორც კერძო, საოჯახო სასტუმრო, რაიონიდან ჩამოსულებზე, უცხოელებზე და ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ფასი: 1 დღე-ღამე, 1 კაცი — $5, $10, $20 და $50 — ოთახების შერჩევით. ტელ: 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-85. სტუმრების მიღება ნებისმიერ დროს.

გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში — 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

ინტერნაციონალური სასწავლო სააგენტო გთავაზობთ დასაქმებასა და სწავლას AU-PAIR პროგრამით, პარიზში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში; აგრეთვე, სტუდენტურ და ტურისტულ ვიზებს. მის: წერეთლის გამზ. №95ა. (მანეჟი). ოთხშაბათს, 14-15 სთ.

გაიხსნა ახალი ოფისი, არის 5 ვაკანსია. გვჭირდება განათლებული, ენერგიული, ლამაზი, საღად მოაზროვნე, 17-50 წლამდე თანამშრომლები. გამომუშავება ძალიან მაღალია — 100-200 ლარი. მის: მ. „რუსთაველი", ბელინსკის ქ. №2, IV სართ, ოთახი №13. ტელ: 93-18-84. 899 50-68-25. ქალბატონი ელისო

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ემუშაობთ მსოფლიო-ში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400, აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1 სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაჭარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო! მოიშორეთ გარქოვანებული იდაყვების, დამსკდარი ფეხისგულების, დამსკდარი ხელების პრობლემა. დაუბრუნეთ თქვენს სხეულს ახალგაზრდული ხიბლი და შეხვდით ზაფხულს ამაღლებული იმიჯით. სალონი „ვიქტორია". მის: რუსთაველის გამზ. №44. ტელ: 893 34-78-25; 999-266

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი — პირველივე სეანსზე. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე). 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

სილამაზის სალონი „სტილი" — ეპილაცია ინდივიდუალური პლატინის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა — 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება — 4-5 ლარი; დეკორატიული მელირება — 15-20 ლარი. აგრეთვე, არსებობს კოსმეტიკისა და პარიკმახერის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. მის: ალმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 94-08-10. ვალერი

ვაკეთებთ რბილი ავეჯის რესტავრაციას (სამეულები, ტახტები, საწოლები, მატრასები, სკამები და ა.შ), შალითების გამოცვლა-განახლებას, გარანტიით. ტელ: 72-40-90. შოთა

„ცხრაკლიტული": საკეტების დამატება, გამოცვლა, გარემონტება; რკინის კარის სპეცგამაგრება; კარზე ტყავის გადაკვრა, დათბუნება; ხის კარის რკინებით გამაგრება, შიდა ხის კარების გასწორება-წესრიგში მოყვანა. ტელ: 53-34-69; 36-42-16; 899 56-39-69

სახლის სახურავები, მანსარდები, მოწყობა და გადახურვა თუნუქით, კრამიტით, შიფერით იაფად, გარანტიით, საჭირო მასალების ჩათვლით. ტელ: 95-05-56; 39-44-61; 899 58-98-51

მკურნალობა

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების. უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეში მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ალერგიული დერმატიტი — სრული განკურნებით. საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებით, ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. მის: რკინიგზის საავადმყოფო (ბაზრობასთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ)

„ლუიზოლი" — სავლები ლოსიონი „გამინგლეჯი" — სწრაფად მოგიხსნით ღრძილებიდან სისხლდენას, ჩირქს, გაღიზიანებას; გახდომა შიმშილობის გარეშე — უვნებელი, სტაბილური შედეგით; ცელულიტის დაშლა სიღრმით კრემითა და ლოსიონით. მის: იოსებიძის ქ. №53. ტელ: 37-38-13; ჭავჭავაძის გამზ. №20. ტელ: 29-19-73. კაბინეტი „ლუიზოლი", 10-19 სთ

ნინო სისაური აწარმოებს ბავშვთა უფასო დიაგნოსტიკას, ჩინური მეთოდით (იმპულსებით). მის: ალმაშენებლის №113 (მილიციის ეზოში), დიაგნოსტიკური ცენტრი „პანაცეა", კაბ. №10. ტელ: 61-61-18; 95-74-29. ნინო სისაური

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი ვალენტინა ლოლაძე. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა — მიმართეთ ვალენტინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

მაღალი არტერიული წნევის ნორმალიზაცია, ახალი, კომპიუტერული, არამედიკამენტური და ფარმაკოლოგიური მეთოდით: აპარატ „ელექტროფუნქციონერის" და მედიკამენტების (გაცემა უფასოა) საშუალებით. მკურნალობის კურსი — 1 თვე. მის: რესპუბლიკური საავადმყოფო (ვაჟა-ფშაველას №29), მე-4 სართ. მარცხენა მხრიდან, ბოლო — №481 ოთახი. მიღება ორშაბათს და ოთხშაბათს, 1-13 სთ. წინასწარი ჩაწერა: 66-04-67

მეჭეჭებისა და სხვა წარმონაქმნების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, სასქესო ორგანოებზე, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან. ტელ: 95-83-54 (სამს); 39-00-70; 39-25-57 (ბინა); 899 56-96-61

ექიმი, მანუალური თერაპევტი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით მკურნალობს დაავადებებს: მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისრმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუს ხვევა, ქამისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა. მის: ალმაშენებლის №60. ტელ: 75-06-14; 877 44-01-08

პროსტატიტის, უროგენიტალური ინფექციების (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი და სხვა), უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით და აპარატურით. *პროფესორი რევაზ ხალვაშია.* მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა 1. მიღება შაბათს 12-16 სთ, სხვა დღეებში — წინასწარი ჩაწერით. ტ: 35-20-06; 92-36-67

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

ლომთათიძესთან მოწვეული მაღალკვალიფიციური ექიმები მკურნალობენ: მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს; ხერხემლის გამრუდებას, რადიკულიტს, თავბრუს ხვევას, ნერვის ანთებას, თმის ცვენას, სებორეას, ფსორიაზს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, წითელ ქარს, ფრჩხილების ჩაზრდას, ტროფიკულ წყლულს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს; მეჭეჭების მოშორება; თამბაქოს გადასაჩვევი საშუალებები. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. ხდება სწრაფი დიაგნოსტიკა. მის: ალმაშენებლის 113, კაბ. 17. ლომთათიძე. ტ: 39-01-42; 899 51-76-08. ირა

სამკურნალო ცენტრი „ლაზერი" გთავაზობთ გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობას უახლესი მეთოდით — საშვილოსნოსა და დანამატების ანთებითი დაავადებები; უშვილობა, კლიმაქტერიული სინდრომი, ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, საშვილოსნოს ყელის დაავადებები და სხვა. მის: ბახტრიონის ქ. №18. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 53-63-05; 38-27-52

სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება

მასწავლი

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. მობრძანდით, ისწავლეთ, აიღეთ მართვის მოწმობა, ნუ გადაიხდით ზედმეტს, ვიმედოვნებთ, უკმაყოფილო არ დარჩებით. მის: ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. №28. ტელ: 99-53-24; 22-21-83; 39-74-53

ვასწავლი ფრანგულ და ინგლისურ ენებს, ნებისმიერ მსურველს, სკოლის მოსწავლეებს — ბინაზე მისვლით. ტელ: 41-59-26; 41-008-88 (სალომე)

კომპიუტერული სტუდია „დავა კომპიუტერი", გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშესწავლის კურსებზე. შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. 1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, სააღდგომო ფასდაკლებით: სახის კანის მკურნალობა, მასაჟი, ეპილაცია, გაწმენდა, კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. ვინც ჩაეწერება აღდგომამდე, სწავლის გადასახადი შეუმცირდება 40%-ით. „ნაძალადევი", მ. „ვაგზლის მოედანი", დადიანის ქ. №26. ტ: 66-53-56; 893 33-09-66

ასოციაცია „პოსეიდონი" გთავაზობთ გიდი-თარჯიმნისა და ტურიზმის გიდის კურსებს. სწავლის დამთავრების შემდეგ თქვენ დამოუკიდებლად შეძლებთ ყველა დონის ტურისტული ჯგუფის მაღალ დონეზე მომსახურებას. პროგრამა ითვალისწინებს უცხოელ ტურისტებთან მუშაობის ურთიერთობათა თავისებურებებს. სწავლის საფასურში შედის პრაქტიკული მეცადინეობები და ექსკურსიები. მის: ძმები ზუბალაშვილების ქ. №17. ტელ: 97-03-24; 98-73-31

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემისი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

იყიდება

სუფთა სისხლის, კავკასიური ნაგაზის ულამაზესი ლეკვები, გენეტიკური გარანტიით. ფასი $500. ტელ: 899 50-48-61

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ფრანგული სახის ნიღბები, ვიტამინები მოზარდთათვის, ცელულიტების კრემები ტანის კორექციისათვის, ტანისა და თმის შამპუნები, ტანისა და სახის (დღის და ღამის) კრემები. მის: ბელინსკის ქ. №2, IV სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46; 899 11-06-25. ნია

სხვადასხვა

საოფისე ავეჯის კომპანია აცხადებს კონკურსს, გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე. რეზიუმეები (CV) მიიღება: ვაჟა-ფშაველას №45, „სოფმშენის შენობა", მე-15 სართ. ფირმა „მოდულარი". ტელ: 32-98-59; 899 90-63-20

გამოვიდა და იყიდება!

გოდერძი ჩოხელი

შეგიძლიათ შეიძინოთ: გამომცემლობა „მერანის" წიგნის მაღაზიებში „საუნჯეში" რუსთაველზე და მარჯანიშვილზე (მეტროსთან)

ჟოზე კვანტალიანის გახსენება

ძვირფასო, კეთილო ადამიანო, დრო გადის და არ ნელდება განშორების ტკივილი. გვენატრებით... განა მარტო ახლობლებმა — თქვენმა პაციენტებმაც გულწრფელი ცრემლით გაგაცილეს, რადგან უანგაროდ, გულწრფელად და გულით მკურნალობდით მათ. გიყვარდათ სიცოცხლე, გიყვარდათ თქვენი თბილი ოჯახი, ოცნებობდით შვილიშვილებში გახარებას. ულმობელმა ბედმა არ გარგუნათ ეს სიხარული, ძალზე დასწყვიტეთ გული თქვენი მარინას და საშას შვილებს, თქვენს საფიცარ შვილიშვილებს, რომელთაც წრფელი ცრემლი დაგაყარეს... ვიცით, წმინდა საუფლოდან ლოცავთ მათ მომავალს და ისინიც გრძნობენ ამას. მაგრამ როგორ უნდა ვანუგეშოთ თქვენი ერთგული მეუღლე — გივი ბიძია, რომელიც უთქვენობამ უეცრად მოტეხა და დააობლა — თქვენ ხომ ერთ სული და ერთ ხორცი იყავით მუდამ. უთქვენო სახლში დაგეძებთ და მისა სული გეძახით, გნატრობთ, გესიყვარულებით...

მოდის დიდი დღესასწაული — აღდგომა. ღმერთმა დაამკვიდროს თქვენი სული სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ და დალოცოს თქვენმა სულმა საქალის მყოფი მახსენებელნი თქვენი...

ნუცა

ეკუნა ჯავახიშვილის მონატრება

2000 წლის 15 აპრილს, მთელი საქართველო შეძრა საშინელმა ტრაგედიამ — ერთმა არაკაცმა სრულიად უდანაშაულოდ, მთელი ოჯახი ამოწყვიტაო. ერთი შენ იყავი, ჩვენო პატარა ეკუნა. 29 აპრილს მეორე დაბადების დღეს ვხვდებით უშენოდ. არ გამოდგა დრო მკურნალი ჩვენთვის. უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდება უშენობა, დაცარიელდა ჩვენი ოჯახი და გულები უშენოდ. ყველგან შენს აჩრდილს ვხედავთ.

ცრემლიანი თვალებით და უამრავი ლამაზი ყვავილით მოვალთ გაყინული საფლავის ქვასთან — ესღაა ჩვენი ნუგეში. ცაში ამაღლდა შენი სული. ვლოცულობთ შენთვის, ჩვენო დიდო ტკივილო და მწუხარებავ.

თამარ დეიდა და თამარ მამიდა ოჯახებით

მინდია სიხარულიძე — *უსაზღვრო სევდით გამოწვეული მონატრება, მუდამ ცრემლიანი თვალი*

აპრილი, გაზაფხულის ულამაზესი თვე...

1 აპრილი შენი მამიკოს დაბადების დღეა, 12 აპრილი — საყვარელი ბიძისა და ბიძაშვილების, 25 აპრილი — შენი დედიკოსი და დეიდაშვილების.

ამ ძვირფას დღეებს უსაზღვრო სიხარულით ვეგებოდი მუდამ.

ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. ბედნიერი ადამიანი ძნელად წარმოიდგენს, რომ ერთმა უეცარმა წამმა შეიძლება ყველაფერი დაამთავროს, დაანგრიოს, სიცოცხლის ხალისი დაგიკარგოს, სამარადჟამოდ დაჭრილი გული გატარებინოს მკერდით.

ავად სახსენებელი 28 აპრილი... ხუთი წელი მოზღვავებული მონატრებით...

ასე ინება ალბათ განგებამ. არადა, როგორ გიყვარდა სიცოცხლე. მუდამ მოღიმარი და ხალისიანი, სადღაც მიიჩქაროდი. იქნებ რაიმეს გრძნობდი და ამიტომაც გვინაწილებდი ყველას უზომო სითბოს, სიყვარულსა და სიკეთეს, ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

დრო მკურნალიაო, — ამბობენ. ტყუილია! რაც დრო გადის, გული საოცრად მძიმდება, ყოფა გაუსაძლისი ხდება. წლები ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რასაც შენზე გამწარებული დედის ტანჯვად ქცეული სული განიცდის.

ულრმეს სევდას დაუსადგურებია შენი ერთადერთი, საფიცარი დის გულში. შენგან გაუბედურებულ დედმამას მხოლოდ ნინო გვასულდგმულებს.

თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ღმერთსაც რჩეული უნდა. უანგაროდ თესდი სიყვარულს და სულით ხორცამდე მოყვასისთვის დახარჯული მადლითა და პატიოსნებით შემკული წარდექი უფლის წინაშე.

შენზე ლოცვით და შენთან მალე შეხვედრის იმედით გავლევთ ამ ტანჯულ წუთისოფელს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული, ჩვენო გაუსაძლისო ტკივილო და მონატრებავ!

რად არ დაემტვრა ის აკვანი მაშინ შენს დედას,
თუ ამ დღისათვის ვიმეტებდა გამჩენი ღმერთი.
ჩვენი ოჯახის ერთადერთო ვაჟკაცო, სევდავ.
ჟუჟუნებით გულით, ცალი ფეხით გვევლო ჩვენ გვერდით.

შენი დედიკო, მამიკო და ნინიკო

აჩი კანდელაკის მონატრება

დრო ყველაფრის მკურნალიაო, აჩი. თურმე ტყუილი ყოფილა — ტკივილიან მონატრებას ვერაფერი ვუშველეთ. თურმე რამხელა სიყვარულს იტევდი გულში, თითქოს ცდილობდი, მოგესწრო სითბოს გაცემა. სანაცვლოდ კი, არაფერი მოგითხოვია.

ისიც ვერ შევძელით, ჩვენი სიყვარულით გაგვეთბე. იქნებ, იმ საბედისწერო წუთებს გადაგვერჩინე. ვერ დაგეხმარეთ, ვერ გაგიგეთ, რა ტკივილს ატარებდი გულით. საკუთარ დარდს მალავდი და სხვას ანუგეშებდი. ალბათ, ამიტომ უყვარდი ყველას. ძალიან გვენატრები, აჩი. ისევ მოლოდინით ვცხოვრობთ. ყველგან გეძებთ: საკლასო ოთახში, დერეფანში, სამასწავლებლოში, კალათბურთის დარბაზში. არ ვიცით, როგორ მოვერიოთ უშენობით გამოწვეულ ტკივილს, გულს რომ გვიღრღნის.

სულ რაღაც ერთ თვეში სასწავლო პროცესი შეწყდება, ბოლო ზარიც დაირეკება, მაგრამ შენ აღარ იქნები. ვაი, რომ მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა შენთვის მეჩვიდმეტე გაზაფხული. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი დაღლილი სული, აჩი. ჩვენ კი, ყოველთვის გვემახსოვრები, შენი კეთილი, სევდიანი ღიმილით და ალალი სიტყვებით: „რა კარგები ხართ, მასწ!"

ია და ეკა მასწავლებლები

ნინო გაგუა-აშორტიას ხსოვნას!



საყვარელო დედიკო! ცრემლებით და ტკივილით სავსე ექვსი თვე გავიდა შენი დაღუპვიდან. წახვედი და დაგვეტოვე უსაშველო სიცარიელე, მოუშუშებელი ჭრილობა. ყველასათვის თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი. დედიკო, შენ ხომ ძალიან გიყვარდა სიცოცხლე, მაგრამ სიზმარივით გამოგვეცალე ხელიდან. უშენოდ დავცარიელდით. ძალიან გვიმძიმს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ამაღლებული სული.

შენი გულდამწვარი შვილები თორნიკე და ლელა გაგუები

რაულ შანიძის ხსოვნას!

ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. შენც გამოსცადე საკუთარ თავზე ბედისწერის უკუღმართობა. ვერ აღესრულე მშობლიურ ქალაქში, სადაც ყველა გიცნობდა და გაფასებდა, როგორც სათნო, კეთილ, პატიოსან და თავმდაბალ ადამიანს, კარგ სპეციალისტს.

ყველა ძალიან შეაწუხა შენმა გარდაცვალებამ, ჩვენ კი ახლობლებს დაგვიტოვე მოუშუშებელი ჭრილობა, დიდი ტკივილი იმის გამო, რომ ჩვენ გვერდით აღარ იქნები, შენი მოღიმარი სახით და მოსიყვარულე გულით. დაგვიტოვე ტკივილი, იმის გამო, რომ ვერ გიშველეთ, ვერ შევძელით შენი გადარჩენა.

და და დისშვილები

გურამ ტატიშვილის გახსენება

წელს პირველი გაზაფხულია, უშენოდ რომ ვხვდებით, გურამ. გაზაფხული, რა თქმა უნდა, ისედაც მოვა. მაგრამ ისეთი ფერადი ვერ იქნება, როგორიც ადრე. ჩვენ გაზაფხული შენთან ერთად და შენ გვერდით გვიხაროდა. ეს სიხარული კი შენ ჩვენ გამოგვტაცე და თან გაიყოლე. ყოველი წუთი სავსეა შენით. „გურამი ასე იტყოდა, ასე მოიქცეოდა, გურამს ეს არ მოსწონდა" — ეს სიტყვები გაისმის ხშირად, ჩვენს ოჯახში. შენი შვილიშვილები, მარიამი და თორნიკე, შენს სახელს ფიცულობენ, შენს სურათთან სანთელს ანთებენ, ცდილობენ, დაემსგავსონ საყვარელ ბაბუას, ვაჟკაცობასა და ადამიანობაში... ნეტავ, რას გრძნობს შენი სიყვარულით სავსე გული? ალბათ, იმას განიცდის, რომ უპატრონოდ დაგვტოვა. არ იდარდო, გურამ! ოდესმე, ჩვენ, ყველანი ერთად ვიქნებით ზეციურ სასუფეველში.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ახლოვდება. გახსოვს, პატარა ბიჭივით რომ გიხაროდა ეს დღე, ყველაზე დიდი, დღესასწაულთა შორის, შენთვის აღდგომა იყო. თითქოს გრძნობდა შენი სული აღსასრულს. სადღაც, შორიდან გვესმის შენი ომახიანი ხმა: „მრავალ აღდგომას დაგასწროთ ღმერთმა!"

ღმერთმა გისმინოს, ჩვენო უსაყვარლესო ადამიანო! დაგვლოცე, ჩვენო გურამ!

ოჯახი

ზაზა დოდაშვილის ხსოვნას!

40 დღე გავიდა შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან. 15 მარტს 30 წელი შეგისრულდა, 21 მარტის დილას კი, როცა გვეგონა, რომ კიდევ ერთი კოშმარული ღამე უკან მოიტოვე, სული დალიე.

შენ ხომ ჯანმრთელი, სპორტსმენი ბიჭი იყავი და მედგრად ებრძოდი უკურნებელ სენს. ჯანმრთელი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდი: მუშაობდი, აშენებდი, აკეთებდი. ოჯახის პატრონი იყავი და სიღრმისეულად გქონდა გაცნობიერებული პასუხისმგებლობა. უმძიმეს ავადმყოფსაც კი არ დაგიკარგავს ჩვეული სულგრძელობა და მსუბუქი იუმორი. ვაჟკაცურად იბრძოდი სიცოცხლისათვის და აქეთ გვამხნევებდი, მაგრამ უკურნებელი სენის წინაშე ყველანი უძლურნი აღმოვჩნდით. ვუყურებთ შენს ლაშას და გვახსენდება, როგორი მოსიყვარულე და მზრუნველი მამა იყავი. ყველას ძალიან დაგვწყვიტე გული.

შენი სახელი მარად უკვდავი იქნება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

დეიდები, დეიდაშვილები

ჟენია ცერცვაძის გახსენება

გილოცავთ დაბადების დღეს, მაგრამ სად?..

დედა, 16 წლის წინ განეშორე ამ ქვეყანას უსიტყვოდ და უპრეტენზიოდ. სიყვარულის მთესველი ქალი იყავი და აკი მოიმკე კიდეც, ყველას დაენანე. თავდადებული იყავი ოჯახისათვის. გულში დაგვიტოვე დიდი ჭრილობა. ძალიან გვტკივა უშენობა. გვე-ნატ-რე-ბი!!!

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული

შენი ოჯახი

მოსე (მამუკა) კობახიძის გახსენება

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ. უცაბედი იყო შენი წასვლა იმქვეყნად. დაგვიტოვე დიდი ტკივილი, შენ ხომ ყველას გვერდში გვედექი ჭირში თუ ლხინში.

შენ ყოველთვის წმინდა სანთლად იქნები ანთებული ჩვენს გულებში.

ლილი და ლალი ხვიჩონიშვილები; ველა და ზვიად ვიოშვილები

დათუნა გეთიაშვილის გახსენება



ტრაგიკულად წახვედი ჩვენგან, დაგვიტოვე დიდი სევდა. კაჭრეთის სამუსიკო სკოლა ცარიელია უშენოდ. თქვენ ხომ ყველგან სამნი დადიოდით... დედას ხელით ეჭირე კულისებში ყოველი კონცერტის დროს, სიცელქით რომ არაფერი დაგშავებოდა... ძალიან გვენატრები.

გულიკო მასწავლებელი

ზვიად და გრიშა გუშარაშვილების გახსენება

შვილო ზვიად, უდროოდ დაგვტოვე, დააობლე შენი შვილები.

ვაი, რომ მამამ ვეღარ გაუძლო უშენობას, მალე გამოგყვა (თქვენს შვილებს კი როგორ უჭირთ უთქვენოდ).

-უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები.

თქვენთვის დამდნარი დედა და მეუღლე

ვახტანგ (ხვიჩა) უსანეთაშვილის ხსოვნას!

უკვე ერთი უფერული წელი გავიდა იმ ტრაგიკული შემთხვევიდან, რამაც შენი ლამაზი სიცოცხლე დაასრულა. შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად დაიფერფლა მრავალი აუხდენელი ნატვრა და ოცნება.

ძნელია იმ დიდი ტკივილის გადმოცემა, რასაც განვიცდით უშენოდ. ძალიან გვაკლიხარ ყველას, განსაკუთრებით, შენით გამწარებულ დედას, რომელსაც ნუგეშად მხოლოდ საფლავი დარჩა.

გვჯერა, რომ შენი სული ზეციურ სასუფეველში დამკვიდრდა. ნათელში გამყოფოს უფალმა.

დედ-მამა და ახლობლები

სვეტა ჭანტურია-კუჭუხიძის ხსოვნას!

აპრილის თვე შემოვიდა უშენოდ, სვეტა. უეცარი იყო შენი სიკვდილი. სულ რაღაც წამში შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. თვალზე შეგრჩა ერთი წვეთი სიმწრის ცრემლი, რომელიც დღემდე ამოუცნობია ჩვენთვის. მართლაც ღირსეული ოჯახის ქალი არავის უნახავს ქედმოხრილი და მოშვებული, არავის უნახავს მოწყენილი და უიმედო. სიცოცხლით აღსავსე იყო მუდამ.

წავიდა ჩვენგან ქალი, რომელიც დააკლდა სოფელს, დააკლდა მეგობრებს და მათთან ერთად დაგვაკლდა ჩვენ — მისთვის პატარა ძმის თანამშრომლებს. ყოველ დილით, სამსახურში მისვლამდე, ჩვენ შემოგვივლიდა, თავისი უკიდეგანო მოკრძალებული ბუნების წყალობით, ულევ სიყვარულს აფრქვევდა და ამით თავადაც სიყვარულს იმკიდა.

24 აპრილი შენი დაბადების დღეა. კიდევ მრავალი აპრილი გავა, შენს ოჯახში მრავალჯერ ჩამოკრავს სიხარულის ზარი, მხოლოდ უშენოდ.

აბაშის სოცდახმარების განყოფილება

შალვა დობორჯგინიძეს!

(დედის მონატრება)

ჩემო ნატრულო და მონატრებულო შვილო შალვა! თითქმის ორმოცი დღე სრულდება, რაც შენ დატოვე ეს სამყარო. უდროო იყო შენთვის — შენზე ადრე მე მეკუთვნოდა. ალბათ აქ ყოფნა სატანჯველად გადაგექცა, ჯანმრთელობის შერყევამ თავი მოგაბეზრა, უფალმა მოწყალება გაიღო და დაგასვენა. უბედურ დედას ისღა დამრჩენია, ვილოცო შენი სულის ნათელში ყოფნისათვის, ვინაიდან ჩვენ ადამის მოდგმისანი, ნებსით და უნებლიეთ, ცოდვილნი ვართ. ბედნიერი ყოფილა მამაშენი: შენმა მზრუნველმა, მოსიყვარულე გულმა და ხელებმა შეუმსუბუქა ბოლო წუთები. შენ კი არ გიწვალია. უფალო, დიდება შენ. მე უბედური შენგან მაგას ვერ ველირსები. მე ვესაუბრები შენს სურათს. ამ წერილით მინდა მოგაწვდინო ხმა ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში. გპირდები, შვილო, რომ შენს საფიცარ, ერთადერთ შვილს სალომეს არ მივატოვებ, სანამ სული მიდგას.

ჩემო შეუდრეკელო, ჯიუტო შაკუნა, გისურვებ სულის სიმშვიდეს იმქვეყნად, სამარადისო ხსენებას, შენი გენის გამრავლებას ამქვეყნად.

გზა მშვიდობისა, ჩემო გიჟმაჟო შვილო. შეხვედრამდე.

შენი ერთგული, დარდით გაოგნებული დედა

ჩვენო საყვარელო ლევან!

გაზაფხულის მობრძანებას, აყვავებას და სილამაზეს უჩვეულო ტკივილი მოჰყვა თან. 5 წელია, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხართ. სიცოცხლეს მოწყურებულმა ვერ იგრძენით სიკვდილის მოახლოება. წახვედით ჩუმად და დაგვიტოვეთ მარადიული მონატრება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული.

ვიკა მახარაძე, მერაბ ხიდირბეგიშვილი, ლეილა წერეთელი, მანანა ჭუმბურიძე, ლია ბალანჩივაძე, ლია ლევერაშვილი

ლევან (ლექსო) გადელიას ხსოვნას!

დაბადების დღეს გილოცავთ, მამა! 25 აპრილი შენი დაბადების დღეა, მამა. პირველად შევხვდით ამ დღეს უშენოდ! გაუსაძლისია ის ტკივილი, რასაც უშენობა ჰქვია. თვალცრემლიანნი დავყურებთ შენს სურათებს და ვერ ვიჯერებთ, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. ვინ შეგვივსოს ის სიცარიელე, შენი წასვლით რომ დატოვე. შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა სიცოცხლე, ამაყობდი შენი შვილებით, შეხაროდი შენს პატარა მარიამს, რომლისთვისაც მუდამ ახალგაზრდა ბაბუად დარჩები. დრო ვერ გაანელებს ტკივილს, რასაც ახლა ვგრძნობთ. ძნელია უმამობა, მით უმეტეს, ისეთი მამის დაკარგვა, როგორიც შენ იყავი. გვტკივა უშენობა, უსაზღვროდ გვენატრები, წუთით არ გვავიწყდები, მამა!

ელგა, ედიტა, კახა, ლევანი, პატარა მარიამი

ბესიკ დანელიშვილის მონატრება

29 აპრილს 21 წლის გახდებოდი, ჩვენო ბესიკ!

დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი. კიდევ უფრო მეტი ცეცხლი და მოუშუშებელი ტკივილი ხარ, შვილო! გვენატრები, უსაზღვროდ გვენატრები! შენ ხომ სიცოცხლით გაუმაძღარი წახვედი ჩვენგან.

ვილოცებ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული!

შენი გამწარებული მშობლები, ძმა ლევანი

მუხრან ხვედელიძეს!

მუხრან, ერთი თვე გავიდა, რაც გული დაგვწყვიტე შენი ამ ქვეყნიდან წასვლით.

დღეს 34 წელი შეგისრულდებოდა.

შენი ხსოვნა ჩვენს გულებში სამარადისოდ დარჩება.

შენი მეგობრები

მარინა ნოდარის ასული ცალუღელაშვილის მონატრება

ჩვენო ძალიან, ძალიან საყვარელო შვილო და დაო მარინა. შენ, სიცოცხლით სავსეს, გაზაფხულის მერცხალივით ჭიკჭიკას, სიკვდილი როგორ მოგეწია? როგორ დაგვჯაბნა მან შენ, როგორ დაჯაბნა შენი დაუდეგარი, მოუსვენარი არსება? საიდან მოგეპარა, რომ ვერ შევამჩნიეთ? ვერ გაგიგეთ, ნაადრევად დატოვე საწუთრო და უშენოდ დავცარიელდით, გავღარიბდით. მთელი ოჯახი თავდავიწყებით ვიბრძოდით შენი ყოველი საათისა და შენი ყოველი წუთის სიცოცხლისათვის. დედის სითბოს და დედის მოუფერებლად მიგვატოვე. შენ იყავი ყველასთვის სანიმუშო, შენ ირგვლივ ყოველთვის სითბოსა და სიხარულს რომ აფრქვევდი. წახვედი, შვილო და დაგვიტოვე ყველას დიდი ტკივილი და თვალზე შეუშრობელი ცრემლი. ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო საყვარელო მარინა!

შენი დამწუხრებული მშობლები, დები და ახლობლები

ჯუმბერ გველესიანის ხსოვნას!

უშენობა აკლია ოჯახს, ჯუმბერ. ძალიან გვენატრები. ჯერ ხომ მხოლოდ 40 დღე გავიდა. გვაძლებინებს ის, რომ ყველა — მეგობრები, ნათესავები, ახლობლები — გიგონებს, როგორც კეთილ, თბილ და კაცურ კაცს. დაუვიწყარი იქნები ჩვენთვის.

შენი ოჯახი

ნინო ქტესაშვილის ხსოვნას!

აი, უკვე 40 დღე გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. წახვედი ამ ქვეყნიდან და დაგვიტოვე დიდი გულისტკენა. ამიერიდან, მხოლოდ შენი სიყვარულით, შენზე მოგონებებით ვიცოცხლებთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და კეთილი სული.

მეუღლე: ყარამან ქიტესაშვილი; შვილები: გულიკო, მარიკა, გიორგი; დები: ანიკო და მარო; შვილიშვილები და შვილთაშვილები

სვეტა ჭანტურია-კუჭუხიძის ხსოვნას!

24 აპრილი შენი დაბადების დღეა, ჩვენო სვეტა. პირველად ვხვდებით უშენოდ ამ დღეს. რა ბედნიერები ვიქნებოდით, ერთად რომ გვეზეიმა შენი დაბადების დღე. დაუსწრებლად ყველა მოგილოცავს ამ დღეს. ყველას გვენატრები, ყველას გვახსოვხარ. შენი წასვლით მოყენებულ ტკივილს ვერავინ და ვერაფერი მოგვიშუშებს.

დრო არ ყოფილა, სვეტა, ყველაფრის მკურნალი. ეს ტყუილია. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები, ვერ ვეგუებით უშენობას.

ერთი გვჯეროდეს, ჩვენო სვეტა — შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ისღა დაგვრჩენია, ღმერთს შევევედროთ, ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი სული.

მეზობლები

სოსო კერესელიძის გახსენება

მოულოდნელი და შემზარავი იყო შენი სიკვდილი, რომელმაც თავზარი დაგვცა ყველას — შენს საცოდავ დედას, შენს პატარა ცოლშვილს, მეზობლებს, შენს საყვარელ ბიძას, რომელმაც უდიდესი პატივით გაგაცილა უკანასკნელ გზაზე.

9 მაისს, 33 წელი შეგისრულდებოდა. ჯერ ხომ ადრე იყო შენთვის სიკვდილი, მაგრამ ამბობენ, ღმერთსაც თავისთან რჩეულები მიჰყავსო.

ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შენი მეზობლები. რუსთავი

ლალი ლეთოდიანის გახსენება

აგერ უკვე ერთი წელიწადი.., რაც წახვედი, უცნაურად და მოულოდნელად. თბილი, სიცოცხლით სავსე, ალერსიანი, ლამაზი, ერთგული.

ლალი ლეთოდიანი — რა ამაყად ჟღერდა შენი მეგობრებისთვის ეს სახელი — შენ გვერდით ყოფნა მუდამ გვეამაყებოდა.

ლალი, როგორ მოაკლდა შენი სითბო ყველას — შენს ლამაზ ოჯახს, მეუღლეს, შვილებს, დედას, ძმებს, მეგობრებს. გაზაფხულის მონატრება შენს მონატრებად იქცა...

შენი თანაკურსელი მეგობრები: მაია გელაშვილი, ცისმარ ქიტიაშვილი, ლია სახალელი, ლია მამულაშვილი, მარინე აფრიაშვილი

მეუღლე ლამარა ჯანყარაშვილი, შვილები: მარინა, მაია; ძმა იური; რძლები: მერი, ნათელა; ცოლისდა მედეა; ქვისლი აბრამ ბერიშვილი; ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ იოსების ძე ჯიყაშვილი

პანაშვიდი: 28, 29 აპრილს.
დაკრძალვა: 30.04. 14 სთ.
მისამართი: თბილისი, ერწოს ქ.№6, I სად. V სართული.

მოცვალებულის დაბრუნება

კარლოს II-ის მმართველობის დროინდელმა, ბრიტანეთის ერთ-ერთმა საუკეთესო იურისტმა, სერ ჯორჯ მაკენზიმ თავის ავტობიოგრაფიაში ასეთი შემთხვევა აღწერა: მაკენზი ედინბურგში ცხოვრობდა და ნასადილევს პარკში სეირნობა უყვარდა. ერთხელ, სეირნობისას, იგი კეთილშობილური გარეგნობის ხელჯოხიანმა მოხუცმა შეაჩერა...

იმ პერიოდში მაკენზი ლონდონში ერთ დახლართულ საქმეს იძიებდა — მისი კლიენტი ვერ ახერხებდა საგვარეულო მამულის მემკვიდრეობით მიღებას, რადგან რაღაც საბუთები აკლდა. ამით ისარგებლეს ცრუ მემკვიდრეებმა და დავას დასასრული არ უჩანდა. მომავალმა ბარონმა დასახმარებლად მაკენზის მიმართა...

მოხუცმა იურისტს უმალ საქმიანი საუბარი გაუბა. უთხრა, — სასწრაფოდ ლონდონში წადით და სადავო მამულის სასახლის სხვენზე იპოვით საბუთებს, რომლებიც ნამდვილ მემკვიდრეს საქმეს მოაგებინებსო.

— დოკუმენტები პერგამენტზეა დაწერილი და ძველებურ, მუხის კარადაში ინახება, — დაუბარა და უცნაური მოხუცი დაუმშვიდობებლად წავიდა.

მაკენზიმ მოხუცის ბუუტურს ყურადღება არ მიაქცია. მეორე დღესაც იგივე განმეორდა — მოხუცმა იურისტს უბრძანა, — სასწრაფოდ გაემგზავრე ლონდონს და არ ინანებო!

იურისტმა ქედმაღლურად, უხმოდ გასწია განზე აბეზარი ბერიკაცი და გზა განაგრძო.

მესამე დღეს მოხუცი კვლავ გამოჩნდა და ამჯერად უკვე თვალცრემლიანი შეევედრა, — წადი, საბუთები იპოვე, თორემ ახლაც თუ უარს მეტყვი დახმარებაზე, ნამდვილი მემკვიდრე საქმეს წააგებსო.

მეორე დღეს, სახელგანთქმული იურისტი მემკვიდრესთან ერთად ლონდონს გაემგზავრა. სასახლის სხვენზე კარადა გადაქექეს და მართლაც ნახეს ის დოკუმენტი, რომლის შესახებაც მოხუცი ლაპარაკობდა.

სხვენიდან ჩამოსვლისას იურისტმა მოულოდნელად ფერწერულ პორტრეტს ჰკიდა თვალი და გაოგნებულმა შესძახა:

— ღმერთო ჩემო, ეს კაცი ვინ არის?

— ჩემი პაპის პაპაა, — უპასუხა ახალგაზრდა ბარონმა.

პორტრეტიდან იყურებოდა სწორედ ის მოხუცი, რომელმაც იურისტს სამჯერ შეაწყვეტინა სეირნობა.

ამ მოხუცის დახმარებით იურისტმა საქმე მოიგო, მემკვიდრემ კი მამული მიიღო.

ნლო №12

იეტი საქართველოში?

ახალი წელი ვინა თქვა სასწაულების გარეშე, მაგრამ ის, რაც ძველით ახალ წელს ბატონ შოთა დონაძეს შეემთხვა, სასწაული კი არა, ზღაპარი უფროა:

— დღემდე გონს ვერ მოვსულვარ. ვერაფერს ვიტყვი, რა მოხდა, რა შემემთხვა... ან, რაც თავს გადამხდა, სიზმარია თუ ცხადი, — გვითხრა ბატონმა შოთამ.

რაჭაში მაქვს მამაპაპისეული სახლი, სადაც ზაფხულობით ჩემს ქალიშვილებს ბავშვები მიჰყავთ საგარაკოდ.

ბარემ ერთი წელიწადი არ მომასვენა სიზმრებმა — ხან გარდაცვლილი მამა მესიზმრებოდა და ხანაც ბაბუა — ამოდი საშობაოდ და ერთი ღორი დაკალი. ყველაზე ღარიბი და ცარიელი ჩვენი სახლი როგორ უნდა იყოს, თავი არ შეგვაჩვენებინოო.

შემაწუხა სინდისმა. წავედით მე და ჩემი სიძე საშობაოდ სოფელში. ღორი იქვე ვიყიდეთ და დავკალით. ბიძაშვილობა დავპატიჟეთ, ფუძე დავლოცეთ, წინაპრების სული ვახსენეთ...

ჩემი სიძე მეორე დღეს გაბრუნდა ქალაქში. მე არ გამომიშვეს ბიძაშვილებმა — ფეხი ჩამოგიცდა და ახლა შეგელევითო?! რამდენიმე დღე ოჯახიდან ოჯახში გადავდიოდი და ვიყავი განცხრომაში, მაგრამ... მერე დაიწყო ისეთი თოვა, ლამის ცოცხლად ჩაიმარხა სოფლები, თოვლი სამ მეტრს ასცილდა.

ბიძაშვილებმა მირჩიეს — ასეთ თოვლში არც გზა იქნება, არც კვალი. როგორღა გახვალ სამშვიდობოს, გამოამინდებამდე სჯობს, ფეხი არ გაადგაო.

შევშინდი — აქ არ ჩავრჩე-მეთქი. ჩავალაგე მანქანაში ბარგი და... გამოვსწიე!

რამდენიმე კილომეტრი კი გამოვიარე ასე თუ ისე მშვიდობით, მაგრამ მერე ერთ-ორ ადგილას ისე მომიცურდა მანქანა, მივხვდი, თავი სასიკვდილოდ მქონდა გამეტებული. ნერვიულობისგან, ეტყობა, წნევამაც ამიწია. ცუდად მქონდა გული, თავბრუც დამეხვა. წამალი დავლიე, მანქანაში გათბობა ჩავრთე და წამოვწექი... არც კი ვიცი, როდის ჩამეძინა. თავის ტკივილი ძილშიც მაწუხებდა და ცოტა ხანში საკუთარი კვნესის ხმამ გამაღვიძა. რომ შევფხიზლდი, ვიგრძენი — მანქანა ირყეოდა. სისხლი გამეყინა — ვაითუ, მეწყერი წამოვიდა ან მიწისძვრაა-მეთქი. კარი გავაღე, მანქანიდან ძლივძლივობით გადმოვფოფხდი, მაგრამ სად გინდა გაიქცე?! ირგვლივ გადათეთრებულია ყველაფერი, არც გზა ჩანს, არც რიონის კალაპოტი... მოვუხედე მანქანას და... უცებ დავმშვიდდი, რადგან ვიფიქრე, ეს უბედურება, რაც ჩემს თავს ტრიალებს, სიზმარია-მეთქი. უზარმაზარი, თეთრბეწვიანი არსება ცდილობდა, ჩემი მანქანა აეწია და თოვლიდან ამოეთრია...



ის არსება დათვსაც ჰგავდა და გოლიათ კაცსაც. თეთრი თმა-წვერ-ულვაშით ჰქონდა თავ-პირი დაფარული... უცებ ისიც კი ვიფიქრე, ცოცხალი თოვლის ბაბუა ხომ არ გამომეცხადა-მეთქი. თუმცა ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სიზმარს ვხედავდი, მიახლოება მაინც ვერ გავბედე და შორიდან დავუძახე: — ვინა ხარ, რა სულიერი-მეთქი. არ მიპასუხა, თითქოს არც გაუგონია ჩემი შეკითხვა. მანქანას წინიდან მოუარა და ახლა იქიდან ასწია, გადააადგილა. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, გზას ვიყავი ამცდარი და მანქანა გზაზე დააყენა.

საქმეს რომ მორჩა, ერთი კი შემომხედა ყურადღებით. ადამიანი ნამდვილად არ იყო — ღორივით წვრილი და ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა, წვეტიანი, ბანჯგვლიანი ყურები. თეთრმორუხო ბეწვი მისი ბუნებრივი ქურქი გახლდათ და არა ადამიანის ხელით შეკერილი!..

ხელით მანიშნა — დაჯექიო და მანქანის კარი გააღო. ჩავჯექი და ავამუშავე ძრავა. ჩემი მხსნელი გზას დაადგა. უკან გავყევი მანქანით — ორ საათზე მეტხანს მიმიძღოდა წინ და მეც ფრთხილად მივყვებოდი. მერე კი ერთი მომხედა და აუყვა მთის ფერდობს.

გადმოვედი და დავუძახე: — მითხარი, ვინა ხარ-მეთქი. აღარც მომხედა და არც შეჩერდა. რაღას ვიზამდი, დავადექი გზას და როგორც იქნა, დავაღწიე თავი თოვლის ტყვეობას.

მოვდიოდი და მჯეროდა, რომ საცაა, გათავდება ჩემი სიზმარი და გამეღვიძება-მეთქი, მაგრამ ისე ჩამოვედი ქალაქში, თვალზე რულიც არ მომკიდებია.

შინ შესულმა, პირველად ის ვიკითხე, — ხალხო, გამაგებინეთ, მღვიძავს თუ მძინავს-მეთქი?!

მერე მოვუყევი შინაურებს ჩემი თავგადასავალი. სიცილი დამაყარეს... არც მეგობრებმა დამიჯერეს. ხუმრობდნენ — ნამდვილად თოვლის კაცი — იეტი დასახლებულა რაჭაშიო... არა, კაცო, უცხოპლანეტელი ჩამოსულა დასასვენებლადო... ნამდვილად ბაბუაშენ ავქსენტის სული გამოგეცხადა, მანქანაში რომ არ გაყინულიყავიო...

არ ვიცი, ჩემო კეთილებო, თოვლის კაცი იყო, უცხოპლანეტელი გოლიათი თუ იმქვეყნიდან მობრუნებული ბაბუაჩემი, მაგრამ უცნაური მხსნელი რომ მომევლინა იმ დღეს, ეს ნამდვილია. იმასაც დავუმატებ, რომ დარწმუნებული ვარ, ჩემი წინაპრების სულები მოვიმადლიერე საშობაოდ ფუძის ანგელოზთან ხლებით და მათ დამახმარეს გაჭირვებაში ის უცნაური არსება, — დაასრულა ბატონმა შოთამ.

მე მჯერა ბატონი შოთასი...

წელს რაღა იქნება და, გაისად, ახალ წელს, სულ ფეხდაფეხ დავივლი რაჭის მთებს, რომ ეგებ სადმე გადავაწყდე ზღაპრულ არსებას!

ინგა ჯაყელი



„საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. 8 სამკუთხედი.

II. **რებუსი**
გაზაფხულდა, მთა და ბარმა მწვანე კაბა ჩაიცვა.

III. თაფლი.

მანჩესტერმა „ასპირინი“ ვერ მოინელა

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩები

ბარსელონა-რეალი 0:2 (0:0)

დიდებული სანახავი იყო სამშაბათს გამართული მატჩის დაწყებისას „ნოუ კამპის“ სტადიონი. „ბარსელონას“ ფორმებში გამოწყობილი ათიათასობით ფანი ლურჯ-წითელ დროშებს აფრიალებდა და საყვარელ კლუბს უმღეროდა. ვინ იფიქრებდა, რომ ორი საათის შემდეგ კატალონიელთა კერპები გამაყრუებული სტვენის თანხლებით დატოვებდნენ მოედანს და მინდორზე ბოთლებისა და ნაირ-ნაირი ნივთის წვიმაც წამოვიდოდა. მოედანზე კი მართლაც მნიშვნელოვანი რამ მოხდა — „ბარსას“ დაუძინებელმა მტერმა, მადრიდის „რეალმა“ კატალონიური გრანდი „ნოუ კამპზე“ 18-წლიანი მოუგებელი სერიის შემდეგ დაამარცხა, თანაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. უმწეოდ იმზირებოდა ნამატჩევს „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან გასპარი, რომლის გადადგომასაც თითქმის წელიწადია კატეგორიულად მოითხოვენ კლუბის ფანები და რომლის მმართველობისას „ბარსელონამ“ ვერც ერთი სერიოზული ტიტული ვერ მოიგო და, როგორც ჩანს, ჩემპიონთა თასიც აუხდენელ ოცნებად დარჩება კატალონიელთათვის, ყოველ შემთხვევაში, წლეულს მაინც.

„ნოუ კამპზე“ გამართული მატჩის დასაწყისი ცუდს არაფერს უქადდა მასპინძლებს. გუნდები ხეირიანად არც გახურებულიყვნენ, როცა პატრიკ კლიუვერტი პირისპირ დარჩა მადრიდელთა მეკარე სესართან, მაგრამ ბურთი ამ უკანასკნელს ვერ ააცილა, კიდევ რამდენიმე წუთში „რეალის“ კარის ხარიხამ მოიგერია ლუის ენრიკის თავური დარტყმა. თითქოს გოლი მწიფდებოდა, მაგრამ რატომღაც „ბარსელონას“ შეტევებმა იკლო და „რეალმა“ ჯერ მოედნის ცენტრში დაიწყო ბურთის გაკონტროლება, შემდეგ კი ორჯერ სახიფათოდ შეუტია „ბარსას“ მეკარის — ბონანოს კარს.

ათიოდე წუთის დაწყებული იყო მეორე ტაიმი, როცა „ნოუ კამპი“ პირველად დადუმდა, რაულის დროული გადაცემის შედეგად ბონანოსთან პირისპირ დარჩენილმა ზიდანმა თავზე გადაუგდო ბურთი „ბარსას“ კარის დარაჯს და „ნოუ კამპზე“ საკუთარი ანგარიში გახსნა, თამაშის მიწურულს კი შეცვლაზე შესულმა მაკმანამანმაც მოხერხებულად გადააცილა თავზემოთ ბურთი ბონანოს და „ბარსა“ ნოკაუტში ჩააგდო. ბოთლების წვიმაც — ზემოთ რომ ვახსენეთ, სწორედ ინგლისელის გატანილ გოლს მოჰყვა.

18 წლის შემდეგ, მადრიდის „რეალმა“ „ნოუ კამპზე“ პირველად იზეიმა გამარჯვება, „სამეფო კლუბმა“ კი უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა ფინალისაკენ. თამაშის შემდეგ ხუან გასპარი იხტიბარს არ იტეხდა: „ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით, თუმცა არ გაგვიმართლა, „რეალმა“ კი ცუდად ითამაშა და მაინც მოიგო. საპასუხო მატჩში ჩვენ ჩვენსას შევეცდებით და რატომ ვერ უნდა მივაღწიოთ კარგი თამაშით იმას, რასაც „რეალმა“ დღეს ცუდი თამაშით მიაღწია? დაკარგული ჯერ არაფერია“. დაგვეთანხმებით, გასპარის სიტყვები პატარა ბავშვის თავის მართლებას ჰგავს. პრეზიდენტის აზრი მისივე „ჯილამ“ — კატალონიელი ფანებისგან მოძულებულმა მწვრთნელმა კარლოს რექსაჩმაც გაიზიარა: „ბარსელონამ“ ბრწყინვალედ ითამაშა, შედეგი უსამართლოა, შევეცდებით „სანტიეგო ბერნაბეუზე“ მოვიგოთ“. „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი, ცხადია, გახარებული გახლდათ: „თუ საპასუხო მატჩშიც ისე ვითამაშეთ, როგორც დღეს, ფინალში ჩვენ გავალთ“. საპასუხო მატჩის პრინციპულობაზე სხვა მადრიდელებმაც ისაუბრეს, თუმცა გულში ყოველი მათგანი ფინალში გასვლას ზეიმობდა. თუ სასწაული არ მოხდა, 15 მაისს გლაზგოს „ჰემპდენ პარკის“ მინდორს „სამეფო კლუბი“ გათელავს.

P.S. ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: სამშაბათს „ბარსელონას“ სწორედ ის კაცი აკლდა, ვისი წყალობითაც ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს და ვინც უკანასკნელ წლებში „ბარსელონას“ სიმბოლოდ ქცეულა — რივალდო ტრიბუნიდან უმზერდა თანაკლუბელთა ტანჯვაწამებას და მისი ტრავმა რომ არა, იქნებ საპასუხო მატჩის წინ კატალონიურ კლუბს ფინალში გასვლის უკეთესი შანსი ჰქონოდა. რივალდო მადრიდში ალბათ ითამაშებს. სადაც რივალდო და მისნაირები არიან, გამორიცხული არაფერია, იქნებ ტყუილად არ იმუქრებიან ხუან გასპარი და კარლოს რექსაჩი მადრიდში მოგებით.

მანჩესტერ იუნაიტედი — ლევერკუზენი 2:2

ბარსელონაში „რეალის“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, მეორე საღამომდე დიდი და პატარა ისე ლაპარაკობდა „რეალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გლაზგოურ ფინალზე, თითქოს ლევერკუზენის „ბაიერი“ ამქვეყნად არც არსებობდა. კლაუს ტოპმიოლერის „ბაიერმა“ დაამტკიცა, რომ ფეხბურთს სახელები არ თამაშობენ, არც მხოლოდ ფული და ქონებაა თანამედროვე ფეხბურთში წარმატების გარანტია — აბა სად სახელგანთქმული „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელსაც მთელ მსოფლიოში მილიონობით ფანი ჰყავს და სად იმ ქალაქის გუნდი, რომელიც ზოგიერთ რუკაზე აღნიშნულიც არ არის და რომლის ყველა მოთამაშის ფასი ერთად აღებული არ იქნება იმდენი, რამდენიც „მანიუს“ ზოგიერთი ვარსკვლავისა? ლევერკუზენის „ბაიერი“ ისე გავიდა „ოლდ ტრეფორდზე“ სათამაშოდ, თითქოს ბუნდესლიგის რომელიმე რიგით მატჩს ატარებდა. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, „ბაიერმა“ ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლითაც კი აჯობა „მანჩესტერ იუნაიტედს“. ამ მატჩში პირველი გოლი სრულიად შემთხვევით გავიდა 29-ე წუთზე — ვან ნისტელროის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი სტუმართა მცველს მოხვდა და ბუტის კარში შევარდა. მეორე ტაიმის დაწყებიდან 15 წუთში ბალაკმა აღადგინა წონასწორობა, რასაც სულ მალე ვან ნისტელროის გატანილი პენალტი მოჰყვა. „ბაიერი“ არც ამჯერად გატყდა და ნოივილმა მეორე გოლი გაუტანა ფაბიენ ბარტეზს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად სტუმრად მიღწეული ფრე და თანაც ორი გატანილი გოლი, საპასუხო მატჩის წინ დიდი უპირატესობაა, ვერავინ იტყვის, რომ ლევერკუზენი წყვილის აშკარა ფავორიტია. მანჩესტერი „ასპირინის“ ქალაქში მოსაგებად ჩავა, მოგებული დაბრუნდება თუ წაგებული, ეს კლაუს ტოპმიოლერსა და მის ბიჭებზეა დამოკიდებული. თამაშის შემდეგ ალექს ფერგიუსონმა აღნიშნა, რომ ფინალში გასვლის შანსები ორივე გუნდს თანაბარი აქვს და „ლევერკუზენის“ ფავორიტობაზე საუბარი ნაადრევია. სერ ალექსმა ისიც კი გაიხსენა, რომ სამი წლის წინ მისი გუნდი ლიგის ნახევარფინალში სწორედ „ოლდ ტრეფორდზე“ დაუზავდა „იუვენტუსს“ და სტუმრად მოუგო. პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელი რუუდ ვან ნისტელროოი კი ტრაბახობდა — „იუნაიტედის“ რეალურ ძალას გერმანელები საკუთარ „ბაიერ არენაზე“ გამოცდიანო. ფინალისტის ვინაობა „ბაიერ არენაზე“ ოთხშაბათს გადაწყდება. თუ „მანჩესტერმა“ ლევერკუზენში მოახერხა ის, რაც საკუთარ სტადიონზე ვერ შეძლო, ახდება მილიონობით გულშემატკივრის ოცნება — 15 მაისს გლაზგოში „რეალისა“ და „მანჩესტერის“ სახით თანამედროვე ფეხბურთის ორი საკლუბო გრანდი წარდგება ერთმანეთის პირისპირ, ხოლო თუ ტოპმიოლერის ბიჭებმა შინაც ისე ითამაშეს, როგორც ინგლისში, „ასპირინი“ ალბათ მთელ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული წამალი გახდება...

„ბაიერი“ კობიაშვილით დაინტერესდა

ლევან კობიაშვილი დღეს ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელთაგანია. 17 წლისამ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისური და მას შემდეგ „შინდისფერი“ გუნდი მის გარეშე წარმოუდგენელია. „კობი“ თანაგუნდელთათვის საიმედო დასაყრდენია. კობიაშვილს თავიდანვე დაადგეს თვალი ცნობილმა ევროპულმა კლუბებმა — ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ (რომელსაც მაშინ „ბაიერნის“ დღევანდელი მწვრთნელი ჰიტცფელდი წვრთნიდა), კიევის „დინამომ“, „ტოტენჰემმა“ და „ვესტ ჰემმა“. მიუხედავად ამისა, „დინამოს“ ხელმძღვანელებმა, 1997 წელს „ალანიაში“ განათხოვრებული ქართველი მოულოდნელად გაცილებით უსახელო „ფრაიბურგში“ გაყიდეს. თუმცა დრომ ცხადყო, რომ ეს ნაბიჯი გაუმართლებელი არ ყოფილა, რადგან საქართველოსა და თუნდაც რუსეთის ჩემპიონატის შემდეგ ძნელია ევროპულ გრანდში დამკვიდრება. მაგალითად, ალექსიძის „ჩელსის“ რეზერვში უიმედო ჩარჩენაც იკმარებს.

საშუალო დონის გერმანულ კლუბში ქართველი ახალგაზრდა ტაქტიკურად, ფიზიკურად და მორალურად გაუშინაურდა ევროპულ ფეხბურთს, დაოსტატდა და სპეციალისტების პატივისცემაც დაიმსახურა. დასტურად ცნობილი სპორტული გამოცემა „კიკერის“ შარშანდელი გამოკითხვაც გამოდგება — „ბუნდესლიგის საუკეთესო მარცხენა ჰავბეკებს შორის „ბაიერნელ“ ბიქსენტ ლიზარაზუს შემდეგ, ქართველი მეორე ადგილზე დაასახელეს. წლეულს კი ლევანმა „ფრაიბურგის“ კაპიტნის სამკლაური მოირგო — ასეთი პატივი გერმანიაში უცხოელებს იშვიათად ერგებათ.

ახლა კობიაშვილის „ფრაიბურგს“ ძლიერ უჭირს, მაგრამ ეს მის სახელს არ ამცირებს. პირიქით, გერმანიის მოწინავე კლუბებმა იციან, რომ „ფრაიბურგს“ ბუნდესლიგაში დარჩენის მეტად მცირე შანსი დარჩა, ქართველსაც გული არ უჩერდება და დაიწყო მასთან მოლაპარაკებათა დამღლელი პროცესი, რომელსაც შარშან „ფიორენტინა“ გამოეთიშა.

... ლევანთან ჩვენი საუბრის ძირითადი თემა სწორედ მისი მომავალი და „ფრაიბურგის“ გადარჩენა იყო. ლევანი ბუნდესლიგაში დარჩენის იმედს არ კარგავს:

— „კაიზერსლაუტერნთან“ მოგებამ შანსი შეგვინარჩუნა. ალბათ, უკვე დროც არის, კონცენტრაცია მოვახდინოთ და ორი ურთულესი შეხვედრა საჩვენოდ დავასრულოთ. „კაიზერთან“ მოგებამ შარშანდელი, ძლიერი „ფრაიბურგი“ გამახსენა. მოგებამ გუნდში უდიდესი იმედები გააღვიძა.

— თავად თუ ახერხებ კონცენტრირებას?

— რატომ ვერ უნდა ვახერხებდე?..

— შენ თქვი, რომ „ფრაიბურგს“ ტოვებ. ასეთ დროს კი მოთამაშე ჯანმრთელობას, ანუ ფეხებს უფრთხილდება, მომავალი კონტრაქტი რომ არ ჩაეშალოს...

— რა თქმა უნდა, ამაზე ყველა ფეხბურთელი ფიქრობს, მაგრამ მე ოთხი წელი ვითამაშე „ფრაიბურგში“ და მოდუნების, ზერელე თამაშის უფლება არ მაქვს. ფრაიბურგელებისგან სითბოსა და სიყვარულის გარდა, არაფერი მახსოვს და ფეხების გაფრთხილება ჩემი მხრივ, უზნეობა იქნებოდა... გერმანელებმა ოთხი წლის განმავლობაში ფეხბურთელად ჩამომაყალიბეს და სიყვარულს სიყვარულითვე ვუპასუხებ. ერთი სიტყვით, ტყუილად ფიქრობთ, რომ „ფრაიბურგის“ მომავალი არ მადარდებს. ამ წუთში ტრანსფერზე სულაც არ ვფიქრობ. ახლა ჩემთვის უმთავრესია გუნდის ინტერესი და მხოლოდ შემდეგ ჩემი გადასვლა.

— რამ გამოიწვია „ფრაიბურგის“ წლევანდელი წარუმატებლობა?

— წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებმა, ამასთან, კელი „ბორუსიაში“ გადავიდა და გაგვიჭირდა. „ფრაიბურგი“ კი ისეთი მდიდარი კლუბი არ არის, რომ უცებ მოუნახოს დაშავებულებს შემცვლელი. ორი კაცის ტრავმითაც გუნდს ძალა აკლდება და ასე ძალაგამოცლილებმა ჩავატარეთ სეზონი.

— „ფრაიბურგის“ კაპიტნად აგირჩიეს თუ დაგნიშნეს?

— ზოგიერთი კლუბისგან განსხვავებით, ჩვენთან კაპიტანს მთელი გუნდი ირჩევს. მოხდა ისე, რომ „ფრაიბურგის“ კაპიტანი, მეკარე გოლცი დაშავდა და ფეხბურთელებმა კაპიტნად ამირჩიეს (იცინის), თანაც, გუნდში ხუთი ქართველი ვართ და მათი ხმებიც დამეხმარა. ეს ხუმრობით, სინამდვილეში კი, თავადაც ხვდებით, რომ მეგობრობით კაცს კაპიტნად ვერ აირჩევ.

— მართალია, ახლა ტრანსფერზე ლაპარაკი არ გსიამოვნებს, მაგრამ ამ თემას გვერდს ვერ ავუქცევთ. იყო თუ არა „ბაიერნში“ შენი გადასვლა რეალური?

— ამ წუთში „ბაიერნის“ ვარიანტს გამოვრიცხავ. მიუნხენელები შარშან ზაფხულში მართლაც მიწვევდნენ და კონტრაქტზე ჩემი ხელმოწერაღა აკლდათ. თუმცა, „ფრაიბურგმა“ არ გამიშვა. წლეულს კი მოლაპარაკება აღარ განახლებულა.

— „ინტერთან“ მოლაპარაკებაც მოგონილია?

— მოგონილი არ არის, ესეც რეალური იყო, მაგრამ ამჟამად მე სულ სხვა ვარიანტზე ვფიქრობ.

— იტალიელებთან მოლაპარაკება როდის დაიწყე?

— სამი თვის წინ, თუმცა ვიმეორებ, ახალ სეზონს სხვა გუნდში შევხვდები. დიდი სურვილი მაქვს, სახელიან, ჩემპიონთა ლიგაში გასულ კლუბში ვითამაშო. აბა, „ფრაიბურგისნაირში“ ყოფნა რომ მინდოდეს, აქედან არსადაც არ წავიდოდი... რამდენიმე საინტერესო წინადადება ბუნდესლიგის წამყვანი კლუბებიდანაც მივიღე. ამჯერად შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ საბოლოოდ გადავწყვიტე ბუნდესლიგაში დარჩენა.

— რატომ არ აკონკრეტებ კლუბს?

— როცა კონტრაქტს ხელს მოვაწერ, მერე ღირს ამაზე საუბარი. წინასწარ მეც არ ვიცი, სამი გუნდიდან საბოლოოდ რომელს ავირჩევ, სად მიღირს გადასვლა...

P.S. ჩვენი საუბრის შემდეგ, ზემოთ ნახსენებმა „კიკერმა“ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა: ლევერკუზენის „ბაიერის“ მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა საჯაროდ განაცხადა, რომ მისი ყურადღება „ფრაიბურგის“ 23 წლის ქართველმა მიიქცია.

„ფრაიბურგის“ მწვრთნელი, ფოლკერ ფინკე კი იმედოვნებს, რომ ქართველს შეინარჩუნებს:

— კობიაშვილი ძლიერი ფეხბურთელია და ვეცდები, გადავარწმუნო და კლუბში დავტოვო. თუ მაინც დააპირებს კონტრაქტის გაწყვეტას, მაშინ მოგვიწევს „ბაიერთან“ მოლაპარაკება.

უფრო გულახდილი „ფრაიბურგის“ მენეჯერი, ბორნემანი აღმოჩნდა:

— „ბაიერის“ გარდა კობიაშვილით ბერლინის „ჰერტას“ ხელმძღვანელობა დაინტერესდა, თუმცა ჩვენთვის ჯერ ოფიციალური წინადადებით არც ერთ მათგანს არ მოუმართავს. ასეც რომ მოხდეს, ჩვენ არ გვსურს ქართველი ფეხბურთელის გაშვება. კობიაშვილზე ვამყარებთ მომავალ იმედებს და ვაპირებთ გაუმჯობესებული კონტრაქტით დარჩენაზე დავითანხმოთ.

ლევანი „კიკერთანაც“ სიტყვაძვირობს:

— ამჟამად „ფრაიბურგის“ გადარჩენა ჩემი მთავარი საზრუნავია და ჩემს დღის წესრიგში ტრანსფერი არ დგას.

თუმცა „კობი“ საიდუმლოს არ ამხელს, მაგრამ მისი მომავალი კლუბის სახელი მაინც მალე გაცხადდება. ლოგიკით კი იგი სწორედ ლევერკუზენის „ბაიერი“ უნდა იყოს — ჩემპიონთა ლიგის საგზურდაბევებული, სახელიანი, ანუ ლევანის საოცნებო გერმანული კლუბი.

ლაშა დუმბაძე

საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ). წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მd7-f6!

თეთრები იწყებენ და აცხადებენ შამათს **სამ** სვლაში.



მსოფლიო სპორტი
ფასი 20 თეთრი
ყოველ ორშაბათს სამშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და კვირას
სპორტული გაზეთი ტოტალიზატორის მოყვარულთათვის და არა მარტო მათთვის
უახლესი სპორტული ინფორმაცია, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებისა და ჩემპიონთა ლიგის შედეგები და მიმოხილვა, სტატისტიკა, ტოტალიზატორების კოეფიციენტები, ცხრილები, ინტერვიუები, კურიოზები, სპორტული კროსვორდები, მთელი კვირის სპორტული TV პროგრამა, ფერადი პლაკატი და სხვ.
ინფორმაცია ჩვენი, წარმატება თქვენი!

ძველ სვიტერშიც და სუპერკაბაშიც ბლანშეტი შესანიშნავად გამოიყურება

1997 წელს ინდოელი რეჟისორი შექჰარ კაპური ჰოლივუდში იყო მიწვეული ფილმის „ელისაბედი“ გადასაღებად. იგი დიდხანს ეძებდა მთავარი როლის შემსრულებელს, მაგრამ ვერც ამერიკაში და ვერც ნისლიან ალბიონზე ვერ იპოვა.

ავსტრალიაში ფილმის დირექტორი ვანესა პერეირა წააწყდა შესანიშნავ თეატრალურ მსახიობს, მაგრამ კაპურს არ სურდა მის სანახავად ამხელა გზაზე წასვლა. მხოლოდ მაშინ, როცა შემთხვევით ნახა კინოთეატრში მელოდრამის სარეკლამო რგოლი „ოსკარი და ლუსინდა“, მიხვდა, რომ იპოვა ის, ვისაც ამდენ ხანს ეძებდა.

ალმოჩნდა, რომ მთელი ნახევარი წელი



ვანესა სწორედ ამ მსახიობის — **ქეით ბლანშეტის** მოწვევას სთავაზობდა.

ქეითის მამა ამერიკელი საზღვაო ოფიცერი იყო, რომელმაც ცოლად ავსტრალიელი ქალი შეირთო, მიატოვა სამსახური და მწვანე კონტინენტზე გადასახლდა. ის ადრე გარდაიცვალა და ცოლი, სამ ბავშვთან ერთად, მარტო დარჩა.

კოლეჯში ქეითი მოყვარულთა სპექტაკლებს დგამდა, მაგრამ არც სცენაზე და არც ეკრანზე ამ დროს არ ფიქრობდა. მას უფრო ეკონომიკა და არქიტექტურა აინტერესებდა. კოლეჯის დამთავრების შემდეგ ქეითმა ცხოვრების შემდგომი ეტაპის დაწყებამდე დასვენება გადაწყვიტა და სამოგზაუროდ გაემგზავრა ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ეგვიპტეში ყოფნისას სრულიად შემთხვევით შესთავაზეს მასობრივ სცენაში გადაღება. ისიც დათანხმდა, მაგრამ გადაღების დამთავრების შემდეგ წავიდა ისე, რომ არც დაუცდია ჰონორარისთვის. ავსტრალიაში დაბრუნების შემდეგ ჩააბარა უნივერსიტეტში და აი, მაშინ მოულოდნელად მიხვდა, რომ მისი ადგილი სცენაზე იყო...

1992 წელს, ავსტრალიის უნივერსიტეტის დრამატული ხელოვნების ნაციონალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მან მიიღო პირველი ჯილდო სიდნეის თეატრალურ კრიტიკოსთა ასოციაციისაგან — საუკეთესო დებიუტისთვის წარმოდგენაში „კაფკა ცეკვავს“. იმავე წელს სპექტაკლში „ოლეანა“ მისი როლი საუკეთესოდ აღიარეს. ამას მოჰყვა ოფელია „ჰამლეტში“, მირანდა — „ბურეში“ და ა.შ. და ყველა მისმა ნაშრომმა დაიმსახურა კრიტიკოსთა უმაღლესი შეფასება.

მალე პროდიუსერებმა ის ტელესერიალებშიც მიიწვიეს...

ორი წლის შემდეგ ბლანშეტი მსოფლიო კინომ გაიცნო...

ქეით ბლანშეტს შეუძლია ჩაიცვას ძველი, ფორმადაკარგული სვიტერი ან უკანასკნელი მოდის კაბა და ორივე საოცრად მოიხდინოს. შეიძლება ესეც იყოს მისი წარმატებების მიზეზიც.

ქეითი 1997 წელს გათხოვდა. მისი რჩეულია — სცენარისტი ენდრიუ აპტონი.

— ჩემი ქმარი, ძალიან მიწიერი ადამიანია, — თქვა მან ერთ-ერთ ინტერვიუში, — ჩვენ მისი წყალობით, სამსახურის გარდაც გვაქვს ცხოვრება. მე ის შემიყვარდა, როცა ნინა ზარეჩნაიას როლს ვთამაშობდი ჩეხოვის „თოლიაში“. მაშინ ცხოვრებაში ძალიან ბედნიერი ვიყავი, სცენაზე კი ყოველ საღამოს დამსხვრეულ სიყვარულს განვასახიერებდი... დღემდე არ მჯერა ჩემი ბედისა.

იქნებ ქეითის და ენდრიუს ქორწინება იმიტომ არის მყარი, რომ ისინი ვერ ასწრებენ თავი მოაბეზრონ ერთმანეთს...

ტვ პარკი №16

ვერ ვაიძულებ თავს, ვკოცნო სხვა ქალი, ცოლის გარდა

ფრანგებმა „ათასწლეულის ფრანგული კინოს მთავარ მსახიობად“, ანუ პირველ კინოვარსკვლავად დაასახელეს არა ალენ დელონი, ჟან-პოლ ბელმონდო ან ჟერარ დეპარდიე, არამედ... ფილიპ ნუარე. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ნუარესთან.

— ბატონო ნუარე, როგორ შეხვდით ქალთა პოპულარული ჟურნალის „ელეს“ გარეკანზე თქვენი პორტრეტის გამოქვეყნებას?

— სიამოვნებით. ძალიან მიყვარს ქალები. უიმათოდ არც ხელოვნება და არც ცხოვრება არ არსებობს. ჩემი მეუღლე მონიკა 1967 წელს გავიცანი. მას შემდეგ ჩვენ განუყრელნი ვართ. ჩემ გამო მონიკამ უარი თქვა მსახიობის კარიერაზე. ჯერ ჩვენი ქალიშვილი აღზარდა, შემდეგ მე დამყვებოდა გადაღებებზე და გასტროლებზე, მოგვიანებით კი შვილიშვილის აღზრდას შეუდგა. როცა ვმუშაობ — კინოში მიღებენ თუ თეატრში ვთამაშობ, — ყოველთვის ვიცი, რომ ყველაფერი საუკეთესოდ უნდა გავაკეთო, უნდა გავამართლო ის ნდობა, რომელიც მონიკას აქვს ჩემ მიმართ.

— თქვენზე ამბობენ, რაც არ უნდა აკეთოს, ცდილობს, ყველაფერი სიყვარულით გააკეთოსო. მართალია?

— სიცოცხლის სიყვარული ჩემმა პედაგოგებმა მასწავლეს. მათ შორის პირველი იყო მამაჩემი, პიერ ნუარე — საოცრად ელეგანტური კაცი. რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერი კარგად და ლამაზად გამოსდიოდა. მის მეტყველებასაც კი საოცარი სურნელი ჰქონდა. ჩემი მეორე პედაგოგი გახლდათ ჟან ვილარი — დიდი რეჟისორი და დიდი გულის ადამიანი. მან მსახიობის ხელოვნება მასწავლა, დიდი თეატრალური ოჯახის წევრად მაქცია. ჩემი მესამე მამა და ნათლია — ჟან გაბენია. გოლიათმა ჟანმა მასწავლა მოძრაობა ისე, რომ არ მეგრძნო სიმძიმე.

— არ მოგწონთ თქვენი გარეგნობა?

— თეატრში ახალმისულს რატომღაც მხოლოდ მოხუცების როლებს მაძლევდნენ. თავიდან ძალიან ვბრაზობდი — რატომ ანდობენ ჩემს მეგობარ ჟერარ ფილიპს ყმაწვილების როლებს, მე კი არა-მეთქი. მოგვიანებით, ჩემი გამოსახულება დავიჭირე სარკეში და ყველაფერს მივხვდი. წლების შემდეგ, როცა ნაოჭები და ჭაღარა მომეძალა, კინოსა და თეატრში ისე ვიგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში.

— და მაინც, თქვენს პატივსაცემად გამოიყვანეს ვარდის ახალი ჯიში. რით ხსნით თქვენს პოპულარობას სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის?

— შესაძლოა იმით, რომ აღნაგობით დიდი ვარ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სანდო, კეთილი და მშვიდი გახლავართ. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ არასოდეს მითამაშია უარყოფითი გმირები...

— თქვენმა ელეგანტურობამ, კარგმა მანერებმა, ჩაცმის სტილმა და გემოვნებამ, თავსარქმლის ტარების მანერამ ხომ არ ითამაშა დიდი როლი?

— ჩემი თავსარქმელი ყოველთვის ძველმოდურია, მაგრამ ძალზე ეფექტური. რაც შეეხება ფეხსაცმელს, გაცილებით მეტია ჩემს გარდერობში, ვიდრე დღეების რაოდენობა წელიწადში. ძალიან მიყვარს ხელთათმანი, თანაც ღილიანი და რბილი ტყავისა. მომწონს კარგად გამოქნილი ტყავი — რა შესანიშნავი სურნელი აქვს.

— პროფესიის გარდა კიდევ რა გაინტერესებთ — პოლიტიკა, კრიტიკა, ჰონორარები?

— პოლიტიკა არ მაინტერესებს, მით უფრო პოლიტიკოსები, არ მჯერა მათი. ჩემს სამოთხეს კარკასონში, სადაც წელიწადში 6 თვეს ვატარებ და ცხენებს ვამრავლებ, რეპორტიორი ვერ მოეკარება. რაც შეეხება ჰონორარს, იგი უშუალოდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ ვინ არის შენი პარტნიორი ფილმში. როგორც ცნობილია, უნდა იცოდე მეგობრის არჩევა. როგორც ჩემი მეგობარი, ცნობილი მსახიობი ჟან როშფორი ამბობს: „უკვე დიდი ხანია გავცდი იმ ასაკს, როცა ჩემი პარტნიორები შეიძლება იყვნენ მსახიობები, ვისაც ცოტას უხდიან“.

— ბევრი მეგობარი გყავთ?

— ძალიან ცოტა, ყველა ჩემი მეგობარი ჩემი კოლეგაა. მეგობრობაში, ისევე როგორც სიყვარულში, ძალიან ერთგული ვარ.

— გიყვართ გადაღებები?

— ვგიჟდები! კინო — მსოფლიოში ყველაზე კატორღული ხელობაა. თუ მოჰკიდე ამ ხელობას ხელი, სიამოვნებით უნდა აკეთო. ჟან რენუარი, ეს უდიდესი რეჟისორი ყოველთვის, როცა იძლეოდა ბრძანებას: „მოტორი!“ — ქუდს იხდიდა. ვფიქრობ, მართალი ბრძანდებოდა.

— კიდევ რა გიყვართ?

— არაფრის კეთება. ნახევარი წელი ვმუშაობ, ხოლო მეორე ნახევარს ვატარებ ფერმაში, სამხრეთ საფრანგეთში. იტალიელებმა მასწავლეს — ყველაფერი გემოვნებით უნდა აკეთოო. მათთვის ეს მთელი ფილოსოფიაა, რომელსაც „ფარნიენტე“ ჰქვია: საუზმე ტერასაზე, დილის გაზეთის გადათვალიერება, ძაღლის გასეირნება, შემდეგ ცხენით ჯირითი, აუზში ჭყუმპალაობა... ამასობაში დღეც მიიწურება და შეიძლება საწოლშიც ინებივრო საყვარელ რომანთან ერთად.

— ყველაზე მეტად თურმე სამიჯნურო სცენებში თამაში გიჭირთ. ნამდვილად არ მჯერა...

— ასეა და რას ვიზამთ? ვერ ვაიძულებ თავს, ვკოცნო სხვა ქალი, ცოლის გარდა. არა იმიტომ, რომ მეშინია ქალების ან არ ვაფასებ მათ, უბრალოდ, ჩემი მონიკა თავდავიწყებით მიყვარს...



— და, არასოდეს გქონიათ სხვა რომანი?

— არასოდეს! არც მიფიქრია ამაზე და იცით, რას გეტყვით, შეიძლება რომ მეფიქრა კიდეც, არაფერი გამომსვლოდა.

— ეს ქრისტიანული აღზრდის დამსახურებაა?

— შესაძლოა, ასეც იყოს. ბავშვობაში ყოველ კვირა ეკლესიაში ბიჭების გუნდში ვმღეროდი. მთელი სიცოცხლე ვცდილობდი, არ დამერღვია ქრისტიანული მცნებები.

ფიგარო მადამი

მოზაიკა.მოზაიკა.მოზაიკა.მოზაიკა.მოზაიკა.მოზაიკა.

*** მაყურებელთა საყვარელმა გმირმა, ალქაჯმა **ნიკიტამ — პეტა უილსონმა** ბედნიერად მოილოგინა და თავის მეგობარს დემიან პარისს ულამაზესი ვაჟი აჩუქა. უნდა მოგახსენოთ, რომ პეტას ახლობლებსა და თაყვანისმცემლებს თავიდან გაუჭირდათ ბავშვის მამის დადგენა. შეგახსენებთ, რომ მის უილსონს რომანი ჰქონდა დემიან პარისთან, მაგრამ შარშან ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, რადგან პეტა ვერ ახერხებდა სიყვარულისა და კარიერის შეთავსებას. ამის შემდეგ უილსონი რამდენჯერმე ნახეს პაპარაცებმა რასელ ქროუსთან ერთად. მაგრამ მოხდა ისე, რომ რუსეთში მოგზაურობის დროს მის უილსონმა რატომღაც ისევ პარისი გაიყოლა. ეტყობა, ძველმა გრძნობამ ახალი ძალით იფეთქა და...

***ჰოლივუდის ცნობილი მექალთანის და სექს-სიმბოლოს **ჯორჯ კლუნის** ახალი სატრფო ჩვეულებრივ მოკვდავთა წრიდანაა. 27 წლის მომხიბლავი ოფიციანტი მარია ბერტრანი ჯორჯმა მონრეალში, ერთ-ერთ რესტორანში გაიცნო. გოგონამ ისე მოხიბლა კლუნი, რომ როლი შესთავაზა მომავალ ფილმში. რა თქმა უნდა, მარია უარს არ ეტყოდა ვარსკვლავს „მსახიობობაზე“, მით უფრო, რომ მას პარტნიორობას გაუწევენ ჯულია რობერთსი, ბრედ პიტი, დრიუ ბერიმორი და მეთ დეიმონი.

***ჰოლივუდის პრინცესის, **ჯულია რობერთსის** პირადმა მდივანმა ჯულიას ამჟამინდელი სატრფოს დენი მოდერას მეუღლეს, ვერას შესთავაზა 100 000 დოლარის საფასურად ხელი მოეწერა განქორწინების ქაღალდზე, მაგრამ მან ცივი უარი განაცხადა...

აირზენა საქართველოს ავიახაზები

ავიაკომპანია „აირზენა საქართველოს ავიახაზები“
გთავაზობთ ახალ რეისებს:

პარიზი A9-627 – ორშაბათი (გაფრენა 05:50 სთ)
ვენა OS/A9-654 – სამშაბათი (გაფრენა 05:45 სთ)
ლარნაკა – სამშაბათი (გაფრენა 23:10 სთ)
ვენა A9/OS-681 – ხუთშაბათი (გაფრენა 08:00 სთ)
პარიზი A9-627 – პარასკევი (გაფრენა 05:50 სთ)
ვენა OS/A9-654 – შაბათი (გაფრენა 05:45 სთ)
ვენა A9/OS-681 – კვირა (გაფრენა 08:00 სთ)

და ამ ქალაქების გავლით მოგზაურობას მსოფლიოს 200 ქალაქში

„აირზენა საქართველოს ავიახაზები — როიალ ტური“ გეპატიჟებათ პარიზში, ვენაში, რომში, ათენსა და ლარნაკაში ტურისტული და ბიზნესტურებით. ფასი 800 აშშ დოლარიდან (ექვივალენტი ლარებში). მომსახურებაში შედის: მგზავრობა, სასტუმრო, ვიზა და დაზღვევა.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: ტელ: 387 103, ფაქსი: 940 782
ქ. შარტავას ქ. 40, თბილისი 380060, საქართველო
იფრინეთ ჩვენთან ერთად!
„აირზენა საქართველოს ავიახაზები – როიალ ტური“

CMYK

ოჰ, ეს ბებრები!

ქურდს ასაკი ვერ დააბრკოლებს. ერთმა ფლორიდელმა ართრიტით დაავადებულმა 65 წლის ქალბატონმა სასამართლოზე აღიარა — ჯიბის ქურდების ბანდა შევქმენი, რომელიც მთელ ფლორიდაში დათარეშობდა და რამდენიმე ასეული ათასი დოლარიც ავწაპნეთ პირდაღებულ ფლორიდელებსო.

ერნესტინ უილიამსს, 12 შვილის დედას და უამრავი შვილიშვილის პატრონს 15-კაციანი ჯიბგირების ბანდა ჰყავდა. მოხუცის აღსაზრდელები იმ მაღაზიებში დაძრწოდნენ, რომლებიც ხანდაზმულებს ემსახურებიან. ბებია ერნესტინის დარიგებისამებრ, ხანდაზმულებს უფრო იოლად ასწაპნით საკრედიტო ბარათებსო, — ნორჩი ჯიბგირები პირწმინდად უსუფთავებდნენ ჯიბეებს კლიენტებს. ერნესტინი დიდხანს დაუსჯელად დაპარპაშობდა — ვინ მიიტანდა ეჭვს, რომ ინვალიდი, სავარძელს მიჯაჭვული ჯიბგირებისა და თაღლითების მეთაური იყო?

სუპერპატრიოტი. ერთმა 77 წლის ინგლისელმა პენსიონერმა, მეტად კანონმორჩილმა მოქალაქემ, უწყება მიიღო — ადმინისტრაციული ჯარიმა — 150 გირვანქა სტერლინგი უნდა გადაეხადა. მოხუცი შესაბამის კანტორას მიადგა და სწორედ იქ წააწყდა წინააღმდეგობას: კანტორის მოსამსახურეებმა ცივი უარი თქვეს მოხუცის ანკეტის მიღებაზე — ანკეტის გრაფაში — „ეროვნება“ პენსიონერმა სიამაყის გრძნობით ჩაწერა — „ინგლისელი“. კანტორის თანამშრომლის წინადადებამ — გრაფაში „ბრიტანელი“ ჩაწერეთო (როგორც დამკვიდრებულია ქვეყანაში), პენსიონერი საშინლად განარისხა და გაბრაზებულმა კარი გაიჯახუნა. ცხადია, ჯარიმა არ გადაიხადა, ხოლო მეორე უწყება ნაკუწებად აქცია. სასამართლომ პენსიონერს 7-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა „ეროვნული სიჯიუტისათვის“.

მოხუცი ვალში არ დარჩენილა და მრისხანედ განაცხადა, — სწორედ ინგლისელი ვარ, ბრიტანელობას არამც და არამც არ ვაპირებო და ამაყად შეაბიჯა საპატიმრო საკანში.

ასი წლის სატირი. იტალიის ქალაქ კიეტში შედგა სასამართლო, რომელზეც იხილებოდა განქორწინების საკითხი. გაყრა მოინდომა ცოლმა, რომელმაც განაცხადა, რომ ველარ უძლებდა მეუღლის სექსუალურ მადას და მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა, ქმარი მას ძალით იმორჩილებდა და ეს ხდებოდა ყოველდღიურად, დღეში რამდენიმეჯერ.

ამ სიტუაციაში უჩვეულო თითქოს არაფერია, ვინაიდან იტალიელები ცნობილნი არიან ტემპერამენტით, რომ არა ბრალდებული ქმრის ასაკი. მოპასუხე ჯუზეპე სანტორინი უკვე... 94 წლისაა. ერთი წლის წინ ქვრივმა ჯუზეპემ საქორწინო სააგენტოს დახმარებით ცოლად შეირთო 52 წლის ბელორუსი ნატალი. ქალს გაღატაკებულ ბელორუსში მათხოვრობას იტალიაში გათხოვება ერჩივნა, მიუხედავად საქმროს ასაკისა. იმედოვნებდა, მისი სიკვდილის შემდეგ ქმრის პენსია და სახლი დამრჩებაო. მაგრამ ჯუზეპე სიკვდილს არ აპირებდა და ისეთი სასიცოცხლო ენერგია გამოამჟღავნა, რომ ქალმა ველარ გაუძლო ამ მოხუცი სატირის სექსუალურ იერიშს. თავად ჯუზეპეს კი უკვირს, რა დააშავა და ყველაფერი ნორმალურად მიაჩნია. ის ამბობს, რომ ყოველთვის წესიერ ცხოვრებას ეწეოდა, ღმერთმა ამისთვის დააჯილდოვა, იმპოტენციისაგან იხსნა და ახალგაზრდული ცეცხლი შეუნარჩუნა. ჯუზეპემ სთხოვა სასამართლოს, ოღონდ ცოლს არ გამყაროთ და თავს როგორმე დავიოკებო, მაგრამ მისი თხოვნა ყურად არ იღეს.

ჩიტის მოტანილი ამბები

აფერუმ, ქალებო! 47 წლის ბრაზილიელმა ალისა ორგილეს ნავარადა დუ სენგეირომ 28 ბავშვი გააჩინა, თანაც არც ერთი არ დაღუპვია.

არგენტინელმა მარია ოლივეირემ 32 ბავშვი შობა, სამი მშობიარობის დროს დაეღუპა.

ჩილელ ლეონტინა ალბინუს მართალია, 55 ბავშვი შეეძინა, მაგრამ მშობიარობისას დაეღუპა ცხრა, ექვსმა ვერ მიაღწია სამ წლამდე — მიწისძვრას შეეწირნენ.



ნაყოფიერებით მსოფლიოში ვერავინ შეედრება რუს ფეოდორ ვასილევის მეუღლეს. მან 1725-1765 წლებში 27-ჯერ იმშობიარა — 16-ჯერ გააჩინა ტყუპი, 7 ჯერ — სამ-სამი და 4-ჯერ — ოთხ-ოთხი. 1782 წლის 27 თებერვალს ქალი გარდაიცვალა. მოძღვარმა ქვრივს დასახმარებლად მორჩილი გაუგზავნა. ფეოდორი ძალიან გაახარა თანადგომამ, ისე გაყოჩაღდა, რომ 76 წლისამ 40 წლის „ახალგაზრდა“ ქალი შეირთო და კიდევ 3 შვილი ეყოლა. მეორე ცოლს 4 შვილი მოჰყვა. ასე რომ, ოჯახში 76-მა ადამიანმა მოიყარა თავი. 74-მა ღრმა სიბერემდე იცოცხლა.

ყველაზე, ყველაზე. ზოგიერთი ადამიანის უსაყვარლესი გასართობია ჭამა. ისინი სიცოცხლის დიდ ნაწილს ჭამას ანდომებენ და ამის გარდა სხვა არაფერი ემარჯვებათ. გულახდილად რომ ვთქვათ, არც სურთ სხვა რამის კეთება.

1997 წელს ლონდონის რესტორნის „გავროშის“ სამმა შეძლებულმა და მუდმივმა კლიენტმა 20. 945 დოლარი დახარჯა. საჭმელს, სიგარეტს და სპირტიან სასმელებს 1.697 დოლარი მოახმარეს, დანარჩენი, 19.248 დოლარით კი 6 ბოთლი საკოლექციო ღვინო იგემეს. ეს არ გახლავთ რეკორდული დანახარჯი. 1787 წლის სოტერნი „შატო დ'იკემი“ არც მეტი, არც ნაკლები — 64.000 დოლარი ღირს ბოთლი. მასთან შედარებით 60-წლიანი ვისკი „მაკკალანი“ იაფფასიანი რახი გეგონებათ — 1996 წელს ამ ვისკის ერთი ბოთლი აუქციონზე „სულ“ 24 600 დოლარად გაიყიდა.

ყველაზე მაგარ ალკოჰოლურ სასმელად დღემდე ითვლება 98-გრადუსიანი სპირტიანი სასმელი, რომელსაც XXს.-ის 30-იან წლებში ესტონეთში ხდიდნენ. ბრიტანულ „ბაზსუპერში“ მხოლოდ 23 გრადუსია, თუმცა იგი ყველაზე მაგარ ლუდად ითვლება.

ყველაზე დიდი გოგრა 1999 წელს მოიყვანა ამერიკელმა ჯერი ჩეკონმა. იგი 513 კგ-ს იწონიდა და სურვილისამებრ, კაცი მასში პატარა ბინასაც მოიწყობდა.

ყველაზე დიდი ბლინი 1994 წელს გამოაცხვეს დიდ ბრიტანეთში, კოოპერატიული მოძრაობის 150-ე წლისთავზე. ბლინი 3 ტონას იწონიდა, დიამეტრით 15 მ-ს აღწევდა, სიმაღლეში კი 2,5 მ-ს.

ყველაზე დიდი ძეხვი კანადაში, ონტარიოში გააკეთეს 1995 წელს. მისი სიგრძე 46 კმ-ს აღწევდა. ადგილობრივმა მარათონელებმა ძეხვის გასწვრივ სახუმარო გარბენი მოაწყვეს. გამარჯვებულმა, დიკ ტალდამმა ძეხვის თავიდან ბოლომდე მანძილი 2.15 სთ-ში დაფარა. ჯილდოდ ძეხვის ვეებერთელა ნაჭერი არგუნეს.

ყველაზე დიდი პიცა 1990 წელს ქალაქ ნორვუდში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამოაცხვეს — დიამეტრით 37,4 მ იყო. ყველაზე დიდი ფუნთუშა კი 1997 წელს გამოაცხვეს, ჩინეთის შემადგენლობაში ჰონკონგის დაბრუნების აღსანიშნავად. ფუნთუშა თითქმის 0,5 ტ.-ს იწონიდა.

ყველაზე დიდი პიტნის კარამელი დანიაში, ფაბრიკა BON BON-ში გააკეთეს 1994 წელს. კანფეტი 1370 კგ-ს იწონიდა — იქაური მსუნაგები თურმე 6 თვეს იტკბანურებდნენ პირს.

ბრიყვული პრემია

ნობელის პრემია რომ არსებობს, ყველამ იცის. თურმე ისეთი სამეცნიერო პრემიაც ყოფილა, რომელიც ძალიან ჰგავს სახელით ნობელის პრემიას, თუმცა არსი სულ სხვა აქვს. პრემიას იგნობელის პრემია ჰქვია, საფუძვლად ინგლისური სიტყვა IGNOBLE — „უბრალო“ დაედო.

ამ პრემიას ორიგინალური, უცნაური, ზოგჯერ კი ბრიყვული გამოგონებებისთვისაც ანიჭებენ. მაგ. ამერიკელებმა ჯოელ სლემროდმა და ვოიცეხ კოპჩუკმა დაადგინეს, რომ ადამიანებს შეუძლიათ სიცოცხლის გახანგრძლივება, თუკი ეს მათ ქონებაზე ბაჟს შეამცირებს. ავსტრალიელი ჯონ კეოპი კი ადგა და ბორბლის შექმნის ავტორობა დაიბრალა, პატენტიც გაიფორმა და ბორბლის გამოყენებისთვის ფული მოითხოვა — თურმე მანამდე არავის ჰქონია გაფორმებული ბორბალზე თავისი ავტორობა, ავსტრალიური საპატენტო სისტემა კი ამის საშუალებას იძლევა. ამერიკელმა ბაკ ვაიმერმა მათთვის, ვისაც მეტეორიზმი აწუხებს, აქტივირებული ნახშირისფილტრიანი ქვედა საცვალი გამოიგონა — ამბობენ, მეტად ეფექტური რამააო!

კალეიდოსკოპი №15

მეამბოხე იხვები

გერმანიის ქალაქ ნიბედეში 24 საათის მანძილზე სახელოებდაკაპიწებულები დასდევდნენ გარეულ იხვებს, რათა ადგილობრივი ადმინისტრაციის შეფის ბრძანება შეესრულებინა და ფრთოსნების უმსგავსი საქციელისთვის ბოლო მოეღოთ.

მკაცრი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც თბილი ქვეყნებიდან მოფრენილმა იხვებმა ადგილობრივი ღირსშესანიშნაობა — კოხტა ტბორი — დამყაყებულ ჭაობად აქციეს.

„ველურები“ დროებით უსახლკარო ძაღლების თავშესაფარში დაამწყვდიეს. იხვები იქაც თავხედობენ: გულის გამაწვრილებლად ვახვახებენ — ორცხობილას, წყალსა და სხვა სასუსნავს ითხოვენ. „სამმა იხვმა ერთ დღეში ავგიას თავლას დაამგვანა გალია. ამგვარ რამეს სამი კუჭაშლილი სენბერნარიც ვერ მოახერხებს“, — ჩივის თავშესაფრის დირექტორი.

სანამ სასამართლო გადაწყვეტს, რა უქნან სიმშვიდის დამრღვევებს, დირექტორი უზრდელი იხვების მოთვინიერებას ცდილობს. „სახელებიც კი დავარქვი, — მწარედ იღიმება იგი, — ერთს, განსაკუთრებით მსუნაგს, ლორმუცელა შევარქვი, მეორეს — ფეთხუმი, ყველაზე დიდსა და ოდნავ სიმპათიურს (მიუხედავად, თანდაყოლილი უზრდელობისა) ჰერტრუდა“.

ვოკრუგ სვეტა №16

მოწევა აღარ მოგინდება

თურქეთში ძალაში შევიდა ეკოლოგიის დაცვის შესახებ კანონი, რომელიც აკრძალულ ადგილებში სიგარეტის მოწევისათვის 500 დოლარით აჯარიმებს მოქალაქეებს. ახალი კანონით ისჯებიან ის კერძო პირები და ორგანიზაციებიც, რომლებიც დააბინძურებენ გარემოს საშიში ნივთიერებებით და მავნე ნარჩენებით. ამგვარი დანაშაულისთვის ჯარიმა 2 ათას დოლარს შეადგენს და ეს თანხა არითმეტიკული პროგრესიით გაიზრდება დაბინძურების ხარისხის შესაბამისად. მოქალაქეებს მოუწევთ გულდასმით გაეცნონ კანონს, რადგან შეიძლება ქუჩაში დაგდებულმა სიგარეტის ნამწვმა, მანქანიდან გადმოგდებულმა ქილამ ან ბოთლმა 500 დოლარით აზარალოს თურქები.

ეხო პლანეტი №2-3

ყურადღებამ ეგოისტი ტელეფონით დაშვრებოდა

მობილური ტელეფონის მფლობელები ბევრჯერ ჩავარდნილან უხერხულ მდგომარეობაში, როცა ტელეფონს დაურეკავს, მათ კი პასუხი ვერ გაუციათ — მაგალითად, თეატრში ან თათბირზე. დელიკატურმა იაპონელებმა გადაწყვიტეს გამოიგონონ ტელეფონი, რომელსაც უსიტყვოდ ესმის ყველაფერი — მობილური პატრონის ტუჩების მოძრაობით კითხულობს, რაც მას სურდა ეთქვა. ჟურნალი „ნიუ საუნტისტი“ წერს, რომ ტექნიკის სასწაული უკვე ახერხებს ხმოვნების გარჩევას, ახლა თანხმოვნების აღქმაზე მუშაობენ, მერე სიტყვებსა და წინადადებებს დაამუშავებენ. „გონიერი“ მობილურების ბოლომდე დამუშავებას ალბათ 4-5 წელი დასჭირდება.

ოგონიოკი №12

მატყუარა კიდევ უფრო გამჟღავნდება

მატყუარებისა და თაღლითების გამოსავლენად ყველაზე ეფექტურ ხელსაწყოდ დღემდე სიცრუის დეტექტორი ითვლებოდა. ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა შეძლო შეექმნა სითბური ვიდეოკამერა, რომელიც ტემპერატურის ოდნავ ცვლილებასაც კი აფიქსირებს თვალების ირგვლივ, კანზე, ე.წ. „T“ ზონაში“ — ორგანიზმის ამ რეაქციას ვერ აკონტროლებენ თვით ყველაზე „პროფესიონალი“ მატყუარებიც კი, როცა შეგნებულად ტყუიან. განსაკუთრებით ნიჭიერი მატყუარები ისე ამბობენ ტყუილს, რომ არც ღაწვები ეფაკლებათ და არც ყურის ბიბილოები უწითლდებათ. ისეთი დახელოვნებული თაღლითებიც არსებობენ, რომლებიც აკონტროლებენ თვალის გუგების სიდიდეს, პულსის სიხშირეს და კანის სინოტივესაც კი. მათ თვით „სიცრუის დეტექტორის“ მოტყუებაც კი შეუძლიათ, რამდენადაც ხელსაწყო სწორედ ამგვარ ფიზიოლოგიურ ცვლილებებზე რეაგირებს.

დღეს კი მატყუარებს ერთობ მცირე შანსი დარჩათ. როგორც ჟურნალი „ნეიჩური“ ირწმუნება, ახალი აპარატი შორი მანძილიდან აფიქსირებს კანის ტემპერატურის ცვალებადობას ცელსიუსის 0,025 გრადუსზე! ვიდეოკამერა უკვე გამოსცადეს ოც მოხალისეზე. ექსპერიმენტის ორგანიზატორებმა მათგან რვას დაავალა, ხანჯალი ჩაეცათ ზურგში მანეკენისათვის და გაეძარცვათ „მკვდარი მსხვერპლი“. შემდეგ თითოეულ მათგანს ჰკითხეს, მოიპარა თუ არა მან ფული. აპარატმა მკაფიოდ განსაზღვრა „დანაშაულის ჩამდენი“ ექვსი პირი, რომლებმაც იცრუეს. ამგვარად, აპარატის ეფექტურობამ შეადგინა 83%, წინააღმდეგ სიცრუის დეტექტორის 70%-ისა. გამოგონებას სხვა ღირსებებიც გააჩნია. მისი გამოყენება დილეტანტსაც შეუძლია — ეჭვმიტანილზე აპარატის უამრავი სადენით შეერთება. გარდა ამისა, კამერის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა მატყუარა ხალხის მასაში უნდა ამოვიცნოთ, მაგალითად, აეროპორტებში ან რკინიგზის სადგურებში. ამგვარად, უშიშროების სამსახურებს გაცილებით გაუადვილდებათ, ვთქვათ, ტერორისტის შეპყრობა. სიახლით უკვე დაინტერესდნენ მსოფლიოს აეროპორტთა უშიშროების სამსახურები.

ეხო პლანეტი №2-3

ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ფეოდორ დოსტოევსკის ფრაზას ამოიკითხავთ.

გ	ა	მ	ო	ი	წ	ე	რ	ე	თ	კ	ვ	ი	რ	ი	ს	პ	ა	ლ	ი	ტ	რ	ა
ე	გ	ლ	ე	ს	ა	ს	ნ	ა	ე	ი	ი	ნ	ი	ს	ე	დ	ც	ვ	ე	ა	ნ	ა

გ. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი; **ა.** ყაჩაღის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **მ.** რედიარდ კიპლინგის ნაწარმოები; **ო.** გუთნისდედის სიმღერა; **ი.** მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; **წ.** მსგავს საგანთა მწკრივი, რიგი; **ე.** რა ერქვა ჰემინგუეის; **რ.** რაიმე დაზიანებულის ან გაცვეთილის შეკეთება-აღდგენა; **ე.** კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ მთავარი პერსონაჟის გვარი; **თ.** მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას მტკიცების გზით ადგენენ; **კ.** აშშ-ის ველურ დასავლეთში ერთ დროს ყველაზე პოპულარული რევოლვერის მარკა; **ვ.** ალბერტ აინშტაინისა და შერლოკ ჰოლმსის საყვარელი მუსიკალური ინსტრუმენტი; **ი.** მგალობელი ფრინველი; **რ.** სპილენძის ძველი ქართული სახელწოდება; **ი.** მაყურებლისთვის განკუთვნილი სართული თეატრში; **ს.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **პ.** პარფიუმერიული ნაწარმი; **ა.** ახალი სტრიქონი, რომელიც ოდნავ შეწეულია; **ლ.** მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; **ი.** კაპიტან ნემოს სამშობლო; **ტ.** ხის ჯიში, რომელზეც გამოთქმის მიხედვით ის კაცი ზის, რომელიც არაფრის აზრზე არ არის; **რ.** ებრაელთა ღვთისმსახური; **ა.** ადოლფ დასლერის მიერ დაარსებული ფირმა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
პ. პათოსი; **ა.** აკვანი; **ლ.** ლუიჯი; **ი.** ისთვუდი; **ტ.** ტრუმენი; **რ.** რაპორტი; **ა** არამისი; **მ.** მატრონა; **უ.** უკრაინა; **დ.** დიოგენე; **ა** აზნაური; **მ.** მრევლი; **თ.** თათარა; **ქ.** ქუთაისი; **ვ.** ვიაგრა; **ე.** ევვანი; **ნ.** ნეილონი; **თ.** თასმა; **ა** ართურმა; **ნ.** ნუარე; **ა** აივენჰო; **ა.** აქსიომა.
გამუქებულ უჯრებში იკითხება: **თვით უპატრონეთ თავის თავს.**

№16 (290) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

თემას — „სანდო პროდუქცია“ 805 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. საკონკურსო იყო 800 ბარათი. 314-მა ქალმა და 486-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ყველაზე სანდო პროდუქციის მწარმოებელი კომპანია საქართველოში?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, საქართველოში ყველაზე სანდო, კომპანია „ყაზბეგის“ მიერ წარმოებული პროდუქციაა. რესპონდენტთა 53 თვლის მას ყველაზე საიმედო კომპანიად. **6,95** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა. „ყაზბეგია“ ყველაზე ცოტა მინიმალური ქულების (1,52) მფლობელიც.

მკითხველი ასევე ნდობას უცხადებს „ბორჯომის“ მწარმოებელ კომპანია „**GG&MW**“-ს. რესპონდენტთა 20-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა. საშუალო ქულაა 5,17.

„სამგორი“ 4,52 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ საერთო ქულების რაოდენობით „სამგორი“ წინ უსწრებს „ნიკორას“, მაგრამ მაქსიმალური ქულების მიხედვით პირიქითაა — მკითხველთა 9 „ნიკორას“, ხოლო 4 „სამგორის“ სანდოობაშია დარწმუნებული.

„ამალთეამ“ და „კოკა-კოლამ“ ზუსტად ერთნაირი რაოდენობის მაქსიმალური ქულა (4) დაიმსახურეს.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (43) წილად „კოკა-კოლას“ ერგო.

აღსანიშნავია, რომ ქალი რესპონდენტებისათვის „ამალთეა“ „კასტელზე“ უფრო სანდო კომპანიაა. მამაკაცები კი „**GWS**“-ის ღვინოებს უფრო ენდობიან, ვიდრე „ამალთეას“ რძის პროდუქტებს.



საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 55 წლის თბილისელი **დალი ირემაძეა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 1 მაისს, 17 საათზე.

№17 (291) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლოტოში.*

№17 (291) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 1 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 2 მაისის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №17 (291) — პრეზიდენტის საყრდენი

თქვენი აზრით, რა წარმოადგენს პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკის ყველაზე საიმედო საყრდენს (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№17(291) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	საყრდენი	ქულა
1	შსს	
2	პარლამენტი	
3	სმკ	
4	პროკურატურა	
5	ინტელიგენცია	
6	სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებები	
7	სახელმწიფო კანცელარია	
8	უშიშროების საბჭო	
9	მსხვილი ბიზნესმენები (გადამხდელთა კავშირი)	

მკითხველის ლოტო

დაასახელეთ აპრილის თვის მოვლენა

1

2 ______

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

მკითხველის ლოტოს შედეგები

რომელი პოლიტიკური პარტიის მიმართ ხართ კეთილგანწყობილი ყველაზე მეტად?

1.	ლეიბორისტული პარტია	32,3%
2.	ნაციონალური მოძრაობა	13,4%
3.	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	12,8%
4.	ახალი მემარჯვენეები	6,0%
5.	აღორძინება	5,8%
6.	ედპ	3,1%
7.	ტრადიციონალისტთა კავშირი	2,6%
8.	XXI საუკუნე	1,6%
9-10.	სმკ	1,0%
9-10.	სოციალისტური პარტია	1,0%
	მიჭირს პასუხის გაცემა	1,0%
	არც ერთი	15,4%

მკითხველის რეიტინგში 703 რესპონდენტი მონაწილეობდა.

© · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

______

თქვენი სახელი, გვარი ______

ქალაქი (რაიონი) ______



ზურაბ ნოღაიდელი

ზ.ჟ. — ბატონო იგორ! შენ ხომ ბებია ქართველი გყავდა და რატომ არ ეხმარები ქართველებს?

ი.ი. — შევარდნაძეს რომ ბებიაცა და ბაბუაც გურული ჰყავდა, რატომ არ ეხმარება გურულებს?

ზ.ჟ. — ვინ გითხრა, რომ არ ეხმარება? აბა, მთავრობაში ვისი შერეკილებია, ამდენი „შერეკილები?!“

ავთ. დოხტურიშვილი, სართიჭალა

ზ.ჟ. — რა მოგივიდა ხელზე?

ი.ი. — ჩემი მეუღლის ბიუსტჰალტერის ზომა მაქვს აღებული და ჯერ ვერ ვიშოვე.

ზ.ჟ. — მასეთ პატარა ზომას თბილისში ვერ იშოვი.

ი. მაზიაშვილი, თბილისი

ი.ი. — გრუზია, ეტო მოია ვტორაია როდინა, ოჩენ ლუბლიუ, პაეტომუ ვას ბუდემ ბამბიტ ტოლკო პერიოდიჩესკი.

თამაზ მჭედელი, თბილისი

ზურაბ ჟვანია, იგორ ივანოვი

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 139 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

ი.ი. — ესა, მესა, გადის ესა.

ზ.ჟ. — ვა? რა ყოველთვის მე გავდივარ და ვრჩები აფსაიდში?

„ხენჩო“, თბილისი

ზ.ჟ. — ვაა, ბატოო იგორ, ხელში კარტების მთელი დასტა გეჭირათ და სად გააქრეთ?

ი.ი. — ხოდა, ჩემო ზურიკო, აი ასე გავაქრობთ მთელ საქართველოსაც, ჭკუით თუ არ იქნებით.

ლ. ქაჩიბაია, თბილისი

ი.ი. — ასე ამხელა პატარა ქვეყანა, ნეტა შენნაირ დიდ ბიჭს სად იტევს.

თეკო, თბილისი

ი.ი. — გარწმუნებთ, რომ ჩვენი სამშვიდობო ძალები პროგრესულ როლს ასრულებენ ეთნოკონფლიქტების მოგვარების საქმეში.

ზ.ჟ. — კაციჭამია თუ დანა-ჩანგალს ხმარობს, ვითომ ეს პროგრესია?

მამუკა ჩხიროძე, სამტრედია

ზ.ჟ. — კი, მაგრამ მე რას მიპირებთ?

ი.ი. — ზურაბჩიკ, დარაგოი, ბუდეშ სტარაცა?! ტკვენებურად რომ ვტკვატ, სადმე შეგაკვეხებთ. თუ ვერ შეგაკვეხებთ, ტო აბიაზატელნა გაგაგკვეხებთ.

ზვიად ვაჩაძე, თბილისი

ი.ი. — კეთილო კაცო, მოგვეცით პატარა აფხაზეთი და თქვენც კარგად და ჩვენც კარგად.

ზ.ჟ. — ისე, აფხაზეთის მაგივრად, სხვა რამე რომ იყოს...

დიმიტრი ჩიტაშვილი, რუისი

C

ფოტო განწყობისთვის

– ნიცა, ამ ხუთშაბათსაც იქნება თევზის დღე?...

4/V უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია
29/IV — 13-დან 15 სთ-მდე
4/V — 2-დან 5 სთ-მდე

წინა სკანვორდის პასუხები





ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტურია). „კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დიღმის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მისყოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; ... ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ... (საბურთალო) მოედანზე; ... ვაკეში კი „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „... სთან" და ... ; დიდუბეში, „სამი ძმის" გაჩერებასთან; დიღომში - ... გამზ. ... ; უნივერსიტეტის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - ... ქუჩაზე ... 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; ... გამზ. - კეკელიძის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მ/რ-ის ახახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – *არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ორშაბათობით 10 საათიდან.* ახმეტასა და დედოფლისწყაროში *ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან.* ბოლნისში *თვის III კვირის ორშაბათს 12 სთ-დან.* ჟინვალსა და დუშეთში *– თვის III კვირის ორშაბათს.*

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთეზზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(17) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________

____

____

____

____

____

სიტყვა და საქმე

გაიხილეთ ტექსტი განცხადების დაწერისას: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№16 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 2 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

იცით, თუ არა, რომ...

ღვინის დამზადება დაიწყეს ძველ ეგვიპტეში. ღვინის მოყვარული ფილოსოფოსი პლატონი მას „მოხუცების რძეს" უწოდებდა, რადგან თვლიდა, რომ იგი ძალას მატებდა ადამიანს. ძველი რომაელები და ელინები ისევე ხშირად სვამდნენ ღვინოს, როგორც ჩაის. იმ დროს ისე ბევრი იყო ვენახი, რომ სარდალი ჰანიბალი საომარი სვლების დროს ღვინოს ცხენებსაც ასმევდა.

* * *

— რომელ წელს დაიბადე? — ჰკითხეს რაჟდენს.

— 37-ში...

— ჭკუა გაქვს ახლა შენ? მაგ წელს ყველა იმალებოდა და შენ გარეთ გამოხვედი?!

* * *

ექიმი — პაციენტს:

— რაღაც არ მომწონხართ, ბატონო...

— არც თქვენ ბრძანდებით მაინცდამაინც დახატული, ექიმო!..

ფირმა „ბერმუხა"

ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების ფაქტების, რეკლამების სიზუსტეზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 96-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა"©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში"